644
1958/3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკპ. ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლილინიუ მიკაიია — სიმღერა ჭეშმარიტი ხიყვარულისა (ლექსი. თარგმნა გ. გეგეჭკორმა) 3

ჰარუნ არ-რაშიდი და აბუ მუჰამედ ზარმაცი (ათას ერთი ღამიდან. თარგმნა ნ. ფურცელაძემ) . 7

ნადერ-ნადერფური — მამა (ლექსი. თარგმნა მ. ბარათაშვილმა) 20

იაშკალი — მონის ღუქკაცობა. შურისგება. ხიყვარულის ფასი. (მოთხრობები. თარგმნა ც. ჩხეიძემ) 22

ბაჰაბანი ბჰატაჩარია — მეხრე და ფოლადის ქორი (მოთხრობა. თარგმნა ქ. ჯავახიშვილმა) 37

ამბურაჰმად ალ-ხავნისი — ჯამილია ჯამალიათი (მოთხრობა. თარგმნა რ. ქებულაძემ) . 43

თურქული ლირიკა — ნეფზათ უსთიუნი — მშვენიერი რამ არის სიცოცხლე. ორჰან ველი — ეპიტაფია. ოქთაი რიფათი — პური და ვარსკვლავები (ლექსები. თარგმნა გ. ძნელაძემ) . . . 52

ეკო ოტა — როდემდის? (მოთხრობა. თარგმნა შ. ღოღობერიძემ) 55

ხუშხინ ხან-ხოტაკი — *** (ხმაურობენ გაზაფხულის წვიმები). ზაი გორიზადე — ადამიანის ღირსება (ლექსები. თარგმნა შ. ლომსაძემ) 69

იუსუფ იდრისი — „სწორია“. მზერა. სანაძლეო (მოთხრობები. თარგმნა ე. თვარაძემ) . . . 71

სიბურაპა — ფული და შრომა (მოთხრობა. თარგმნა მ. ადეიშვილმა) 77

ო. ჩეჩელაშვილი — ფოლადის ფრთებზე (გაგრძელება) 85

კრიტიკა და კუნძულისტიკა

ო. გიგინეიშვილი — ამოღის, თენდებაო! . . 102

რ. თვარაძე — ათმოსავლეთი და საქართველო . 107

ალ. გუსხარია — თანამედროვე ირანის პროგრესული ლიტერატურა 113

ჟინასაყრილოგო ტრიბუნა

გ. ნატროშვილი — მწერლის ჭეშმარიტი გზა 119

8

1958

აგვისტო

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

რ. კვერენჩხილაძე — მხატვრული სახე და პოეტური ოსტატობა 132

★

ლ. გოგრიაბინა — ქართველი ქალები შვეიცარიაში 139

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

რ. პატარიძე — თაგორის ნაწარმოებთა კრებული 145

გ. კანკავა — ბო ძიუ-ი ქართულ ენაზე . . 146

ვ. მამაცაშვილი — რუდაქის ლირიკა . . 148

ვ. ჯანგიძე — „მგელი და კრავი“ 149

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ნ. ნიკოლაძე — პირველი ქართველი სცენარისტი და რეჟისორი 151

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲜᲘ

ა. კარბელაშვილი — როცა დამზადდება „მოლაპარაკე მანქანა“ 153

ᲥᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ 156

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ 160

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

საredაქციო კოლეგია:

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ცაცანაშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IX-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 407. ᲣᲔ 06324. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილინუ მიკაიია
მოზამბიკელი პოეტი
აფრიკა

სიმღერა ჰეშმარიტი სიყვარულისა

ზენაარისკენ ხელაპყრობილ პალმის რწევაში,
გვირგვინის მისის კაეშნიან მოძრაობაში —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
ტამ-ტამთა ტომის დოლის ხმებით და ძმათა ჩემთა
ღიღინით ნათქვამ სიმღერებით მოჯადოებულ
მთვარის სხივებში, ქვეყანას რომ განეფინება, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
და ოკეანის მოელვარე მკვიდრთა თრთოლვაში,
იმ მებადურთა ბადეებში რომ ფართხალებენ,
რომლებიც ბოლოს ისევ ნაპირს უბრუნდებიან, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
და უდარდელი ფრინველების ჟივილ-ხივილში,
რომ უგალობენ სადიდებელს ზეციურ მნათობს,
შეუბრალებელს, გამოსახულს იმ ოფლის წვეთში,
რომელიც ჩარბის შრომით მოხრილ შიშველ ზურგებზე, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
ჩემი მეუღლის მონოტონურ სიმღერაშიაც
და ძველებური ქვასანაყის თანაბარ ხმაშიც —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
და იმ ღიმილში, დედაჩემის სევდიან სახეს
საღამოს მწუხრში რომ ეცემა მაშინ, როდესაც
სიზმარი ჩვენსკენ ფეხაკრეფით მოემართება, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
შორეულ გზებზე ხეტიალში და მგზავრობაში
და ძველი ჩვრებით შეკერილი ბურთის თამაშში,
მრავალ ჭირვარამგადატანილ თოხის ცემაშიც,
რომელიც მიწას უფხვიერებს სიმინდის ყლორტებს, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
იმ ბორკილების ჟღარუწშიაც,
მე რომ დამადეს
ფეხებზე,
ხმაზე

და ხელებზე,
და იმაშიაც,
რაიც ჯერ კიდევ დღევანდელ დღემდე
არ გადუშლია ჩემი გულის მეწამულ ყვავილს, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
თვით შავი მტვერის ნამცეცებად გადაქცეული
და გაყიდული ტრანსვაალის მაღაროებში, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
თუმცა ტანჯული და ნაწამები
სხეული ჩემი შეურიეს ცემენტს და ქვიშას,
თუმცა სახლები და შარაგზები
კვლავ ჩემი სისხლით არის მოსვრილი,—
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
თუმც ფული მათი
ჩემი სისხლით გაფერილია,
და თუმცა კიდევ კვდებიან სადღაც
და ისევ მესმის გამწარებულ დედების მოთქმა, —
მე შენ გიმღერი ჩემს სიყვარულზე.
ამ სიყვარულში, მცხუნვარეში, უნაპიროში,
ო, მოზამბიკო, საყვარელო მხარეო ჩემო,
აუტანელ და ყრუ მონობის საუკუნეთა
ვერ შესძლეს შენი დასამარება
და კიდევ უფრო განგაძლიერეს
სიმართლის რწმენით...
იმათთა შმაგი სიძულვილით
და მრისხანებით,
რომლებსაც უკვე აღარ ძალუძთ დარჩენ მონებად,
ვინც შეიგნო და
თქვა: მე ვარო ადამიანი! —
აღვმართავ ხელებს,
შუბს დავწვდები მამა-პაპისას
და გულის ფიცარს შევუნგრევ ურჩხულს!
ურჩხულს,
რომელიც ბადებს ისეთ ადამიანებს,
რომ ვერ ბედავენ მითვისებას ამ სახელისას,
ურჩხულს,
რომელმაც სული ჩაუდგა
ადამიანის დამმონებელ ადამიანებს,
კაცთ ბოროტებას,

დამარცხებულს,
სასოწარკვეთილს,
რომელიც ახლა ცეცხლს უკიდებს ქვეყნად ყველაფერს.
გარემოსილო მეწამული თავისუფლებით,
ო, მოზამბიკო, საყვარელო მხარეო ჩემო,
სიმღერას შენსას იტაცებენ შენი შვილები
და მიჰქრის იგი მთელს სამყაროში,
აფრიკაშიაც,
დასავლეთშიც,
აღმოსავლეთშიც!
ის დაიბადა
ამ მონობისა,
სიღატაკისა
და შიმშილის მძულვარებაში,
იგი სიმღერა
არის რწმენის,
არის იმედის
და ჭეშმარიტი სიყვარულის არის სიმღერა!

თარგმნა **გივი გეგეჭკორმა**

„ათას ერთი ღამე“

ნახატი ლადო გუდიაშვილისა.

ჰარუნ არ-რაშიდი და აბუ მუჰამედ ზარმაცი

ათას ერთი ღამიდან

ამბობენ, რომ ერთ დღეს, როდესაც ჰარუნ არ-რაშიდი სახალიფო ტახტზე იჯდა, მასთან საჭურისი მონა შევიდა. მონამ თან შეიტანა მარგალიტითა და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ბაჯაღლო ოქროს გვირგვინი. გვირგვინს ფასდაუდებელი იაგუნდები და პატიოსანი თვლები ამკობდა. მსახური ეამბორა მიწას ხალიფას წინაშე და მოახსენა:

— მბრძანებელო მართლმორწმუნეთა, საიდა ზუბეიდა შენს წინაშე მიწას ეამბორება და გითვლის: შენ იცი, რომ ეს გვირგვინი საიდა ზუბეიდამ გააკეთა. გვირგვინს მხოლოდ ერთი ძვირფასი თვალი აკლია წვერზე. საიდა ზუბეიდამ ბევრი ეძება თავის საგანძურებში და ვერ იპოვნა ისეთი დიდი ქვა, როგორიც საჭირო იყო.

ხალიფამ ეჯიბებსა და ნაცვლებს უბრძანა:

— მოძებნეთ დიდი თვალი პატიოსანი, ისეთი, როგორც ზუბეიდას სურს!

ეძიეს და ვერაფერი ნახეს მისი შესაფერი და აცნობეს ხალიფას ეს ამბავი. ხალიფა შეწუხდა და თქვა:

— როგორი ხალიფა და ქვეყნის მეფეთა მეფე ვარ, როცა ერთი ქვის შოვნა არ შემიძლია!? ვაი თქვენ! ჰკითხეთო ვაჭრებს.

ჰკითხეს ვაჭრებს. ვაჭრებმა უპასუხეს:

— ჩვენი ბატონი ხალიფა ამ თვალს მხოლოდ ბასრაში თუ იპოვნის ერთ კაცთან, რომელსაც აბუ მუჰამედ ზარმაცი ჰქვიაო.

ხალიფამ ბრძანა ბასრის მმართველ ემირ მუჰამედ ზუბეიდასათვის უსტარი გაეგზავნათ, რომ ემირს აბუ მუჰამედ ზარმაცი მოეშზადებინა. ვეზირმა დაწერა ასეთი უსტარი და მასრურს გაატანა. მასრური ამ ბარათით ბასრის ქალაქს გაემართა და ემირ მუჰამედ ზუბეიდასთან შევიდა. ემირს გაეხარდა მისი ხილვა და დიდი პატივი სცა. მერე მასრურმა მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ჰარუნ არ-რაშიდის წერილი წაუკითხა ემირს. ემირმა უთხრა:

— გისმენ და გემორჩილები!

ემირმა მასრურს თავისი მსახურები გაატანა და აბუ მუჰამედ ზარმაცთან წარგზავნა. გაემართნენ აბუ მუჰამედთან და კარებზე დააბრახუნეს. გამოვიდა ერთი მსახური. მასრურმა უთხრა — შენს ბატონს მოახსენე, რომ მართლმორწმუნეთა მბრძანებელი გიხმობს-თქო. მონა გაბრუნდა და აბუ მუჰამედს ეს ამბავი მოახსენა. იგი გამოვიდა და ხალიფას ეჯიბი მასრური და ემირ მუჰამედ ზუბეიდას მსახურები ნახა. ემთხვია მიწას მათ წინაშე და თქვა:

— ვისმენ და ვემორჩილები მართლმორწმუნეთა მბრძანებელს, მაგრამ ჯერ ჩვენთან შემოდითო!

მათ უპასუხეს:

— ეს ჩქარა უნდა გავაკეთოთ, ისე როგორც ხალიფამ გვიბრძანა. ის შენს მოსვლას ელოდება.

აბუ მუჰამედმა უთხრა:

— ცოტა მომიცადეთ, ვიდრე მოვემზადები.

დიდი წვალებისა და პატიჟის შემდეგ სახლში შეჰყვნენ. დერეფანში დაინახეს ბაჯაღლო ოქროთი მოჭარგული ცისფერი ფარდები. აბუ მუჰამედმა მოხსნა უბრძანა მასრური აბანოში შეეყვანა. შეიყვანეს და მასრურმა ნახა, რომ აბანოს კედლები და იატაკი საოცარი რამ იყო — ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და წყალი ვარდის წყალთან შერეული. მონები დიდებულად მოემსახურნენ მასრურს და მის მხლებლებს. აბანოდან გამოსულისას ოქრომკედით ნაკერი ფარჩის ხალათები ჩააცვეს. მასრური თავისი მხლებლებითურთ სასახლეში შევიდა და ნახა, აბუ მუჰამედი იჯდა, თავს ზემოთ ოქრომკედით, თვალმარგალიტითა და ძვირფასი თვლებით მორთული დიბის ფარდები ეკიდა. სასახლე მოფენილი იყო ბაჯაღლო ოქროთი შემკული ბალიშებით. აბუ მუჰამედი სკამზე იჯდა, ხოლო სკამი კი ძვირფასი თვლებით მოჭედილ ოქროს ტახტზე იდგა. მასრური რომ შევიდა, აბუ მუჰამედმა კეთილი მობრძანება უსურვა, მიეგება და გვერდით მოისვა. მერე სუფრის შემოტანა ბრძანა. მასრურმა რომ სუფრა დაინახა, თქვა:

— ვფიცავ ალაჰს, ასეთი სუფრა თვით მართლმორწმუნეთა მბრძანებელთან არ მინახავს!

სუფრა ნაირ-ნაირი საჭმელებით იყო სავსე. ყოველი თავი საჭმელი მოოქროვილ თეფშებსა და სინებზე იდო. „ვჭამეთ, ვსვით და საღამომდე დრო ვატარეთ, — ჰყვებოდა მასრური, — მერე ყოველ ჩვენგანს ხუთი ათასი დინარი გვიბოძა. მეორე დღეს მწვანე ფარჩის მოოქროვილი ტანსაცმელი ჩაგვაცვა და დიდი პატივი გვცა“.

მერე მასრურმა აბუ მუჰამედს უთხრა:

— ხალიფასი გვეშინია და მეტს ვეღარ დავრჩებითო.

აბუ მუჰამედ ზარმაცმა უთხრა:

— უფალო ჩვენო, დარჩი ჩვენთან ხვალამდე, რომ მოვემზადოთ და ჩვენც თქვენთან ერთად წამოვიდეთო.

იმ დღესაც დარჩნენ და ღამე იქ გაათიეს.

მეორე დღეს მსახურებმა აბუ მუჰამედს ნაირ-ნაირი მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს უნაგირით ჯორი შეუკაზმეს. მასრურმა გულში თქვა: „აბუ მუჰამედი რომ ამგვარად მორთული გამოცხადდება მართლმორწმუნეთა მბრძანებელთან, ნეტა თუ ჰკითხავს ხალიფა მისი სიმდიდრის მიზეზსო“.

შემდგომ ამისა, გამოემშვიდობნენ აბუ მუჰამედის სახლეულს, დატოვეს ბასრა და გაემგზავრნენ. იარეს, ვიდრე ბაღდადს არ მიაღწიეს. ხალიფასთან რომ შევიდნენ და მის წინაშე წარსდგნენ, ხალიფამ დაჯდომა უბრძანა. აბუ მუჰამედმა ხალიფა ზრდილობით მოიკითხა და თქვა:

— მბრძანებელო მართლმორწმუნეთა, სამსახურის ნიშნად ძღვენი ჩამოვიტანე და ნებას ხომ არ დამრთავ, მოგართვაო.

— შეიძლება, — უთხრა არ-რაშიდმა.

აბუ მუჰამედმა სკივრის შემოტანა ბრძანა. სკივრს თავი ახადა და საოცარი ნივთები ამოალაგა. მათ შორის იყო ოქროს ხეები თეთრი ზურმუხტის ფოთლებით. ოქროს ხეებს წითელი და ყვითელი იაგუნდისა და თეთრი თვალმარგა-

ლიტის ნაყოფი ესხა. ხალიფა გაოცებული დარჩა. აბუ მუჰამედმა მეორე სკივრის შემოტანა ბრძანა და სკივრიდან ფარჩის კარავი ამოიღო. მარგალიტით, იაგუნდით, ზურმუხტით, ტოპაზითა და სხვა ძვირფასი თვლებით მოჭედილ კარავს ნორჩი ინდური ალოეს ფეხები ჰქონდა. კარვის კალთებს მწვანე ზურმუხტი ამკობდა. კარავი სხვადასხვა ცხოველებით იყო მოხატული. ჩიტებისა და გარეული მხეცების სურათებს იაგუნდი, ზურმუხტი, ტოპაზი და სხვა ძვირფასი თვლები ამშვენებდა. არ-რაშიდმა რომ ეს დაინახა, ძლიერ გაიხარა.

აბუ მუჰამედ ზარმაცმა თქვა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, არ გეგონოს, რომ მე ეს რაიმე შიშით ან ანგარებით მომეტანოს. მე ერთი მდაბიო კაცი ვარ და მივიჩნიე, რომ ესენი მხოლოდ ხალიფას შეჰფერის. ნებას თუ დამრთავ, ერთი რამით გამოვენებო.

არ-რაშიდმა მიუგო:

— გააკეთე, რაც გინდა, აბა ერთი ვნახოთო.

აბუ მუჰამედმა უთხრა:

— გისმენ და გემორჩილები!

მერე ტუჩები აიცმაცუნა და სასახლის ქონგურებისაკენ თითი გაიშვირა. ქონგურები აბუ მუჰამედისაკენ გადმოიხარა და მერე, მისი თითის მოძრაობით, ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. აბუ მუჰამედმა თვალი უყო და მის წინ კარჩაკეტილი გალიები გაჩნდა. დაილაპარაკა და უეცრად მას ჩიტებმა უპასუხეს.

ხალიფა ძლიერ გაოცდა და აბუ მუჰამედს უთხრა:

— საიდანა გაქვს შენ ყოველივე ეს, როდესაც შენ მხოლოდ ზარმაც აბუ მუჰამედად გიცნობენ და, როგორც გავიგე, მამაშენი აბანოს დალაქი ყოფილა და შენთვის არაფერი დაუტოვებია?

აბუ მუჰამედმა უპასუხა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ისმინე ჩემი ამბავი, ის მართლაც რომ საოცარი და საკვირველია. ჩემი ამბავი რომ თვალის უპეებში ნემსით დაიწეროს, ის გაკვეთილი იქნება იმისათვის, ვისაც ჯუფის დარიგება სჯერდება.

— მიამბე და გამანდე, რაც შენ იცი, — უთხრა არ-რაშიდმა აბუ მუჰამედს.

აბუ მუჰამედმა თქვა:

— მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ალაჰიმც უკვდავჰყოფს შენს ძალასა და ძლიერებას! იცოდე, მართალია, რომ მე ზარმაცადა ვარ ცნობილი და მამაჩემს არაფერი დაუტოვებია ჩემთვის. მამაჩემი მხოლოდ აბანოს დალაქი იყო, როგორც თქვენ ბრძანეთ. სიყმაწვილის ჟამს ყველაზე ზარმაცი კაცი ვიყავი მთელ დედამიწის ზურგზე. ჩემი სიზარმაცე იქამდე მიდიოდა, რომ სიცხეში როცა მეძინა და მზე თავზე წამომადგებოდა ხოლმე, მეზარებოდა ადგომა და მზიდან ჩრდილში გადასვლა. ასე ვიყავი თხუთმეტ წლამდე. მერე მამა გარდაგვეცვალა მაღალი ალაჰის განგებით და ჩემთვის არაფერი დაუტოვებია. დედაჩემი ხალხს ესმახურებოდა და მაჭმევდა და მასმევდა. მე კი მხართეძოზე წამოწოლილს მეძინა.

მოხდა ისე, რომ ერთ დღეს მოვიდა დედა, თან ხუთი ვერცხლის დირჰემი მოიტანა და მითხრა:

— შვილო, გავიგე, რომ შეიხ აბუ მუზაფარს ჩინეთის ქვეყანაში მოგზაურობა განუზრახავს. იმ შეიხს ღარიბები ჰყვარებია და ქველი კაცი ყოფილა.

აიღე, შვილო, ეს ხუთი დირჰემი, წაიღიეთ და ვთხოვოთ, რომ ამ ფულით ჩინეთის ქვეყანაში რაიმე ყიდიოს, ეგების ალჰის მადლით მოგება ნახო.

მე დამეზარა ადგომა. დედამ ალჰი დაიფიცა, თუ არ ადგებოდი, აღარც მაჭმევდა, აღარც მასმევდა, აღარც ჩემთან შემოვიდოდა და მიმატოვებდა, რომ შიმშილითა და წყურვილით მოვმკვდარიყავი. მისი სიტყვები რომ გავიგონე, ჰოი მბრძანებელო მართლმორწმუნეთა, მივხედი, რომ ჩემი სიზარმაცის გამო ის მართლაც ასე მოიქცეოდა და ვუთხარი: — დამსვი. და დამსვა თვალცრემლიანი. ჩამაცვი-მეთქი ფეხზე — და ჩამაცვა. ამწია და ამიყვანე მიწიდან — ესეც გააკეთა. მერე ვუთხარი:—მხარში შემიდექ, რომ წავიდე—და ის მხარში შემიდგა. მივდიოდი და ფეხები ტანსაცმელის კალთებში მებალანდებოდა. ვაარეთ, სანამ ზღვის ნაპირს არ მივადექით. შეიხი მოგვესალმა. მე ვკითხე:

— ძია, შენ ხარ აბუ მუზაფარი?

— რით გემსახუროო, — მითხრა მან.

მე უპასუხე:

— აიღე ეს დირჰემები და რამე მიყიდე ჩინეთის ქვეყანაში, ეგების ალჰმა რაიმე მომაგებინოს.

შეიხ აბუ მუზაფარმა თავის ამხანაგებს უთხრა:

— იცნობთ ამ ჭაბუკს?

მათ უპასუხეს:

— ვიცნობთ. მაგას აბუ მუჰამედ ზარმაცს ეძახიან და ამის მეტად სახლიდან გამოსული არ გვინახავსო.

აბუ მუზაფარმა მითხრა:

— შვილო, მომე დირჰემები, ალჰის კურთხევით, მაღალიმც არს იგი.

გამომართვა დირჰემები და თქვა:

— სახელითა ალჰისითა!

მერე დედასთან ერთად სახლში დავბრუნდი.

გაემართა სამოგზაუროდ აბუ მუზაფარი და მასთან ერთად ვაჭართა ჯგაშაათი. იმოგზაურეს, ვიდრე ჩინეთის ქვეყანას არ მიაღწიეს. შეიხმა ივაჭრა, შეასრულეს, რაც სურდათ და თავისი თანმხლებლებითურთ უკან გამოემართა. სამი დღე რომ იარეს ზღვაზე, აბუ მუზაფარმა თავის თანამგზავრებს უთხრა:

— შეაჩერეთ ხომალდი!

ვაჭრებმა ჰკითხეს — რა გინდაო. შეიხმა უპასუხა:

— აბუ მუჰამედ ზარმაცის დაკარგება დამავიწყდა, დავბრუნდეთ და ვუყიდოთ რაიმე, რაც სარგებელს მისცემსო.

— ნუ დაგვაბრუნებ, ალაჰის გულისთვის, — შეევედრენ ვაჭრები, — რადგან დიდი გზა გამოვიარეთ და ბევრი გასაჭირი და საფრთხე გნახეთო.

შეიხმა მიუგო:

— აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ.

ვაჭრებმა უთხრეს:

— ოღონდ ნუ დაგვაბრუნებ და ორი იმდენი აიღე, რაც ხუთი დირჰემის სარგებელი იქნებოდაო.

შეიხი დათანხმდა და მას დიდძალი ფული შეუგროვეს.

მერე იარეს, ვიდრე არ მიუახლოვდნენ ერთ კუნძულს, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა. ჩაუშვეს ღუზა. ვაჭრები გადავიდნენ, რომ ეყიდათ ლითონი, ძვირფასი ქვები, მარგალიტი და სხვა რამ. აბუ მუზაფარმა დაინახა ერთი მჯდომარე კაცი, რომელსაც მრავალი მაიმუნი ჰყავდა. მათ შორის იყო ერთი გაჭუტული მაიმუნი. ყოველთვის, როცა მაიმუნების პატრონი უყურადღებოდ დასტოვებდა მათ, ისინი ეცემოდნენ გაჭუტულ მაიმუნს, სცემდნენ და პატრონს გადაუგდებ-



დნენ. პატრონი დგებოდა, ბოჭავდა და სჯიდა მათ ამის გამო. ისინი ბრაზდებოდნენ ამ მაიმუნზე და ისევ სცემდნენ. შეიხმა რომ ეს მაიმუნი დაინახა, შეებრალა და პატრონს უთხრა:

— მომყიდე ეგ მაიმუნი!

— ინებეთ, — უპასუხა პატრონმა.

— მე ერთი ობოლი ბიჭის ხუთი დირჰემი მაქვს, — თქვა აბუ მუზაფარმა, — მომცემ ამ ფასად?

— მოგყიდი, ალაჰის კურთხევაც ნუ მოგშლია, მისი გულისთვის, — უპასუხა მაიმუნის პატრონმა. მერე მისცა მაიმუნი და ფული გამოართვა. შეიხის მონებმა წაიყვანეს მაიმუნი და ხომალდში დააბეს. მერე აუშვეს აფრები და

მეორე კუნძულისაკენ გაემართნენ. კუნძულს რომ მიადგნენ და ღუზა ჩაუშვეს, ჩამოვიდნენ მყვინთავები, რომელნიც მარგალიტის, ძვირფასი თვლებისა და ლითონების საშოვნელად წყალში ყვინთავენ. ვაჭრებმა მათ დირჰემები მისცეს, რომ წყალში ჩაეყვინთათ. მაიმუნმა რომ მათი საქციელი დაინახა, თოკებიდან თავი გამოიხსნა, ხომალდიდან გადახტა და მათთან ერთად ჩაყვინთა. აბუ მუზაფარმა თქვა:

— არა არს ძალი და არც ღონე თუ არ ალაჰისა თანა მაღლისა და დიდებულისა. დავეკარგა მაიმუნი იმ უბეღურის ბედზე.

მაიმუნის ნახვის იმედი დაკარგეს. მაგრამ ყველა მყვინთავი ამოვიდა და უეცრად მაიმუნმაც ამოყვინთა მათთან ერთად. ხელში ეჭირა ძვირფასი ქვები, რომლებიც აბუ მუზაფარს დაუყარა წინ. აბუ მუზაფარს გაუკვირდა და თქვა:

— ჭეშმარიტად ამ მაიმუნში რაღაც დიდი საიდუმლო იმალება.

მერე აუშვეს აფრები და იარეს, ვიდრე არ მიაღწიეს ერთ კუნძულს, რომელსაც ზინჯების კუნძული ერქვა. ზინჯები კაცისჭამია შავი ხალხია. მათ დანახვაზე ზინჯები ნავებით მოვიდნენ და დაიპირეს ყველა, ვინც კი ხომალდზე იყო. ხელები ზურგზე გაუკრეს და მეფესთან წაიყვანეს. მეფემ ბრძანა, ყველა დაეკლათ. ნაწილი დაკლეს და შეჭამეს. დანარჩენებმა ღამე დიდ უბედურებაში გაატარეს. მაგრამ ღამით აბუ მუზაფართან მაიმუნი მივიდა და გამოხსნა. ვაჭრებმა რომ ეს ნახეს, აბუ მუზაფარს უთხრეს:

— იქნებ ალაჰმა ინებოს და ჩვენი განთავისუფლება შენს ხელთ იყოსო.

აბუ მუზაფარმა მიუგო:

— იცოდეთ, რომ მე სხვას არავის გავუთავისუფლებივარ ნებითა ალაჰისა, თუ არ ამ მაიმუნსო. და მე მას ათას დინარს ვაძლევო.

ვაჭრებმა უთხრეს:

— ყოველი ჩვენგანი ათას დინარს მისცემს, თუ გაგვათავისუფლებსო.

ადგა მაიმუნი, სათითაოდ გამოხსნა ვაჭრები, ყველა მათგანი გაათავისუფლა. გაემართნენ ხომალდისაკენ, ავიდნენ და ნახეს, რომ ხომალდი უვნებლად გადარჩენილიყო და არაფერი არ დაკარგულიყო. აბუ მუზაფარმა თქვა:

— ვაჭრებო, შეუსრულეთ მაიმუნს თქვენი დაპირება!

— გისმენთ და გემორჩილებით! — მიუგეს მათ და თვითეულმა ათასი დინარი გადაიხადა. მაიმუნს დიდძალი ქონება დაუგროვდა. მერე იარეს, ვიდრე ბასრის ქალაქს არ მიაღწიეს. გემიდან ჩამოსვლისას მათ მეგობრები მიეგებნენ. აბუ მუზაფარმა იკითხა:

— სად არის აბუ მუჰამედ ზარმაცი?

ამ ამბავმა დედაჩემამდე მიაღწია. და იმ დროს, როცა მე მეძინა, შემოვიდა დედაჩემი და მითხრა:

— აბუ მუზაფარი ჩამოსულა, ადექი, მიდი, მიესალმე და ჰკითხე, რა ჩამოგიტანა. ეგების რამე გიწყალობა მაღალმა ალაჰმა.

მე ვუთხარი:

— ამაყენე და მხარში შემიდექი, რომ ზღვის ნაპირამდე მივიდე.

წავედი და ფეხები ტანსაცმლის კალთებში მებღარდებოდა, სანამ აბუ მუზაფართან არ მივედითი. აბუ მუზაფარმა რომ დამინახა, მითხრა:

— კეთილი იყოს მისი მობრძანება, ვისი დირჰემებიც ჩემი და ამ ვაჭრების გადარჩენის საბაბი გახდა მაღალი ალაჰის ნებით. — მერე მითხრა: — აიყვანე ეს მაიმუნი, რომელიც მე შენთვის ვიყიდე და სახლში წაიყვანე ჩემს მოსულამ-

დე.—ავიყვანე მაიმუნი და წამოვედი. გულში ვთქვი:—ღმერთმანი, დიდებულ ნავაჭრია-მეთქი. შევედი სახლში და დედას ვუთხარი:

— ყოველთვის, როცა მძინავს, მიბრძანებ, ადექი და ივაჭრეო. შეხედე შენი თვალით ამ ნავაჭრს!

დავჯექი და ამ დროს აბუ მუზაფარის მონები მეახლნენ და მითხრეს:

— შენა ხარ აბუ მუჰამედ ზარმაცი?

მე ვუპასუხე:

— დიახ!

უეცრად მათ უკან აბუ მუზაფარი გამოჩნდა. მე ავდექი და ხელზე ვეამბორე. მან მითხრა:

— წამომყევი სახლში.

მე ვუთხარი:

— გისმენ და გემორჩილები.

და ვიარე მასთან ერთად, ვიდრე მის სახლში არ შევედით. აბუ მუზაფარმა მონებს უბრძანა, რომ ჩემთვის ფული მოეტანათ. მონებმა შემოიტანეს ფული.

— ეს ფული ხუთი დირჰემის სარგებელია, რომელიც ალაჰმა გიწყალობა, — მითხრა მან.

მერე მონებმა თავზე შედგმული სკივრებით ფული მომიტანეს. აბუ მუზაფარმა სკივრების გასაღებები გადმომცა და მითხრა:

— გაუძეხ მონებს შენი სახლისაკენ, ეს ფულები სულ შენია.

დავბრუნდი დედასთან. დედას გაეხარდა და მითხრა:

— ღმერთმა ამდენი ფული გიწყალობა და დაანებე თავი შენს სიზარმაცეს, წადი ბაზარში და ივაჭრეო.

მე თავი დავანებე სიზარმაცეს და ბაზარში სავაჭრო გავხსენი. მაიმუნი ჩემთან ერთად ჩემს სკამზე იჯდა, ჩემთან ერთად ჭამდა და ჩემთან ერთად სვამდა. ყოველდღე დილიდან შუადღემდე სადღაც გაქრებოდა, მერე მოვიდოდა და თან ქისით ათას დინარს მოიტანდა, გვერდზე დამიდებდა და ჩამოჯდებოდა. ასე ვცხოვრობდით დიდხანს, სანამ დიდი ფული არ დამიგროვდა. შევიძინე, მბრძანებელო მართლმორწმუნეთა, მამულები და მიწები, გავაშენე ბაღები, ვიყიდე მონები, გავიჩინე მსახურები და მხევლები. ერთ დღეს, როცა მე ვიჯექი და მაიმუნი ჩემს გვერდით სკამზე იყო, უეცრად მან წრიალი დაიწყო. გულში ვთქვი: ეს რა ამბავია-მეთქი. უეცრად ალაჰმა მაიმუნი მშვენრმეტყველად აალაპარაკა.

— აბუ მუჰამედ, — მითხრა მან. მე რომ მისი ლაპარაკი გავიგონე, ძლიერ შევშინდი. მაიმუნმა მითხრა:

— ნუ გეშინია, მე გეტყვი ჩემს ამბავს. მე ვარ მარიდი ჯინთაგანი. მე შენთან შენი სიღარიბის გამო მოვედი და დღეს შენ არც კი იცი შენი ქონების ზომა. ეხლა მე შენ ერთ რამეში მჭირდები, რაც შენთვისაც გამოსაღეგია.

მე ვუთხარი:

— რა საქმეა ეს?

მან მომიგო:

— მე მინდა, რომ ერთ მთვარესავით ქალიშვილზე დაგაქორწინოო.

მე ვუთხარი:

— როგორ?

— ხვალ ჩაიცვი შენი ძვირფასი ტანსაცმელი, — მითხრა მან, — დაჯექი ოქროს უნაგირიან ჯორზე და საალფო ბაზრისაკენ გაემართე. ბაზარში შე-

რიფის სავაჭრო იკითხე, დაჯექ მასთან და უთხარი — შენი ქალი მსურს, შენი ქალის დასანიშნად მოვედი-თქო. თუ გითხრას, რომ შენ არც ფული გაქვს, არც მდგომარეობა და არც გვარიშვილობაო, ათასი დინარი მიეცი. თუ გითხრას — დამიმატეო, დაუმატე და ფულით აცდუნე.

მე ვუთხარი:

— გისმენ და გემორჩილები! ხვალ მე ასეც მოვიქცევი, თუ ალაჰი ინებებს.

— როცა გათენდა, — თქვა აბუ მუჰამედმა, — ჩავიცვი ყველაზე ძვირფასი ტანსაცმელი, შევჯექი ოქროს უნაგირიან ჯორზე და საალაფო ბაზრისაკენ გავემართე. მივედი ბაზარში და შერიფის სავაჭრო ვიკითხე. შერიფი თავის სავაჭროში ვნახე. ჩამოვხდი, მივესალმე და მასთან დავჯექი. თან ათი მონა და მსახური მახლდა. შერიფმა მითხრა:

— შენ თუ ჩვენთან რაიმე საქმე გაქვს, სიამოვნებით შეგისრულებთ.

— დიახ, საქმე მაქვს, — მივუგე მე.

— რა საქმე გაქვს? — მკითხა მან.

— დასანიშნად მოვედი, შენი ქალი მსურს-მეთქი.

მან მითხრა:

— შენ რომ არც ფული გაქვს, არც მდგომარეობა და არც გვარიშვილობა!

მე ამოვიღე ქისა ბაჯაღლო ოქროს ათასი დინარით და ვუთხარი:

— ეს არის ჩემი მდგომარეობა და გვარიშვილობა. მოციქულს უთქვამს, ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, — რა კარგია ფულით შექმნილი მდგომარეობა და რა კარგი ნათქვამია:

ვისაც ორიოდ დირჰემი აქვს, იმ კაცის პირი
ყველაფერს ამბობს, ყველასა სჯის, ყოველი იცის.
მოდიან მასთან მეგობრები, უსმენენ ჩუმად —
შეჩვეულია ლიქნასა და მათ კუდის ქიცინს.
ის დირჰემებმა აღაზევეს, დირჰემით ზვავობს,
უმისოდ მტვერი იქნებოდა ამ დედამიწის.
ურიგოც რომ სთქვას, უსახური — კვერს დაუკრავენ,
დირჰემის პატრონს ან რად უნდა კვერი და ფიცი.
ბედს უპოვარი ემდუროდეს, მართალიც იყოს
პირს ბურთს ჩასჩრიან, დააყრიან უწმაწურ სიცილს.
ხედავ, დირჰემებს შარავანდით ვით შეუმოსავთ
ამქვეყნიური უხამსობა, ლექი და ბიწი,
მჭევრმეტყველებას ვინც დაეძებს — იმის ენაა,
იმისი ხმალი — ვინც დაპყრობის წადილით იწვის.[1]

შერიფმა რომ ეს მოისმინა და ლექსს ჩასწვდა, ერთხანს თავი ჩაქინდრა, მერე ასწია თავი და მითხრა:

— ეს თუ აუცილებლად ასე უნდა მოხდეს, მე სამი ათასი დინარი მინდაო.

— გისმენ და გემორჩილები! — ვუპასუხე მე და სახლში მსახური გავგზავნე იმ ფულის მოსატანად, რაც შერიფმა მთხოვა. შერიფმა რომ ეს დაინახა, სავაჭროდან გამოვიდა და ბიჭს უბრძანა სავაჭროს დაკეტვა. მერე თავი-

[1] ლექსები თარგმნილია თ. ჩხენკელის მიერ.

სი მეგობრები ბაზრიდან სახლში მიიპატიჟა და ნიშნობის წიგნი რომ დაწერა, მითხრა — ათი დღის შემდეგ მოგვგვრი ჩემს ქალსაო. შინ გახარებული დავბრუნდი, განვმარტოვდი მაიმუნთან და ვაცნობე, რაც გარდამხდა. რა კარგია, რაც შენ გააკეთეო — მითხრა მაიმუნმა.

შერიფის მიერ დათქმული ვადა რომ დადგა, მაიმუნმა მითხრა:

— შენგან რაღაც მჭირდება და, თუ შემისრულებ, რაც გინდა, ის მთხოვეო.

— რა გინდა-მეთქი, — ვუთხარი. მან მომიგო:

— შერიფის ქალიშვილისათვის გამზადებულ დარბაზში ამაღლებულ ადგილას სენაკია, რომლის კარსაც სპილენძის რგოლი ჰკიდია. რგოლის ქვეშ გასაღებები დევს. იიღე გასაღები, გააღე კარი და იქ ნახავ ერთ სკივრს, რომელსაც ოთხივ კუთხეში ოთხი თილისმა — ალამი აქვს. მათ შორის ფუღით სავსე ტაშტია. მის გვერდით თერთმეტი გველია. ტაშტში თეთრი მამალია დაბმული. იქვე სკივრის გვერდით დანაა. აიღე დანა, დაკალი მამალი, დახიე ალმები და სკივრი გადააყირავე. ეს საქმე მაქვს შენთანო, — მითხრა მაიმუნმა.

— გისმენ და გემორჩილები! — ვუთხარი მე და გავემართე შერიფის სახლისაკენ. შევედი დარბაზში და დავინახე ის სენაკი, რომელიც მაიმუნმა ამიწერა. საცოლესთან რომ განვმარტოვდი, მე გამოვცი მისმა სილამაზემ და მშვენიერებამ, წერწეტა ტანმა და მოქნილმა წელმა, და ძლიერ გავიხარე.

შუადამისას, როცა პატარძალმა დაიძინა, ავდექი, გასაღები ავიღე და სენაკი გავაღე. დავკალი მამალი, ალმები გადავყარე და სკივრი გადავაყირავე. ქალს გამოეღვიძა და, როცა ნახა, რომ სენაკი გახსნილია და მამალი დაკლულა, თქვა:

— არ არის ძალი და არც ღონე, თუ არ ალაჰისა თანა მაღლისა და დიდებულისა! შემიპყრო მარიდმა.

სიტყვა დამთავრებული არც კი ჰქონდა, რომ მარიდი სახლს გარს შემოევლო და პატარძალი მოიტაცა. ატყდა საშინელი ხმაური. უეცრად შერიფი შემოვარდა სახეზე ხელების ცემით:

— აბუ მუჰამედ, ეს რა გვიქენი, ასე გადაგვიხადე სამაგიეროო? ეს თილისმა ამ ოთახში მაგ წყეულის შიშით გავაკეთე, ექვსი წელია ამ ქალის წყევანა უნდა და ვერ შეძლო ამ თილისმის წყალობით. რადა დაგრჩენია შენ ჩვენთან, წადი, შენს გზას ეწიეო.

გამოვედი შეიხის სახლიდან და შინისაკენ გავემართე. ვეძებე მაიმუნი, და ვეღარც ის ვნახე და ვეღარც მისი კვალი. მაშინ მივხვდი, რომ მაიმუნი იყო ის მარიდი, რომელმაც ჩემი ცოლი მოიტაცა და შემაცდინა, რაზე ასე ძოგქცეოდი თილისმასა და მამალს, რომლებიც ქალის წყევანაში ხელს უშლიდნენ. მე ვინანე, ტანისამოსი შემოვიძარცვე, თავში ხელი ვირტყი. მიწა მევიწროვა. იმ წამსვე სახლიდან გამოვედი და უდაბნოსაკენ გავწიე.

იმ დროს, როცა ფიქრში გართული მივდიოდი, გზად ორი გველი შემომეყარა, ერთი თეთრი და ერთი წითელი. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ. ავიღე ქვა, წითელ გველს დავარტყი და მოვკალი, რადგანაც ის უსამართლოდ ჩაგრავდა თეთრს. თეთრი გველი წავიდა და ერთხანს გაუჩინარდა. მერე დაბრუნდა და თან ათი თეთრი გველი მოჰყვა. მივიდნენ ისინი წითელ გველთან და დაალიჯეს ისე, რომ თავის მეტი აღარაფერი დარჩა მისგან. მერე თავიანთ გზას გაუდგნენ. მე დაღლილ-დაქანცული წამოვწექი. წამოწოლილი რომ ვიყავი და ჩემს საქმეზე ვფიქრობდი, უეცრად იღუმალი ხმა გავიგონე. ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ ვხედავდი, ვინ ლაპარაკობდა. ის ამბობდა:

დე, გაგიჭინდეს ბედისწერა, მიუშვი ნებას,
შენ დრო ატარე გულნებიერად.
აღაჰი ერთი წამის ყოფით მზეს დააბნელებს.
და იმავ წამით ბნელს იქმს მზიერად.

ამის გაგონებაზე მე დიდ საგონებელში ჩავვარდი. უეცრად უკანიდან მომესმა ხმა, რომელიც ამ ბეითებს წარმოთქვამდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეი, მუსლიმო, ვისაც წმინდა ყურანი გმოძღვრის,
გაიხარე, ამაში მოვიდა.
და ნუ გეშინის შეთანის ბნელი ზრახვების,
ჰეშმარიტი მორწმუნე მოვიდა.

— გაფიცებ შენს უფალს, ვინა ხარ, მითხარი, — მივმართე მას.

იდუმალმა ხმამ ადამიანის გარეგნობა მიიღო და მითხრა:

— ნუ გეშინია, შენმა სიკეთემ ჩვენამდის მოაღწია. ჩვენ მართლმორწმუნე ჯინები ვართ. შენ თუ რამე სურვილი გაქვს, გვითხარი, რომ სიამოვნებით აგისრულოთ.

— მე მართლაც დიდი სურვილი მაქვს, — ვუთხარი მე. — მე უმძიმესი უბედურება დამატყდა თავს. ვინ არის სხვა, ვისაც ასეთი უბედურება სწვევია?

მან მკითხა:

— შენ, აბუ მუჰამედ, ზარმაცი ხომ არა ხარო?

— დიახ-მეთქი, — ვუთხარი მე.

მან მომიგო:

— აბუ მუჰამედ, მე იმ თეთრი გველის ძმა ვარ, რომლის მტერიც შენ მოკალით. ჩვენ ოთხი ძმა ვართ ერთი დედ-მამის შვილები. ჩვენ ყველა შენ გიმადლით. იცოდე, რომ ის მაიმუნი, რომელმაც შენ გიმზაკვრა, მარიდი ჯინია. იმას რომ ეს ხერხი არ ეხმარა, ვერასოდეს ვერ მიაღწევდა საწადელს, რადგან მრავალი წელია მისი მოტყუება სურდა და ის თილისმა უშლიდა ხელს. მაგრამ შენ ნუ სწუხარ, ჩვენ მოვკლავთ მარიდს. შენი სიკეთე არ დაიკარგება ჩვენთან.

მერე მან საშინელი ხმით დაიღრიალა და უეცრად მასთან ჯამაათი გაჩნდა. მან იკითხა მაიმუნის ამბავი. ერთ-ერთმა თქვა:

— მე ვიცი მისი სამყოფელიო.

— სად არის იგი?

— სპილენძის ქალაქში, სადაც მზე არ ამოდისო.

— აბუ მუჰამედ, — მომმართა მე, — აიყვანე ერთ-ერთი ჩვენი მონა. ის შეგისვამს ზურგზე და გასწავლის, როგორ წამოიყვანო ქალი. ეს მონა მარიდია და, როცა ზემოთ ავაფრენს, ალაჰის სახელი არ ახსენო, თორემ გაგექცევა, ჩამოვარდები და დაიღუპებიო.

— გისმენ და გემორჩილები! — მივუგე მე.

ავიყვანე ერთი მონა. ის დაიბარა და მითხრა — შემაჯექ ზურგზეო. მე შევაჯექი. მონა ჩემთან ერთად ჰაერში აფრინდა და ქვეყნიდან გაუჩინარდა. მე ვხედავდი უზარმაზარი მთების მსგავს ვარსკვლავებს, მესმოდა ცაში ანგელოსების მიერ ალაჰის დიდება. მარიდი კი ამ დროს მესაუბრებოდა, მართობდა და ყურადღებას მიფანტავდა, რომ არ მეხსენებინა ალაჰი, მაღალმა არს იგი. ამგვარად ვიყავი, როდესაც, უეცრად, მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი მომიახლოვდა. ამ კაცს ხელული თმები ჰქონდა და სახეზე ნათელი აღგა. ხელში ლახვარი ეჭირა, რომელსაც ნაპრწყლები სცვიოდა.

— აბუ მუჰამედ, — მითხრა მან, — სთქვი: არა არს ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედი არის მოციქული მისი, თორემ ამ ლახვარს ჩაგცემ.

მე გული მეთანაღრებოდა, რომ ჩუმად ვიყავი და მაღალი ალაჰის სახელს ვერ ვახსენებდი, და ვთქვი.

— არა არს ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედი არის მოციქული მისი.

კაცმა მარიდს ლახვარი ჩასცა. მარიდი გაჰქრა და ნაცრად იქცა. მე გადმოვვარდი მისი ზურგიდან და მოვფრინავდი ქვემოთ, ვიდრე არ ჩავვარდი აღელვებულ ზღვაში, სადაც აზვირთებული ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდა. უეცრად გამოჩნდა გემი, რომელშიც ხუთი მეზღვაური იჯდა. მე რომ და-

მინახეს, მოსცურეს და გემზე ამიყვანეს. დამელაპარაკენენ რაღაც უცხო ენაზე, რომელიც მე არ მესმოდა. მე ვანიშნე — ვერაფერი გავიგე-მეთქი. ისინი საღამომდე მისცურავდნენ. საღამოს გადაისროლეს ბადე, დიდი თევზი დაიჭირეს და შეჭამეს. ამოგზაურეს, ვიდრე თავის ქალაქში არ მიმიყვანეს. შემიყვანეს მეფესთან და მის წინაშე წარმადგინეს. მე ვეამბორე მიწას და მან ტანსაცმელი მიბოძა. ამ მეფემ არაბული იცოდა. მან მითხრა — ჩემს მცველად დაგნიშნავო. მე ვკითხე — რა ჰქვია-მეთქი ამ ქალაქს. მან მომიგო:

— მისი სახელია ჰინადი და ის არის ჩინეთის ქვეყანაში.

მერე მეფემ ქალაქის ვეზირს ჩამაბარა და უბრძანა ჩემთვის ქალაქი დაეთვალიერებინებინა. ამ ქალაქის მცხოვრებნი წინათ ურწმუნონი ყოფილან და მაღალ ალაჰს გაუქვავებია ისინი. მე გავისეირნე ქალაქში. იმდენი ხეები და ხილი, რაც იქ ვნახე, არსად არ მინახავს. ამ ქალაქში ერთი თვე დავყავი. მერე გავემართე მდინარისაკენ და ნაპირზე ჩამოვჯექი. ამ დროს ვიღაც მხედარი მოვიდა და მითხრა:

— შენ აბუ მუჰამედ ზარმაცი ხარ?

— დიახ-მეთქი.

— ნუ გეშინია, — მითხრა მან, — შენმა სიკეთემ ჩვენამდის მოაღწია.

მე ვკითხე:

— ვინა ხარ შენ?

— მე იმ გველის ძმა ვარ, — მიპასუხა მან, — და შენ ახლოსაც ხარ შენი ცოლის ადგილსამყოფელთან.—მერე გაიძრო თავისი ტანსაცმელი, ჩამაცვა და მითხრა: — ნუ გეშინია, მონა, რომელიც შენთან დაიღუპა, ერთ-ერთი ჩვენი მონა იყო. — მხედარმა შემომისვა და უდაბნოსაკენ წამიყვანა. მერე მითხრა:

— ჩამოდი და იარე ამ ორ მთას შუა, ვიდრე სპილენძის ქალაქს არ მიაღწევ. მოშორებით დადექი და არ შეხვიდე, სანამ არ დავბრუნდები და არ გეტყვი, რა გააკეთო.

— გისმენ და გემორჩილები! — ვუთხარი მე.

ჩამოვხტი და ვიარე, ვიდრე ქალაქს არ მივაღწიე. ვნახე, რომ ქალაქის გალავანი სპილენძისა იყო: გარს შემოვუარე, ეგების კარს მივაგნო-მეთქი და ვერსად ვნახე. ამ დროს, როცა მე ქალაქს გარს ვუვლიდი, გველის ძმაც მოვიდა. მომცა თიხლისმა ხმალი, რომ უჩინარი გავმხდარიყავი და თავის გზას გაუდგა. დიდი ხნის წასული არ იქნებოდა, რომ გაისმა ძახილი. დავინახე ხალხი, რომელსაც თვალები მკერდზე ჰქონდა. მე რომ დამინახეს, თქვეს:

— ვინა ხარ შენ და აქ რამ მოგიყვანაო?

მე მათ ჩემი თავგადასავალი ვუთხრი და მათ მითხრეს:

— ქალი, რომელიც შენ ახსენე, მარიდთანაა ამ ქალაქში. ჩვენ არ ვიცით, რა უყო მას მარიდმა. ჩვენ კი იმ გველის ძმები ვართო. — მერე მითხრეს: — მიდი იმ წყაროსთან, ნახე საიდან გამოდის წყალი, გაჰყევი მას და ქალაქში შეგიყვანსო. — მე ასეც მოვიქეცი და წყალმა მიწისქვეშა სარდაფში შემიყვანა. მერე ავყევი წყალს და ვნახე, რომ ქალაქის შუაგულში ამოვსულვარ. ვიპოვე ქალი ოქროს ტახტზე მჯდომარე. მის ზემოთ დიბის ფარდა ეკიდა. ფარდის ირგვლივ ბაღი იყო. ბაღში იდგა ოქროს ხეები, რომლებსაც ძვირფასი თვლებს, იაგუნდის, ტოპაზის, მარგალიტისა და მარჯნის ნაყოფი ესხა. ქალმა რომ დამინახა, მიცნო და პირველი მომესალმა.

— ბატონო ჩემო, — მითხრა მან, — რამ მოგიყვანა ამ ადგილას?

მე მოვუყევი, რაც თავს გარდამხდოდა. მან მითხრა:

— იცოდე, რომ ამ წყეულმა ყველაფერი მასწავლა: თუ რა ენებს და რგებს მას. მასწავლა, რომ ამ ქალაქში არის თილისმა, რომლითაც მთელი ქა-

ლაქის დაღუპვა შეუძლია, თუ მოინდომებს. და რაც უნდა უბრძანოს ყიფრითებს, ყველაფერს შეუსრულებენ. ეს თილისმა არის ერთ ბოძში.

— სად არის-მეთქი ბოძი?

— ამა და ამ ადგილასო.

— ეს რა თილისმაა-მეთქი?

მან მომიგო, რომ ეს არის არწივის გამოსახულება, რომელზედაც რაღაც წარწერაა უცნობ ენაზე. დაიდე წინ არწივი, აიღე მაყალი და შიგ ცოტა მუშკი ჩაჰყარე. ამოვა ბოლი და მოიზიდავს ყიფრითებს. ამას რომ გააკეთებ, ყველა ყიფრითი უკლებლივ გამოცხადდება შენს წინაშე და შეასრულებენ, რაც უნდა უბრძანო. ადექი და ასე მოიქეცი ალაჰის კურთხევით, მაღალმიც არს იგი.

— გისმენ და გემორჩილები! — მივუგე მე.

მერე ავდექი, წავედი იმ ბოძთან და გავაკეთე ყველაფერი, რაც მან მიბრძანა. მოვიდნენ ყიფრითები, ჩემს წინაშე გამოცხადდნენ და მითხრეს:

— რით გემსახუროთ, ჩვენო ბატონო? ყველაფერს შევასრულებთ, რაც უნდა გვიბრძანო.

— შებოჭეთ მაიმუნი, — ვუთხარი მე, — რომელმაც ის ქალი წამოიყვანა სახლიდან.

მათ მითხრეს:

— გისმენთ და გემორჩილებით!

მერე მივიდნენ მარიდთან, შებოჭეს და მაგრად შეკრეს. ყიფრითებს ვუბრძანე, რომ უკან გაბრუნებულიყვნენ. მე დავბრუნდი ქალთან და ვაცნობე, რაც მოხდა. მერე ვუთხარი:

— ჩემო მეუღლევ, წამოხვალ ჩემთან ერთად?

— დიახ, — მომიგო მან.

მერე მასთან ერთად ამოვედი სარდაფიდან, რომლითაც ქალაქში შევედი და ვიარეთ, სანამ არ მივაღწიეთ იმ ხალხთან, რომელმაც ქალთან მიმასწავლა. მათ ვუთხარი:

— მაჩვენეთ გზა ჩემი ქვეყნისაკენ.

მაჩვენეს და თან წამომყვნენ ზღვის ნაპირამდე. ჩამსვეს ხომალდში. ქარი ხელს გვიწყობდა და ვიარეთ იმ ხომალდით, ვიდრე ბასრის ქალაქს არ მივაღწიეთ. ქალი რომ მამის ოჯახში შევიდა, დიდად გაიხარა მისმა ოჯახმა. მერე შუშკით შევბოლე არწივის გამოსახულება და ჩემთან გამოცხადდნენ ყიფრითები ყოველი მხრიდან.

— რით გემსახუროთ? — მკითხეს მათ. — გავაკეთებთ, რასაც ინებებ.

მე ვუბრძანე ყიფრითებს, ყველაფერი, რაც კი სპილენძის ქალაქში იყო — ფული, ლითონები, ძვირფასი თვლები, ჩემს სახლში გადაეზიდათ ბასრაში. ასეც მოიქცნენ. მერე ვუბრძანე, რომ მაიმუნი მოეგვარათ ჩემთვის. მომგვარეს დამცირებული და თავლაფდასხმული მაიმუნი.

— რატომ მიღალატე, შე წყეულო? — ვუთხარი მე, მერე ვბრძანე, მაიმუნი სპილენძის ბოთლში ჩაესვათ და ბოთლის თავი ტყვიით დაეცოთ. და დავრჩი მე ჩემს ცოლთან ერთად მხიარული და ბედნიერი. ახლა მე, მბრძანებელო მარლმორწმუნეთა, უთვალავი და აურაცხელი სანაძღვრები, ფული და იშვიათი ქვა მაქვს. შენ თუ ფულს ან სხვა რაიმეს ისურვებ, მე ვუბრძანებ ჯინებს, რომ იმ წამსვე მოგიტანონ. და ყოველივე ეს არს ალაჰის წყალობით, მაღალმიც არს იგი.

მართლმორწმუნეთა მბრძანებელს ძლიერ გაუკვირდა ეს ამბავი. აბუ მუჰამედს სახალიფო საჩუქრები უბოძა მისი ძღვენის ნაცვლად და შესაფერი პატივი სცა.

არაბულიდან თარგმნა **ნანა ფურცელაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადერ-ნადერპური

ირანი

მ ა მ ა

დღის ბოლოს მოვალ, ჩაგიკრავ გულში
და სიხარულით დამცვივა ცრემლი...
მე სიხარულით დამცვივა ცრემლი,
როდესაც მოვალ, ჩაგიკრავ გულში.
გაზაფხულს თესავს თვალები შენი,
ნაზი ღიმილი — ასე რომ გშვენის.
შენს სასთუმალთან ვატარებ ღამეს,
დაგირწევ აკვანს, გიმღერი ნანას.
ო, ეგ ლოყები რარიგ ელვარებს!
თვალის უპენი ცრემლმა დანამა?
ხელით შეგიშრობ ცრემლიან თვალებს...
დაგატკბოს ჩემმა „ნანი-ნანამა“...
როცა შენ სტირი — ცა იბინდება,
მოდის ქარბუქი, მუქდება ღამე...
როცა იცინი — დღე გაბრწყინდება,
გაზაფხულია, მზეა მცხუნვარე.
როდესაც ვხედავ შენს მღიმარ თვალებს,
იცინის მიწა, ბალახი, მთვარე...
შენი ტირილი რარიგ მაწამებს!
შენი ღიმილი რარიგ მახარებს!..
როდესაც შენი პაწაწა ხელი
ჰაერს გააპობს, შეითამაშებს,
მე უცნაური გრძნობით დავცქერი
წყლისფერძარღვიან პაწაწა მაჯებს...
ჩავიკრავ გულში სათუთად, გზნებით
და ახალი რძის სურნელით ვთვრები.
შენი თვალები სარკეა წმინდა,
შიგ ისე ელავს სხივები მთვარის,
როგორც ანთებულ ფარნის მინიდან
აფარფატებულ ჩირაღის ალი.
დილაობით კი... ფუნჯის ღირსია
ემაგ თვალების კაკლების ფერი...

მათ უცნაური კრთომა იციან,
ფარშევანგის ფრთას გვანან იერით.
ჩემი ხელის ქვეშ პატარა გული
ფართხალებს, როგორც გული ბეღურის.
არა, ეს ჩემი ახალგაზრდული
სისხლი დუღს, სისხლი წინანდებური.
შენს ლამაზ თვალებს, გონიერ თვალებს
სიმთვრალესავით ედებათ რული...
წამწამი ჩრდილად ჩამოიფარეს...
მკერდზე გეყრება დედის კულული.
დედაკო ასე როგორ დაღალე —
ძინავს. მკვიდრდება სიჩუმე სრული.
ის ბევრჯერ, ბევრჯერ გატეხავს ღამეს,
ბევრჯერ გაყვება ზღაპრის დინებას...
დედის მკლავებში დაქანცულს ძალზე
„ნანინას“ ხმაზე ჩაგეძინება.
ასე გაივლის დღეები, წლები
და როცა დარდი შენც გაგიჩნდება,
მაშინ გაიგებ... ჰო, გასაგები
დედის დარდები მაშინ იქნება.
კიდევ გაივლის დღეები, წლები,
შენც ასე, ჩემებრ დავაყვაცდები
და უდარდელი იქნები მანამ,
სანამ შენც შვილი გეტყოდეს: „მამა!“

თარგმნა **მარიკა ბარათაშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაშპალი

ინდოეთი

მონის ვაჟკაცობა

ყველაზე უბედური კაცი ქვეყნად ისაა, ვისაც მოსპობია ბრძოლის შესაძლებლობა და იძულებული გამხდარა ბედს დამორჩილებოდა. მთელი მისი გონებრივი ძალა, მთელი სულიერი ენერგია ხმარდება არა თავისუფლებისათვის ბრძოლას, არამედ იმას, როგორმე გავუძლო, ავიტანო ჭირვარამიო.

რომ ვთქვა, ძალიან ცხელოდა-მეთქი, ცოტა იქნება: არ იქნა და არ დადგა წვიმების სანატრელი სეზონი. არაჩვეულებრივად მცხუნვარე ზაფხული იდგა. მთელი ასარხის[1] თვე პაპანაქება იყო. დროდადრო მოიღრუბლებოდა ხოლმე, მაგრამ ცვარი წვიმა არ მოდიოდა. მხოლოდ ჰაერი ხდებოდა განსაკუთრებით დახუთული და უძრავი. მოდი და ასეთ დროს გისოსს მიღმა იჯექ! მზის სხივები ლაღად დასრიალებდნენ კედლებსა და ხეთა კენწეროებზე! მე კი საპატიმროს ბარაკში ვიჯექი.

პაპანაქება, უსასრულო პაპანაქება... და ჩვენი ყოვლად უმწეო ყოფა. თავი რომ დაეღწიათ ამ სულისშემხუთველი სიცხისაგან და ოდნავ მაინც ეგრძნოთ ნიავის სალბუნი, პატიმრები ზედ ეკვროდნენ გისოსიან ფანჯრებს. სიცხემ ამოაშრო ციხის ჭები. პატიმრებს ისე მალე აშრებოდათ ოფლი, რომ კანი მჭადაქვასავით უხეში და ხაოიანი გაუხდათ. ისეთი აუტანელი ქავილი ჰქონდათ ატეხილი, რომ კანიდან სისხლი სდიოდათ.

ათი გისოსი აბა რას ეყოფოდა სამოცდა თორმეტ პატიმარს. ხოლო როცა საგუშაგოზე იდგა ერთი უცხვირპირო სერჟანტი, წესრიგის თავგამოდებული დამცველი, მაშინ ხომ ახლოსაც ვერ გაეკარებოდით ფანჯარას. როგორც კი ვინმე ფანჯრისკენ წავიდოდა, სერჟანტს ეჩვენებოდა, გისოსების გადახერხვას აპირებენო. შუა ბარაკში ხელისგულის სიმაღლეზე ამოემაღლებინათ სოხანე; სიცხისგან გათანგული პატიმრები ამ სოხანეზე მიყრილიყვნენ, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გრილდებოდნენ — ინიავებდნენ პირსახოცს თუ პატიმრობის ბილეთს — და დაუსრულებლად მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა ცუდია ციხეში ჯდომა ასეთ სიცხეში, როცა წვიმის ნასახიც არსადაა, და რომ შინ მოსავალი

[1] ინდური კალენდრის მეოთხე თვე, ჩვენებური ივნის-ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღუპება. თვითეული პატიმარი აქ ცხრა ჩხატან[1] პურს იღებდა, და მაინც მათს თვალებში აშკარად ჩანდა შიში შიმშილისა, რაც მუდამ მოსდევს ხოლმე გვალვიან წელიწადს. წამდაუწუმ იყო ერთი დანიძლავება — გაწვიმდება ამ ორ დღეში თუ არაო? ბევრმა უკვე წააგო ნიძლავი — საუზმიდან მორჩენილი ერთი მუჭა ცერცვი, გადამალული ან მოპარული პური, თამბაქო, ბეტელი. მაგრამ ცა ულმობელი იყო.

და აი დადგა სავანის [2] ერთ-ერთი დღე. ბარაკი მიჩუმდა. გავარვარებულ ცაზე გამოჩნდა დაგრაგნილი, ბნელი ღრუბლები, დაღამებას კი ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. ეს ანდხის[3] მომასწავებელი ღრუბლები იყო. ასარხის თვეში ასეთი გრიგალი ხშირია ხოლმე. ახლა მოსალოდნელი იყო, რომ ამ გრიგალს წვიმაც მოჰყვებოდა, მაგრამ პატიმრებს იმედი გადაწყვეტილი ჰქონდათ და ქარი რომ დაუბერავდა, აღარავინ გაიძახოდა, ახლა კი გაწვიმდებაო.

გისოსებიდან ეს წუთი იყო გრილი ნიავი უბერავდა, ახლა კი მტვრის კორიანტელი ავარდა. სხვათა შორის, საპატიმროს ბარაკს ერთი თვისება აქვს — სიცხეში რომ სულს ვერ ითქვამ, ქარიშხალში გალიასავითაა — ყოველი მხრიდან უბერავს ქარი. მტვერი ბოლქვებად შემოდიოდა ფანჯრებიდან, ხმელ ფოთლებთან ერთად ცვიოდა კრამიტის სახურავის ჭუჭრუტანებიდან, თვალებს გვივსებდა და კბილებში კნაწაკნუწი გაჰქონდა. პატიმრები ბარაკის ამაღლებულ იატაკზე ეძებდნენ თავშესაფარს და საბნებსა და პირსახოცებს იფარებდნენ ცხვირ-პირზე, თან წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ქარიშხალს. რამდენჯერ ხელჩართული ბრძოლა გაუმართავთ და ერთმანეთისთვის თუნუქის თეფშები ურახუნებიათ თავში, ოღონდ გისოსთან დამდგარიყვნენ, ახლა კი კაციშვილი არ ეკარებოდა ფანჯარას.

კრამიტის სახურავზე გაისმა თანაბარი კაკუნი. გულგატეხილებმა ჯერ ვიფიქრეთ, ქარიშხალმა ჰაერში აიტაცა ქვები და ტოტები, და ისინი ცვივაო. მაგრამ ეს წვიმის წვეთები იყო. წვეთები გახშირდა, გაძლიერდა... წვიმაა! თავსხმა წვიმა! შეიქნა ერთი ღრიანცელი. პატიმრები ფანჯრებს მიაწყდნენ — ასე მიაწყდებიან ხოლმე გისოსებს ზოოპარკში დამწყვდეული მაიმუნები, როცა ვინმე ერთ მუჭა ცერცვს დაუყრის.

მინდოდა პოლიტიკური პატიმრის ღირსება შემენარჩუნებინა და ადგილიდან არ დავძრულვარ, ისევ ჩემს ქვეშაგებზე ვიწექი.

წვიმდა. ეს ნამდვილი წვიმა იყო! წყურვილით დაავლებული მიწა ორთქლავდა და ხარბად იწოვდა წყალს. მალე წყალი ხან ფართო, ხან ვიწრო ნაკადულებად წამოედინა და საპატიმროს ეზო ტბას დაემსგავსა. მერე მსხვილ-მსხვილი წვეთები დაუშვა. აცეკვდნენ და ახტუნავდნენ წვეთები ტბად დამდგარ წყლის ზედაპირზე.

პატიმრებმა ცნობისწადილი მოიკლეს და ისევ მოშორდნენ ფანჯრებს. კრამიტი დამეჩხრებული იყო და წყალი ჩამოდიოდა. მორიგე სერჟანტი გულკეთილი კაცი იყო. არ აუხირებია: გინდათ თუ არა, თქვენ-თქვენს ადგილას იყავით, მე რა მენაღვლება თუ თავზე გაწვიმთო. ერთი პირობა კი ჩამოგვართვა: თუ ანაზდად ზედამხედველი ან საპატიმროს უფროსი გამოჩნდებოდა, ყველანი სწრაფად და შეუმჩნევლად უნდა გაჩენილიყვნენ თავიანთ ადგილზე. პატიმრები მშრალ ადგილს ეძებდნენ და ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ბარაკში. აქა-იქ ისმოდა, თუ რო-

---

[1] საწყაო ერთეული, დაახლოებით 60 გრამი.

[2] ინდური კალენდრის მეხუთე თვე, ჩვენებური ივლის-აგვისტო.

[3] მშრალი ქარიშხალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ შრიალებდა საღეჭი თამბაქო, რომელსაც ხელისგულზე იფშვნიდნენ.

კადირი ერთის ამბით აბოლებდა სიგარას. ლოჩანი თავის წმინდა ქალაქურ ურდუს ენაზე ეუბნებოდა:

— გახსოვთ, ხან-სახიბ[1], ასეთ ამინდში თითო ბოთლი სანტრა[2] რომ გვედგა წინ და შევექცეოდით?

რამანჯანმა გამოეხმაურა:

— ბავშვი ხომ არა ხართ, ბაბუ[3]? აბა ერთი ჩვენებური სოფლური კხინჩი[4] გაგაშინჯათ...

— მართალს ბრძანებთ, ჩოუდხრი[5], — კვერი დაუკრა ვისრამმა. — ერთი ჩაუპარიც[6] რომ მოგვცა, მთლად მისწრება იქნებოდა... მახუაზე[7] რაღას იტყვით? — ნერწყვი მოერია მას.

მულუმამაც თქვა თავისი:

— ეხ, ბახი[8], ნამდვილი დათრობა თუ გინდა, სულფას[9] არაფერი სჯობია, დანარჩენი სულ მიქარვაა. სულფა სასმელების მეფეა.

როგორც პოლიტიკურ პატიმარს, თანაც წოვნიერს, მე ნებას მაძლევდნენ ფანარი მქონოდა, რომ წიგნები მეკითხა. სისხლის სამართლის დამნაშავეთა უხეშობა და თავაშვებულობა მაღიზიანებდა, ამიტომ განზე ვიწექი ჩემს ქვეშაგებზე, თავქვეშ დახვეული საბანი მედვა და ვცდილობდი გულისყურით მეკითხა ინგლისური ილუსტრირებული ყოველკვირეული ჟურნალი. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო საინტერესო იყო დაკვირვებოდი პატიმართა ვრძნობებსა და სურვილებს, რაც ციხეში ასე გაშიშვლებულად მეღავნდება, მაგრამ ძალიან გატაცება ამ ინტერესით აქ არ შეიძლება — ადვილად შეიძლება დაჰკარგო ღირსება იმ ადამიანისა, რომელიც პოლიტიკური მოტივებით ზის ციხეში. მაგრამ თვალები თუ ჟურნალს მისჩერებოდნენ, ყურები ხომ თავისუფალი მქონდა?

სადაც არ უნდა მოიყაროს თავი რამდენიმე კაცმა, ხელად გამოჩნდება ხოლმე, ვის რა ფასი აქვს. როცა პატიმრებს ნადირებივით შერეკავენ სატიმროს ერთი ბეწო კოლოფში, აქ ყველას ერთნაირად მკაცრად ეპყრობიან. ყველას ერთნაირ პერანგს, საცვალს, საბანს, ქვეშაგებს, ჯამს და პატიმრობის ბილეთს ურიგებენ. მაგრამ აქაც კი თავს იჩენს ხოლმე მათ შორის არსებული განსხვავება. პატიმრებს ჩაამწკრივებენ, ყველას გაშვერილ ხელში უკავია პატიმრობის ბილეთი, როგორც პიუპატრი, რომელსაც წინ უდგამენ ინგლისის ორკესტრის დამკვრელებს. ხალხს რომ ითვლის, ზედამხედველი ქედმაღლურად თვალს მოავლებს ხოლმე მთელ ამ ბრბოს, როგორც არამზადათა ხროვას. მაგრამ ამ ერთნაირობაშიც ჩანს განსხვავება გარეგნობისა და მდგომარეობის მიხედვით. აბა შეანჯღრიეთ მოხალული მარცვლების ტომარა — რაც მსხვილი მარცვლია, სულ ზევით მოექცევა. კაცისმკვლელი რომ კაცისმკვლელია, ისიც კი ყოყოჩობს ქურდბაცაცასთან და, ჩხუბისა ან მკვლელობისათვის მისჯილი, ქედ-

1 ბატონი, პატრონი
2 მაგარი სასმელი.
3 ბატონო (მიმართვისას).
4 სპირტიანი სასმელი.
5 ასე მიმართავენ გაჭრებს პატივისცემის ნიშნად.
6 ყამთლის სათამაშო დაფა.
7 მახუას ხის ყვავილისაგან გაკეთებული დვინო.
8 ძმობილო (ასე მიმართავენ თავის სწორს).
9 ჰაშიში.

მაღლურად დაჰყურებს მძარცველს. რაკი წიგნიერი პოლიტიკური პატიმარი მთავრობის მტრად ითვლება, ამით ის თითქოს პირდაპირი მოწინააღმდეგეა ციხის უფროსისა და ზედამხედველისა, ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებისა, და ისინიც მასში პატივისცემის ღირს მტერსა ხედავენ. რაც შეეხება პატიმარს, მისი მოწიწება ციხის ზედამხედველისადმი იძულებითია, მაგრამ პოლიტიკური პატიმარს კი ჭეშმარიტი პატივისცემით ეპყრობა. და მაინც, რაკი პოლიტიკური პატიმარი გარეგნულად არაფრით გამოირჩევა სხვა პატიმრებისაგან, მისთვის არც თუ ისე იოლია ბოლომდე ღირსეულად დაიჭიროს თავი, რადგან მას არსენალში მარტოოდენ სხვა ადამიანებისადმი მოქცევის თავისებური მანერა და სხვაგვარი შეხედულებანი აქვს. ამისთვის საკმაო ნებისყოფა და თავშეკავებაა საჭირო. რა ხშირად უნდა ჩაიხშო ყოველგვარ ბუნებრივი ადამიანური გრძნობები, არ გამოავლინო შენი ინდივიდუალობა!

მულუამ ფანრის შუქზე თვალი მოკრა ჟურნალში მოთავსებულ ილუსტრაციას, ცნობისმოყვარეობამ აიტანა და მომიჩოჩდა.

— ეგ რა არის? ვეფხვია? — დაიწყო მან. — მართლა ვეფხვი ყოფილა, ჰუზურ[1]... ღმერთო მოწყალეო!..

ეს საკმარისი იყო ჩემთვის, რომ მულუას გამოვლაპარაკებოდი. მივუბრუნდი და ვკითხე:

— განა შენ როდისმე გინახავს ვეფხვი?

ჩემს გულში კი გავიფიქრე: რა ვაჟკაცობაა ზოოპარკში ან ცირკში მიხვიდე, რომ გალიაში გამომწყვდეული ვეფხვი ნახო. აბა, თუ ბიჭი ხარ, მაშინ შეხვდი, როცა ლაღად დანავარდობს-მეთქი.

— ეგ რა ჩვენი საქმეა, ჰუზურ... მაგრამ ვთქვათ მინახავს, ახლოს მინახავს... ერთი უყურეთ, მოუკლავთ! ნამდვილად ვინმე სარკარის[2] მოკლული იქნება, არა? — წარმოთქვა მან და ისევ პირი დააღო გაოცებისაგან. მერე მოწიწებით თავი დაუკრა მკვდარ ვეფხვს.

— შენ არ გინდირნია ვეფხვზე?

მულუას სურათზე მიპყრობილი თვალები კიდევ დაჭყეტილი ჰქონდა. დამარცხებული ვეფხვი აღტაცებასა და პატივისცემას ჰგვრიდა.

ჩემი შეკითხვა რომ გაიგონა, თითქოს გამოეხმაურაო:

— ო, სარკარ, ჩვენ ხომ მხოლოდ თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვართ. მარტო რაჯებს და თქვენ — ბატონებს — გაქვთ ნადირობის უფლება. ჩვენ როგორ გავბედავთ ვეფხვის მოკვლას!

მულუამ მოწიწებით უკან დაიხია.

ეს პატიმარი ბუნდელკჰანდის ერთ-ერთი სამთავროს ქვეშევრდომი იყო. თოთხმეტი წელი ჰქონდა მისჯილი, რადგან ინგლისურ კვარტალში ქურდობა ბრალდებოდა. ეს მომაგონდა და ვკითხე:

— ვიითომ რატომაო? თქვენში ხომ ყველასა აქვს თოფი. თუ არ ნადირობთ, მაშ ძარცვას მისდევთ და ეგ არის, არა?

— ო, არა, სარკარ! რამე პატარა ნადირს თუ მოვკლავთ, რომ ხორცი ვიშოვნოთ, თორემ ვეფხვის მოკვლა როგორ იქნება... ეს ბატონების საქმეა.

ნადირობის გახსენებამ მულუას გაბედულება შეჰმატა, ის წელში გაიმართა და ისევ დაჯდა. თვალები უელავდა.

— ნადირობა ბატონების საქმეა, სარკარ. ოფიცრებიც ნადირობენ ხოლმე:

---

1 ასე მიმართავენ ხოლმე მაღალი თანამდებობის პირთ.

2 ბატონი.

როგორც კი ყურს მოჰკრავენ, ტყეში ვეფხვი გაჩენილაო, მაშინვე ასტეხენ დაფდაფების ცემას. ყველა სოფლიდან მოდის ხალხი. ჯუნგლებს ალყას არტყმენ, მთელ ტყეს შეესევიან, რკალში იმწყვდევენ ვეფხვს. იქ კი, ჭალაში, ჩარდახში, ბატონები სხედან...

მოყოლით გატაცებული მულუა ამის თქმაზე შეუხტა კიდეც. წარმოსახვამ მას ხელში თოფი ჩაუდო. ისეთი სახე მიიღო, თითქოს უმიზნებსო, და განაგრძო:

— და აი პირველი გასროლა რაჯასია. ხანდახან მასთან სხედან სამხედროებიც. თუ რაჯა ააცდენს, მაშინ ისინი ესვრიან.

მულუამ ხელებისა და თვალების მოძრაობით ცოცხლად წარმოადგინა ვეფხვზე ნადირობის სურათი:

— აი როგორ ხდება ხოლმე ეს ამბავი, სარკარ...

— შენ რაღაზე ნადირობ? — ისევ შეეკითხე მე.

— ო, სარკარ!.. ხან კურდღელს წავაწყდები, ხან მაჩვზღარბს, ხან მელას და ხანაც ირემს. დანტიც კი მომიკლავს.

— დანტი? ეგ რაღა მხეცია?

— ბატონები გარეულ თხას ეძახიან.

— შენ გარეულ ტახზე გინადირია? თოფით ნადირობდი?

— არა, სარკარ. თოფით ნადირობა ძალზე ძვირი ჯდება. კაჟიანი თოფითაც რომ ინადირო, მარტო საფანტსა და სხვა რაღაცეებში ორი ანა უნდა მისცეარა, აქ შუბი და ნაჯახია საჭირო. ქვას ესვრით დანტის — და პირდაპირ თქვენსკენ გამოჭანდება. აი ამ დროს უნდა იყოო ჩაღით და შუბზე წამოაგოთ! ის ღვთის პირისაგან შეჩვენებული გაქანებული რომ მორბის, მთელი ძალით წამოეგება ზედ. შუბის წვერი კი ან ისე უნდა ჩაურჭოთ, — მულუამ ნეკნებშუა ჩაირტყა ხელი, — მერე შუბის წვერი მიწაში უნდა ჩაარჭოთ, ხოლო მეორე მხრიდან მთელი ტანით უნდა დააწვეთ. ძალიან ბრაზიანი მხეცია, მასთან ხუმრობა არ შეიძლება. ისეთი ღონიერია, ხეს რომ ეშვი მოარტყას, წააქცევს. აი, სარკარ, თუ ვიტყვით ვეფხვი — წვეტიანი ხანჯალიაო, მაშინ დანტი — მძიმე კეტია. ერთი თუ მოგხვდა — გათავდა, ვეღარ აღგები!.. ერთხელ, სარკარ, ისეთი დღე დამადგა, კინაღამ სიცოცხლეს გამოვესალმე! მარტო ღმერთმა გადამარჩინა! — მულუამ ხელები ზეცაში აღაპყრო.

— ისეთი რა დაგემართა? — მივუბრუნდი და თვალებში შევხედე.

— მე რომ ამბავი დამემართა, თქვენს მტერს, ბატონო... ისეთ დღეში ჩავვარდი, რომ... ჩვენს სოფელს ნახევარ მილზე მდინარე ჩამოუდის. იქ ღამღამობით ნადირი დადის ხოლმე წყლის დასალევად. ერთხელ მეუბნება ჩემი ძმა: „წამო ამაღამ სანადიროდ — იქნებ კურდღელი, მელა ან დანტი შემოგვეყაროსო“.

ეს ამბავი, ბატონო, კუპარის[1] თვეში მოხდა. მდინარის პირას ლერწამი ხარობს, ისეთი მაღალია — ერთი მტკაველით დაფარავს ადამიანს. მთვარიანი ღამე იყო. გზაში ძმა ცოტათი ჩამომრჩა. მე კი მივდივარ, გზას განვაგრძობ. შუბი მარცხენა იღლიაში მაქვს ამოჩრილი, მარჯვენაში კი ჯოხი მიპირავს. მივდივარ ჩემთვის არხეინად, სტვენა-სტვენით, და საქმე რომ არაფერი მაქვს, ჯოხს ვურტყამ ლერწამს.

„ამ დროს, ბატონო... ღმერთო დამიფარე და მიხსენე! გავიხედე წინ და რას ვხედავ — ვეფხვია! გზა უნდა გადამიჭრას. მე რომ ლერწამს ჯოხს ვურტყამდი, დამიფრთხია. ყურები აუშვერია და ჯიქურ მიცქერის. კუდი გველი-

[1] ინდური კალენდრის მეშვიდე თვე, ჩვენებური სექტემბერ-ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ეკლაკნება, ნესტოები ბრაზით გაუბერია — კატა რომ მიაჩერდება თაგვს, ბატონო, ისე მომჩერებია, მთვარე ჩემს ზურგს უკან იყო, შუქი შიგ ცხვირპირში სცემდა ვეფხვს. თვალები უკვე სისხლით გაევსო. არ დავიბენი და ხელად შუბსა ვტაცე ხელი. ღმერთმა დაგიფაროთ, სარკარ, რომ ვეფხვს გაექცეთ — სიკვდილი ხელში გეჭიროთ. ვეფხვი აიზნიქა და ზედ მომახტა.

„ეტყობა, ღმერთმა მიხსნა, თორემ ამ ციხის საჭმელსაც ვეღარ შევექცეოდი. ვეფხვი ზედ დამახტა. რაც ძალა და ღონე მქონდა ვაძგერე შუბი, — მულუამ ხელი იკრა ყელში, — ძვლები შევუნგრიე, შუბის ბოლო მეორე მხარეს გავიდა. ნადირმა მარტო დაიბრდღვინა და უკანა ფეხებით გამოიღლიტა კისერი — იმ წუთას სული გასძვრა. შუბის ბოლო მიწაში ჩავარჭვე და ზედ დავაწექი. არც კი განძრეულა. ისეთი ვარ, ბატონო, ისეთი ოფლი მდის, რომ მესმის, როგორ ეცემა მიწაზე წვეთ-წვეთად“.

მულუამ საჩვენებელი თითი გაიშვირა და დაუმატა:

— ბრჭყალები ჰქონდა — ეს თითები იმასთან რა არის! სულ ცოტათი გამკაწრა ზურგზე და კარგა ხანს ისე ვიყავი, მეგონა ცეცხლი მიკიდია-მეთქი.

„ამასობაში ჩემი ძმაც მოვიდა. ხედავს, შუბზე ვაწვები და მეკითხება, რა მოხდაო. მე ხმის ამოღების თავი აღარა მაქვს. მარტო ესღა ვუთხარი: „ვეფხვი... დამესხა თავს...“

„ძმას ფერი ეცვალა და მეუბნება: რა ჩაიდინე, მულუა? ახლა რაღა ვქნათო?

„მე კი ვეუბნები: აბა ენა როგორ გიბრუნდება, მაგას რომ მეუბნები, კინაღამ სული არ გამაფრთხობინა-მეთქი“.

აქ ვეღარ მოვითმინე და მულუას ვკითხე:

— შენი ძმა რატომ გაჯავრდა?

— ე, სარკარ, თქვენა გგონიათ, გლეხს თავზე ხელს გადაუსვამენ ვეფხვის მოკვლისათვის? ამისთვის გლეხს სჯიან, ბატონო!

„ჩემი ძმა მეუბნება: აბა, მულუა, ახლა დროს დაკარგვა არ იქნებაო! მოვჭერით ლერწამი, დავგრიხეთ ორი თოკი, ვეფხვს თათები შევუკარით. მიწაზე იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ შიგ მთვარე ჩანდა. კისრიდან ამოვაძვრეთ შუბი. ორივემ ჩვენი შუბები თათებშუა გავუყარეთ და მხარზე გავიდეთ. ძმა წინ მიდის, მე უკან მივდევ. ოხ, სარკარ, რა მძიმე იყო ის ვერანა! ხელ-ფეხს ძლივსღა ვანძრევდით. რის ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ მდინარეს, ნაპირს ჩავყევით და ქვიშაზე გავედით.

„ვეფხვი მდინარეში შევათრიეთ. წელამდე წყალში შევედით. ზედ ქვები დავაყარეთ. შინ გვიან ღამით დავბრუნდით და სულ: ღმერთო დაგვიფარეო, გავიძახოდით“.

რამდენადაც პირველად აღტაცებული ვიყავ მულუას ვაჟკაცობით, იმდენად უფრო გავბრაზდი ახლა:

— რა ბრიყვები ყოფილხართ! კაცი რომ ვეფხვს მოკლავს, ქება-დიდების ღირსია. ეგეთი რამე ყველას უნდა უამბოთ.

მულუამ ყურის ბიბილოები მოიფხანა და ისევ წამოიწყო:

— ეხ, სარკარ, ეს რომ პატვარს[1] გაეგო, ჩემი ქოხის ნახვას ვეღარ ვეღირსებოდი, ან იქნება უარესიც დამმართოდა — მთელ ჩემს სიცოცხლეს მთავრის დილეგში ჩამალპობდნენ. აბა რა გლეხკაცის საქმეა ვეფხვზე ნადირობა?

1 სოფლის მამასახლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეფეების, სარკარების საქმეა. ისინი არიან ჯუნგლების ბატონები; ისინი არიან ქვეყნის მეუფენი.

მე კიდევ ერთხელ დავხედე ფოტოსურათს, სადაც გამოსახული იყო თავადების ნადირობა: რაჯა-სახიბს[1] თოფი ხელში ეკავა, ფეხი დაედგა მოკლულ ვეფხვზე და ქვეყნიერებას ამცნობდა თავისი გულადობის ამბავს. თავი მოსწონდა იმით, რომ მოჰკლა ვეფხვი... თუმცა მანამდე გლეხები შეუსია ტყეს, მერე ჩარდახში ან სპილოზე წამოსკუპდა და ყოველი შემთხვევისთვის თორმეტი მსროლელი მაინც ეყენა ზურგს უკან. მულუამ კი თითქმის შიშველი ხელებით მოკლა ვეფხვი და კმაყოფილი იყო, რომ დაფარა თავისი „დანაშაულის“ კვალი.

თუ ადამიანი ღმერთს საზიზღარ და ბედასლ მონად გაუჩენია, როგორღა უნდა გაბედოს მან თავისი ვაჟკაცობის გამოჩენა? აბა ერთი სცადოს, ნახავს, რა დღეც დაადგება!

შემთხვევა

საშინლად ციოდა. კოკისპირულად წვიმდა. ბაზარსა, ქუჩასა თუ შესახვევში კაცი არ ჭაჭანებდა. თუ განსაკუთრებული რამ საქმე არ ჰქონდათ, შინიდან არავინ გამოდიოდა.

ის ხალხი, ვისაც არ გააჩნდა თავისი კუთხე, ვისაც დარსა თუ ავდარში სახურავად ზეცა ჰქონდათ, თავშესაფრად კი მუნიციპალიტეტის შენობასთან მდგარი ხეები, იჭყაროდნენ თავი შეეფარებინათ ბედნიერთა სახლის კედლებთან. ბანკირის სახლის დიდ და ცარიელ ვერანდასთან მდგარი ფართოტოტებიანი ხის ქვეშ გაჩნდა ვიღაც უსახლკარო არსება; მას მიჰყვა მეორე, მესამე; მალე ამ ერთ ციცქნა მოედანზე, სადაც წვიმა არ ატანდა, შვიდი კაცი შეგროვდა. ისინი, ვინც პირველნი მოვიდნენ და უკვე მოკალათებულიყვნენ, გულისხეთქით უყურებდნენ თავისებრ უსახლკარო მოძმეთა შემომატებას, რომელთაც არ სწამდათ უფლება პირველობისა. ახალმოსულნი სრულიადაც არ ფიქრობდნენ, უფლება არა გვაქვს აქ დგომისა, რადგან უფრო გვიან მოვედითო. საერთოდ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ თუ არ ეს უფლება პირველობისა, მაშინ არც მემამულეთა და იმპერატორთა ძალაუფლება იქნებოდა ქვეყნად.

ყრუ დრტვინვა მალე ლანძღვა-გინებად იქცა. ხალხი ერთმანეთს თათხავდა. წვიმის ხმაური და ჩხუბი დაჰფარა შიმშილითა და სიცივით აკანკალებული, გულზე მიკრული პაწიების ყურთასმენის წამღებმა ტირილმა.

ბუხართან მჯდომი ბანკირი საქმიან ქაღალდებს ათვალიერებდა. ხმაურით შეწუხებულმა გასძახა მეკარე დხიმარს:

— მანდ რა ამბავია?

მეკარე უსიამოვნოდ გამოძვრა დაბამბული საბნიდან და ვერანდაზე გავიდა. მან ჯოხის ქნევითა და გინებით გარეკა დაუპატიჟებელი სტუმრები.

ისინი გამოცვივდნენ — ზოგი მაღაზიის ვიტრინის ტენტს შეეფარა, ზოგმაც მისასვლელ კარებს მიაშურა. მაგრამ ბინდის ღონე აღარა ჰქონდა. მისი ძალაგამოლეული ხელებისთვის ბავშვი ძალზე მძიმე ტვირთი იყო.

ბინდიმ ძლივძლივობით გადაინაცვლა ბავშვი ზურგზე და ფეხი წინ წადგა, მაგრამ მალე ისევ ხეს მიესვენა.

---

[1] ასე მიმართავენ ფეოდალს ან მემამულეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღამდა. წვიმა გადაღებას არ აპირებდა. პირიქით, უფრო იმატა. ბინდიმ მიიკრა თავისი პაწია, მაგრამ ამან არ უშველა — ბავშვი ტირილით იჭაჭებოდა. გუშინს აქეთ არაფერი ეჭამა პატარას. რაკი წვიმდა, გარეთ არავინ გამოდიოდა; ვიღასთვის ეთხოვა ბინდის მოწყალება? საიდან ჩაუდგებოდა ძუძუში რძე, როცა პირში ხემსიც არ ჩასვლოდა? დამშეული ბავშვი მთელი დღე ძუძუზე კბენდა დედას თავისი სუსტი ღრძილებით. მაგრამ დედის მკერდი გამომშრალი იყო. პაწიას კი ისეთი სუსტი ღრძილები ჰქონდა. ასე საშინლად მაინც არ ციოდეს, — ქვის კედლებშიც კი ატანს, ბამბის სქელ საბნებშიც, და მთელს ტანს უბურძგლავს ადამიანს.

ბინდის ბიჭუნა გამწარებით აღებდა პაწია პირს, როგორც პატარა, ჯერ შეუბუმბლავი ბარტყი. ეს უკვე ტირილი კი არა, სიკვდილის წინა ყვირილი იყო. ბინდის შიშით გული ეკუმშებოდა, ეფერებოდა პატარას, ცდილობდა თავისი სხეულით გაეთბო. ო, მარტო დედის სიყვარული რომ იფარავდეს ბავშვს სიცივისაგან, მარტო დედის სიყვარული რომ კმაროდეს მის გასაძღომად!

ბინდი ექიმი არ იყო და არ იცოდა ავადმყოფობათა ნიშნები, მაგრამ დედაზე უკეთ ვინ გაიგებს შვილის სატკივარს? როცა მუნიციპალიტეტის კედლის საათმა, რომელსაც არად მიაჩნდა ამინდი, ამცნო ბედნიერებს, ათი საათია და ძილის დროაო, ყმაწვილმა ქალმა უცებ მთელი თავისი არსებით იგრძნო საშინელი სიცარიელე: ტვირთი, რომელიც მხრებს უმძიმებდა, უსიცოცხლო იყო. ბინდის გულის გამგმირავი ყვირილი აღმოხდა. ის ქვითინებდა, გონსგადასული გამწარებით იგლეჯდა თმას და გულზე ხელებს იბრაგუნებდა.

ქარი და წვიმა აჩშობდა ამ ტირილს, თითქოს ბედნიერთა სიმყუდროვეს იცავდა.

ბანკირის ცოლის საწოლი ოთახის ფანჯრები პირდაპირ ამ ხეს გადაჰყურებდა. ეს რამდენიმე დღე მისი გოგონა შეუძლოდ იყო. ლოყები შეეფერთხა, თვალები ჩაუცვინდა. ბანკირის ცოლი ძალიან შეწუხებული იყო. და როცა ბინდი მოთქვამდა ფანჯრებს ქვემოთ, მან გაჯავრებით დაიძახა:

— ეი, მსახურო! ნახე ერთი, ვინ ოხერია, ეგრე რომ ყვირის? ჩემმა გოგონამ ეს წუთია თვალი მილულა. აღარ დააცლიან ძილს!?

დედის მელოდიური ხმა რომ გაიგონა, პატარა ნანდინს ძილი გაუკრთა.

— რა მოხდა, დედილო?

— არაფერი, შვილიკო, დაიძინე...

მაგრამ გოგონა არ წყნარდებოდა.

— მგონი ვიღაც ტირის, დედა?

დედამ ხელი გადაუსვა.

— დაიძინე, შვილიკო. ვიღაც უსაქმო დედაკაცი ღრიალებს ფანჯრებთან. დაიძინე, ახლავე გავაგდებინებ.

ქვემოდან კვლავ ისმოდა ქვითინი. ბანკირის მეუღლემ ერთხელ კიდევ შეუთვალა წყევლა-კრულვა იმათ, ვინც მის შვილს მოსვენებას უფრთხობდა, და მეკარე მოიხმო.

მალე ქუჩაში გაისმა გაჯავრებული მეკარის ხმა:

— დაიკარგე აქედან, შე არამზადა! ერთი დახე, რა წარმოდგენა გამართა! წადი, წადი, სანამ არ მომიყოლებია!

ნანდინი დედას მიუბრუნდა:

— ალბათ ძალიან ცოდვილია, დედა, ეგრე რომ ტირის!

— რა თქმა უნდა, ჩემო შვილო! — კვერი დაუკრა დედამ შვილის რელიგიურ გრძნობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოკლული ბინდი წავიდა, თან გულში ჩარავდა თავისი პაწიას გაცივებულ სხეულს.

საკუთარი სახლის მეორე სართულზე კი საბანში ჩათბუნებული ქალი ღმერთს უხმობდა და ევედრებოდა: „უფალო, ააშორე ყოველი განსაცდელი ჩემს გოგონას!.. სასჯელი მოუვლინე, ვინც მას მოსვენება დაუფრთხო“.

სიყვარულის ფასი

იმ ხანად პეშავრიდან ჩამოტანილი ჩარასით[1] ვაჭრობამ ისეთი არგაგონილი ხასიათი მიიღო, რომ მთელი პოლიცია საკეციზო სამმართველოს დაგვახმარეს. არც დღე გვქონდა მოსვენება და არც ღამე. იმაზე ძნელი არაფერია, როგორც ნარკოტიკით მოვაჭრეების დაჭერა. ვერაფრის გულისთვის ვერ გაგვეგო, როგორ ან რითი ჩამოჰქონდათ ჩარასი.

მე ლახორის სადგურის უზარმაზარი შენობის წინ დავსეირნობდი და დაკვირვებით ვათვალიერებდი მგზავრებს, რომლებიც პეშავრის მატარებელს ჩამოყვნენ. თვალში მომხვდა ერთი თავით ფეხამდე გრძელ ჩადრში გამოხვეული დედაბერი. მან მოედანი გადაჯარა და გვერდით გამიარა. მაშინვე ვიგრძენი, აქ რაღაც ამბავია-მეთქი. პოლიციაში დიდი ხნის ნამსახურობამ ერთი რამ მასწავლა: სწორედ იქ უნდა დაეჭვდე, სადაც ერთის შეხედვით არაფერია დასაეჭვებელი. რამდენჯერ ყოფილა, რომ სწორედ ასეთ ღარიბულად ჩაცმულ, თავიდან ბოლომდე ჩადრში გამოხვეულ ქალებს აღმოსჩენიათ ნარკოტიკის დასტები. აბა რა გასაკვირველი იქნებოდა, თუ ვინმე გამოქექილი კაცი გადაწყვეტდა ამ დედაბრის საშუალებით შემოეპარებინა ორიოდ კილოგრამი ჩარასი?

— ეი, დედი! აბა ერთი აქ მოდი! — დავუძახე მე.

ქალი არ შეჩერებულა, ერთი სწრაფად მოიხედა და თითქოს არც არაფერი გაუგონიაო. მიდიოდა, ცალი ხელით ჩადრს იჭერდა, ცალითაც მკერდზე იკრავდა ბოხჩას. ეჭვები მომემატა.

— აქ მოდი! — ახლა კი მუქარით დავუძახე.

მაგრამ დედაბერს ან არ გაუგონია, ანდა ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი დამფრთხალმა მოიხედა და ფეხს აუჩქარა. იქვე ახლოს აღმოჩნდა პოლიციელი, რომელმაც დააყოვნა დედაბერი. მე ბოხჩაზე მივუთითე და ვკითხე:

— ეს რა არის?

დედაბერს ხელები აუკანკალდა და ყრუ, შეშინებული ხმით რაღაც წაიჩიფჩიფა გაუგებრად. ასეთი ონები უცხო არ იყო ჩემთვის და ახლა პუშტუს•ენაზე გავუმეორე კითხვა. შეშფოთებული არატრატდა რომელიღაც უცნობ ენაზე მის ხმაში მუდარა გაისმოდა. საგონებელში ჩავვარდი: დედაბერმა ან მართლაც არ იცოდა არც პუშტუს ენა და არც პენჯაბისა, ან არადა თავს იკატუნებდა.

პოლიციელმა გაჯავრებით გაუმეორა ჩემი კითხვა:

— მაგ ბოღჩაში რა გაქვს?

მაგრამ ვერც ამით გავხდით რასმე.

„ბოლოს და ბოლოს, — ვფიქრობდი მე, — თუ მართლაც ეგეთი რეგვენია, რანაირად გაბედა მარტოკამ ამ ღამით ჩამოსულა ისეთ ქალაქში, როგორიც ლახორია! ან რა საქმე გასჩენია აქ?“ გამიჩნდა თავსატეხი და ეს იყო.

[1] კანაფის ყვავილისაგან დამზადებული ნარკოტიკი.

კასიმი — ასე ერქვა პოლიციელს — მოჰყვა ხელებით რაღაც უცნაური ნიშნების ჩვენებას და ჰკითხა:

— კაშმირელი ხარ?

დედაბერმა შვებით ამოისუნთქა და თავი დაიქნია. ერთი საკითხი გაირკვა კაშმირელი ყოფილა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ მას ბოღჩაში არ ედო ჩარასი, და არც ეჭვს აქარწყლებდა. ვინ იყო თავდები, რომ ეს დედაბერი არ იყო ერთი იმ კაშმირელთაგანი, რომლებიც ცოცხალი საქონლით ვაჭრობენ და დღე და ღამე ლახორისა და პეშავრის გზაზე არიან გაბმულნი? თანაც ისე დაჰკნაკალებდა იმ თავის ბოღჩას, რომ უნებურად დაეეჭვებდა კაცს. კასიმმა ძლივს მოაბა ერთმანეთს ორი სიტყვა კაშმირულად:

— საით გაგიწევია?

მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ.

— ჰეზურ, ამ გაიძვერას ჩვენი გაცუცურაკება უნდა, — მომიბრუნდა პოლიციელი.

მცირე ფიქრის მერე კასიმს ვუბრძანე, პირველსავე ტონგაზე[1] დასვა და საპოლიციო უბანში მიიყვანე-მეთქი.

ჩვენთან ერთი კაშმირელი მსახურობდა, პირ ჰუსეინი. ამ კაცს, შუსლიმანს, დიდ პატივსა სცემდნენ მისებურები. მეც მას ვთხოვე დედაბრის დაკითხვა.

პირ ჰუსეინი დედაბერთან მივიდა, მშვიდად უთხრა რაღაც თავის გაუგებარ ენაზე, და ქალს შიშიც ერთბაშად გაჰქრა. მან თვალებზე მიიფარა თავისი ჩუჩყიანი ჩადრის კალთა და სლუკუნ-სლუკუნით მოჰყვა რაღაცის ბუტბუტს.

--- ეს დედაკაცი თავის ქმარს დაეძებს, — ამიხსნა პირ ჰუსეინმა. — ამ რამდენიმე წლის უკან წამოსულა ლახორს საშოვარზე და ჯერაც არ დაბრუნებულა. ამას უნდა მონახოს და ერთად დაბრუნდნენ სოფელში.

— ქმარს იპოვნის, ჯერ კი უბრძანე ბოღჩა გახსნას! — ვუთხარი მე.

პირ ჰუსეინმა უთარგმნა ჩემი სიტყვები, და დედაბერი რაღაც გაუბედავად შეუდგა ბოღჩის გახსნას. ამოალაგა ქვასავით მაგარი პურის ნატეხები, რომლებიც ჯერ ჩადრის ნაგლეჯში გამოეკრა და მერე ზევიდან რაღაც ჩუჩყიანი ძონძები შემოეხვია. ამას მოჰყვა კაშმირულ ყაიდაზე გამოჭრილი ქილეტი მამაკაცისა, ძაფზე ასხმული პატარ-პატარა, ფერადი მინის ნაჭრებით დამშვენებული; ზედ ამოქარგული ჩუეტელ-ჩუეტელა ყვავილები კაშმირული ხელსაქმის პაროდია იყო. დედაბერმა ძალიან უხალისოდ ამოიღო ეს ქილეტი — ეტყობოდა არ უნდოდა ვინმესთვის ეჩვენებინა. ბოღჩაში ხანჯალიც აღმოჩნდა. ყველაფერი ამოალაგა მხოლოდ მას მერე, რაც პირ ჰუსეინმა დაარწმუნა, არავინ არაფერს წაგართმევსო. ხანჯალი რაღად დასჭირვებია? გამოკითხვა რომ დავუწყეთ, მოხუცი ქალი შეყოვნდა და გვიპასუხა, ისე წამოვიღე, იქნებ დამჭირდესო.

რა გამოდიოდა? კაშმირელი ქალი, რომელიც არასოდეს გასცილებოდა თავის სოფელს, მარტოკა ჩამოვიდა ლახორში. ამბობს, ქმარს ვეძებო, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი არ იცის და არც ნაცნობი მოეპოვება აქ ვინმე. თანა აქვს მამაკაცის ქილეტი, რომლის ჩვენებაც არ უნდოდა, და ხანჯალი! ცხადია, აქ საქმე სხვანაირადაა!

— აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს. დიდი გაქნილი ეიღა ჩანს!.. — ვუთხარი

---

1 ორთვალა ეტლი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პირ ჰუსეინს. — არ გამიკვირდება, რამე დიდ დანაშაულში რომ აღმოჩნდეს გახვეული. ერთი კარგად დაჰკითხე.

მე ჩემს ქაღალდებს მივუჯექი და მათ მხოლოდ ხანდახან თუ გავხედავდი ხოლმე.

ხანგრძლივი შეგონების მერე დედაბერმა ნელ-ნელა ამოიდგა ენა. სულმოუთქმელად ყვებოდა რაღაცას, თან ყოველ წუთს ცრემლებს იწმენდდა, ბოლოს კი ქვითინი აუვარდა. პირ ჰუსეინი აწყნარებდა, როგორც შეეძლო, მე კი მხოლოდ თვალყურს ვადევნებდი, რადგან ჩარევა ზედმეტად მივიჩნიე. ცოტა ხნის მერე პირ ჰუსეინმა მიამბო საქმის ვითარება.

ეს ქალი ცხოვრობს ბარინაგის რაიონში, სრინაგარადან ოცდაათი-ოცდათხუთმეტი მილის მანძილზე. მას ფეხით გამოუვლია ორას ოცდახუთამდე მილი, ვიდრე არ მიუღწევია ჯამას სამთავრომდე, მერე კარგა ხანს უხეტიალია სადგურიდან სადგურამდე. ბოლოს რაღაც სასწაულად ჩამჯდარა პეშავრის მატარებელში და ეს წუთია ლახორში ჩამოსულა. ლახორში ცხოვრობს მისი ქმარი, მაგრამ ქალმა მისი მისამართი არ იცის.

„არ იცის ქმრის მისამართი!.. — გავიფიქრე მე. — იცის, მაგრამ არ ამხელს“. დედაბერი კი ლაპარაკობდა შეუჩერებლად. აი რა შევიტყვე პირ ჰუსეინისაგან, რომელიც კაი საათნახევარი მითარგმნიდა მის ნაამბობს.

„— ამ ოცდაათი წლის უკან ჩემი ქმარი ფაჯი სხვა ჩვენებურ ჯეელებთან ერთად ლახორს წამოვიდა საშოვარზე. მე უარზე ვიყავ: ჩვენი სამყოფი ყველაფერი გვაქვს: რამდენიმე კამეჩი გვყავს, ათი-თორმეტი გხუმი[1] მიწა გვაქვს, რამდენიმე ძირიც ვაშლის, თუთისა და კაკლის ხე. თუ გულხელს არ დავიკრებთ და გავირჯებით, არა გაგვიჭირდება-მეთქი.

„ჩემი დედამთილიც — დედამისი — არ უპირდებოდა ფაჯის. მე ხომ მაშინ სულ ყმაწვილი ვიყავ, ოციც არ შემსრულებოდა. ფაჯიმ დამიყვირა, ენა ჩაიგდეო, და დაგვიბარა, შვიდი თვის მერე ჩამოვალ, როცა ვაშლი ხელახლა აყვავდებაო. ლახორში ფული ძირსა ყრია, ყველანი იქით მიდიან, მე რა სხვაზე ნაკლები ვარო. ტირილით თვალები დავისიე, მაგრამ ფაჯი მაინც წავიდა. შინ რაც რამ საქმე იყო, სულ ჩემსა და ჩემი დედამთილის ზურგზე გადადიოდა. მიწასაც კი ჩვენ თვითონ ვხნავდით. დედამთილი ჯავრობდა: ეგეთი უხეირო შვილის ყოლას არყოლა სჯობიაო.

„გავიდა ერთი წელიწადი, მას მიჰყვა მეორე, მესამე. ჩემს თვალზე ცრემლი არ შემშრალა. რამდენჯერ აყვავდა ვაშლი, დაბრუნდნენ ჩვენი სოფლელები. ჩემი ქმარი კი არა სჩანდა. კიდევ ორმა წელმა განვლო, ლახორიდან დაბრუნდა რახმანი, ჰავლას ქმარი. ფაჯის წერილი ჩამომიტანა. ფაჯი მწერდა: „არაფერი ბრალი არა მაქვს და ციხეში კი ამომაყოფინეს თავი. თუ ფულს გამომიგზავნი, ციხიდან გამოვალ და შინ დავბრუნდებიო“.

„მე და ჩემმა დედამთილმა ბევრი ცრემლი დავღვარეთ. მერე გავყიდეთ ორი კამეჩი და ორმოცი რუპია[2] გავუგზავნეთ ფაჯის. წერილში ვთხოვდი: „მალე ჩამოდი. დედაშენი ძალიან გემდურის. ძლიერ ავადაა. მე სულ ტირილში ვათენ-ვაღამებ. გულს მიკლავს მარტო ცხოვრება. მალე ჩამოდი. დედამთილი მეჩხუბება, შენი ბრალია, ლახორს რომ წავიდა, იჩხუბებდით და იმიტომ წავიდაო. საქმეს ვეღარ ავუდივარ. დედაშენი უკვე მოხუცდა, და უშენოდ ძალიან მიჭირს“.

[1] მიწის ნაკვეთი, რომლის მოხვნაც შეიძლება ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ერთი უღელი ხარით.

[2] ძირითადი ფულადი ერთეული ინდოეთში.

— ხელწერილი თუ მიიღეთ, რომ ფული მიიღო, ან წერილზე თუ გიპასუხათ? — შეეკითხე მე.

დედაბერმა თავი დამიქნია. ეჭვი რომ არ შემსვლოდა, მამაკაცის ჟილეტის ჯიბიდან ამოიღო ქამთა სვლისაგან გაყვითლებული სამი ქაღალდი. პირველ მათგანზე ეწერა თარიღი: 1906 წლის ოქტომბერი, და ლახორის საფოსტო კანტორის ბეჭედიც ესვა. ეს გახლდათ ხელწერილი იმისა, რომ გადაგზავნილი იქნა ფულადი თანხა ორმოცი რუბიის ოდენობით. ხელწერილის მეორე მხარეზე დავინახე ცერის ანაბეჭდი, რომლის ქვეშაც ურღუს ენაზე ეწერა „ფაჯი“, იქვე კი მოწმის ხელმოწერა იყო. დედაბერმა ხელწერილები მე მომცა, თვითონ კი განაგრძო:

„რამდენი წელიწადი გავიდა, და ფაჯის ჩამოსვლას საშველი არ დაადგა. ხანდახან ამბავს ჩამომიტანდნენ ხოლმე ლახორსა და ამრიტსარში საშოვარზე წასული ჩვენი სოფლელები. ზოგი ამბობდა, ციხეში ზისო, ზოგი კიდევ — მსახურობსო; ზოგი იმასაც გაიძახოდა, ფაჯი მდიდარი კაცი შეიქნაო. ჩემი დედამიცი ავად გახდა და სული განუტევა. დავრჩი სულ მარტოკა.

„ფარუ ჩემს მერე გათხოვდა, მაგრამ შინ უკვე გაუჩნდა დამხმარე — შვილები წამოეზარდა. ჰავლას ქალიშვილებს შვილები ეყოლათ. მამჩუს ცოლი მოუკვდა, მაგრამ მოსწრებული ქალ-ვაჟი დარჩა.

„ცხრა წლის მერე ერთმა კაცმა წერილი ჩამომიტანა ლახორიდან. ჩემი ქმარი მწერდა: „ავად ვარ, ძალიან მიჭირს. იქნებ როგორმე ფული გამომიგზავნო, ჩამოვალო“.

„ისევ გავყიდე კამეჩი და თითქმის მუქთად მივეცი პაგსუს ორი კაკლის ხე. გავუგზავნე ორმოცი რუპია და ისევ შევეხვეწე ფოსტის მოხელეს, ჩემ მაგიერ წერილი დაეწერა: „ახლა მარტოკა დავრჩი. დედაშენი მოკვდა. ყველა მე მჩაგრავს. აბა რა ცხოვრებაა უქმროდ ცხოვრება! ხან პურს მომიმეკიან მინდორში და თავისთვის ეზიდებიან, ხან ვაშლს დარეკავენ. ჰავლამ კი რაც აბრეშუმის ჭია მეჯდა ჩვენს თუთებზე, სულ ერთიან მომპარა. აბა დაუკვირდი. ყველას ჰყავს შვილები, ზოგს ორი და ზოგსაც სამი. დარბიან, თამაშობენ და როცა საჭიროა, შრობლებსაც ეხმარებიან. მე კი დუნიაზე არავინ გამაჩნია. ვშიშობ, რომ ვეღარ ავიტან და რამე სნება დამიგდებს. ჯანდაბას ეგ სამოვარი. ორღნდ მალე ჩამოდი, უსათუოდ ჩამოდი“.

„მან კი მიპასუხა: „ნუ ღელავ, უსათუოდ ჩამოვალ. ლახორში დუქანს გავხსნი, მერე ჩამოვალ და შენც წამოგიყვან. აქ ძალიან კარგია. დარდი ნურაფრისა გექნება. სამკაულებსაც გიყიდი“.

„მე ისევ მივწერე: „ჯობია შენ ჩამოხვიდე, აქ ვიცხოვროთ. სადაურია უცხო მხარეს ხეტიალი. ოჯახის საქმე სულ უკან მიდის. მაგრამ შენ რომ ჩამოხვალ, ყველაფერს ეშველება. მე ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ, ჯანი არ მაკლია და ღონე. შვილები გვეყოლება. გელოდები“.

„მაგრამ ფაჯი არ ჩამოსულა და არც არაფერი მოუწერია. რამდენჯერმე ავადაც გავხდი, მაგრამ ჩემი მომხედავი არავინ იყო. მარტო მამჩუ მოვიდოდა ხოლმე, წყალს მომიტანდა და კამეჩებს მომიწველიდა. ექვსი წელიწადი რომ გავიდა, მამჩუმ მითხრა:

„— შენ უკვე დაბერდი. ყმაწვილობაში ღონეც გერჩოდა და გარჯაც შეგეძლო. ერთი ხუთი-ექვსი წელიც და წელს ვეღარ მოხრი — მაშინ რაღა გეშველებაო? გამომყე ცოლად. ვაჟი მყავს, ის გვეპატრონებს ორივეს. თუ შენც გეყოლა შვილები, ხომ კარგი, თუ არა და — არც მაგით დაიქცევა ქვეყანაო“.

„ამის გაგონებაზე ტირილი წამსკდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერს უმძიმდა ამის გახსენება და ახლაც, რომ გვიამბობდა, ცრემლებს ღაპაღუპით სდიოდა.

„— მე ქმარი მყავს. ჩამოვა და მეც მექნება ოჯახი. ახლა დიდი ლოდინი აღარ დამჭირდება-მეთქი, — აი რა ვუპასუხე.

„გავიდა სამი წელიწადი. ფაჯიმ გამომიგზავნა წერილი: „ვალი ვერ გადავუხადე მევახშეს, ციხეში ვზივარ. გამომიგზავნე ოცდაათი რუპია და მაშინ კი ნამდვილად ჩამოვალო“.

„დავგირავე ერთი გხუმი მიწა და ფოსტით გავუგზავნე ფული, თან წერილიც მივწერე. ვწერდი: „სახლი გაქვს და კარი. უშენოდ ინგრევა. მთელი შენი დღე და მოსწრება უცხო მხარეს გაატარე. ახლა მაინც ჩამოდი და ოჯახს მოჰკიდე ხელი! სხვები ხომ მუშაობენ შინ. საცაა სიცვდილი მოგვიკაკუნებს“.

„მაგრამ ფაჯი არ ჩამოვიდა. არც წერილზე უპასუხია. სხვებისაგან შევიტყვე, მეორე ცოლი შეირთოო. მე ისევ მივწერე: „ვერ ჩაიდინე კარგი საქმე, მაგრამ ღმერთმა მოგკითხოს! წამოიყვანე ეგ შენი ცოლი და ჩამოდით, ორივეს გემსახურებით, ოღონდ დილა-საღამოს თითო ლუკმა პური მომეცი ხოლმე“.

„მაგრამ არავინ ჩამოსულა. მე ძალა გამომეცალა, საქონელს ვეღარ ვუვლიდი და ველარც მინდორში ვმუშაობდი. ან რა შავ ქვად მინდოდა რამე? დიდი დღე მაინც აღარ დამრჩენია. ავდექ და აქ ჩამოვედი. მოვნახავ ფაჯის და ვკითხავ: „რატომ აღარ დაბრუნდი შინ? ყველაფერი გაპარტახდა. არც შვილები გვყავს და არც ოჯახი გაგვაჩნია. მაგრამ ცოტა ხანს მაინც ვიცხოვროთ ერთად...“

ამას რომ ყვებოდა, კაშმირელი დედაკაცი მწარედ ტიროდა. მე კი მის ბედზე ვფიქრობდი. დიახ, არ გაუმართლა ცხოვრებამ ამ ქალს.

— ეს მისი ცილტია? — ვკითხე მე.

დედაბერმა თავი დაიქნია. ალბათ ქმარს ჩამოუტანა.

— ხანჯალი ვიღასია?

თვალზე ცრემლი მოიწმინდა და მომიგო:

— ჩემია.

— რათ გინდა?

დედაბერი ხმას არ იღებდა.

ცოტა ხნის მერე პირ ჰუსეინმა გამამხნევებელი კილოთი კვლავ გაუმეორა ჩემი შეკითხვა. მაშინ კაშმირელმა დედაკაცმა მტკიცედ თქვა:

— მან მე ცხოვრება მომიწყალა და გამაუბედურა. მისი გულისთვის დავხოცე შვილები[1]. თუ ახლაც არ წამომყვა შინ, მოვკლავ.

ამის გაგონებაზე შეკრთი, მაგრამ მაშინვე გადავწყვიტე, საშიში არაფერია-მეთქი. აბა რანაირად შეეძლო ამ დედაკაცს ვისიმე მოკვლა, როცა საპოლიციო უბანში იყო!.. პირ ჰუსეინმა გამოართვა ხანჯალი და თავისი მაგიდის უჯრაში შეინახა.

*

შევუდექით ფაჯის ძებნას. გადავათვალიერეთ ათამდე სია მაინც, სადაც შეტანილი იყო, თუ კი ვინმე ბოროტმოქმედი იყო ქალაქში. ამ სიებში ბევრი

---

1 ინდოელების (ისევე როგორც ინდოელებისა და მუსლიმანების) რელიგიური კანონის მიხედვით ქორწინების მიზანია შვილების გაჩენა. ბერწ ქალს საკუთარი შვილების მკლელად თვლიან.

იყო ფაჯი, ფაჯა, ფაიჯუ, ფაჯლუ, ფაჯლე ხანები. მაგრამ რომელი უნდა ყოფილიყო ამ დედაკაცის ქმარი? ამის გასაგებად ვუთხარით, აგვიწერე შენი ქმარიო. მანაც აგვიწერა: „ისეთი ლამაზია და ახალგაზრდა, რომ შეხედავთ, თვალს ვერ მოწყვეტთ. ხშირი წვერი აქვს, ძალზე ლამაზი, ცხვირზე კი პატარა ნაიარევი აჩნია“.

ნაიარევი ცხვირზე... კიდევ ერთხელ გადავხედეთ საქმეებს და აღმოვაჩინეთ, რომ ეს კაცი ალმასებით ვაჭრობდა. გავიკითხ-გამოვიკითხეთ და დავადგინეთ, რომ 109 მუხლი მიეყენებინათ და ახლა ლახორის ცენტრალურ საპატიმროში იჯდა. მაგრამ აბა ამას როგორ ვეტყოდით დედაბერს? მაშინ მე ყველაფერი მოვიმოქმედე კაცის გასათავისუფლებლად. ბოლოს ფაჯიმ შეწყალება მიიღო. გამოვიძახე, ლაზათიანად შევახურე და შევეცადე შემეგონებინა, რომ უსათუოდ წასულიყო შინ, სადაც მშვიდობით დალევდა თავის წუთისოფელს. როდესაც ოთახში შემოიყვანეს მისი ცოლი, მათ ერთმანეთი ვერ იცნეს. ვინ იცის, იქნებ კაშმირელი დედაბერი ფიქრობდა, რომ ეს კაცი ისეთივე ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე იქნებოდა, როგორიც იყო ოცდასამი-ოცდაოთხი წლისა. ის დიდ ხანს გაოცებით მისჩერებოდა ქმარს და სიტყვა ვერ დაეძრა, ისეთი შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ შეხვედრამ.

დედაბერი შეჰყურებდა ფაჯის ჭაღარა თმას, მის დაპრანჭულ სახეს, ამღვრეულ თვალებს და უკბილო პირს, და ვერ დაეჯერებინა, რომ მის წინ იდგა მისი ქმარი, კაცი, რომლის გულისთვისაც ამდენი ტანჯვა ნახა. დედაბერმა მძიმედ ამოიოხრა, ისევ ხმა არ ამოუღია, ოღონდ თავი დახარა, განზე მიდგა, სახე ჩადრში ჩამალა და დიდხანს ტიროდა.

ვერავინ გაბედა მასთან მიახლოება. კარგა დაბინდდა, როცა პირ ჰუსეინმა უთხრა, შეგიძლია შინ წაიყვანო ფაჯიო. ამ სახელის გაგონებაზე დედაბერი შეკრთა. თვალებში რისხვის ნაპერწკლები აუკიაფდა. გველის სისინის მაგვარი ხმით წარმოთქვა:

— ამ თვალთმაქცმა, ამ გარეწარმა დამღუპა და გამაუბედურა. არ დაინახოს ეგ ჩემმა თვალებმა!

კაშმირელმა დედაკაცმა ძირს დაადგა ქმრის ჟილეტი, ჩადრი გადაიძრო სახიდან და გავიდა. სადგურისკენ გაემართა. რა უნდა გვეთქვა მისთვის? ან რა საჭირო იყო?

მე გავიფიქრე: „დიახ, ასეთი ფასი აქვს ოცდაათი წლის სიყვარულს...“

თარგმნა **ციალა ჩხეიძემ**

„მეხრე და ფოლადის ძროხი“

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჰაბანი ბჰატაჩარია

ინდოეთი

მეხრე და ფოლადის ქორი

ეს ამბავი მზის ამოსვლისას მოხდა. მიდამოს დოლის ბრახუნის მსგავსი ხმები მოედო. კაცები გამორბოდნენ მინდვრებიდან და გზადაგზა დხოტიზე[1] იხოცავდნენ მიწიან ხელებს. ქალები გამყივანი ხმით უხმობდნენ ბავშვებს, ბავშვები კი სიხარულისაგან ცეკვავდნენ, წიოდნენ და ზურგზე ხელს უტყაპუნებდნენ ერთმანეთს.

— გაიგეთ? — გაჰკიოდნენ ისინი. — მფრინავი სასწაული მოსულა! დავუჯდებით და ცაში ავფრინდებით! ღრუბლებში ავალთ, დავეჭიდებით, ხელს მოვუჭერთ და წვიმას გამოვადენთ!

მთელი ეს ალიაქოთი იმან გამოიწვია, რომ დიდ მინდორზე, რომელიც დასავლეთიდან ეკვროდა პატარა სოფელს — სონამიტის, იდგა მფრინავი სასწაული. მზე ბრწყინავდა მის ფრთებზე. გარშემო თავმოყრილი ხალხი მატულობდა და მატულობდა.

მეხრე ბიშანმა თავისი უღელი ხარი შეუბა ურემს და დაიძრა იქით, საითკენაც მიიჩქაროდა ყველა. ბიშანი აჩქარებდა საქონელს, უტლაშუნებდა მოკლე სქელ შოლტს, ერთი-ორჯერ კუდზეც კი მოქაჩა.

— ჩაკ! ჩაკ! — გაიძახოდა მეხრე. — მოუჩქარეთ! გზაში არ დაგეძინოთ, ძამიებო!

ერთი წამის დაკარგვაც არ შეიძლებოდა. მფრინავ სასწაულს ყოველ წუთს შეეძლო გაფრენილიყო. ვინ იცის, იქნებ, ასეთი შემთხვევა ერთხელ ხდება ადამიანის ცხოვრებაში! რა თქმა უნდა, აქაურებსაც დაუნახავთ ცაში ეს სასწაული — იგი დიდ უცხო ფრინველს ჰგავდა, რომლის ფრთები თითქოს ელავდნენ ცისფერ შორეთში; ხანდახან ღამითაც გამოჩნდებოდა მოარული ვარსკვლავივით, მაგრამ სოფელში ჯერ არავის მოსწრებია საკუთარ მინდორში, ჩვეულებრივი ურემივით მდგარი, ენახოს ეს მფრინავი სასწაული. ჯერ ხელით არავინ შეხებია ამ ფრთოსან საოცრებას.

— კი, მაგრამ რისთვის მოფრენილა? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ცოტა შეისვენოს მყარ მიწაზე? იქნებ, აქ სხვა რაიმე მიზეზიც არის დამალული, ხალხი რომ ლაპარაკობს გადაკრულად?

---

1 მამაკაცის ტანსაცმელი.

ხის თვლები ღრმა კვალს ტოვებდნენ გზის მტვერში. ხარები ჩაჩაქანებდნენ, ბორბლები ვიწრო სისწრაფისაგან ფერდები აუდ-ჩაუდიოდათ.

— ჩაქ! ჩაქ! — ამხნევებდა მათ ბიშანი. — არ მოიწყინოთ, ლამაზებო! მოუჩქარეთ, ჯანიც გაგვარდნიან!

როდესაც ურემი გაუსწორდა მეცნიერების ტაძარს — ასე ეძახდნენ სკოლას, სადაც სოფლის მასწავლებელი ცხოვრობდა — გაისმა მასწავლებლის ახალგაზრდა ცოლის კამინის ხმა:

— ჰეი, მეზრევ! ხომ არ მიგვიყვან იმ მინდვრამდე, მფრინავი სასწაული რომ დაფრენილა?

კამინს წითელი მტვერი აჰკროდა ტერფებზე. ცალი ხელით თავზე წამოფარებული სარის[1] ბოლო ეჭირა, მეორე ხელს კი ექვსი წლის გოგონა ბაბლუ ჩასჭიდებოდა.

— რას გამომართმევ? — ჰკითხა კამინიმ, როდესაც ურემი სკოლასთან შედგა.

— რას ამბობ, დაო, მეც ხომ იქით მივდივარ! აბა, ქირა უნდა გამოგართვა?

მეზრემ თვალი შეავლო სამზარეულოს ჩალით გადახურულ სახურავს და სახე გაებადრა:

— და-და-და, რა გოგრა მოგიყვანიათ, დახე, რა მოქნილი და მაგარი პწკალები აქვს! ყვავილებს შეხედე ერთი, რა ყვავილებია!

— შემოვა თუ არა, პირველი გოგრა შენია.

ასე მორიგდნენ. კამინი და მისი გოგონა ურემს დაუსხდნენ.

აჟღერდნენ ეჟვნები და ურემი არახრახდა. გზა ჯერ მანგოს ჩრდილიან ჭალის პირს მიჰყვებოდა, მერე კი წითელ ზოლად მიიკლაკნებოდა ბრინჯის გაყვითლებულ ყანებში.

ქარი არხევდა მარცლით დამძიმებულ ბრინჯის თავთავებს.

— ვერასოდეს ვეღარ ნახავს ამ სასწაულს... — ჩუმად, თითქოს თავისთვის, ჩაილაპარაკა მეზრემ და ნაღვლიანად გაიქნია მოკლედ შეკრეჭილი თავი. რა უკუღმართია ბედი! ასეთ დღესაც არ ასვენებენ ის ოხერი ნიკრისის ქარები, ადგილიდან ვერ იძვრის. მთელმა სოფელმა უნდა უცქიროს, ბებია კი ვერაფერს ნახავს...

— ვისზე ამბობ?

— ჩემს ბებერ ბებიაზე. საბრალო ნამდვილად გიჟდება ყოველგვარი მანქანებისთვის, ჭკუას კარგავს. ახლაც ისევეა, როგორც დიდი ხნის წინათ, როდესაც ახალგაზრდა იყო და აქ რკინიგზა პირველად გაიყვანეს.

— რკინიგზა? — გაუკვირდა კამინის. — რკინიგზა ხომ თითქმის ასი წელია, რაც გაიყვანეს.

მეზრეს გაეღიმა:

— როგორ გგონია, ბებიაჩემი ნაკლებისაა? ეს მაშინ მოხდა, როდესაც ბებია თოთხმეტ-თხუთმეტი წლის იყო.

— რა მოხდა? — წამოიძახა კამინიმ. — მიამბე, გეთაყვა, — შეეხვეწა დვრ მეზრეს.

— რკინიგზის სადგური ააშენეს ჩურნიში, ჩვენი სონამიტიდან ერთი საათის სავალია იქამდე.

— ჰო, ვიცი. მერე რა მოხდა?

---

[1] ჭალის ტანსაცმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბებიას მაშინ თოთხმეტი-თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ახალი გათხოვილი იყო.

— კარგი, ერთი! მიამბე! — მოუთმენლად დააჩქარა კამინიმ, რადგან მეხრე ისევ დადუმდა.

— რკინიგზა რომ ააშენეს, ბებია ხშირად ხედავდა ხოლმე ორთქლმავლებს, რომლებიც სოფელს გვერდით ჩაუგრუხუნებდნენ და ბოლს აფრქვევდნენ თავისი სქელი ნესტოებიდან, მაგრამ ხელით კი არასოდეს შეხებია ამ ურჩხულს.

პაპა კარგა ხანია მიმხვდარიყო თუ რა გულის წადილი ჰქონდა ბებიას, დასვა ურემზე და ჩურნიში ჩაიყვანა. როგორც იქნა ბებიას ეღირსა ორთქლმავალთან ახლო მისვლა. ორთქლმავალი სპილოსავით მშვიდად იდგა. ბებიას შეეძლო ხელი გაეწოდა და შეხებოდა მის რკინის გვერდებს...

ახლა ბიშანი ისე გაერთო ამბის მოყოლით, თითქოს თვით იყო ამ სცენის მოწმე. ხარებიც დაავიწყდა, მიუბრუნდა მსმენელებს და უფრო ცოცხლად ყვებოდა:

— ჰოდა, ერთხელ პაპამ ჩაიყვანა ბებია ჩურნიში. დიდხანს უცადეს. მერე შორეული გუგუნი გაიგონეს. გაქანებული ორთქლმავალი უახლოვდებოდათ, სწორედ ურჩხულს გავდა. შუშისა და ფოლადის დიდი, ახალშეღებილი ჩარდახიანი ურმები ჰქონდა გამობმული. ბებია განაბული იდგა და განძრევაც ვერ მოეხერხებინა. პაპამ შეახსენა, რომ მატარებელი დიდხანს არ დაყოვნდებოდა. ბებია მხოლოდ ახლა გამოერკვა. დაიხარა, დაათვალიერა უამრავი ბორბლები, რომლებზედაც ვაგონები იყო შემდგარი; შემდეგ გასწია ორთქლმავლისაკენ, რომლის კასრისებური სხეული მთლად გაზეთილი იყო, თითქოს მძიმე შრომისაგან გაოფლიანებულაო. ბებიამ დაკვირვებით დაათვალიერა ორთქლმავალი და შავშარვლიანი კაცი, რომელიც მართავდა ამ გაწრთვნილ ურჩხულს, მერე გაბრუნდა და მატარებელს ჩაუარა. ხან აქ, ხან იქ იცქირებოდა; ბებიამ ნახა ნათურები, უხეთოდ რომ ანათებდნენ; ვენტილატორები, ხელის მიშველება რომ არ სჭირდებოდათ და ისე ბრუნავდნენ... ყველაფერი მოსინჯეს მისმა თვალებმა, ყოველი საგანი და ყველა მგზავრი, ქალი, ბავშვი, კაცი. ბოლოს ორთქლმავალმა გამყივანი ხმით გაბმით დაიგუგუნა და ხვნეშით დაიძრა ადგილიდან, მას ტაატით მიჰყვნენ ვაგონები. ბებია ისევ გაინაბა, სული შეეხუთა. საკმაო ხანმა განვლო, სანამ გონს მოვიდა და ხმის ამოღება შესძლო. მოუბრუნდა პაპას და უთხრა: „აი, ნამდვილი ძალა ამასა ჰქვია! ალბათ, წარსულ ცხოვრებაში მრავალი კარგი საქმე მიმიძღვის, რომ ამის ნახვას ვეღირსე". დახუჭა თვალები, მიადო ერთმანეთს ხელისგულები და თავი დაუკრა „ძალღონის განსახიერებას". ამის დანახვაზე პაპას სიცილი აუტყდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცრემლი მაინც მოერია. ორი დღის შემდეგ ისინი ისევ ჩავიდნენ ჩურნიში. ამჯერად პაპამ ორი ბილეთი იყიდა და მატარებლით გაემგზავრნენ. შემდეგ სადგურამდე ჩავიდნენ, შინ კი ფეხით დაბრუნდნენ.

ბიშანი გაყუჩდა, თითქოს წარსულის სურათების თვალის მოშორება და სინამდვილესთან დაბრუნება უძნელდებოდა.

— ახლა ძალიან დაგვიბერდა, — ხრინწი გაერია ხმაში მეხრეს, — მაგრამ მაინც ამ ეშმაკურ მანქანებზე ისეა გაგიჟებული, როგორც დიდი ხნის წინათ, როდესაც ახალგაზრდა იყო.

— რა საცოდაობაა, რომ ვერ ნახავს ამ მფრინავ სასწაულს. — კამინიმ სინანულით გაიქნია თავი. — ისევე ააღელვებდა, როგორც მაშინ.

— ბებიამ მიბრძანა წამოვსულიყავი და მენახა სასწაული, მერე ჩემი ..ვა-

ლით დაინახავს ყველაფერს. მას უნდა ყველაფერი იცოდეს: როგორ გამოიყურება, რა სუნი აქვს...

დადუმდნენ. მეხრემ შეუტია ხარებს:

— ჰეი, ვირისთავებო! გასწიეთ, ჯანიც გაგვარდნიათ! აბა, მალე!

პატარა ბაბლუ, რომელსაც მობეზრდა ეს უინტერესო ამბავი, ახლა გახალისდა და ისიც აყვირდა:

— აბა, მალე, გასწიეთ! — უტევდა იგი ცხოველებსაც და ადამიანსაც. — თორემ დაგვიგვიანდება და ფრთოსანი სასწაული გაფრინდება!

ბოლოს გამოჩნდა მინდორზე მშიდროდ შეჯგუფული ხალხი. ურემი შედგა. ბიშანმა გამოუშვა ხარები.

— გზა მიეცით მეცნიერების ტაძრის დედას! — ყვიროდა მეზრე და ფრთხილად უკვლევდა გზას უკან მომავალ კამინისა და მის ქალიშვილს.

რა პატარა ყოფილა! ბიშანს გული დასწყდა...

ეს რაღა სასწაულია! კალიასავით ყოფილა!.. განა შეედრება იმ ბუმბერაზ ორთქლმავალს! რა სასაცილო ბორბლები ჰქონია, თითქოს ცაშიაც მოკირწყლული გზები იყოს! აბა, წარმოიდგინეთ ქორი, რომელიც ფეხების ნაცვლად ბორბლებზე შემდგარა.

ფრთებიც მეტად ხისტი ჩანს, ან როგორ უნდა გაშალოს, ან როგორ უნდა დაიქნიოს! კუდი თევზის ფარფლს მიუგავს! დინგიდან ფართო, ულალუის დაშნები გამოუშვერია. კარგი იარაღია! ალბათ, როდესაც მფრინავს ცაში ბრძოლა მოუხდება, მტერს ამ სატევრებით განგმირავს ხოლმე.

ასეა. ბებიას თითქმის არაფერი დაუკარგავს... ბიშანს გული მოეშვა და კიდევაც გაუხარდა. „ბებია, — ეტყვის ბიშანი, — ეს მფრინავი ურემი ორთქლმავალზე ორჯერ უფრო დიდია. ზარაბაზნები მაჩვენებლობის ნემსებივით აქვს გამოშვერილი. ამ ურჩხულს ვერავითარი მტერი წინ ვერ დაუდგება... შეხედვაც კი ზარავს ადამიანს... მოლაშქრე ჯარისკაცის სუნი უდის“.

ბებია ყურადღებით მოუსმენს და კმაყოფილი თავს დაუქნევს: „მეც ასეთი მეგონა, — ატყვის ბებია. — ჩვენს ძველ თქმულებაში „რამაიანაში“ აღწერილია ასეთივე მფრინავი ეტლი, ამბობენ, ჩვენს დროსაც იყოო... ბიშან, ჩემო ბიჭიკო! ცხოვრება დიდი ბორბალია. იგი ნელა ბრუნავს დროის ნაკადში. ას წელიწადში ერთი თითის სისქეც შემობრუნდება და ის, რაც ზევით იყო, თანდათან გაჰქრება, მაგრამ დრო მოვა და კვლავ გამოჩნდება“.

„არა! — გადაწყვეტით ჩაილაპარაკა თავისთვის ბიშანმა. — დაე, ბებიას წარმოდგენაში მფრინავი სასწაული ისეთივე დარჩეს, როგორადაც მას წარმოუდგენია“.

მფრინავის გვერდზე სოფლის ლოხი პოლიციელი ატუზულიყო და ისე ეჭირა თავი, თითქოს, სულ ცოტა, ბენგალიის მმართველი ყოფილიყო.

— აბა, ხალხო, დაიხიეთ! — გაიძახოდა იგი. — მოშორდით, თორემ ჰაერის ნაკადი შეგითრევთ, ადიყვანთ და მიწაზე დაგანარცხებთ!

თვითმფრინავი ის-ის იყო უნდა აფრენილიყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერავის შეეტყო, რატომ დაეშვა იგი აქ. პოლიციელი ისე ამპარტავნად დააბოტებდა, თითქოს ეს მუცელი მისთვის განდობილ საიდუმლოს გაებერა, თუმცა სახეზე ცხადად ეტყობოდა, რომ ისიც შეცბუნებული იყო და სრულიად არაფერი იცოდა.

როდესაც გრძელი ნიჩბები ამოძრავდნენ, ყველანი: კაცებიც, ქალებიც და ბავშვებიც გაინაბნენ, ხოლო როდესაც მანქანა მინდორზე გაჭანდა, შემდეგ

მოსწყდა დედამიწას და ცაში აიჭრა, ადამიანებმა ჯერ გაკვირვებისაგან პირი დააღეს, მერე კი ერთბაშად აყვირდნენ.

მოწონების შეძახილებმა გააცილეს მანქანა, რომელიც სულ ზევით და ზევით იწევდა და მზეზე აელვებდა ფრთებს.

— დედი! დედი! — ყვიროდა ბაბლუ და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ეწეოდა სარის კალთას. — რა მოხდება, ამ ფრთოსან სასწაულს მაღლა, ცაში, ფრინველები რომ დაესხნენ, ორმოცდაათი ან თუნდაც ოცი ფრინველი?

— ფრინველებს ბოროტება არა აქვთ, საყვარელო, მათ მხოლოდ კეთილი ზრახვები აქვთ — ყველას, გარდა ყვავებისა, ყვავებს კი მაღლა აფრენა არ შეუძლიათ.

— იმ საზიზღარი ყვავების ხროვა რომ მაინც აფრინდეს ასე მაღლა?

— მაშინ მფრინავი სასწაული ამოაფრქვევს კვამლსა და ცეცხლს, ყვავები დაბლა დაენარცხებიან და მარტო ძვლები და ფრთებიღა დარჩება.

გაოგნებულმა მეხრემ გამოაღწია თავი ხალხიდან. მერე შედგა და დედამიწას დაამტერდა.

— რა ყოფილა ეს ფოლადის ჭორი! ბებია არ მოტყუებულა! ის, რაც დედამიწაზე უსუსურ კალიას გავდა, იქ, ცაში, უცებ აელვარდა დიდებამოსილი. აბა, როგორ შეედრება მას ორთქლმავალი? ასეთი სასწაულის ნახვას რომ მოესწრო, მართლა ბევრი კეთილი საქმე უნდა მიგიძღოდეს... მაგრამ, მაინც... — ბუტბუტებდა თავისთვის ბიშანი. მეხრე კვლავ საგონებელში იყო. ხარები მშვიდად ცოხნიდნენ. ბიშანმა ისევ შეაბა ისინი უღელში და ფიქრმოცემული მიეყრდნო ხარის ფერდს.

„ფოლადის ჭორი — ფიქრობდა ბიშანი — საშინლად სწრაფია. იგი ყველა ფრთოსან არსებაზე უფრო სწრაფად ფრინავს. და მაინც, ნეტავი რათ უნდა, რომ ასე ხარბად მიჰქრის? ნეტა რა საჭიროა ორ-სამ საათში მოგზაურობის დასრულება?“ ბიშანმა ვერ იქნა და ვერ გაართვა თავი ფიქრებს. „განა უბრალო ურმით სიარული არა სჯობია? შეგიძლია გზაში ხალხს გამოელაპარაკო (ცუდ გზებზე ხომ ვერავის გაესაუბრები?), შეგიძლია მოსწყვიტო ყვავილი ან ბალახის მწვანე მსუქანი ღერო, კიდევ ბევრი რამ შეგიძლია მოიმოქმედო... მაშ რა საჭიროა გზის ასე ხარბად დალევა?“

ბებიას ეცოდინებოდა ამის პასუხი. ის ხომ გაგიჟებულია ამ ეშმაკურ მანქანებზე. ბებია შეხედავდა ამ მფრინავ სასწაულს და მაშინვე წარმოიდგენდა, რომ მიფრინავს; აიჭრებოდა ცაში და იქროლებდა მოარული ვარსკვლავივით. ბებიას ჯადო ასე აქვს მომართული. ასეთივე ჰქონდა, როდესაც ახალგაზრდა იყო, ასეთივე დარჩა, როდესაც თმა გაუთეთრდა, კბილები დასცვივდა, ხოლო ცხოვრების ავბედობამ ღრმა ნაოჭებით დაუღარა სახე.

ბიშანმა ხელები აიფარა სახეზე, სინაზის მხურვალე ნაკადმა თბილად დაუარა გულში. მაგრამ ამავე დროს იგრძნო თავისი უპირატესობა: მან ხომ ახლა ბებიაზე მეტი იცოდა. ბიშანი დაიხარა ხარისკენ და ყურში ჩასჩურჩულა:

— არხეინად იყავ, ძამიავ, არც ჩვენა ვართ ხალხში გამორჩეულები. შვიდი დღე-ღამე რომ იარო, ასეთ უღელ ხარს ვერსად ნახავ, ჩვენზე სწრაფად არავინ დადის.

მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ დაამშვიდეს მეხრე, კვლავინდებურად არ შემატეს საკუთარი თავის რწმენა. თითქოს ბებიას მშფოთვარე სული სდევდა ბიშანს. ბებია, გუშინდელი დღის ადამიანი, სავსებით დღევანდელი დღით სულდგმულობდა. მაშ, როგორ იქნება, რომ ბიშანი, დღევანდელი დღის ადამიანი, სხვაგვარი იყოს?

ბიშანმა ახედა ცას. იქ, სულ მაღლა, მსუბუქ, გამჭვირვალე ღრუბლად ჩანდა ფოლადის ქორის მიერ დატოვებული კვალი. რაღაც გამოწვევის მსგავსი აკიაფდა ბიშანის თვალებში.

ოჰ, ნეტავ აქ ყოფილიყო მისი მოხუცი ბებია და ნეტავ ბიშანს შესძლებოდა ფოლადის ქორით გაფრენა!

ბიშანმა იგრძნო, როგორ აუტოკლა გული, როდესაც ეს სანახაობა წარმოიდგინა. განა უფრო არ აღელდებოდა ბებია, ვიდრე მაშინ, როდესაც პირველად ნახა ორთქლმავალი, ანდა მაშინ, როდესაც მოქანავე და ლიანდაგის პირაპირებზე მოკაკუნე ვაგონით მიდიოდა?

მართლა რა კარგი იქნებოდა! მაგრამ, ყოველივე ეს რომ ენახა, ალბათ, წარსულ ცხოვრებაში მრავალი კეთილი საქმე უნდა მოემოქმედნა ბიშანს...

ოცნების ფრთებმა გაიტაცეს ბიშანი. ერთიმეორეს მოჰყვებოდნენ საოცარი სურათები...

აი, მისი მოხუცი ბებია, მუდამ რომ შესანიშნავ მანქანებზე ოცნებობს, სადღაც მაღლა, ცაში აჭრილა ფოლადის ქორით!

ჰეი, ძმაო-მფრინავო, ფრთხილად, თორემ გამოესალმები სიცოცხლეს! ფრთხილად! არ დაეტაკო მოწყვეტილ ვარსკვლავს! ახლოს ნუ გაუვლი მზეს, თორემ მაგ შენი ფოლადის ქორის ფრთები ისე გალღვებიან, როგორც ყინული ცხელ ამინდში. ფრთხილად, რომ ღვარძლიანმა სატურნმა არ ჩაგითრიოს თავის ბნელ უფსკრულში! ფრთხილად, თორემ სამუდამოდ გაიწირები, ეულად უნდა ეხეტო ცისიერ გზებზე და არასოდეს არ დაუბრუნდები დედამიწას! მაშ, ფრთხილად იყავ, ჰეი, ძმაო-მფრინავო!

ხარების კისერზე შებმული ეკვნების მოუთმენელი ჟღარუნი შეიჭრა ბიშანის ოცნებაში. ბიშანს კისრის ძარღვები დასძაბოდა, თითქოს რაღაცის გაგონებას ცდილობდა; უძრავად მიყრდნობოდა ხარის მსუქან ზურგს.

მისი გონება სადღაც შორს ჰქროდა, რადგან სონამიტელი მეხრე ბიშანი გულით მიენდო საუკუნის მოძრაობას და ახლა მას ბებიასთან ერთად მიაქროლებდა ფოლადის ქორი, სულ ზევით და ზევით იჭრებოდა ზეცის ლურჯ შორეთში.

თარგმნა **კოტე ჯავრიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბურაჰმან აღ-ხამისი

ეგვიპტე

ჯვრული ჯვარედინი

ო ბასიუნი! ფირდაუსი... ფირდაუსი ალექსანდრიაში ცხოვრობს, მამასთან, შენ კი აქ, ქაიროში, განდევნილივით მარტოდ დაეხეტები და პატარა ოთახში ხარ სხვენზე შეყუჟული.

ო ბასიუნი! შენ მამამისს ურვათი გადაუხადე, მაგრამ აგერ სამმა თვემ განვლო, ქორწილი კი მაინც არ გადირსა და ამან სიცოცხლე მოგიწამლა.

ო ბასიუნი, ფირდაუსი აქ იყო, ქაიროში. ნეტავ მამამისი არ გადაეყვანათ აქედან! იმ დღიდან, რაც მან ოჯახი წაიყვანა, ჯოჯოხეთური ცეცხლი გიკიდია.

ო ბასიუნი, შენ ხშირად ნახულობდი სატრფოს და ხშირად ებაასებოდი. შენი ხავერდოვანი ვაქკაცური ხმა ატყვევებდა ფირდაუსს. როცა გისმენდა, სახეზე სიმორცხვის ალშური ედებოდა და დახრილი წამწამებიდან თვალები აღტაცებით შემოგციცინებდნენ.

ნეტამც ახლა შენთან იყოს, თვალებში შემოგყურებდეს და ერთად ყოფნით ნეტარებდეს! ო ნეტამც... ნეტამც!.. განა ასე არ იყო, როცა ფირდაუსის ოჯახი ქაიროში ცხოვრობდა და ნიშნობის შემდეგ ტკბილად ჰკოცნიდი მას! მაგრამ ახლა ისინი ალექსანდრიაში გადავიდნენ და ბედის ანაბარა მიგატოვეს ამ უბადრუკ ოთახში, რომელიც, კაცმა არ იცის, როდის წამოგვმხობა თავზე.

ო ბასიუნი, დახედე ერთი შენს ბარგ-ბარხანას... რა ღარიბულია და გულისმომკლელი. შენი საწოლი კაცს კუბოს მოაგონებს, ხოლო ძირს გაფენილი დალაქავებული, კიდეშემოგლეჯილი ჭილოფი კი თიხისაგან მოქსოვილ ხალიჩას ჰგავს.

ო ბასიუნი! ის მაინც გაცოდინა, რას აკეთებს ახლა ფირდაუსი! იჭნებ საქორწილო კაბით ერთობა, სარკის წინ იზომება, უხდება თუ არა და ქორწინების ღამეს შენს ხვევნა-ალერსზე ოცნებობს, როცა შენც აბრეშუმებში შეიმოსები და ნელსაცხებლის სუნით დაათრობ.

ო ბასიუნი, ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, გული გადაგრეია ამდენმა ტანჯვა-ვაებამ. ადე, ვაქკაცო, მოეწყვე და ალექსანდრიაში გაემგზავრე. იქ მონახე მუჰამედი, შენი მომავალი სიმამრი, პატარძლის მამა, და უთხარი:

— ძია მუჰამედ, რამ შეუშალა ხელი ჩვენს ქორწილს, აკი დავინიშნეთ, ურვათიც გადავიხადე, რათა ჩემი ცოლი, ჩემი გულის მომტაცებელი და ცხოვრების მგზავრი გვერდით მყოლოდა!..

ოჰ! არა, არა, ბასიუნი, შენ ვერ ეტყვი: „ჩემი სიყვარული, ჩემი გულის

მომტაცებელიო“. ეს სიტყვები მხოლოდ მას უნდა უთხრა, გამოკეტილ ოთახში. მაშ ასე, ბასიუნი, რაც არ უნდა დაგიჯდეს, დილით ადრე ალექსანდრიაში უნდა გაემგზავრო.

რამდენიმე საათიღა დაგრჩა. გათენების უმალ ქარხანაში წახვალ და სთხოვ სამი დღით გაგიშვან. ამ სამ დღეს კი სატრფოს შესწირავ.

ეს შესანიშნავი მოფიქრებაა. გზაში გაგინელდება ცეცხლი, გაგიქარვდება დარდი და შენს ტანჯვასაც ბოლო მოეღება.

ო ბასიუნი!.. ფირდაუსის სურათი ხომ თანა გაქვს. მიდი და დახედე; დააკვირდი, რა ნაზია და კეკლუცი! აბა, ფირდაუს, თქვი:

„ჰო, ჩემო ბატონო-თქო“.

გაუარ-გამოუარე წინ, ფირდაუს, აჩვენე შენი ნარნარი სიარული, ჯეირანო!..

ნეტამც მართლა მასთან იყო, მის ფრთებქვეშ შეყუჟული და არა მხოლოდ სურათზე და ოცნებაში...

*

ირიჟრაჟა. აბა, იჩქარე, ბასიუნი, იჩქარე... გადააგდე საბანი და ქვევით ჩაირბინე. ჩაიცვი შენი საგარეო ტანსაცმელი. დათვალე ფული. სამი გინეა და ოთხმოცდაექვს ნახევარი ყურუში გქონია... ეს სიმდიდრე სამი თვე აგროვე, დღეს კი მთლიანად დახარჯავ. სურათიც თან წაიღე ჯიბით, გზაში ეგეც გაგართობს. ეს ხომ შენი სატრფოს სურათია, შენთვის მეტად ძვირფასი!

აბა, ქუჩისკენ გასწი, კიბე მაღალია. გადაახტი საფეხურებს, ყმაწვილო! აგერ ტრამვაიც. ჩაჯექ და ქარხანაში გასწი. ნეტა ტრამვაის ფრთები ჰქონდეს, რომ ჩიტივით გაგაფრინოს.

რვა საათი დარეკეს. შენი ამხანაგი მუშები თითო-თითოდ თუ ჯგუფ-ჯგუფად, როგორც ადამიანთა ცოცხალი ნაკადი, ქარხნის ალაყაფის კარში შემოდიან.

ყველას სამუშაო ტანსაცმელი აცვია, მხოლოდ შენა ხარ საზეიმოდ გამოწყობილი. ეს ტანსაცმელი კი შენი სიყვარულის და ქორწილის სამოსელია.

სამმართველოში ადმინისტრატორთან გაეშურე, ბასიუნი. აგერ ისიც.

— გთხოვთ, სამი დღით გამიშვათ...

— სამი დღით?

— დიახ, ძალიან მჭირდება.

— უჯამაგირო იქნება, ბასიუნი.

— ჩემთვის სულ ერთია...

— კეთილი... სამუშაოზე სამი დღის შემდეგ გამოხვალ.

— გმადლობთ...

მაშ ასე, ბასიუნი, ახლა სადგურზე წახვალ. შენ სიყვარულის ფრთები გაგაქროლებს და ტანჯვის მთებს უკან მოგატოვებინებს.

არა, არა... ცოტა ხილი და საჩუქრები მაინც უნდა იყიდო...

მაგრამ ეს ხომ ალექსანდრიაშიც შეგიძლია გააკეთო. ფასი აქაც და იქაც თითქმის ერთნაირია.

ჰო, ასე აჯობებს. მაშასადამე, სადგურისაკენ... ჯერ საბილეთო სალაროში. აი, ამ ქუჩაზე. რა რიგია!

— გეთაყვა, რიგი დაიცავით, რიგი...

— ალექსანდრიის ბილეთი მომეცით...

— ინებეთ... აი, ხურდაც...

ო ბასიუნი! რა მოულოდნელი, რა სასიხარულო იქნება ფირდაუსის ნახვა. აგერ, შენი ადგილიც ფანჯარასთან... დაჯექი აქ და ტკბილ ოცნებებს მიეცი თავი.

მატარებელი დაიძრა, და შენც თითქო მძიმე ლოდი მოგწყდა გულიდან.

ჩქ-ჩქ-ჩქ!

ჩქ-ჩქ-ჩქ!

ამოიღე ჯიბიდან ფირდაუსის სურათი და დახედე...

ხალხს არ გრცხვენია? რას იტყვის შენს გვერდით მჯდომი კაცი, როცა ხელში სურათს დაგინახავს და შეგამჩნევს, თვალებით როგორ სჭამ მას?

ვინც რა უნდა ისა თქვას. ეს შენი პირადი საქმეა. სურათი შენი ჯადოა და თილისმა. ფირდაუსის თვალები შიგ გულში გწვდება, მისი ღიმილი გინათებს ცხოვრების ბნელ გზას იმედის ვარსკვლავივით. მისი ფაფუკი მკერდი ლამაზი ბაღნარია, სადაც მოისვენებ ამდენ ტანჯვა-ვაების შემდეგ, ხოლო ბაზილიკისა და ნარგიზების სურნელი ამ ქვეყნის ამაოებას დაგავიწყებს.

როდესაც ერთ ჭერქვეშ აღმოჩნდებით, ფირდაუსი ღღენიადაგ გვერდით გეყოლება, ერთად სვამთ და ჭამთ, ერთად დაიძინებთ.

ის ცხოვრებას გაგიღიმაზებს, სიყვარულით და სინაზით აგავსებს და ასე კნტად აღარ იგრძნობ თავს ამ ქვეყნად.

დაგიმზადებს საუმელს, მოუვლის შენს ტანსაცმელს, გაგირეცხავს და დაგიკერებს, სახლს დაგილაგებს. გიმღერებს ტკბილად, გულზე მიიკრავს შენს თავს და თითებით გადაგივარცხნის თმას.

ის შენი შვილების დედა გახდება. გაიცლის წლები... შენ ზოოპარკში წახვალ ცოლით და შვილებით, რომლებიც იმ დროს უკვე მოზრდებიან და ლაპარაკი თუ სიარული შეეძლებათ.

შენ გეყოლება ვაჟები და ქალები, — მზეთუნახავზე მზეთუნახავნი, ჯამალიათივით დახატულები!

ამ სახელმა შენ განვლილი წლები მოგაგონა და წარსულს ფარდა ახადა.

ჯამალიათ! ო, რა შორეული მოგონებაა.

ჩქ-ჩქ-ჩქ!

ჩქ-ჩქ-ჩქ!

ტრიალებენ მატარებლის ბორბლები, როგორც წუთისოფლის წისქვილის ქვები.

1940 წელი... შენ, ბასიუნი, ალექსანდრიაში ცხოვრობ, აბუ რაბიას ბინაში, პირველ სართულზე, ბაბ სიდრას მოედანზე.

ეს ადგილობრივ მოსახლეთა უბანია, რომელიც პატარა გორაკზეა შეფენილი და ამფითეატრივით ადის ბაბ სიდრას მოედნიდან ნაისის მთისკენ.

რამდენჯერ გაჩერებულხარ დილაობით მოედანზე და პატარა ლავაში და ყველის ნაჭერი გიყიდია, საღამოობით კი ცოტაოდენი ჯიგარი გაგიყოლებია შინ. რამდენჯერ მჯდარხარ, ბასიუნი, ბაბ სიდრას მოედანზე ყავახანებში და ჩაის ნელა შეექცეოდი. მაშინ არა ერთხელ შეგიმჩნევია ნარკოტიკის გამყიდველები, რომლებიც საიდანღაც გამოძვრებოდნენ, რაღაცას უჩურჩულებდნენ ყურში ყავახანის სტუმრებს, ოპიუმის ან ჰაშიშის პატარა ნაჭრებს უჩუმრად ხელში შეაჩეჩებდნენ, ფულს დაითვრებდნენ და უმალ გაუჩინარდებოდნენ.

ალექსანდრიაში 1940 წლამდე ჩახვედი, რომ უფრო იოლი სამუშაო მოგეძებნა, ვიდრე ქაიროში გქონდა.

ჩქ-ჩქ-ჩქ!

ჩქ-ჩქ-ჩქ!

ო, ტანჯვით აღსავსე წარსულო! დაუბრუნდი, ბასიუნი, იმ დროს და მოიგონე, მწუხარების ეკლები როგორ გიშამებდნენ ცხოვრების სიტკბოებას.

შენ ალექსანდრიაში იმიტომ ჩახველ, რომ გაქცოდი იმ გაჭირვებას, რაც ქაიროში დაგატყდა. ქაიროში კი იმიტომ ჩახველი, რომ ის უბედურება აგეცდინა, რაც ალ-მახალა ალ-კუბრაში [1] გსდევდა კვალდაკვალ.

ალ-მახალა ალ-კუბრაში მუშაობის დაწყება შენი ძმისა და მისი ცოლის ულმობელმა მოპყრობამ გაიძულა.

ცხოვრება თავიდანვე მწარე და ბედკრული გქონდა.

მამის სიკვდილის შემდეგ ძმა გახდა შენი პატრონი. მისი ცოლი კი მეტად გულქვად გექცეოდა.

რა დაგავიწყებს იმ დღეს, როცა რძალმა ძმა გადაგიყიდა. ძმამ ისე გცემა, რომ პირიდან სისხლი შადრევანივით წაგსკდა და ქვითინით დაეშხე. მაშინ ისევ გცემეს, ბალიში სისხლით და ცრემლებით დაგვისვარეო.

1937 წელს ტექნიკოსის დიპლომი მიიღე და მაშინვე გაეშურე ალ-მახალა ალ-კუბრაში. იქ სართავ საამქროში დაიწყე მუშაობა და დღეში 9 ყურუშს იღებდი.

დილის შვიდ საათზე აღრიალდებოდა ფაბრიკის სამი საყვირი და ისეთი გრძნობა გიტანდა, თითქო ვიღაცამ სამჯერ გადაგიშხეულა მათრახი. როგორც პატარა წვეთი ადამიანთა ზღვაში, რაღაც საერთო ძალას დამონებული, ამხანაგებთან ერთად მისწრაფოდი მანქანებისკენ, რომლებიც გულგრილნი რჩებოდნენ ქანცგამოლეულ ადამიანთა ტანჯვისადმი.

დღეში თორმეტ საათს მუშაობდი — დილის შვიდი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე. როცა შიმშილით კუჭი აგეწვებოდა, სხვა ამხანაგებივით წყლის ბაკს ეცემოდი და ერთი ყლუპით ცლიდი ტოლრა წყალს.

მუშაობის შემდეგ ტაამია [2], მჟავე კიტრი და ხმელი პურის ნაჭერი იყო შენი საჭმელი.

ბოლოს და ბოლოს ასეთ ცხოვრებას ვეღარ გაუძელ და ალ-მახალა ალ-კუბრადან ქაიროში გამოიქეცი.

ერთ-ერთმა შენმა მეგობარმა გიწაბარა [3] შეგთავაზა სამუშაო, მაგრამ შენ შუბრაში [4] ცხოვრობდი, და მთელი შენი ჯამაგირი — ათი ყურუში — გზას მოუნდებოდა, ამიტომ სამსახურს აზრი არ ჰქონდა.

მიდიოდა დღეები, ცხოვრება უფრო ძნელდებოდა. გრძნობდი, რომ წლები უშედეგოდ მიჰქროდა, ჯანიც გაკლდებოდა, ჯამაგირი კი მეტისმეტად ცოტა იყო.

ერთხელ სკოლის ძველ მეგობარს შეხვდი. მან გაიმბო, რომ ალექსანდრიაში მუშაობდა, დღეში მხოლოდ რვა საათს შრომობდა და თხუთმეტ ყურუშსაც იღებდა. შეგპირდა, სამუშაოს შენც გიშოვიო. ამხანაგმა არ მოგატყუა. ერთი კვირის შემდეგ გულთბილი წერილი მოგწერა და სანავსადგურო ქალაქში მიგიწვია.

შენც გაემგზავრე ალექსანდრიაში, სამუშაოზე მოეწყე და ბაბ სიდრას მოედანზე, აბუ რაბიას უბანში პატარა ოთახი იქირავე.

პირველად იქ ნახე ჯამალიათი, როცა ბინას ეძებდი... ის ფეხშიშველა იდგა კართან.

შემოგხედა და ბალღური მიამიტობით გკითხა:

---

1 მსხვილი საფეიქრო ცენტრი ნილოსის დელტაზე.

2 არაბული ნაციონალური საჭმელი.

3 ქალაქი ნილოსის მარცხენა ნაპირზე, ფაქტიურად ქაიროს გარეუბანი.

4 გარეუბანი ქაიროს აღმოსავლეთ ნაწილში.

— რა გნებავთ, ძიავ?

შენ დაიხარე, ჯამალიათს ლოყაზე მოუთათუნე ხელი და უთხარი:

— მე მინდა, გოგონი, ოთახი დავიქირავო.

კარებში ჩასუქებული დედაკაცი გამოჩნდა და ასე მოგმართა:

— ოთახი გინდათ? ჩვენთან მობრძანდით, დაათვალიერეთ.

შენ დაათვალიერე ოთახი, მოელაპარაკე და ფული გადაიხადე. მეორე დღეს გადაატანინე შენი საწოლი და ხის კარადა.

შენთან პატარა ჯამალიათი შემოვიდა და გითხრა:

— მომილოცავს, ძიავ.

მოგხიბლა მისმა ამ სიტყვებმა: „მომილოცავს, ძიავ“.

მთელი ცხოვრების მანძილზე უფროსებიდანაც კი არ გიგრძვნია ასეთი გულთბილობა.

და აი, პატარა, უმანკო გოგონამ, რომელიც ჯერ ხუთი წლისა არც იყო, დაგამა ნიადაგ ტანჯული გული. ის ახალი ძვირფასი მეგობარი გახდა და ვარსკვლავივით აკიაფდა შენს უღიმღამო ცხოვრებაში. „მომილოცავს, ძიავ“.

ეს სიყვარული კი შენ ბედმა მოგტაცა გულიდან.

მაშინ იგრძენი, ბასიუნი, რომ გოგონა ჯამალიათი შენთვის ყველაფერი — დედაც და მამაც, დაც და სატრფოც, საყვარელი ასულიც გახდა. შენ მოუთათუნე ლოყებზე ხელი, ნაზად ჩაიკარ გულში და ყურეში აჩუქე.

მისთვის მუდამ მოგქონდა ტკბილეული. ის ყოველ დღე შემოდიოდა შენთან. გოგონა სახლის პატრონის ქალის, ჩასუქებული ქალბატონის შვილი გამოდგა. დედა მას ჯამილია ჯამალიათს ეძახდა. პატარა ჯამილია ჯამალიათს ხანდახან იმ უბნის ბავშვებიც მოჰყავდა შენთან. მათ გულღიად, მთელი სულით და გულით ხვდებოდი.

შენ მიხედი, ბასიუნი, რომ გოგონა მოსიყვარულე და გულმოწყალე მეგობარია, რომ მისთვის სულ ერთია მდიდარი და ღარიბი, ბედნიერი თუ უბედური, ძლიერი თუ უძლური.

შენ და ჯამილია ჯამალიათი დიდი მეგობრები გახდით. როცა დედა ქვევით, შენთან არ გამოუშვებდა, ტირილით აქცევდა ხოლმე იქაურობას.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ეს 1940 წელს მოხდა... ინგლისელებსა და გერმანელებს შორის ომი მიმდინარეობდა. ეგვიპტე დათანხმდა, თავისი მიწა ინგლისელების სამხედრო ბაზებისა და აეროდრომებისათვის დაეთმო და ამით სბაბები მისცა გერმანელებს, ეგვიპტის ქალაქები ღამით დაებომბათ და ადამიანებისათვის შიშის ზარი დაეცათ.

გაზეთებში კითხულობდი ცნობებს იმ ბრძოლებზე, რომლებიც მსოფლიოში ორ ბანაკს შორის წარმოებდა. მაშინ შეიტყევ, რომ ჰიტლერმა ათასობით ადამიანები ელექტროღუმელში დასწვა და თვალის დახამხამებაში მოსპო.

იმ დღეებში, ბასიუნი, ხალხი ერთმანეთს ეკითხებოდა:

— რატომ ესხმიან თავს გერმანელები ეგვიპტელებს?

ერთმა კაცმა ასე აგიხსნა:

— იმიტომ, რომ ჩვენ ინგლისელების მხარეზე ვართ, ისინი კი გერმანელების მტრები არიან.

მაშინ ახალი საკითხი წამოიჭრა:

— რა გვინდა ჩვენ ინგლისელების მხარეზე?

ეს ხომ საფრთხეში აგდებდა შენს ქვეყანას და მის მოქალაქეებს, მაგრამ ვიდრე კოლონიზატორების ხელში ხარ, რა გზა გაქვს, თუ არ დაემორჩილე.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ალექსანდრიის თავზე საავდრო ღრუბლები შეყრილიყო და ადამიანთა სახეები მწუხარებას დაეჩრდილა, შეშფოთებას და შიშს გამოხატავდა.

ერთ საღამოს, როცა საათის ისარი ათს მიუახლოვდა, აღმუვლდა სპაერო განგაშის სირენები. მისი ღმუილი კაცს ტანში ზარავდა, სუნთქვას უკრავდა.

შენს ოთახში ისმოდა კიბეზე ჩამავალ ადამიანთა ფეხის ხმა, ქალების კივილი, მამაკაცების ლაპარაკი, ბავშვების გნიასი. ოთახიდან გამოიჭერ და ჯამილია ჯამალიათს დაუძახე.

შავგვრემანმა, გამხდარმა გოგონამ ხმამაღლა გიპასუხა:

— მოვდივარ.

შენი ოთახი მთელ მობინადრეთა თავშესაფარი იყო, ხოლო ჯამილია ჯამალიათს ამ ვიწრო თავშესაფარში საუკეთესო ადგილი ეთმობოდა.

სხვებთან ერთად გესმოდა, როგორ აცვიოდა ყუმბარები ალექსანდრიას და ჯული ლამის ბუდიდან გადმოგვარდნოდა. შენს ოთახში შეფარებულები იმეორებდნენ:

— ალაჰ, ჩვენო მფარველო... არ არის ღმერთი ალაჰის მეტი... გვიხსენ, ზეციერო მამავ.

ბასიონი, შენ არად ჩააგდე სიკვდილი და ვერ დაგიმორჩილა იმ შიშის ზარმა, რომელსაც შენთან შეკრებილი ხალხის ნებისყოფა დაეთრგუნა.

ჯამილია ჯამალიათიც შიშის ზარმა აიტანა. მაშინ გაარღვიე ოთახში შექუჩული ხალხი, სიბნელეში მოსძებნე მაღვიძარა საათი, გოგონას მიუტანე, გასაღები დაატრიალე, ზარი დაარეკინე და უთხარი:

— აბა, ყური უგდე, რა შესანიშნავი ზარია.

შენ დაავიწყებინე გოგონას შიში, თუმცა ირგვლივ გრიალი გაჰქონდა ყუმბარებს.

ერთი საათის შემდეგ სირენებმა განგაშის დამთავრება აუწყეს ქალაქს.

ჯამილია ჯამალიათმაც შენიშნა, შეკრებილ ხალხს რომ შვების ოხვრა აღმოხდა, პატარა ხელებით ტაში შემოჰკრა და შესძახა:

— დამთავრდა. სულ ყველაფერი დამთავრდა...

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

მეორე დღეს შინიდან გამოხვედი იმის სანახავად, რა ზარალი მიაყენა ქალაქს ღამის თავდასხმამ. ამბობდნენ, ბევრმა მუშამ მიატოვა თავიანთი სახლები ალექსანდრიის შემოსასვლელთან, რადგან ეს რაიონი ყველაზე მეტად დაიბომბაო. იმ საღამოს, როცა სირენები აღრიალდნენ, ეს მუშები ტრამვაით მიდიოდნენ ალ-კაბარის გუჩაზე. ტრამვაი გაჩერდა, ყველანი ჩამოვიდნენ და საჩიხეს შეაფარეს თავი, სადაც საქონელი იყიდებოდა და ამიტომ სასაკლაოს ეძახდნენ.

თურმე ყუმბარები იმ სასაკლაოს დაეცა და შიგ შეფარებული ხალხი ამოსრისა.

შენ წახვედი იმ საცოდავების სანახავად და შემაძრწუნებელი სურათი ნახე:

ყველგან გვამები ეყარა; მოწყვეტილი ფეხები, ხელები, თითები მოჩანდა ჩამონგრეული საჩიხიდან. მარცხნივ კი ვიღაცის გასისხლიანებული თავი ეგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანთა დასახიჩრებული გვამები — საშინელი სიკვდილი და ბედის ცა-ზარელი განგება.

იმ დღესვე გაიგე, ბასიუნი, რომ ოცდათხუთმეტი ქალი და კაცი დაღუპულიყო.

შემდეგ ჩამონგრეული სახიხის აწევას შეუდგნენ და იქიდან გვამები გამოიტანეს. დამქანცავი და მტანჯველი სამუშაო იყო. ამ ამბის შემდეგ გულში ომის შიში ჩაგესახა.

ო ბასიუნი, წინათ არ გეშინოდა ომის, რადგან არ იცოდი, რა მოსდევდა მას. მაგრამ როცა სახიხის ქვეშ დასახიჩრებული გვამები იხილე, მიხვდი, რა საშინელია ომი. შინისკენ წამოხვედი, მწარე ფიქრები ტვინს გიბურღავდა, გული გიკვნესოდა. არა ერთხელ განახავს ფაბრიკაში, როგორ უსახიჩრებდა მანქანები ადამიანებს ხელებს, ერთხელ იმის მომსწრეც გახდი, რომ ერთი მუშა ადუღებული წყლის აუზში ჩავარდა. მაგრამ სახიხესთან ნახულმა სურათმა ის ამბები დაგავიწყა და გაგრძნობინა, რომ ომი ხალხის დამღუპველი და გამანადგურებელია.

ამიტომაც, როცა სირენები აკივლდებოდა, შენ ჯამილია ჯამალიათს ეძახდი, აცახცახებული გულში იკრავდი და სხვებთან ერთად იმეორებდი:

— ალაჰ, ჩვენო მხსნელო და მფარველო... ოღონდ ყველაფერი მშვიდობით დაასრულე, ყოველდ მოწყალე მეუფეო.

ხმები დადიოდა, გერმანელები მტრებზე იმარჯვებენ და საცაა ალექსანდრიაშიც შემოიჭრებიან, ისინი თავზე ხელაღებულნი იბრძვიან და შებრალებისა არა იციან რაო.

ერთ საღამოს კვლავ აღრიალდა წყეული სირენა და ყველა ისევ შენს ოთახში შექუჩდა. საზარელმა შიშმა ხალხს იმედი და ძალა გადაუწყვიტა. დედებს შვილები მოჰყავდათ, ქმრები ცოლებს შველოდნენ თავშესაფარში ჩამოსვლას.

ამჯერად ყუმბარები აბუ სიდრას მოედნის ახლოს ეცემოდა. ისმოდა მხურვალე ვედრება:

— ღმერთო, შენ გვიშველე და გვიხსენი!

ბასიუნი, შენ ჯამილია ჯამალიათს დაუძახე, მაგრამ მისი პასუხი ვერ მოისმინე. დედამისი აქვითინდა:

— ჩემი გოგონა... ჩემი ჯამილია... ჯამალიათი.

ის გულში მჯიღებს იცემდა, მერე ხალხიდან გამოიჭრა და კივილით მიაწყდა კარს:

— ჯამალიათ... ჯამალიათ...

იმავ წუთს, ბასიუნი, თითქო ხანჯალი ჩაგასვეს გულში. შენც უკან მიჰყევი ღრიალით:

— ჯამალიათ... ჯამალიათ...

საზარელი სისინით ეცემოდა ყუმბარები. ღამის სიბნელეში ცა პროექტორის სხივებით დაწნულ ბადეს ჰგავდა, ხოლო თვითმფრინავთა გუგუნი — სიკვდილის ძახილივით ისმოდა. სახლებსა თუ თავშესაფრებში შემწყვდეულ ადამიანთა კივილი და ღრიალი ცასა სწვდებოდა.

ჯამალიათის დედა ქუჩაში მირბოდა და შეუჩერებლივ კიოდა:

— ჯამალიათ... ჯამალიათ...

პატარა ჯამალიათს შენც ეძახდი არა მარტო გულით და გონებით, არამედ მთელი არსებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს დაძრწოდით იმ ღამეს, ბასიუნი. უცბათ სულ ახლოს დაეცა ყუმ-ბარა და რომელიღაც სახლი თქვენს თვალწინ წამოიქცა. მიასკდით დანგრეულ კედელს და შიშით აცახცახებულნი ყვიროდით:

— ჯამალიათ... ჯამალიათ...

ქალის კივილი იმ ადამიანის ქვითინს ჰგავდა, რომელსაც გული ამოგლიჯეს მკერდიდან...

გავიდა რამდენიმე წუთი და სირენებმა საჰაერო განგაშის დამთავრება გამცნეს.

ფანჯრებში აენთო სინათლე და თქვენ სახლისკენ გამობრუნდით... სახლის-კენ?... სადღაა სახლი?.. ჰოი, საშინელებავ! სახლი ქვების გროვად ქცეულიყო!

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

გახსოვს, ბასიუნი? ორთავემ, შენც და დედამაც, მხოლოდ მეორე დღეს ნახეთ ნანგრევების ქვეშ ჯამალიათი, მაგრამ ცოცხალი და სათნო გოგონა კი არა, მისი დამახინჯებული გვამი.

აქეთ ჯამილია ჯამალიათის ხელი ეგდო, იქით ჯამილია ჯამალიათის ფეხი. ნუთუ ეს ის ხელია, რომელიც გუშინ გეთამაშებოდა? ნუთუ ეს ჩაფერფლილი თვალები გაბრწყინვებულნი გიცქეროდნენ, ბასიუნი?

რატომ არ ჩამოემხეთ, მთებო? რატომ არ შედრკით, სერებო? მიწავ, შენ რად არ გასკდი? ცაო, რად არ შეძრწუნდი და წვიმა არ გადმოუშვი ამ ჯოჯოხე-თურ გენიაზე?

ეს მან ჩააქრო ჯამილია ჯამალიათის სიცოცხლის ლამპარი.

ახლა ის აღარ დაგიძახებს, ბასიუნი, აღარ გამოიქცევა შენსკენ და აღარ გეტყვის: „როგორ ბრძანდებით, ძიავ!" არ შემოჰკრავს ტაშს, არ იკისკისებს და იტიტინებს. გათავდა ყველაფერი.

დაე, დაწყევლოს ალაჰმა ომი და ის, რაც ამ ომს მოაქვს ადამიანებისათვის, ბასიუნი! შენს უღიმღამო ცხოვრებაში ჯამილია ჯამალიათი სინაზის, სიბრალუ-ლის და სიყვარულის ნაკადად შემოიჭრა და უკვალოდ გაქრა... როგორც ისინი, ვინც ომმა შთანთქა.

დაიღუპა საყვარელი ბალღი, ვინც შენი დედაც იყო და მამაც, დაც, ცოლიც და სატრფოც. საყვარელი, საკუთარი შვილიც... შენი შვილი?

ჩქ-ჩქ-ჩქ.

ჩქ-ჩქ-ჩქ.

შენი შვილი... ოჰ! შენ გეყოლება არა მარტო ქალ-ვაჟი, არამედ ქალი და ორი ვაჟი. განა შენ არ ითხოვ ფირდაუსს?

ო, ნეტამც ფირდაუსი შენი ცოლი გახდეს და ჯამილია ჯამალიათისთანა, დიახ, ჯამილია ჯამალიათისთანა შვილი გაჩუქოს!

არა... არა... განა შვილები იმიტომ უნდა გაგიჩნდეს, რომ სიკვდილმა პატა-რა ასაკშივე მოგტაცოს, ბასიუნი?

არა... არა... განა შეიძლება, რომ ეგვიპტეს ისევ დაესხნენ გერმანელები ან სხვა ვინმე?

*

ამ ფიქრით შეპყრობილი ბასიუნი ვაგონში მეზობლად მჯდარი მამაკაცის-კენ დაიხარა და ჰკითხა:

— ნუთუ ეგვიპტე ისევ გახდება საჰაერო თავდასხმის ობიექტი, როგორც გერმანელებთან ომის დროს?

მამაკაცმა ასე მიუგო ბასიუნის:

— ეს შეიძლება მოხდეს და შეიძლება არა, თუკი ეგვიპტე უარს იტყვის დასავლეთის ქვეყნებთან ყოველგვარ სამხედრო კავშირზე.

ბასიუნიმ გადაჭრით განაცხადა:

— ჯანდაბის გზა ჰქონიათ დასავლეთის ქვეყნებს!

მატარებელი ალექსანდრიას მიუახლოვდა.

ყმაწვილი კაცი სიყვარულით დაჰყურებდა ფირდაუსის სურათს და მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა. აგერ სადგურიც. ბასიუნი პლატფორმაზე ჩამოვიდა და ქალაქში გავიდა, რათა საჩუქრები ეყიდა და თავისი გულის მურაზისთვის მიეტანა.

თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ**

თურქული დირიკა

ნეფზათ უსთიუნი

მშვენიერი რამ არის სიცოცხლე

პირველმა მსოფლიო ომმა —
ხელები წამართვა მე...
მეორე მსოფლიო ომში —
ფეხები დავკარგე მე...

კვლავ ომის ცეცხლი
თუ ავარდა გიზგიზით ცაში, —
ვახ, ჩემო თავო უბედურო! —
რაღა ვქნათ მაშინ!

ორჰან ველი

ეპიტაფია

შაშხანა მისი — საწყობში გდია.
ჩექმები მისი—ჩაიცვა სხვამ.
მის ზურგჩანთაში აღარ დევს პური...
მას აღარც შია,
აღარც წყურია...

უცებ ძლიერი მოვარდა ქარი
და ფოთოლივით წაიღო იგი...

მას ამა ქვეყნად არ დარჩენია
არცა სახელი,
არცა დიდება.
დარჩა მარტოდენ —
ყავახანაში დაწერილი სტრიქონი ორი:
„სიკვდილი რაა! — თავის დროზე მოკვდება ყველა!
ვინც გიყვარს — მისგან გაშორება ძნელია უფრო!“

ოქთაი რიფათი

პური და ვარსკვლავები

პურის ნატეხი მუხლებზე მიდევს...
ცაში ვარსკვლავთა კრებული ბრწყინავს.
მივჩერებივარ ვარსკვლავებს და...
გამხმარ პურს ვლოღნი...
ნუ გაიკვირვებ და ნურცა მკითხავ, —
რატომ მაქვს ზოგჯერ სხვაგვარი სახე:
პურის მაგივრად
ვარსკვლავებს ვჭამ — ფიქრში წასული.

თარგმნა **გივი ძნელაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რატომ?“

ნახატი ექვემალ ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკო ოჯა

იაპონია

ჯოჯეჯრა?

1

უჩვეულო იყო ის დრო. დაძაბულად, გულისშემაწუხებლად გრძელდებოდნენ დღეები. გახურებული ომი იყო, მაგრამ ამ მძიმე შფოთიან დროსაც იყო წუთები, როცა ოჯახში სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა.

ადამიანს არ ძალუძს წინასწარ იცოდეს, რა შეემთხვევა ერთი საათის შემდეგ და ამ დილითაც მაცუტა ოგავას სახლში არავინ ფიქრობდა უბედურებაზე.

ექვსი წლის იუკიკომ — ოგავას გოგონამ — აივნის კუთხეში მდგარ ტუალეტის პატარა მაგიდასთან მიირბინა, გადასწია სარკეზე ჩამოფარებული აბრეშუმის ნაჭარგი და ტუალეტს მიუჯდა. იუკიკო ყურადღებით აკვირდებოდა სარკეში თავისი სახის გამოსახულებას და ისე ახლოს მიწეულიყო, რომ შუბლზე ჩამოშლილი თმით თითქმის ეხებოდა მინას. როგორ ჩამოზრდია შუბლზე თმა! გოგონამ სწრაფად გამოსწია უჯრა და ხელი დასტაცა დიდ ბრჭყვიალა მაკრატელს.

ახლომახლო არავინაა. სამზარეულოდან წყლის შხაპუნი ისმის: ეს დედაა, საუზმის შემდეგ ჭურჭელს რეცხავს. მამა კი არ ჩანს, ის მეორე სართულზეა. იუკიკოს ესმის უფროსი ძმის — იტას ხმა, რომელიც მათი ბაღის გაბაღმა თამაშობს მეზობლის ბიჭებთან.

იუკიკო საქმეს შეუდგა — შუბლზე თმას იკრეჭს. სარკეს თვალს არ აშორებს. მაკრატელი თმასთან მიაქვს, მაგრამ სარკეში ყველაფერი შებრუნებით ჩანს და ვერ ახერხებს შუბლზე მოსრიალე თმას მაკრატელი მოსდოს. მაგრამ იუკიკოს თავისი გააქვს და შეკრეჭილი თმა ბღუჯა-ბღუჯა ცვივა მის შიშველ, ფუნჩულა მუხლებზე. ახლა მას შუბლზე კოხტა, ლამაზი ქოჩრის მაგივრად ოკრობოკროდ შეკრეჭილი თმა ჩამოშლია.

უცებ ისეთი ხმაური გაისმა, თითქოს ღობეს ვიღაც გაქანებული დაეტაკა. გაისმა ჭიშკრის ჯახუნი და აივანზე ამოვიდა იტა. ცხრა წლის ბიჭმა დას შეხედა და თვალები გაკვირვებით დააჭყიტა.

— იუკიკო, ისევ ცელქობ? — წამოიძახა იტამ, ერთი ნახტომით ტუალეტთან გაჩნდა, იუკიკოს პატარა ხელიდან მაკრატელი გამოსტაცა და დედას გასძახა: — დედი! შეხედე, რა უქნია იუკიკოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იტა, მომეცი მაკრატელი! — ეხვეწებოდა იუკიკო. — ხომ ხედავ, თმას ვიკრეჭ!

—მერედა თმის შეკრეჭისა შენ რა იცი! თავს დაიმახინჯებ და ყველა დაგცინებს! აგერ მამა მოდის, გესმის? ნახავ ახლა რა დღე დაგადგება.

— თმა გამეზარდა და თვალებში მებღალნდება... მომეცი მაკრატელი! მომეცი, არ გესმის?

მაცუტა ბავშვებთან მივიდა. მას თავზე სამხედრო ყაიდის ქუდი ეხურა, ფეხზე პაჭუები ეცვია. სამზარეულოდან კვლავ წყლის შხაპუნი და დანის კაკუნი ისმოდა — დედა, როგორც ყოველთვის, საქმით იყო გართული და ბავშვების მისახედად არ ეცალა. ქალაქის მცხოვრებნი ამ დროს თმას შედარებით უფრო მშვიდად გრძნობდნენ, — დღის ამ საათებში არც განგაში ცხადდებოდა და არც საჰაერო თავდასხმა იყო.

მაცუტა გოგონას წინ ჩაცუცქდა.

— იუკიკო, მე ხომ დაგპირდი, ამ საღამოს შეგკრეჭ-მეთქი? აბა, შენ რა იცი თმის შეკრეჭა? შეხედე რა გიქნია, ოფოფივით აგფშეკია თმა! — ტუქსავდა მაცუტა გოგონას, თან თავზე ხელს უსვამდა.

ოთახში პირსახოცზე ხელის წმენდით შემოვიდა დედა — კაძუე.

— ეს რაღა ახალი ინინა! საკმარისია ერთი წუთით თვალი მოაშორო ამ ბავშვს, რომ მაშინვე წაატანს ხელს პუდრს ან პომადას... მე მგონია, ჩემი შვილი ზის და თავისთვის თამაშობს-მეთქი... მას უკვე უეშმაკია. მთელი დღე ცელქობს, მეტი არა ახსოვს რა.

კაძუემ მარდად ჩამოუშვა სარკის ჩამოსაფარებელი, იტას გამოართვა მაკრატელი, თავის ადგილზე დადო და უკრა მისწია. კაძუე ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. თავის ასაკთან შედარებით მეტისმეტად მსუქანი იყო. ფუნჩულა ხელებზე აქა-იქ ლამაზი ფოსოები უკეთდებოდა. თვალები მაშინაც კი უღიმოდა, როცა ბავშვებს უჯავრდებოდა. ახლაც თავისი მშვენიერი თვალები ალერსიანი საყვედურით მიაპყრო ქმარს:

— შენ არც ცოლზე ფიქრობ და არც შვილებზე. ქმრები სამსახურის შემდეგ თავშესაფარს თხრიან, ბოსტანში მუშაობენ. ცდილობენ ხელი წაშველონ ცოლს საქმეში, შენ კი ეს თითქოს არც გეხება. მარტოკას მიჭირს ყველაფრის გაწვდომა. შენ კი დრო ვერ გიპოვნია, ბავშვს თმა შეკრიჭო.

— ეჰე, მეც მომხვდა... განა არ იცი, კაძუე, რომ ხვრელის თხრაც და ბოსტნის მოვლაც საავადმყოფოში მიხდება! ცხრად ხომ ვერ გავიჭრები... ჩემს გოგონას კი თმას ამ საღამოს შევკრეჭ.

მაცუტა ქალაქის საავადმყოფოში ფარმაცევტად მუშაობდა. იგი ვალდებული იყო საჰაერო განგაშის ნიშანზე, რა დროც უნდა ყოფილიყო, საავადმყოფოში გამოცხადებულიყო. ომის უკანასკნელ თვეებში ადამიანებს ყოველი წუთი საშიშროებას უქადდა — ყველანი მუდმივად დაძაბულნი იყვნენ; ზოგჯერ მაცუტა ის იყო შინ ფეხს შემოდგამდა ხოლმე და საჰაერო განგაშის ნიშანზე ისევ საავადმყოფოში გარბოდა. მას მართლაც არ შეეძლო მიხმარებოდა ცოლს, რომლის კისერზეც იყო მთელი ოჯახი. ცოლზე ნაკლებად როდი წუხდა მაცუტა თავშესაფარ ხვრელზე, რომლის გათხრაც დაიწყო მან სახლის ვეებერთი და ჯერაც არ დაემთავრებინა. კაძუეს სურდა თავშესაფარი ორგანსასვლელიანი გვირაბივით მკვიდრად გაეკეთებულიყო და ქმარს მუდამ ამას უჩიჩინებდა, მაგრამ საამისო სახსარი არ გააჩნდათ. გარდა ამისა, გულის სიღრმეში მაცუტა გრძნობდა, რომ ომის დროს თავშესაფარი საამედო არ არის. აი, ამიტომ არ ეთანხმებოდა ცოლს, ოჯახისადმი გულგრილობას რომ სწამებდა.

„გავთხარე თუ არ გავთხარე ხვრელი საჰაერო განგაშის დროს თავის შესაფარებლად, ან მოვუარე თუ არ მოვუარე ბოსტანს, — განა ამით განიზომება ჩემი სიყვარული ცოლ-შვილისადმი?“ — ფიქრობდა მაცუტა და თუმცა კარგად იცოდა, რომ თავშესაფარი არ უშველიდა, მაინც საჭირო იყო ბოსტანში კვალის გავლება, რათა დაენახვებინა ცოლისათვის, რომ ისიც ზრუნავდა ოჯახზე. მაცუტამ კაძეუს გაუღიმა.

— დღესვე შევუდგები მუშაობას. თუ ყოველდღე ცოტ-ცოტას ვიმუშავებ, მალე ხვრელიც მზად იქნება. ალბათ იტაც დამეხმარება, არა?..

— მაშ, მამა! — მკვირცხლად მიუგო ბიჭუნამ.

— არა, მე სრულებითაც არ მინდა, რომ ახლავე შეუდგე თავშესაფრის გათხრას. მთელი დღე საავადმყოფოში იყავი, შინ დილით დაბრუნდი და ხეირიანად არც კი დაგისვენია... ახლა წამოწექი, გესმის?

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარა. მაცუტამ უცებ გაიღიმა და ცოლს ეშმაკურად შეხედა:

— არა, რას ამბობ, განა ახლა ამის დროა?..

მამა-შვილმა ფეხთ ჩაიცვეს და ბაღჩის ღობეზე გადავიდნენ.

დიდხანს გულდაგულ თხრიდნენ მიწას. მაცუტამ უცებ საათს დახედა:

— რა დრო გასულა? მეცხრე საათია! სამსახურში წასვლის დროა.

— გაგაცილებ, მამა!

— ისედაც ყოველ დილით მაცილებ... არ მოგბეზრდა?

— რას ამბობ, მამილო, როგორ მომბეზრდა, მე ხომ უკვე ცხრა წლისა ვარ, შენ კი მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სამი წელი გაატარე ჩვენთან. მომისმინე, მამილო, თუ შენ კვლავ ჯარში გაგიწვევენ, იაპონიიდან სხვაგან ხომ არ გაგგზავნიან? იცი, რა ცუდია უშენობა?

მამა-შვილმა აუჩქარებლად გასწია რკინიგზის მიწაყრილისაკენ. მათ ვარდისფერ, მოკლე კაბაში გამოწყობილი იუკიკო დაეწია.

— მეც თქვენთან მინდა. იტა, როცა მამასთან მიდიხარ, რატომ იუკიკოს არ ეუბნები? იუკიკო იტირებს!

იტამ დისკენ მიიხედა და უთხრა:

— მიტომ, რომ შენ თვითონ იკრეჭ თმას! ეგრე უშნოდ თმაჩამოწეწილი გოგონების წაყვანა ჩვენ არ გვინდა, — აგდებით უთხრა იტამ.

იუკიკომ მამის ხელი ჩაბღუჯა. პატარა ლაკის წითელ გეტებში გამოწყობილ ფეხებს აჩქარებით და მაგრად ადგამდა, ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო. ბავშვებს მამასთან ყოფნაზე ძლიერ არაფერი ახარებდათ. მაცუტა ორჯერ გაიწვიეს ჯარში. პირველად იაპონია-ჩინეთის ომში და მეორედ წუნარ ოკეანეზე ომის დროს. იაპონია-ჩინეთის ომში თითქმის სამ წელს იყო ფრონტზე, შემდეგ დემობილიზაცია შეეხო და ოჯახს დაუბრუნდა. ერთი წელიც არ უცხოვრია ცოლ-შვილში, რომ ისევ ჯარში გაიწვიეს. მაშინ მათ ორი ბავშვი ჰყავდათ. იუკიკო მაშინ დაიბადა, როცა მამა წავიდა. გოგონა რომ სამი წლის გახდა, მაცუტა ცოტა ხნით დაბრუნდა შინ, მაგრამ მალე ისევ წავიდა, — მაშინ გოგონა ოთხი წლისაც არ იყო, და აი, მხოლოდ ამ წლის იანვარში დაბრუნდა. ექვსი წლის იუკიკოს მთელი თავისი მოკლე სიცოცხლის მანძილზე მამასთან მხოლოდ უკანასკნელი შვიდი თვე ჰქონდა გატარებული, მაგრამ გოგონა უკვე იმ ასაკში იყო, როცა ბავშვებს ესმით, რა არის მშობლების სიყვარული.

— მამა, ამ საღამოს მართლა შემკრიბე თმა, თორემ ბიძია პარიკმახერი ომში მოკლეს და... — შესაბრალისად თქვა იუკიკომ და ახოვან მამას ქვევიდან ახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, კარგი, შეგკრეჭ.

— მართლა? უსათუოდ შემკრეჭ?

— უსათუოდ.

მიწყაროილთან მაცუტა ბავშვებს გამოემშვიდობა. აქედან რკინიგზის ვაკისზე ბილიკი გადიოდა, — ყველაზე უმოკლესი გზა საავადმყოფოსაკენ.

— აი, მოვედით კიდეც. ახლა შინ წადით. ამას იქით წამოსვლა აღარ შეიძლება. საჰაერო განგაშმა არ მოგისწროთ.

— მამილო, მეც წამიყვანე! — სთხოვა იუკიკომ.

— თუ შეიძლება, მამა, შენთან ერთად მიწყაროილზე ამოვალთ, — სთხოვა იტამ.

გაისმა ბორბლების ხმაური. მატარებელი ახლოვდებოდა.

ვეებერთელა შავი ორთქლმავალი მოჰქროდა ლიანდაგზე და თან ვაგონების გრძელ შემადგენლობას მოაქროლებდა. მაცუტამ ლიანდაგი გადაირბინა და ახლა მიწყაროილიდან ქვევით ჩადიოდა. ბავშვები მათ წინ მიმავალ ვაგონებქვეშ იყურებოდნენ, სურდათ მიმავალი მამისათვის ერთხელ კიდევ მოეკრათ თვალი.

— ნახვამდის, მამილო!

ამ დროს, ერთბაშად შორს, შავ ვაგონებს იქით, რომლებმაც ბავშვებს წინ გაუქროლეს, რაღაც უცნაურმა მწვანე ფერის თვალისმომჭრელმა ალმა გაიელვა. იტამ იუკიკო ინსტინქტურად გულზე მიიკრა.

— ეს რა არის, ორთქლმავალს ცეცხლი ხომ არ გაუჩნდა? — შეჰყვირა მან.

იტამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ ჰაერი საშინელმა გრგვინვამ შეარყია: უხილავმა ძალამ ბავშვები მიწაზე დაანარცხა და ქვევით, მიწაყრილს იქით გაისროლა. ისინი აფეთქებისაგან დარეტიანებულნი ეყარნენ.

2

ცეცხლის ალში გახვეული ქალაქი იწვოდა. კაძუემ ცეცხლს გაარიდა თავი და ბავშვებიანად მთელი ღამე ქალაქგარეთ, მდინარის პირას ხიდქვეშ გაატარა. მათ თითქმის არ სძინებიათ. კაძუეს სახე და ხელები დამწვარი ჰქონდა, — მაშინ დაეწვა, როცა ცეცხლში გახვეული სახლის ნანგრევებიდან გამოსვლას ცდილობდა.

— ხომ კარგად დაინახეთ, რომ მამა მიწყაროილზე ჩავიდა და გასცდა იმ ადგილს? — წამდაუწუმ ეკითხებოდა ბავშვებს კაძუე. ბოლოს თქვა, წავალ და მამას მოვძებნო.

ირიგოყა. განთიადის ციაგ შუქზე დახოცილი ადამიანების გვამები გამოჩნდა. ისინი ეყარნენ მდინარის ქვეშიან ნაპირზე, ხიდქვეშ. სისხლში მოსვრილი, დასახიჩრებული ადამიანები, რომელთა ცხონა ძნელი იყო, მდინარისაკენ მიხოხავდნენ, წყალთან ეცემოდნენ და კვდებოდნენ.

— ნუ წახვალ, მეშინია... ნუ წახვალ... — თვალებზე ცრემლმორეული ლუღლუღებდა იუკიკო და დედას ებღაუჭებოდა. გოგონა ისე იყო დანაღვლიანებული და შეშინებული, რომ ხმამაღლა ტირილიც არ შეეძლო.

— მე მივდივარ, მამა უნდა მოვძებნო. თქვენ აქ მომიცადეთ. აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, — უთხრა კაძუემ ბავშვებს და თან ცხრა წლის იტას ისე შეხედა, თითქოს თვალით უთხრა: პატარა დაიკო შენთვის ჩამიბარებიაო.

კაძუეს ჭუთუთოები შეშუპებოდა და თვალები ვიწრო ჰუჭრუტანებს დაემსგავსებოდა. იგი ციცაბო ნაპირს ეუყვა.

— დედა! — შეჰყვირა იუკაჟამ და ატირებული ძმას მიეკრა.

— ნუ სტირი, იუკაკო, ნუ სტირი, გესმის? თორემ მამილო არ დაბრუნდება... — აწოწმინებდა გოგონას იტა.

ნახევარი საათიც არ გასულა, კაძუე დაბრუნდა.

— ახლო მისვლა შეუძლებელია. ქალაქის შუაგულში ყველაფერი ისეა გადარეულებული, რომ მიწას ფეხს ვერ დააკარებ.

მეორე ღამეც დედამ და შვილებმა ხიდქვეშ გაათენეს. მათ ირგვლივ კი ისევ ეცემოდნენ და კვდებოდნენ ადამიანები.

დილაადრიან კაძუე ისევ ქალაქში წავიდა, საღამოს კი კვლავ მარტო დაბრუნდა.

— მამა სადღაა? — ჰკითხა იტამ.

— მამა აღარ არის...

— შინ იყავი? სახლშიც არ არის?

— ჩვენი სახლი სულ ერთიანად დამწვარა. მამა არსად ჩანს. იქაც ვიყავი, სადაც უკანასკნელად ნახეი. იქ ახლა მხოლოდ ძვლები ყრია, ბევრი ძვლები... ვისია, არ ვიცი, მაგრამ სულ ერთია... რამდენიმე პატარა ძვალი წამოვიღე. საავადმყოფოც დამწვარა. ნახანძრალზეც ვიყავი, ვიკითხე მამა, მაგრამ იქ არავის უნახავს... ოჰ! რამდენი ხალხი დაიღუპა, ცოცხალი არავინ გადარჩა...

დილით კაძუე ისევ წავიდა ქალაქში. მან ქალაქის ცენტრალურ ქუჩამდე მიაღწია. კაცმა რომ მართალი თქვას, უაზრო იყო მაცუტას ძებნა აქ. ის ამ ადგილებში ვერ მოხვდებოდა, რადგან სწორედ ამ ადგილზე აფეთქდა ყუმბარა. მაშინ ქალაქის მცხოვრებლებმა არ იცოდნენ, რომ ატომური ყუმბარის აფეთქების შემდეგ ირგვლივ რამდენიმე დღის განმავლობაში ყველაფერი მოწამლული. აქ თავისიანების მოსაძებნად მოდიოდნენ მსუბუქად დაშრილები, რადიაქტიული სხივებით სნეულდებოდნენ და კვდებოდნენ. მაგრამ ეს წინასწარ საიდან უნდა სცოდნოდათ.

მეოთხე დღეს კაძუემ საშინელი სისუსტე იგრძნო, სხეული მოუდუნდა, ძალა არ ეყო, კვლავ ქმრის საძებრად წასულიყო.

— დედა, მშია, — შესწუწუნებდა იუკაკო.

— შეიცო, ვიდრე ქალაქში ხანძარია, რა გაეწყობა, უნდა მოვიითმინოთ. აი, წავალთ ბაბუასთან... ისინი აღბათ ჩვენი დარღით აღარ არიან, და ვინ იცის, ცოცხლებიც აღარა ვგონივართ.

„რა გაეწყობაო“, თქვა კაძუემ, მართლა და კაძუეს სიტყვები ნამდვილად გამოხატავდა მდგომარეობას, რომელშიც მისი ოჯახი ჩავარდა. მეტი გზა არ იყო, მშობლიურ სოფელში უნდა დაბრუნებულიყო... ამას რომ ფიქრობდა, კაძუეს მოეჩვენა, თითქოს ძველი, მოშუშებული ჭრილობები გაეხსნა.

კაძუე და მაცუტა კუნძულ ეტაძიმაზე დაიბადნენ, სადაც ომის წლებში სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი იყო. კაძუე ერთი ღარიბ-ღატაკი, წვრილშვილიანი მღვდლის ქალი იყო. მაცუტა ოგავას მშობლები მემინდვრეობასა და მეთევზეობას ეწეოდნენ. თუმცა კუნძულ ეტაძიმაზე ბრინჯის ყანებს არავინ ამუშავებდა, და ამიტომ ოგავების ოჯახის მთელი მამულ-დედული მანდარინის ხეების პატარა პლანტაცია და მთის ფერდობზე გაშენებული ბოსტანი იყო. ახლა კი, როცა მთელი ის მიდამო სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კუთვნილება გახდა, მოხუცი ოგავები ეტაძიმადან მთის მეორე მხარეზე გადასახლდნენ და სანაპირო დაბაში განმარტოებით ცხოვრობდნენ. ციტრუსების თითქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მთელი პლანტაცია რეკვიზირებული იყო სამხედრო საჭიროებისათვის და წინათ საკმაოდ შეძლებულად მცხოვრები მაცუტას მშობლები ახლა გაღარიბდნენ. მაგრამ ბავშვობიდან სიღარიბეს შეჩვეულ კაძუეს დაქცეულ, განადგურებულ ოჯახში დაბრუნება კი არ აშინებდა, მას სულ სხვა რამ აწამებდა.

კაძუეს ერთ-ერთმა უფროსმა ძმამ — ტაცუიტიმ ჯარში გაწვევას თავი აარიდა, უწყება მიიღო თუ არა, დაიმალა. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩინეთთან ომი დაწყებული იყო. უკუნეთ ღამეში ტაცუიტიმ ნავი მოიპარა და მეზობელ კუნძულზე გადავიდა, სადაც მისი საცოლე, იქაური ტაძრის მღვდლის ქალი ცხოვრობდა. რამდენიმე ხანს იგი ტაძრის სახურავის ქვეშ იმალებოდა, მაგრამ სამხედრო ხელისუფლებამ მალე მიაგნო მის კვალს. ხმები დადიოდა: ტაცუიტი დახვრიტესო, მაგრამ ნამდვილი არავინ იცოდა. უტყუარი მხოლოდ ერთი რამ იყო — მას შემდეგ მშობლებს და ახლობლებს ტაცუიტი აღარ უნახავთ და არც არავინ იცოდა, რა ბედი ეწია.

კაძუე მაშინ უკვე მაცუტა ოგავას მეუღლე იყო და ბიჭი — იტაც იმ ხანებში შეეძინა. გაგიჟებით უყვარდა თავისი მშვენიერი, ბუთხუზა პირმშო, მაგრამ ოგავები მოითხოვდნენ მაცუტა ცოლს გაჰყროდა და ბავშვიც მასთან დაეტოვებინა. ამის მიზეზი ტაცუიტი იყო, რომელმაც სამუდამოდ ჩირქი მოსცხო ოჯახს. მოხუც ოგავებს არ სურდათ თავიანთი სახელი გარეწარის დასთან ნათესაური ურთიერთობით შეებღალათ.

— კაძუე ჩემი ცოლია, მე კი მისი ქმარი და ძმის გულისათვის ცოლს ვერ გავეყრები. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და შვილიც შეგვეძინა, — უპასუხა მოხუცებს მაცუტამ და გაყრაზე სასტიკი უარი განაცხადა. გავიდა ნახევარი წელი და მაცუტასაც ჯარში წასვლის დრო მოუვიდა, ისიც გაიწვიეს. მაცუტა პირველად მიდიოდა სამხედრო სამსახურში. მან გამცილებელ თანასოფლელებთან ერთად, მკლავზე წითელი ბაბთით და ხელში სამგზავრო ჩანთით, ნავმისადგომისკენ გასწია. ყველანი გემში ჩასხდნენ, კაძუე ზურგზე მოკიდებული პატარა ბიჭუნათი მაცუტას გვერდით უდგა. რამდენიმე კაცმა რკინიგზის სადგურამდე გააცილა. პატარა სადგურ უძინას ბაქანზე თავი მოეყარათ მკლავზე წითელ ბაბთიან ჭაბუკებს, ნათესავებსა და გამცილებლებს. მაცუტას სახე უნებლიე შიშს გამოხატავდა. იგი ვაგონში შევიდა და თავი ფანჯარაში გამოჰყო. გაფითრებული მაცუტა ცდილობდა კაძუესა და მეზობლებისათვის გაეღიმა, მაგრამ რაღაც არაბუნებრივად იღიმებოდა: გეგონებოდათ, სადაც არის ტირილი წასკდებაო. კაძუე მიხვდა, რომ ქმარი დაიბნა. ვერ მოითმინა და ვაგონში შევარდა.

— მე გაგაცილებ ხიროსიმას სადგურამდე! — უთხრა კაძუემ.

ყურთასმენის წამღები ხმით დაიზრიალა ზარმა — მატარებელი უნდა გასულიყო. „ბანძაი, ბანძაი" — შესძახეს გამცილებლებმა ფანჯარასთან მდგომ მაცუტას და პასუხად „ბანძაის" ძახილით ასობით ხმა გამოეხმაურა ვაგონების ფანჯრებიდან. ბაქანზე გამაყრუებელმა გრუხუნმა გადაიარა. მაცუტა ცდილობდა გამცილებლებს გაღიმებული ჩვენებოდა, მაგრამ ერთბაშად თავი ჩაქინდრა, მოსხლტა და უღონოდ დაეშვა სკამზე.

შეშინებულმა კაძუემ ორივე ხელი მოხვია ქმარს და მხარში შეუდგა, რომ არ წაქცეულიყო.

— დაუქნიე ხელი, თავი დაუქნიე, გესმის? — ყურში ჩურჩულით ჩასძახოდა ქმარს. მაგრამ გვიანღა იყო. გამცილებლები მშვენივრად ხედავდნენ, რომ მაცუტას ფრონტზე წასვლის შიშით მუხლები მოჰკვეთოდა და ფეხზე ვერა დგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაძუე მეზობლების სახეებს უყურებდა: ზოგი ღიმილს იკავებდა და ცდილობდა, აშკარად არ გასცინებოდა ამ უჩვეულო სურათის დანახვაზე. ზოგი კი მოღუშული იდგა და თვალს არიდებდა. მაშინ კაძუეს ის უფრო აწუხებდა, რომ სოფელში მაცუტას გაკიცხავდნენ და მის ძვირს იტყოდნენ, ვიდრე ის მტანჯველი განცდები, რომლებიც ქმარს გამგზავრების წუთებში დაუფლებოდა. კაძუეს ტანჯავდა თავისი ქმრის სიმხდალე.

ის ამბავი, რომ ფრონტზე მიმავალი მაცუტა შიშისაგან ფეხზე ვერ დგებოდა, მთელ სოფელს მოედო. ამას ჰყვებოდნენ, როგორც რაღაც მეტისმეტად სასაცილოს. მაცუტას, რა თქმა უნდა, დანაშაული არ ჩაუდენია, ისე როგორც ტაცუიტის; ასე იყო თუ ისე, ის მაინც წავიდა საბრძოლველად, მაგრამ თავისი საქციელით დაარღვია იმდროინდელი დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვითაც ომში მიმავალ ვაჟკაცს უდიდესი სიხარული და სულის სიმხნევე უნდა გამოეჩინა. ზოგიერთები კიცხავდნენ მაცუტას და შიშობდნენ, ვაითუ მისმა სიმხდალემ ცუდი გავლენა იქონიოს ჯარში გასაწვევ სხვა ახალგაზრდებზეო. სოფლელები მაცუტას საქციელის გამო კაძუესაც მტრულად უყურებდნენ... ახლა კი კაძუეს თავშესაფარი უნდა ეძებნა იმ კუნძულზე, რომელთანაც დაკავშირებული იყო ამდენი მძიმე, უსიამოვნო მოგონება. უნდა დაბრუნებულიყო ბავშვებთან ერთად დაკონკილი, დამშეული და განაწამები. რა გასაკვირია, თუ კაძუეს გულში იღვიძებდა ერთმანეთის საწინააღმდეგო მწარე გრძნობები.

— წავიდეთ, შვილებო, ყველაფერი კარგად იქნება... იტა, იუკიკო, მომკიდეთ ხელი, რატომღაც ვბარბაცებ... მეც არ ვიცი, რისი ბრალია.

— დედიკო, მე ხელს დაგიჭერ!

— მე ზურგზე შეგისვამ და ისე წაგიყვან, აი ასე!

იტამ დედის ხელები კისერზე შემოიხვია, ზურგზე წამოიკიდა და დედის სხეულის სიმძიმისაგან წელში მოხრილი ტორტმანითა და ბარბაცით გაუდგა გზას.

3

მთის ფერდობზე ამწვანებული მანდარინის პლანტაციები ტერასებად ეშვებოდა ძირს. აქ, სიმყუდროვესა და სიმშვიდეში, მდებარეობდა ოგავების სასაფლაო.

ბებო ტოკიმ, იტამ და იუკიკომ ერთი საფლავის წინ საკმევლის ჯოხები დააწყვეს, ხელის გულები ერთმანეთს მიადევს და ლოცვას მოჰყვნენ, თან ტიროდნენ. იუკიკოს ჯერ არ ესმოდა რა იყო სიკვდილი. საფლავში, რომელსაც მამის ძვლები მიაბარეს, ახლა დედის გვამი ესვენა. მაგრამ პატარა იუკიკოს ვერა და ვერ გაეგო, რა იყო „სიკვდილი“. გოგონა ვერ მიხვედრილიყო, რომ მისი დედ-მამა სამუდამოდ გაჰქრა ამ ქვეყნიდან. ის ფიქრობდა, თუ ასე ყოველდღე ვივლით და ვილოცებთ, მაშინ დედაც და მამაც მალე დაბრუნდებიანო.

— ხალხი ამბობს, ვინც იმ დღეს ხიროსიმაში იყო, ყველა მოკვდება, არც ერთი არ გადარჩებაო... მაგრამ თქვენს თავს ნუ წამართმევს გამჩენი, იცოცხლეთ, გენაცვალოთ ბებია... — ჩიფჩიფებდა მოხუცი, თან სახეზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

ბებიას მაგრად ეჭირა შვილიშვილების ხელი და მათთან ერთად მიჰყვებოდა ბილიკს, რომელიც კიბე-კიბე ფერდობს ჩასდევდა. იტამ და იუკიკომ მაშინვე ზღვის სანაპიროსაკენ გასწიეს. ბავშვები წყალში შევიდნენ. ნაპირზე წყალი თხელი იყო და წაკუზულები ბეჯითად შეუდგნენ ლოკოკინების შეგრო-

ვებას. მათ მუშები გაიცვეს ლოკოკინებით და შინ ისე დაბრუნდნენ. სიბერისაგან წელში მოკაკულმა ბებია ტოკომ ლოკოკინები მოხარშა.

— რაო, საფლავზე გინდა ლოკოკინები წაიღო? ხვალაც მოასწრებ, დაიღლები... — შეიჩერა ბაბუამ იტა. ბიჭს თვალში ცრემლი მოერია. — კარგი, კარგი, ოღონდ ნუ დაიგვიანებთ, მალე დაბრუნდით!

იტა და იუკიკო ბილიკით ისევ ზევით ავიდნენ. დღე ილეოდა. ღურჯი ზღვის მოსაკრულ ზედაპირზე ჩამავალი მზის ალისფერი სხივები ირეკლებოდა. მანდარინების ხეებს მოფარებულ საფლავებზე ჯერ კიდევ ტრიალებდა ახალხან დანთებული საკმევლის სურნელება. იტა დამწვარი ჯოხის ფერფლს დანახვაზე კვლავ ატირდა. ბავშვებმა მოხარშული ლოკოკინები საფლავზე დაწყვეს, გვერდიგვერდ დადგნენ და საფლავთან მოწიწებით მუხლი მოიყარეს. ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ ტიროდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვები იმავე ბილიკით დაბლა დაეშვნენ.

— იტა, დედა ავად არ ყოფილა, მაშ რად მოკვდა?

— მეც არ ვიცი.

— ნეტა რა არის სიკვდილი?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არსად არაა.

— მაშ სად წავიდნენ დედა და მამა? როდის დაბრუნდებიან?

— ისინი არასდროს აღარ დაბრუნდებიან და სწორედ ესაა სიკვდილი.

ცაზე ჩამავალი მზის სხივები ალისფრად ანათებდა. და-ძმა მდუმარედ მიდიოდა სოფლის გზაზე.

მეორე დღეს ომი დამთავრდა. შუქშენიღბვის შემდეგ საღამოს ქოხებში პირველად აინთო ელნათურები. იტა და იუკიკო იდგნენ სახლის წინ და გაოცებულნი შესცქეროდნენ მხიარულად მოკიაფე შუქს. სინათლე აინთო ყველგან — მთის შორეულ ფერდობებზე მიკრულ სახლებშიც და ქვევით, ზღვის სანაპიროზეც.

— ომი დამთავრდა!... — აღელვებით, თითქოს თავისთვის ჩაიჩურჩულა იტამ და თან მძიმედ ამოიოხრა, — მამილო, ომი აღარაა... შინ დაბრუნდი... — კვლავ ჩურჩულით თქვა მან.

— იტა, ახლა არავინ გაგვიწყრება, სინათლე რომ ავანთოთ, არა? მერედა რატომ?

— იმიტომ, რომ ომი დამთავრდა. ხედავ რამდენი ნათურა ანთია ირგვლივ? ახლა შუქის ანთებისათვის არავინ გაგვიჯავრდება, როგორ მშბარია! ომი დამთავრდა!

— რა ლამაზია ელნათურების ციმციმი! მე ხომ ელნათურები არ მინახავს!

გოგონამ მართლაც პირველად დაინახა ფანჯრიდან გადმოფრქვეული ელნათურების შუქი. იუკიკო გახარებული დახტოდა, ტაშს უკრავდა. იტას კი თავი ჩაეღუნა და ტიროდა. ომი დამთავრდა, სოფლებში სიმშვიდემ და სიხარულმა დაისადგურა. ხალხი გრძნობდა, რომ თავზე ჩამოწოლილი სიკვდილის საშიშროება აშორდა, და ეს ბედნიერი ადამიანური გრძნობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კაპიტულაციის ტრაგედია. მართალია, ომი გათავდა, მაგრამ რადიაქტიული სხივებით დაავადებული ხალხი მაინც იხოცებოდა. იხოცებოდნენ ისინი, ვინც ყუმბარის აფეთქების დროს გადარჩა, და ისინიც, ვინც ქალაქის ცენტრში დადიოდა და ატომანური რადიაციით მოწამლულ საგნებს ეხებოდა.

იტა მიხვდა, რამ მოკლა დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სულ ჩვენთან რომ ყოფილიყო ხიდქვეშ და მამის საძებრად არ წასულიყო, არ მოკვდებოდა", — ფიქრობდა იტა და გამოუთქმელი მადლიერების გრძნობას განიცდიდა გარდაცვლილი დედის მიმართ, რომელმაც სიკვდილშიაც არ მიატოვა მამა და საფლავშიაც თან ჩაჰყვა.

და აი, თექვსმეტ სექტემბერს კოკისპირულმა წვიმამ წამოუშინა და აღარც გადაუღია.

ორი დღე და ღამე ქარიშხალი გაშმაგებით გლეჯდა დედამიწას. იმ სოფელშიაც კოკისპირულადასხამდა წვიმა, სადაც იტა და იუკიკო ცხოვრობდნენ. ისეთი თავსხმა იყო, თითქოს ყველაფერი უნდა წალეკოსო. ბაბუას სახლს სახურავიდან კრამიტები მოგლიჯა. ცას პირი გაეხსნა და ნიაღვარსავით მოდიოდა წყალი.

— ისე გადაბუგეს ხიროსიმა, რომ ცაც შეიტრუსა და ამიტომაა ასეთი წარღვნა... — თქვა სამოცდაათი წლის ბაბუა ხისატამ. შემდეგ შეშინებულ ბებია ტოკის უთხრა ჩაეცვა და ბავშვებისთვისაც ჩაეცმია. ეს იყო ჩვიდმეტ სექტემბერს. გვიან ღამით ბაბუამ, ბებიამ და შვილიშვილებმა ჩაიცვეს და ბარგი შეკრეს. ხალხს ეშინოდა, ზღვას არ წაელეკა სოფელი.

ატყდა ზარის რეკვა — ნიშანი უბედურებისა. ქარიშხალი ღმუოდა და ახშობდა საშიშროების მაუწყებელ ზარების ხმას. ერთბაშად წვიმის ხმას რაღაც უცნაური ხმაური შეერია.

— ბაბუ, გესმის, რაღაც გრგვინავს... რა არის? — ჰკითხა იტამ.

— ალბათ ნიაღვარი ქვალოდებსა და ხეებს მოაგორებს მთიდან. ცუდადაა საქმე! დედაკაცო, გაინძერი, იუკიკო ზურგზე შეისვი!

იუკიკო ბებია ტოკის ზურგზე მიაბეს.

ბაბუა და შვილიშვილი ჭერიდან სახურავზე ავიდნენ და მიიხედ-მოიხედეს: განთიადი ახლოვდებოდა. ბინდბუნდში იტამ ძლივს გაარჩია მეზობელი ალაყაფის კარები და უცებ ვეებერთელა, ტაძრის ალაყაფის კარებზე მაღალი ტალღა დაინახა. სახლი შეინძრა და ატივტივდა. მოხუცი ტოკი ზურგზე მოკიდებული იუკიკოთი ვერა და ვერ ამოსულიყო სახურავზე, ვიდრე ბაბუამ და იტამ არ უშველეს.

— მაგრად დადექი, მთიდან წყალი მოვარდა! — დაუყვირა ბაბუა ხისატამ.

სახლი უკვე მიცურავდა. იგი წყალს ნელ-ნელა უფრო შორს მიჰქონდა. ვეებერთელა ტალღები ზღვიდან კი არ წამოვიდა, რისაც ხალხს ეშინოდა, არამედ მთიდან. წყალმა დაფარა სოფლის შუაგული, ანგრევდა შენობებს, იტაცებდა ხალხს და ზღვისაკენ მიაქანებდა.

ბაბუა, ბებია და შვილიშვილები სახლის სახურავზე მობუზულები ისხდნენ და მთიდან მოვარდნილი წყალი მიაქანებდათ. ადრიანი დილის ბინდბუნდში მოჩანდა, როგორ მიცურავდნენ სახლები, რომლის სახურავებზეც ხალხი იყო. მოხუცი ხისატას სახლი წყალმა ზღვაში შეაცურა. უცებ იტა წყალში ჩავარდა. იტამ თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა, — თვითონ გადახტა, რომ თავის თავისთვის ეშველა, თუ ფეხი დაუსხლტა და წყალში ტყაპანი მოადინა. იტამ ცურვა იცოდა — იგი ბავშვობიდან, ოთხი-ხუთი წლიდან იყო ზღვას შეჩვეული, მაგრამ ახლა, ტალღას ცურვით რომ აჰყვა და მის ქოჩორზე მოექცა, შიშის ზარმა აიტანა, ისეთი დიდრონი ტალღები მოგორავდა და ზღვაც საზარლად ბორგავდა. უცებ იტამ თვალი მოჰკრა საშინელ სანახაობას: მათი სახლი, რომლის სახურავსაც რამდენიმე წუთის წინ ოთხივენი ებღაუჭებოდნენ, შუაზე გაიპო. თითქოს ერთი სახლის მაგივრად ერთბაშად ორი გაჩნდა. სახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავის ერთ ნახევარზე ბაბუა ლანდივით ჩანდა, ხოლო მეორე ნახევარზე გორმიხეილი ბებია ტოკი ზურგზე მიბმული იუკიოთი უძრავად ეგდო. ტალღებისაგან დაშლილი სახლი ნაფოტივით ქანაობდა და წყალს უფრო და უფრო შორს მიჰქონდა... იტას სხვა აღარაფერი ახსოვდა...

4

ბაბუა და შვილიშვილი შეეფარნენ ნაცნობი გლეხის ფარდულს, რომელიც მაღლობზე იდგა და წყალდიდობას გადარჩენოდა. დადგა შემოდგომა. სოფლის შუაგულში ერთ შენობას ვეღარ ნახავდით. ზღვის ტალღების მოტანილ სილას, რომელიც წითელი მიწის გროვებში შერეულიყო, მთელი გორები დაეყენებინა და ირგვლივ სიცარიელე სუფევდა. ხოლო ამ სილის გორებში აქა-იქ მთიდან ჩამოტანილი ბუმბერაზი ხეების მორები და დამსხვრეული ნავები ამოშვერილიყო.

იტა წაბლზე წავიდა ტყეში. ბიუუნას მოღუშული სახე თითქოს გაჭქვავებოდა, მაგრამ მაინც ბეჯითად აგროვებდა წაბლს. ყველაზე წვრილსაც კი არ სტოვებდა. ჩანთა წაბლით გაავსო და ფარდულში დაბრუნდა. ბაბუა ხისტამ ცეცხლი დაანთო და წაბლი მოხარშა.

იტამ ცხელი წაბლის გროვიდან ყველაზე მსხვილი, კრიალა წაბლები ამოარჩია და საფლავზე წასაღებად კალათში ჩაყარა. ბაბუა და შვილიშვილი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ, გულმოდგინედ აცლიდნენ კანს მოხარშულ წაბლს და ჭამდნენ.

— მთელი დღე მშივრები დავდივართ... შიმშილმა გაგვტანჯა, როდემდის გავუძლებთ! — დაიწყო მოხუცმა. — სჯობია ჩვენც სხვებივით მოვექცეთ: ზღვის წყალში წყალმცენარეები მოვხარშოთ და ქალაქელებს მივყიდოთ. ამბობენ, ისინი სიხარულით იტაცებენ ამ საკმაზს და ამით კარგა ფულის შოვნაც შეიძლებაო.

იტას არაფერი უპასუხნია.

—მე მოვხარშავ, შენ კი მთიდან შეშა მოზიდე! — განაგრძობდა მოხუცი.

— სხვისი შეშა?

— ყველა ასე იქცევა...

— არა, შეშას ვერ მოვიპარავ. უმჯობესია თევზის ჭერას მოვკიდოთ ხელი. თევზი ქალაქში გავყიდოთ. მე მგონი როგორმე თავს გავიტანთ, არა, ბაბუ?

მაგრამ ხისატა ღრმა მოხუცი იყო და სათევზაოდ ზღვაში გასვლა არ შეეძლო. არც ნავი ჰქონდა, წყალდიდობის დროს მოსტაცა წყალმა, ხოლო ანკესით ხელში მთელ დღეს ნაპირზე ჯდომაც გაუძნელდებოდა.

იტა კიბე-კიბე ტერასებით მთაზე ადიოდა და თან კალათით მოხარშული წაბლი მიჰქონდა. ის ხშირად ადიოდა ამ მთაზე და ყოველთვის თითქოს შინ, მშობლებთან და დასთან ბრუნდებოდა. მწუხარებით გულდამძიმებული მივიდა საფლავთან, დაიჩოქა, ხელები დაიკრიბა და ატირდა. ბიჭი ტიროდა. ტირილით ოთხად გაჰყო წაბლი და საფლავის ქვაზე დააწყო.

— დედა, ომი დიდი ხანია დამთავრდა... მე ახლა აღარაფრის აღარ მეშინია... — ჩუმად ამბობდა იგი და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. უნდოდა მშობლებისათვის ეკითხა, შეიძლებოდა თუ არა შეშის მოპარვა და ნაქურდალი შეშით წყალმცენარეებისაგან სანელებლის მოხარშვა?

„სამარე მუნჯსა ჰგავს, მისგან ერთ სიტყვასაც ვერ ეღირსები“, — ფიქრობდა ბიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორმე თავი რომ დაერჩინათ, გვიან შემოდგომით იტამაც სხვებთან ერთად მთაში შეშაზე დაიწყო სიარული. ხალხი ზღვის მუქთა წყალს მუქთა შეშით ადუღებდა. წყალმცენარით ზღვის წყალს შეკმაზავდნენ და შეჭამანდის მოსამზადებლად სოიას სანელებლის ნაცვლად ჰყიდდნენ.

ზოგი ღამის სიბნელით სარგებლობდა, ნავით მიადგებოდა პატარა უკაცრიელ კუნძულებს და იქ ფიჩხს, ნაფოტებსა და, ერთი სიტყვით, რაც კი საწვავად გამოდგებოდა, ყველაფერს აგროვებდნენ. უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვებიც, რომლებიც გადაბუგული ხიროსიმას ნანგრევებში დაძრწოდნენ, მათხოვრობდნენ და ქურდობდნენ, მიდიოდნენ პატარა კუნძულებზე და წყალმცენარეებისაგან სანელებელს ამზადებდნენ.

იტა და ბაბუა ყოველდღე ადუღებდნენ ზღვის წყალს ფარდულის უკან, ქვის ქურაზე. ფარდული ახლა მათ სახლის მაგივრობას უწევდა.

— იცი, ბაბუ, ჩვენს ირგვლივ კუნძულებზე შეშა აღარაა. იქაურობა ისეა მოსუფთავებული, გეგონება, მოულოკიათო. — თქვა ერთხელ იტამ.

— იმიტომ, რომ ვინც არა მგონია, ყველა ტყეს ეტანება, მაშ, რა იქნება... — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა.

— მოდი, ბაბუ, თავი გავანებოთ ამ საქმეს?

— თავს გაანებებ და მაწანწალად გადაიქცევი.

— არა, მაწანწალად არ გადავიქცევი, ვიმუშავებ. კარგი იქნებოდა თევზის დუქანში ბიჭად დავმდგარიყავ.

— არც იქაა იოლი სამუშაო... ეგ რამ მოგაგონა? — გაუკვირდა ბაბუა ხისატას.

— თევზის დუქანში მუშაობა პატიოსანი საქმეა. სანელებელი კი, რომელსაც ჩვენ ვხარშავთ, მხოლოდ ხალხის მოტყუებაა და სხვა არაფერი... ამას რომ ვაკეთებ, ჩემი თავი მეზიზღება... — ჩაილაპარაკა ბიჭმა.

დადგა გაზაფხული. გადაბუგული ქალაქის ქუჩებში კანტიკუნტად, მაგრამ მაინც დაიწყეს ნამდვილი სოიოს სანელებლის გაყიდვა. გარდა ამისა, პოლიცია თვალყურს ადევნებდა, რომ დაუსახლებელ პატარა კუნძულებზე ტყე არ გაენადგურებინათ.

— სხვა რამ უნდა ვიღონოთ, სამუშაო გამოვძებნოთ, — თქვა ერთხელ ბაბუა ხისატამ. მოხუცი მზეზე გაშავდა, დაუძლურდა, სახე ღრმა ნაოჭებით დაეღარა. იტა რომ არ ჰყოლოდა, შიმშილით ამოძვრებოდა სული.

ქალაქ ხიროსიმას ერთ-ერთ განაპირა უბანში, გზატკეცილთან, რომელიც ზღვის ნაპირის გასწვრივ გაჭიმულიყო, თევზის დუქანი იდგა. დუქნის პატრონს, ვინმე ხიდეკიტი ტაკადას ძლიერ უყვარდა ერთი ორი დღით იმ სოფელში ჩამოსვლა, სადაც ბაბუა ხისატა ცხოვრობდა. ტაკადა მოხუცთან ჩერდებოდა, თევზაობდა და დროს ამით ატარებდა. ერთხელ ტაკადამ უთხრა მოხუცს, შემიძლია იტა თან წავიყვანოო. გულში რა ედო, ვინ მიხვდებოდა — ამბობდა, უშვილო კარ და მინდა ვიშვილო ვინმეო, ეტყობა, იტა გამგონე და დინჯი ბიჭიაო. თან დასძინა, დუქანში მორბედად გამომადგებაო.

მაგრამ ბაბუა ხისატა იტას ვერ იმეტებდა. უიმისოდ ნაღველი შესჭამდა და ლუკმაპურის შოვნაც გაუჭირდებოდა.

...ჩაფიქრებული იტა ფარდულის უკან იდგა. ეზოში ნორჩი ბალახი ბიბინებდა და ჰაერს საამო სურნელებით ავსებდა. იტამ უკან მიიხედა, ქურაში ცეცხლი ენთო. დასევდიანებული ბაბუა ხისატა ცეცხლთან ჩაცუცქული უცდიდა ზღვის წყლის ადუღებას.

— უკანასკნელი შეშა იწვის... ნაფოტი რაა, ისიც კი არა გვაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცი რა, ბაბუ! მოდი, რაც იქნება, იქნება, დავანებოთ თავი ამ საზიზღარი სანელებლის ხარშვას!

— დავანებოთ... მაგრამ რითი ვიცხოვროთ?

— წავალ და სხვებთან ერთად სოფლებში ჭურჭელს გავყიდი...

— თურმე რა განგიზრახავს! — გამოცოცხლდა ბაბუა. — ეს კარგად მოგიფიქრებია. ახლა ყველა სოფელ-სოფელ დადის. დიდი და პატარა, ზურგზე ბავშვებაკიდებული ჯარისკაცთა ქვრივებიც კი ვაჭრობენ... როგორც კი მთაში წახვალ, შორიდანვე დაინახავ გზებზე ხალხს, რომლებსაც ტაშტები და ქვაბები შეუდგამთ თავზე და მიჩანჩალებენ. მზის სხივებზე ტაფები ათასნაირად ბრჭყვიალებენ.

მოხუცი იმ გზებზე ლაპარაკობდა, რომლებიც მთების სიღრმეში მდებარე სოფლებისაკენ მიდიოდა. სანაპირო ზონისა და იმ პატარა კუნძულების მცხოვრებლები, სადაც ბრინჯი არა ხარობდა — კობეში და ოსაკაში, ქოთნებს, ქვაბებსა და სხვა ჭურჭლეულს შოულობდნენ, მთების სიღრმეში მდებარე სოფლებში მიჰქონდათ და იქ ბრინჯზე სცვლიდნენ. შავ ბაზარზე ბრინჯის ფასი ელვის სისწრაფით მატულობდა. მთების დაკლაკნილ ბილიკებზე დილიდანვე ბოლო არ უჩანდა მიმავალ ხალხს.

უცნაური იყო ეს სანახაობა! ერთხელ იტა და ბაბუა ხისატაც ამ ხალხს გაჰყვნენ. მათაც ზურგზე ახალი ქოთნები და ქვაბები ჰქონდათ მოკიდებული. მათი ჭურჭელიც მზეზე თვალის მომჭრელად ელვარებდა.

ბევრი წამება გამოიარა ხალხმა ბრინჯის ძებნაში. მაგრამ ბედმა ესეც არ აკმარა და უკან მობრუნებულებს გზაზე ჩასაფრებულმა პოლიციამ ქვაბებსა და ტაფებში აღებული ბრინჯი ჩამოართვა. ბაბუა ხისატა და იტა დააკავეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე, ბოლოს ხისატა დააჯარიმეს. და აი, ერთხელ ბაბუა ხისატამ შვილიშვილს უთხრა:

— არა გვწყალობს ბედი, იტა! იცი, შვილო, რა მოვიფიქრე: უნდა ემსახურო ტაკადას, თუ შენი სურვილიც იქნება...

— მერე შენ ხომ მოგწყინდება, ბაბუ, უჩემოდ? არსადაც არ წავალ, ვერ დაგტოვებ. ანკესით ვითევზავებ, თევზს გავყიდი და ისე გარჩენ, — უთხრა იტამ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ისეთი კანონი, რომელიც ბავშვების ბედნიერებაზე ზრუნავდეს... იტა კი ბავშვი იყო... ხოლო ადამიანებს ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანებისათვის ბედნიერების უფლებას...

5

— როცა ბაბუ დააჯარიმეს, ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, — ათრთოლებული ხმით საწყლად ყვებოდა იტა და ხიდეკიტი ტაკადას უყურებდა. ეს იყო სოფელში ბრინჯის საშოვნელად წასვლის ერთი წლის შემდეგ. ახლა იტა ტაკადას დუქანში ეხმარებოდა.

დაახლოებით ორნახევარი წელი გავიდა.

დადგა 1948 წელი.

ყოველ შემოდგომას იტას მოგონებები აეშლებოდნენ. აგონდებოდა დედა, მამა, დაიკო და ბებია. რაც დრო გადიოდა, მოგონებების სიმწარე უათკეცდე-

ბოდა და გულს უფრო უკლავდა. როცა ტირილი მოერეოდა, ტყეს მიაშურებდა და გორაზე ადიოდა. ტაკადას დუქანი თითქმის ზღვის ნაპირზე იდგა, მაგრამ საკმარისი იყო ასფალტით დაფარული გზატკეცილი გადაგეცილოთ, რომ მაშინვე ციცაბო აღმართს მისდგომოდით. ამ ვიწრო ბილიკით მთაში ასვლა შეიძლებოდა.

იტას ხშირად დაინახავდით თევზის დუქნის კარებთან. დუქნის ფასადი გზატკეცილზე გამოდიოდა. იგი ხშირად გასცქეროდა მთებს. ტყეში ფოთლები შეთხელდა. ნეკერჩხლის წითელი ფოთლები, რომლებიც მთის ფერდობს ფარავდა, გამუქდა; დამჭკნარი, გამხმარი ფოთლები ფარფატით ეცემოდნენ ძიწაზე.

— რაო, იტა, ტყეში გასეირნება მოგინდა? წადი, წაბლი მოაგროვე. — ეტყოდა ხოლმე ასეთ წუთებში ტაკადა, რომელიც ოთახში ჩიბუხს აბოლებდა. — როცა შემოდგომის ეს დროა, დიდებსაც კი იპყრობს სევდა, ეს კი არ ვარგა. წადი, წადი, გაერთე ცოტა... წაბლი მოაგროვე, მე არ გიშლი.

— შენ გინდა, რომ მარტო იყო და იტირო, არა? მაშ იტირე და გული მოიჯერე, იტირე... მერე კი წაბლი მოაგროვე, მოიტანე, მე მოვხარშავ და ვახშმის შემდეგ ერთად ვჭამოთ. — ეუბნებოდა იტას ტაკადას ცოლი, რომელიც ქმრის გვერდით იჯდა. მათ იტა აშვილეს და ისე შეეჩვივნენ, რომ უიმისოდ სიცოცხლე ვერც კი წარმოედგინათ. ზოგჯერ იტას სევდა შემოაწვებოდა, წამწამებზე ცრემლები ჩამოეკიდებოდა. ტაკადა და მისი ცოლი არაფერს ეკითხებოდნენ ბიშს, არ ანუგეშებდნენ, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ.

— შეიძლება ცოტა ხნით წავიდე? — იკითხავდა იტა.

მაღალი, გამხდარი ბიჭი, რომელსაც ცამეტი წელი შეუსრულდა, ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით გზატკეცილს გადაჭრიდა და მთებს შეუყვებოდა.

დიდხანს იჯდა ხოლმე იგი დაბალი გორაკის ციცაბო ფერდობზე და ქვევით, გზატკეცილსა და ზღვას გასცქეროდა.

ეს მხარე განსაკუთრებით მშვენიერია, მაგრამ იტა თვალწინ გადაშლილ მომხიბვლელ სანახაობას ვერ ამჩნევდა. იგი გზატკეცილს გაჰყურებდა — იქ განუწყვეტელ ნაკადად, თითქოს მხიარული თამაშით ერთობიანო, მიჰქროდნენ ჯიპები და უცხოური ავტომანქანები. მიჰქროდნენ და უჩინარდებოდნენ, მათ უკან კი გზატკეცილზე ბავშვების დასახჩრებული გვამები და გაჭყლეტილი ძაღლები ეყარა.

ახლაც ერთხანს უყურა იტამ გზატკეცილსა და ზღვას, მერე ტყეში შევიდა და წაბლის შეგროვება დაიწყო. კრიალა, მწიფე წაბლი აქა-იქ ბალახში ჩამალული ეყარა.

ერთბაშად იტას თვალთ დაუბნელდა. მოაგონდა ტყე, სადაც მისი მშობლების საფლავებია. იქაც, როგორც აქ, წაბლის ხეები შრიალებენ. თვალწინ დაუდგა უთვისტომოდ მიტოვებული ბაბუა; განა მას შეუძლია თვეზეობით თავი ირჩინოს?! მთხუცის სიყვარულმა და სიბრალულმა გული დაუთუთქა.

— არა! — აღმოხდა იტას და თავი გაიქნია. — შოგონება არ შეიძლება. საკმარისია ერთი რაიმე გავიხსენო, რომ იმ წამსვე გული სევდით ამევსება და მწუხარება გულს მიღრღნის, არ ვიცი, სად გადავიყარგო...

ვიღაცის ფეხის ხმა ახლოვდებოდა. ტოტებში ტაკადას შავგვრემანი, ღაჟღაჟა სახე გამოჩნდა.

— შენ წასელის დროა. მეც გიშველი წაბლის შეგროვებას. დედა ელოდება, გიცდის.

ტაკადა დაიხარა და წაბლის შეგროვება დაიწყო. წაბლით პეშვს იგსებდა და იტას ჩანთაში ყრიდა.

... განკლო რამდენიმე დღემ. ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის, ნაშუადღევს, თევზი მოიტანეს და ტაკადას დუქანი გამოცოცხლდა. დუქანში წამდაუწუმ შედიოდნენ და გამოდიოდნენ მუშტრები. დუქნის წინ კი გზატკეცილზე ისევ მიჰქროდნენ ლიმუზინები და ჯიპები.

კარის ზღურბლზე თევზის მუშტარი, ბავშვიანი ქალი შემოვიდა, მას მკლავზე კალათა ეკიდა, დაფლეთილი კიმონო ეცვა და შესაბრალისად გამოიყურებოდა. მის ოთხი-ხუთი წლის გოგონას ფეხზე ლაკის წითელი გეტები ეცვა. ბავშვმა თავისი პატარა ხელი დედის ხელს გამოგლიჯა და გაიქცა...

— ფრთხილად! — დაიყვირა ვიღაცამ. მაგრამ გვიანღა იყო. გოგონა უკვე გარბოდა მზით განათებულ გზაზე. ბავშვები ხშირად გადადიოდნენ მეორე მხარეს, სადაც მთის ძირში დასალევი წყალი იყო...

ერთბაშად გზის მოსახვევიდან შავი ლაქით გაპრიალებული მანქანა გამოვარდა. გოგონა დაიბნა, შეჩერდა, შემდეგ აქეთ-იქით გაქანებულა.

იტამ წამით თვალი მოჰკრა, როგორ გასძვრა ბავშვს ფეხიდან პატარა წითელი გეტა.

— ფრთხილად, გაგსრესენ!

ერთი ნახტომით იტა გზატკეცილზე გაჩნდა. მანქანას და გოგონას შორის ჩადგა და თავისი სხეულით გოგონას გადაეფარა.

გოგონა სიკვდილს გადარჩა.

მანქანა გაჩერდა და იქიდან აყლაყუდა უცხოელი გადმოვიდა. ტაკადა და მისი ცოლი გზატკეცილის შუაზე დაგდებულ იტას სხეულს დასცქეროდნენ. ბიჭს თვალები დახუჭოდა. სხეული კი სისხლში ამოსვრილ ძველ-რბილის გუნდად ქცეოდა. თევზის საყიდლად მოსული ქალი და წითელგეტებიანი გოგონა უძრავად, გაქვავებულებივით იდგნენ.

თარგმნა **შალვა ღოღობერიძემ**

ხუშხინ-ხან-ხოჯაკი
ავღანეთი

*
* *

ხმაურობენ გაზაფხულის წვიმები;
ცხელი გული მკერდში ღელვას განაგრძობს.
ქვეყნად ვცხოვრობ ერთი ვინმეს იმედით,
მაგრამ რისთვის, მაგრამ რისთვის, ლამაზო?

თუმც არ მხატავ მაგ საყვარელ თვალებში,
მე შენს თმებზე ნორჩ ყვავილებს ვდარაჯობ.
შენს გულშია სიტკბო უმხურვალესი,
მაგრამ ვისთვის, მაგრამ ვისთვის, ლამაზო?

თუმც ამგვარის სიმამაცით მიდის დრო,
მაგრამ გული, თუ ღმერთი არ გვღალატობს,
მუდამ ერთის სახლისაკენ მიგვიხმობს,
მაგრამ ვისთვის, მაგრამ ვისთვის, ლამაზო?

შენ შორიდან მას ხედავდე იქნება,
ო, ეს შორი დარდი უფრო დაგაზრობს.
ხომ ტკბილია სიყვარულის მიგნება,
მაგრამ ვისთვის, მაგრამ ვისთვის, ლამაზო?

გულს ვერ ღლიან ნაღვლიანი ფიქრები
და ფიქრიც რომ სხვა ფიქრებით დარაზო
გინდა, მაგრამ ირხევიან ნისლები
და რას ნიშნავს, ეს რას ნიშნავს, ლამაზო?

ზია გორგიზაძე
ავღანეთი

ადამიანის ღირსება

მამაცი კაცი მთელ სიცოცხლეს
მშობელ ხალხს სწირავს.
თაფლის სანთელი მთელ სიცოცხლეს
სინათლეს სწირავს.

არის შრომაში მარადული შერთვა სიცოცხლის;
მე მინატრია ამნაირი შრომა, ღირსება;
თორემ სიცოცხლე სარეცელზე, კარგად იცოდე,
დაილევა და
სიყვარული არ გეღირსება.

დროა გამრჩევი
ყველა ბრიყვის
და ყველა ბრძენის,
დრო გამოაჩენს
დაუფარველს,
ვინც რას ჰფარავდა.

ვაი მათ,
ვინც კი ღირსეულნი არ იყვნენ ძენი
და გააცრუეს იმედები დიდთა მამათა.
ვაი მათ,
ყველა სიკვდილის და დაბადების დღეს,
ვინც რომ დაიწვა
და ერთი ხეც ვერ გაანათა.
შევნატრი იმას,
ვინც სიყვარულს სხვისთვის ეძიებს
(ვაი რომ ყველა ჩვენის ბედი არის საძებნი!).
შევნატრი იმას,
ვინც სიცოცხლეს სწირავს სიცოცხლეს
და მწუხარებას სიყვარულში არ გამოაჩენს.
გწამდეს, ბულბული მხოლოდ ის არის,
ვისაც არად უჩნს ეკლის ისარი
ცვრიანის ვარდის სიყვარულისთვის.
გწამდეს, მიჯნური მხოლოდ ის არის,
ვისი ცხოვრების გზა და მიზანი
იწვის დიადი სიყვარულისთვის.
ვინც შეფრინდება,
როგორც ფარავანა
და შეაკვდება ანთებულ სანთელს;
ვინც მღელვარ გულით ჯერ არ დამცხრალა
და სიყვარულის გრიგალი დასდევს.
და მე მწამს, ძმებო, ქვეყნად ყოველთვის
ეძებს, მიელტვის ნათელს პოეტი,
და სწვავს სიცოცხლეს,
როგორც ფარავანა,
მშობელი ხალხის სიყვარულისთვის.

თარგმნა **შოთა ლომსაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსუფ იდრისი

ეგვიპტე

„სტორია“

ცხადზე ცხადია, ამ ბიჭუნას გარდენ-სიტისთან[1] საერთო არაფერი აქვს. იგი ფეხშიშველია, ტანთ დახეული ხალათი მოსავს, თმა უსწორმასწოროდ აქვს შეკრეჭილი, თავზე ბურცები აყრია, ხოლო მიმქრალ სახეზე სირსველის კვალი აჩნევია. სად ასეთი გარეგნობის ბიჭი და სად გარდენ-სიტი — სასახლეების, ვილებისა და საელჩოების კვარტალი!

მაშ როგორ მოხვდა იგი აქ? იქნებ გზა დაებნა და დაიკარგა? მაგრამ შიში და აღელვება რომ არ ემჩნევა და ასე ცოცხლად, მხიარულად გამოიყურება?

ეს-ესაა გათენებულა. მზე უკვე ოქროსფრად ჰფერავს დედამიწას, თუმცა ჯერ არ აცხუნებს. არისტოკრატთა სახლები დუმილს მოუცავს; ისმის მხოლოდ ჩიტუნების შიკშიკი და მედიდურ, ჩასუქებულ შავკანიან მეკარეთა კანტიკუნტი საუბარი. ყოველ მათგანს განიერი თეთრი ხალათი მოსავს, ვეება სასაცილო ჩალმა ახურავს. ისინი საღარბაზო შესასვლელებთან სხედან და სასახლეებს ყარაულობენ.

დილის კრიალა ჰაერი სიხალისეს ჰგვრის ყველას. ბიჭუნა უმიზნოდ მიაბიჯებს მზით გაბრწყინებულ ფართო ქუჩაში, ათვალიერებს ხეებს, სასახლეებს და სპილენძის ელვარე მორთულობას. იგი ხან დაუსტვენს, ხან დაიწივლებს, შეჩერდება და კვლავ სიარულს განაგრძობს.

აი, ახლა აცა-ბაცა სიარული მოიწადინა — მარცხენა ფეხს მარჯვენის ადგილზე დგამს, მარჯვენას კი მარცხენისაზე და ასე მიკვნესპალებს. ახლა ტტუნვა მოუნდა, ცალი ფეხი მოიკუნტა, ხელი ჩასჭიდა და ცალ ფეხზე დარჩენილმა გზა ხტომით განაგრძო. სიამოვნებისაგან ენას ამწლაკუნებს, გაჰყვირის, ბაყაყივით ყიყინებს. თამაშით გატაცებული ხან წინ გადახტება, ხან უკან. უშფოთველ გუნებაზეა, არავინ ურღვევს სიამოვნებას — არც მამა, არც სამუშაო, არც უფროსი.

მაგრამ, აი, ბიჭმა ფეხი რაღაცას წამოკრა და იტკინა. შეჩერდა, დაიხარა, აღმოჩნდა, რომ ფეხქვეშ თეთრი, პატარა კენჭი მოხვედროდა. ბიჭუნამ კენჭი აიღო და გაგულისებულმა იქით მოისროლა, შემდეგ მივიდა და ფეხი გაჰკრა. კენჭი ქვაფენილზე გადავარდა. ბიჭი კვლავ დასწვდა კენჭს, ხელში აიღო და დიდხანს გულდასმით ათვალიერებდა. მალე დარწმუნდა, რომ იგი არავითარ საფასურს არ წარმოადგენდა და კვლავ გზა განაგრძო. ამჯერად კენჭი აღარ

[1] კაიროს ერთ-ერთი კვარტალი, მდიდრებითა და უცხოელებით დასახლებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაუგდია, მირბოდა, მაღლა ისროდა მას და კვლავ იჭერდა. მალე ბიჭუნა სხვა საქმემ გაიტაცა. კენჭი მუჭში ჩაბღუჯა, საჩვენებელი თითი გაბზიკა და სახლის კედელს გააყოლა. ასე იარა კარგახანს, ვიდრე თითი არ ეტკინა. მაშინ თითი მოკუმშა და კედელს კენჭი გააყოლა. უეცრად ბავშვმა უკან მოიხედა და შენიშნა, რომ კენჭი კედელზე თეთრ კვალს სტოვებდა. ამ „აღმოჩენამ“ ძალზე გაიტაცა. ფეხს მოუჩქარა და შეღებილ სუფთა კედელს თეთრი ხაზი მკაფიოდ გააყოლა. აი, ბიჭუნამ თეთრი ზოლით სულეიმანის სასახლის მთელი კედელი გადასერა, შემდეგ ალ-ფუკაგანის სახლი „შეალამაზა“, იქიდან კი საამანის ვილაზე გადავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მან ქუჩა გადაჭრა და ახლა ამერიკის საელჩოს ბაღის ირგვლივ შემოყოლებულ ქვის კედელზე იწყო ხაზვა. ეტყობოდა, ძალზე მოსწონდა კენჭის გაყოლება ამ გრძელ, უსასრულო კედელზე. აი, მიდის და მის გვერდით ხაზი მიიკლაკნება, შეჩერდება — ხაზიც წყდება. ხელს მაღლა ასწევს — ხაზი მაღლა მიცოცავს, დაბლა თუ დასწევს, ხაზიც ქვევით იწევს. აი, მან უკვე მრუდე, ტალღისებური სახე მიიღო. ტალღები მრავალგვარია — ზოგი მოკლე, სწრაფი, ზოგი კი გრძელი და ნელი.

მაგრამ კედელს დასასრული არ უჩანს, ბიჭს კი უკვე მობეზრდა თავისი საქმე. შეტრიალდა, კედელი რაღაც მრუდე ხაზებითა და ოთხკუთხედებით დასერა, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ბაყაყივით ყიყინი მორთო. ესეც მალე მოსწყინდა, ერთ ადგილას გაშეშდა და რაღაცას ჩაუფიქრდა... აი, იგი კვლავ კედელთან გაჩნდა, სწორი, სუფთა ადგილი მოძებნა, კენჭი ხელში შეატრიალა, წვეტიანი მხარე მოუძებნა და მუშაობას შეუდგა. მალე კედელზე სიტყვა „მუჰამედი“ ამოიქარგა. ბიჭუნა ოდნავ მოშორდა კედელს და ნაწერს კრიტიკულად აავლ-ჩაავლო თვალი. ასოები თხელი და მიბრეცილ-მობრეცილი ეჩვენა. იგი კვლავ კედელთან მივიდა, დაიხარა, ხელი კეფაზე დაიდო და სიტყვა „მუჰამედში“ მთელი ყურადღება „მ“-ზე შეაჩერა. მაგრამ კმაყოფილი არც ახლა დარჩა და კედელზე მეორე „მ“ მიაწერა; არც ის მოეწონა და ახლა მეტის მონდომებით მესამე „მ“ გამოიყვანა. სამივე „მ“ ერთ ხაზზე იყო და თითქმის ერთმანეთს ეხებოდა. ბიჭი მოშორდა კედელს და თავისი ნამუშევარი კვლავ შორიდან აათვალიერა, მაგრამ კმაყოფილი არც ამჯერად დარჩა. კენჭი ბრაზით მოისროლა, უკმაყოფილებისაგან ტუჩები გამობურცა და ისევ წინ გასწია.

მოულოდნელად იგი ისევ შეჩერდა, უკან გამობრუნდა და თვალით კენჭი მოძებნა. აი, შენიშნა კიდეც, დასწვდა, პაწია თითები მაგრად ჩასჭიდა და კედელზე პერპენდიკულარული ხაზი ჩამოუსვა... დიდხანს მუშაობდა. შუბლი უკვე ოფლით დაეცვარა და ხელიც დაეღალა. მუშაობა რომ დაამთავრა, კედელზე შემდეგი სიტყვები გამოიხატა: „ჩვენ, ხალხმა, მოვახდინეთ არხის ნაციონალიზაცია“.

ბიჭუნა კედელს მოსცილდა და თავის ნაწერს შეხედა. იგი მძიმედ, აღელვებით სუნთქავდა. ეტყობოდა, იგი ამ ნაწერმა არ დააკმაყოფილა, თავი უკმაყოფილოდ გაიქნია, კვლავ კედელთან მივიდა, ცალი თვალი მოხუჭა და უფრო მეტის მონდომებით შეუდგა საქმეს. ახლა კედელზე ეწერა: „ჩვენ მოვახდინეთ არხის ნაციონალიზაცია“. ბიჭიკომ სწრაფად გადახედა ნაწერს. ასოები არ მოეწონა. „ლ“ ძალზე გრძელი ეჩვენა, „ნ“ კი მკრთალი. ასოები ერთ მხარეს იყო გადაწოლილი, თითქოს პალმებს ქარმა წამოუბერაო... ბიჭმა სულის შებერვით ქვას მტვერი მოაცილა, წვეტიანი მხარე მოუნახა, ისევ კედელთან მივიდა, თვალი მოჭუტა და ხელი აამუშავა.

როდესაც წერას მორჩა, კედელს მოსცილდა და ნაწერს დიდხანს უცქირა. აძაგერად სახე კმაყოფილების ღიმილით გაუშუქდა. ქვემო ტუჩზე იკბინა, ბაყაყს გამოაჯავრა, კვლავ კედელთან მივიდა და ბოლო წინადადებას ქვეშ მიაწერა „სახხ“ — „სწორია“, და ნიშნად კმაყოფილებისა ბოლო სიტყვას გრძელი, ბზიარული კუდი გაუკეთა.

იგი უცქეროდა ნაწერს, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ მისი წაშლა აგრეთვე ადვილი არ იყო; იცოდა ჰქონდა, რომ კედელი წარწერას დიდხანს შეინარჩუნებდა, და ყველა, ვინც მას წაიკითხავდა, გაიგებდა, რომ ეს სიტყვები სწორედ მან, მუჰამედმა დაწერა.

ბიჭუნა ერთხანს ასე იდგა და თავისი ხელმწიფით ტკბებოდა. შემდეგ ფეხი მოიკაუჭა, სინდიოფალსავით შეჰყურა და ფართო, მზით გაბრწყინებულ ჭუჭას ხტუნვით მიჰყვა.

კბილი

საკვირველი იყო, რომ ამ პაწაწინა გოგონამ მისთვის სავსებით უცხო მაბაკაცს მთხოვა — თაგზე შემოდგმული ტვირთის შესწორებაში მომეშველეო. მომმართა ისე, უბრალოდ, გულუბრყვილოდ. ტვირთი ვეებერთელა იყო: უზარმაზარ ლანგარზე შემწყვარი კარტოფილი ეწყო, ზემოდან კი ღვეზელებით სავსე თუნუქის ტაფა იყო მოთავსებული. ტაფა ტორტმანებდა და საცაა გადმოვარდებოდა კიდეც. სასოწარკვეთილი გოგონა გამხდარი ხელებით ამაოდ ცდილობდა წონასწორობის აღდგენას.

თვალის ერთი მოვლებით შევნიშნე ეს ყოველივე და დასახმარებლად მის გვერდით გავჩნდი. მაგრამ ტვირთის წონასწორობის აღდგენა ასე ადვილი როდი გამოდგა. ლანგარს გავასწორებდი — ტაფა ვარდებოდა, ტაფას შევასწორებდი და ლანგარი ყირავდებოდა. ბოლოს როგორც იქნა ორთავეს თავთავისი ადგილი ძოვუნახე, მაგრამ გოგონამ მოულოდნელად თავი ოდნავ დახარა და საჭირო შეიქნა ყველაფერი ხელახლა დაგვეწყო. როგორც იქნა დაგვირგვინდა საქმე — გოგონას თაგზე წამოდგმული ტვირთი აღარ ირხეოდა. მე მაინც ვურჩიე •ბავშვს— სახახაზოში შებრუნდი (სახახაზო იქვე იყო), ტაფა იქ დატოვე და მის წასაღებად მეორედ მოდი-მეთქი.

ვერ მივუხვდი, დამიჯერა თუ არა; ერთხანს კიდევ იდგა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ტვირთი აღარ ვარდებოდა, ბოლოს შეტრიალდა, რაღაც მოაძახა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას. მისი ნათქვამიდან გავარჩიე ორად-ორი სიტყვა — „სიტი-არ“ (ჩემი დისახლისი).

თვალი გავადევნე გოგონას. ვხედავდი, როგორ გადაჭრა ფართო ქუჩა, როშელზედაც ერთიმეორის მიყოლებით მიჰქროდა ავტომობილები; ვხედავდი მის დაძონძილ კაბას, გრძელ, მიხაკის ღეროს მსგავს ფეხებს, დაფლეთილი კაბის კალთიდან რომ მოუჩანდა.

ვამჩნევდი, როგორ კრთებოდა იგი. შეჩერდებოდა, მიმოიხედავდა, რამდენიმე ნაბიჯს მტკიცედ გადადგამდა, ისევ შეჩერდებოდა და ახლა ნელა მიიწევდა წინ.

დიდხანს ვადევნებდი მას თვალს. მაღელვებდა ყოველი მისი მოძრაობა, ყოველ წუთს ხომ მარცხი იყო მოსალოდნელი!

გოგონამ უკვე ქუჩის მეორე მხარეს მიაღწია. აქედან ჯერ ისევ ჩანდა. მაგრამ აჰა, იგი კვლავ ერთ ადგილას გაჩერდა და აღარ იძვროდა.

უმალ მის საშველად გავექანე და კინაღამ მანქანის ქვეშ მოვყევი. აჩქარებული ნაბიჯით მიეუახლოვდი გოგონას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ჩემი შველა არ სჭირდებოდა; ლანგარი და ტაფა ისევ ისე გაუნძრევლად ედგა თავზე, თვითონ კი მისჩერებოდა რეზინის ბურთს, რომლითაც მისი ტოლი ბავშვები თამაშობდნენ და ერთი ქრიამული ჰქონდათ შემდგარი.

გოგონამ ვერ შემამჩნია, ამოიოხრა და გზა განაგრძო, მაგრამ ვიღრე კუთხეს მიეფარებოდა, შეჩერდა, მთელი სხეულით ნელა შემობრუნდა და ხანგრძლივი მზერით დააშტერდა მოთამაშე ბავშვებს.

შემდეგ იგი ქუჩამ შთანთქა.

სანაძრეო

ზაფხულის ხვატიანი შუადღე იყო. ველ-მინდვრებს შორის გაკლაკნილ გზაზე არც ბუზი ჩანდა სადმე და არც ყვავი. პაპანება სიცხის გამო ირგვლივ ყველაფერი გარინდულ-გატრუნულიყო. ერთადერთი ადგილი, სადაც მზისაგან თავის შეფარება და დასვენება შეიძლებოდა, აშ-შაოკავის მოსაწევი დუქანი იყო, ჯოჯოხეთური სიცხით აღმოდებულ გზისპირად რომ იდგა.

დუქანში უკვე რამდენიმე კაცს შეეფარებინა თავი. ოთხი მათგანი აქაურობის მუდმივი სტუმარი იყო. ბამბის სეზონს მათი ჯიბეები სპილენძისა და ვერცხლის ფულებით დაემძიმებინა. მამაკაცები ზანტად და უხალისოდ წამოისროდნენ ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას.

მეზუთე სალიხი იყო — ლელვის გამყიდველი. იგი ლელვით სავსე კალათის წინ ჩაცუცქულიყო და მწიფე ნაყოფს ბუზებს უგერიებდა. თვით დუქნის პატრონი აშ-შარკავი ჩამქრალი პრიმუსის გვერდით მამჯდარი სთვლემდა. ერთერთ ბოძთან ქუჩების მრწყველი ფარაჯა ჩაცუცქულიყო. იგი მოთმინებით თხოვდა დუქნის პატრონს — ყალიონი მომაწევინეო, მაგრამ მისი ჩუმი მუდარა აშ-შარკავის ყურამდე არ აღწევდა.

უეცრად დუქანში უცხო პირი შემოვიდა. ეს ერთი აყლაყუდა, სარივით ჩამომხმარი ბედუინი გახლდათ. ტანთ ემოსა ჩითის ძველი ხალათი, რომელზეც გაძვალტყავებულ ფეხებს ვერ უფარავდა, წელზე ფართო შალის სარტყელი შემოერტყა, თავზე კი ბინძური კუფია ეხურა, არანაკლებ ბინძური ზონრით გადაჭერილი, რომელსაც ძაფები აქა-იქ ჩამოძენძოდა. ბედუინს თვალები ჩასისხლიანებოდა და გამხდარ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

ახლადმოსული იქ მყოფთ მიესალმა, ზურგიდან პაწაწინა ბატკანი გადმოიღო, იატაკზე დასვა და წყალი მოითხოვა. ბატკანმა მოულოდნელად დაიბღავლა. აშ-შარკავიმ სტუმარს მიწაში ჩაფლულ სურაზე მიუთითთა, ბედუინმა წყალი დალია და იქვე მერხზე ჩამოჯდა.

უცხო კაცის დანახვაზე დუქანში მყოფნი გამოცოცხლდნენ. კითხვა კითხვაზე მიაყარეს ბედუინს. აინტერესებდათ სადაური იყო, ან სად მიდიოდა, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო როდესაც შეიტყვეს, რომ მას არც თრიაქი ჰქონდა, არც ფული და არც აქლემი ჰყავდა, აიმარიზნენ და ქედმაღლურად დაუწყეს მზერა.

როდესაც დუქანში კვლავ მოწყენილობამ დაისადგურა, სალიხმა ბუზებს თავი მიანება და საუბრის გაბმა სცადა. მან სიტყვა ლეღვზე ჩამოაგდო. უქებდა ნაყოფს სიტკბოსა და ნოყიერობას. ახლა მხოლოდ იგი ლაპარაკობდა. დანარჩენები უსმენდნენ და ნერწყვს ყლაპავდნენ.

ხუთ ცალ ლეღვს თავისუფლად შეეჭამო, ამბობდა სალიხი, მაგრამ რადგან სხვები დაეჭვდნენ, მან განაცხადა — შემეძლო მთელი კალათი ლეღვი შემეჭამოო.

ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი, ახლა „არაბების შეიხს“ — ბედუინსაც შეეკითხნენ — **შენ რა აზრისა ხარო.**

— მე ერთ შეჭმაზე ას ცალ ლეღვს შეეჭამ, — ხმადაბლა და მშვიდად წარმოთქვა ბედუინმა.

სიცილი წამსვე შეწყდა. ეს ციფრი ყველას ძალზე დიდი ეჩვენა. ხუმრობაა, ხარსაც კი გაუჭირდება ასი ცალი ლეღვის შეჭმა. ბედუინი მასხარად აიგდეს, მაგრამ იგი მაინც თავისას გაიძახოდა. სანაძლეოც კი დასდო და მძევლად თავისი ბატკანი ჩამოვიდა.

მაშინ ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა საფულე გახსნა და ფული ამოიღო. იგი იხდიდა საფასურს ასი ცალი ლეღვისას, რომელიც ბედუინს უნდა შეეჭამა.

სალიხი სახარულით ლამის ხტოდა. იგი გაფცქვნილ ლეღვს აწვდიდა ბედუინს, ხოლო სხვები კი ერთხმად ითვლიდნენ. ფარაჯამა თავისი ადგილი მიატოვა, სხვებს შეუერთდა და სალიხს ლეღვის ფცქვნაში ეხმარებოდა.

ამასობაში კი ბედუინი, თითქოს უძირო ჭაო, სწრაფად იყრიდა ხილს პირში. აშ-შარკავი ისე მისჩერებოდა ბედუინს, თითქოს სასწაული რამ მოევლინაო. დუქნის პატრონს ძილი საბოლოოდ გაფრთხობოდა და ახლა სალიხთან, ფარაჯასთან და თავის სტუმრებთან ერთად ჩურჩულით ითვლიდა ბედუინის მიერ შთანთქმული ლეღვის რაოდენობას.

ბედუინმა ორმოცი ცალი ლეღვი შეჭამა, წამით შეჩერდა და ქამარი შეიხსნა. მესამოცე ლეღვი რომ გადაყლაპა, მაშინ კი წყალი მოითხოვა. აშ-შარკავიმ სარწყავი არხიდან სწრაფად აავსო ჭიქა და მიაწოდა მას.

90 ცალი ლეღვი რომ შეჭამა, ბედუინმა კვლავ წყალი დალია, შემდეგ მაგრად დაბრყინა და განაგრძო ჭამა. როგორც იქნა, მოათავა დთქმული ციფრი, დამსწრეთა სადღეგრძელოდ ერთი ზედმეტი ლეღვიც გადაყლაპა, წამოდგა და დუქანში მყოფთ თვალი მოავლო. ყველანი გაოცებულნი დუმდნენ.

ბედუინი წუთით უძრავად იდგა და სულს იბრუნებდა. შემდეგ კრავს დასწვდა, კვლავ ზურგზე მოიგდო, გამოეთხოვა ყველას და, ვითომც აქ არაფერიაო, გზას გაუდგა.

ვიდრე ბედუინი თვალს მიეფარებოდა, მას რამდენიმე წუთი გაოცებული თვალი მისჩერებოდა. შემდეგ კი ყველა ერთხმად ალაპარაკდა:

— ეგ კაცი დასალეთ არაბეთიდანაა, მან, რასაკვირველია, ლეღვზე ჯადო იხმარა და, ვიდრე ჭამას დაიწყებდა, ჯინთან დაიჭირა საქმე, — ამბობდა აშ-შარკავი და ნათქვამს თავის ქნევით ადასტურებდა.

— ალბათ მას მუცელში დიდი ჭია უზის და ის ნთქავდა ლეღვებს, — დასძინა სალიხმა.

— ბედუინებს. აქლემებისა არ იყოს, ორ-ორი კუჭი აქვთ, — თქვა ფარაჯამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ეგ ბედუინი სულ მალე გასკდება და მოკვდება, აბა ნახეთ, ერთი-ორი დღის შემდეგ მისი გვამი სარწყავ არხში სადმე ხიდქვეშ თუ არ იტივტივებს, — ენამწარობდა ერთ-ერთი გატენილი საფულის პატრონი.

ბევრი ილაპარაკეს, იმსჯელეს, ბოლოს და ბოლოს ლამის წაიჩხუბენენ კიდეც.

რაც შეეხება ბედუინს, იგი გზად მიაბიჯებდა. უკვე მუცლის გვრემა აწუხებდა, მაგრამ ამ ამბავს არაფრად აგდებდა. თავი ბედნიერად მიაჩნდა იმის გამო, რომ, როგორც იყო, გაძლო და მუდმივი შიმშილის გრძნობა გაუქრა. მომავალი სულაც არ აწუხებდა. რაც მოსახდენია, დაე, მოხდესო, ფიქრობდა.

თარგმნა **ეთერ თვარაძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სიბურაპა

ტაილანდი

ფული და შრომა

— მივეხმაროთ! — გაისმა შეძახილი და სხვებმაც ააყოლეს ხმა.

— მივეხმაროთ!

— ავწიოთ!

ხელები, მხრები, ზურგი — ყველაფერი ამოძრავდა, მუშაობა გაჩაღდა.

ეს სიტყვები გაისმის აქ თუ იქ. წინათაც გაისმოდა და ახლაც გაისმის. ეს უბრალო სიტყვებია, ყველგან გაისმის. ადამიანები მიეჩვივნენ მათ, და ჩვეულებრივ არავინ წვდება მათს აზრს.

მაგრამ ერთხელ დაიბადა კითხვა: ნუთუ ეს სიტყვები არაფერს ნიშნავენ, ნუთუ მათ არ გააჩნიათ ღრმა აზრი? ეს კითხვა აღეძრათ არა მხცოვან სწავლულებს, არამედ უბრალო, ღარიბ ადამიანებს. თვითონ ცხოვრებამ აღძრა მათში ეჭვი.

*

პატარა ქოხში, ძველი ჭილოფით მოფენილ იატაკზე, წევს შუა ხნის მამაკაცი. იგი ავადაა. მკვდრისებრ გაფითრებული სახე აქვს და უმწეო, გამხდარი ტანი. მხოლოდ მისი განიერი მხრები მოწმობენ, რომ ავადმყოფობამდე მას სავსებით შეეძლო იმედი ჰქონოდა თავისი ძალღონისა და არც სხვებისთვის დაეზოგა ძალა. და იგი ხალისით აძლევდა ძალღონეს ადამიანებს. მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა: იგი უკვე ზედმეტი ბარგი გახდა. აცახცახებული ხელებით იატაკს ეყრდნობა, ნელ-ნელა წამოიწევს, იღებს ერთ კოვზ მოხარშულ ბრინჯს და ნელა ღეჭავს. ორ-სამ კოვზს ძლივს შეჭამს და ნაღვლიანად აქნევს თავს. ცოლი ურჩევს, კიდევ ცოტა შეჭამოს. მამაკაცი გაჭირვებით გადაყლაპავს კიდევ რამდენიმე კოვზ ბრინჯს და მიწვება ჭილოფზე.

— ეტყობა, ექიმის წამალი ვერაფერს მშველის, — ამბობს ვგრძნობ, ძალღონე უფრო და უფრო მელევა. ღილით კიიანმა შემოიარა; მისი სიტყვით, იმ სწავლულ ექიმს, ჭუჩის თავში რომ ცხოვრობს, შეუძლია ჩემი მორჩენა. ოღონდ საჭიროა რამდენიმე ნემსის გაკეთება. კარგი იქნებოდა ეს საშუალებაც რომ გვეცადნა, მაგრამ ფული რომ არა გვაქვს? ჩადი მწვანე სახლში, სთხოვე მის პატრონს ასი ბათი[1] გვასესხოს.

— გვენდობა კი? ჩვენ ხომ ძალზე ღარიბები ვართ! — დაეჭვებით ეკითხება ქალი.

— ოდესღაც მან რამდენჯერმე მთხოვა დახმარება, ალბათ, არ დაივიწყებდა ჩემს სიკეთეს. ახლა ჩვენ გაჭირვებაში ვართ. წადი, სთხოვე... საქმე ხომ სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება...

საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება...

ამ სიტყვებმა აღელვა ავადმყოფის ცოლი — პუი; გულში იმედი ჩაესახა.

უკვე დამდებოდა, როდესაც პუი ჭუჩაში გავიდა და გაემართა მწვანე სახლისაკენ, რომელიც ორი კილომეტრით იყო დაშორებული მათი ქოხიდან და შესახვევის ბოლოში იდგა. როდესაც სახლთან მივიდა, პუიმ დაინახა, რომ ჭიშკარი მაგრად იყო დაკეტილი ურდულით.

იგი დიდხანს იდგა კისერწაგრძელებული და ფეხის წვერებზე შემდგარი ეკლიანი მავთულით შემორტყმულ მაღალ ღობესთან, უნდოდა დაკაკუნება, მაგრამ ვერ გაებედა. ბოლოს სახლში სინათლე აინთო, სინათლის შუქმა სახეზე შეანათა. გაისმა აჩქარებული ნაბიჯები, ჭიშკარს იქით ვიღაცა გაჩერდა.

— შენ რას დაეთრევი აქ? — გაისმა ღობის გადაღმიდან უკმაყოფილო ხმა.

პუი შეკრთა.

— მე პუი ვარ, მენის ცოლი, შესახვევის თავში ვცხოვრობთ. მე მოვედი სახლის პატრონის მოსაკითხად.

— სახლის პატრონი ასე გვიან არ ღებულობს უცნობ სტუმრებს, — იყო პასუხი.

— მაგრამ ჩემი ქმარი მენი ხომ ამ სახლის პატრონთან მუშაობდა.

— ახლა ძნელია ადამიანის ნდობა, ყოველდღე ვიღაცას ძარცვავენ ან კლავენ. სახლის პატრონს არ სურს ღამღამობით უცნობის შემოშვება.

— ჩემი ქმარი ძალზე ავადაა...

— ჩვენ უკვე ერთხელ მოგვატყუილეს, — შეაჩერა ჭიშკარს იქიდან მოსაუბრემ. — თუ რამე გინდა, დღისით მოდი. წადი, წადი აქედან.

„ეს ქალი მართალია. ახლა მართლაც ძნელია ადამიანების ნდობა, ისე ხშირად იტყუებიან!“ — ფიქრობდა პუი, როდესაც ბრუნდებოდა თავის ღარიბ ქოხში.

დილით პუი ისევ გაემართა მწვანე სახლისაკენ. ახლა იგი დაუბრკოლებლად შევიდა ჭიშკარში და ფეხებგადაჯვარედინებული დაჯდა კარიბჭესთან სახლის პატრონის მოლოდინში.

საკმარისი დრო გავიდა, სანამ გამოჩნდებოდა მკვრივად ჩასხმული კაცი — ამ სახლის პატრონი. სტუმრის დანახვისას სახეზე ჩრდილმა გადაუარა. იგი ჩაეშვა რბილ, ღრმა სავარძელში და შეხედა ქალს, რომელმაც აჩქარებით შეატყობინა, თუ ვინ იყო იგი, ან საიდან მოვიდა.

— ჩემი ქმარი უკვე დიდი ხანია მძიმე ავადმყოფია. ჩვენ გვჭირდება ფული ექიმისათვის, მაგრამ არ ვიცით, ვის მივმართოთ, — უთხრა პუიმ. — მენმა

[1] ფულს ერთეულია ტაილანდში, დაახლოებით 20 კაპიკს უდრის.

გამომგზავნა, რათა მოგიკითხოთ და დაგესესხოთ ასი ბათი. როდესაც გამომგზავნი-ბინდება და ისევ დაიწყებს მუშაობას, შევაგროვებთ ამ ფულს და დაგიბრუნებთ თქვენს ვალს დიდი მადლობით.

მწვანე სახლის პატრონს სახე ისე დაეღრიჯა, თითქოს პილპილი ძალით ჩაუყარეს პირში.

— ასი ბათი არც ისე ცოტაა, — ქედმაღლურად განაცხადა მან. — მენს მე არასოდეს არ ვიცნობდი და, საერთოდ, რისთვის უნდა დავარიგო ჩემი ფულები?

— მენმა თქვა, რომ თქვენ რამდენჯერმე გითხოვნიათ მისთვის დახმარება. ახლა ჩვენ გასაჭირში ვართ. მოიღეთ მოწყალება, დაგვეხმარეთ, — შეევედრა პუი.

— არ ვიცი, რა ვქნა, — ხელები გაშალა სახლის პატრონმა. — მართალია, მე მართლაც ვთხოვე როგორღაც მენს დამხმარებოდა — იგი ჩემთან მუშაობდა. მაგრამ ფული და შრომა სულ სხვადასხვა რამაა. რა ბედენაა შრომა! შრომა ხომ ყველას შეუძლია. შრომით რომ სხვას დაეხმარო — დიდი არაფერი დამსახურებაა! აი ფული კი — სხვა საქმეა. მისი მოპოვება არც ისე ადვილია. ფულს ყველა უფრთხილდება, ძნელი საშოვნელია.

— დიახ, ძნელი საშოვნელია, — ეჭოსავით გაეხმიანა პუი, მაგრამ არ უნდოდა შერიგებოდა უარს და განაგრძო: — ჩემი ქმარი ხომ მძიმე ავადმყოფია. და აღარ ვიცი, კიდევ ვის მივმართო.

— თანაუგრძნობ მას, — წარმოთქვა სახლის პატრონმა და სავარძლიდან წამოდგა, რითაც აგრძნობინა, საუბარი დამთავრებულიაო. — შენ უნდა შეიარო სახალხო წარმომადგენელთან [1]. მე არავარ მოვალე ვიცოდე, თუ როგორ უნდა მოიქცე ასეთ შემთხვევაში.

და უკვე ფეხზე წამომდგარმა დაუმატა:

— თუმცა, ცოტა შეიცადე...

იგი ოთახიდან გავიდა და ჩქარა დაბრუნდა ბოთლით ხელში, რომელშიც რაღაც სითხე ესხა.

— მენი ოდესღაც დამეხმარა, და მე მინდა მას ეს წამალი გავუგზავნო, — უთხრა მან და ბოთლი გაუწოდა პუის; თან დაუმატა: — იქნებ წამალმა უშველოს.

მეორე დღეს მეზობლებს მოედვა ამბავი — პუი მივიდა სათხოვნელად მწვანე სახლის პატრონთან და უსულგულო უარი მიიღო.

ყველა მოელოდა, რომ მწვანე სახლის პატრონს შეეძლო დახმარებაზე უარი ეთქვა, მაგრამ იმ ამბავმა, რომ მან შეურაცხყო შრომა, რომელიც თავის დროზე დაუფიქრებლად შესწირა მას მათმა ამხანაგმა, — შელახა მათი თავმოყვარეობა და მათში ძმობის გრძნობა განამტკიცა. მაშინვე დაიწყეს ფულის შეგროვება მენის დასახმარებლად და სულ მალე ჩაიბარეს პუის საჭირო თანხა.

ექიმი წამლობდა ავადმყოფს, და მენიც თანდათან ისევ გამოცოცხლდა, გამოკეთდა, და მალე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. ერთხელ მენის ქოხში თავი მოიყარა მისმა რამდენიმე მეგობარმა. ისინი საუბრობდნენ, მენი კი ყურადღებით უსმენდა. სიტყვა შრომაზე ჩამოვარდა.

— მწვანე სახლის პატრონმა შეურაცხყოფა მოგვაყენა. ნუთუ ჩვენი შრო-

---

1 ოფიციალურად ასე უწოდებენ წევრს ტაილანდის პარლამენტისას, რომელსაც სახალხო წარმომადგენელთა პალატა ჰქვია.

მა მართლაც არაფერი არ ღირს, ნუთუ იგი არავითარ პატივისცემას არ იმსახურებს? — იკითხა ვიღაცამ.

— შეიძლება იგი მართალი იყოს და ჩვენი შრომა მართლაც არაფერი ღირდეს, — უპასუხა მეორემ. — როგორ შეიძლება შრომის შედარება ფულთან? არ შეიძლება! შრომა და ფული უსასრულოდ შორსაა ერთმანეთისაგან, — განმარტა მან. — ხომ ცნობილია, რომ ეს დაწყეველილი ფული ნამდვილად რაღაც ჯადოქარია: ფულით ყველაფერს იშოვნი. ჩვენ მხოლოდ შრომა გვაქვს და მხოლოდ ერთი რამ გვინდა — ვიყოთ მაძღრები, მაგრამ ესეც შეუძლებელია.

— როგორ მოხდა, რომ ისინი, ვისაც აქვს ფული, მდიდრები გახდნენ? — დაინტერესდა მესამე.

— სრულიად უბრალოდ: ისინი ფულით ვაჭრობენ, ფულს კი ახალი ფულები მოაქვს.

— საიდან შოულობენ სავაჭრო სახსრებს?

— ეგ კი თვითონ მათ ჰკითხე.

— აქ რაღაც სხვა არის. მე მინდოდა გამეგო, პირველად საიდან გაჩნდა ფული, — ჩაუთრთო მენმა.

საუბარი გაგრძელდა. ბოლოს ვიღაცამ იკითხა:

— რამდენი უნდა იმუშაონ მდიდრებმა, რომ უფრო ბევრი ფული ჰქონდეთ, ვიდრე ხარჯავენ? ან რატომ უნდა ვიცხოვროთ ჩვენ ასეთ სიღარიბეში?

— მდიდრები თავს არ იწუხებენ, ნამდვილად იმათ კი არა, ჩვენ გვიხდება მუშაობა, ვიდრე სული არ ამოგვძვრება, — უპასუხა ერთმა მეზობელმა, მენს შეხედა და ჰკითხა: — ეს შენა თქვი, ფული ჰქმნის ყველაფერსო?

მენმა ხელი გაიქნია:

— არა, მე არ მითქვამს, ფული ქმნის ყველაფერს-მეთქი!

დანარჩენები მიბრუნდნენ მისკენ, თან ინტერესით უცდიდნენ, კიდევ რას იტყვისო.

ნელ-ნელა, თითქოს სიტყვებს წონისო, მენმა განაგრძო:

— ვისი ღონიერი ხელები აწვენს ძირს ტყეში ხეებს? ვინაა დღედაღამ, სიცხესა და წვიმაში რომ აცურებს ტივებს მდინარეში? ვინაა, მთელი დღე წელში მოხრილი რომ ხერხავს მორებს ფიცრებად, რომლითაც სახლებს აშენებენ? ბოლოს, ვინაა, ხელს რომ წამოავლებს ხის უროს და ერთობლივი შეძახილებით მიწაში არჭობს ხიმინჯებს? გადის დრო... იზრდება სახლი, გადაიქცევა სასახლედ. მაგრამ ვინ აშენა ეს ლამაზი სახლები? განა ისეთმა ღარიბმა და ბედკრულმა არ ააშენა, როგორც შენ ხარ? — მიუბრუნდა მენი თავის ამხანაგ ხუროს. — ნუთუ ფული ჰქმნის ყოველივე ამას? არა! ჩვენი მარჯვე ხელები, ჩვენი შრომა!

მეგობრები ჩუმად უსმენდნენ მენს და მოწონებით აკანტურებდნენ თავს. ის კი განაგრძობდა:

— თაკარა მზეში ვინ მისდევს ურან უღელში შებმულ ხარებს და ხნავს მიწას? წყალში მუხლამდე ჩამდგარი ვინ თესავს ბრინჯს? გაივლის ცოტა დრო და მთელ მინდორზე უკვე ამობინდება ბრინჯის თავთავები. მთელი ჩვენი ქვეყანა იმითი იკვებება, ნაწილი ბრინჯისა საზღვარგარეთაც კი გაქვეთ და ცვლიან ძვირფას ნივთებზე, რომლებიც მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი. მაშ ვინ თესავს ბრინჯს და ვინ კვებავს ყველას? ვინ აძლევს ადამიანებს სიცოცხლეს? თქვენ, ღარიბი გლეხები! — ჩაილაპარაკა მენმა და მიუბრუნდა მეორე მეზობელს: — ვინ გადაწყვიტა, ფული ჰქმნის ყველაფერსო, ვინ თქვა მდიდრებმა უნდა იბატონონ ჩვენზეო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა დუმდა. ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდნენ მენს.

— ვინ ამტვრევს თოხით ბელტს ბელტზე, ვინ თხრის არხს მიწაში, საიდანაც ხალხი ღებულობს წყალს და რომელზედაც ისინი დადიან? ვინ ეზიდება თავისი მხრებით მიწას, რომ გააკეთონ გზა, რომელზედაც ლტაკები ფეხით დადიან, მდიდრები კი, კმაყოფილნი, მანქანებით დასეირნობენ? — მენი დაჩუმდა, შეხედა თავის მეზობელს და ჰკითხა: — განა ეს შენ არა ხარ, მშრომელო, რომ თხრი არხებს და აშენებ ხიდებს? — მწარედ ჩაიცინა და განაგრძო: — ასე რომ, ყველაფერს ფული ქმნის თუ შრომა? წინათ მე არასოდეს არ დავფიქრებულვარ ამაზე. მაგრამ როცა გავიგონე მწვანე სახლის პატრონის ზიზღით აღსავსე სიტყვები, მიმოვიხედე ჩემს გარშემო და დავინახე ის, რაც ახლა თქვენ მოგიყვეთ.

დიდხანს არ მიჩუმებულა ასეთი საუბარი უბრალო ადამიანებს შორის. ისინი წინათაც არა ერთხელ იყრიდნენ თავს აქ, მენის სახლში, რათა საუბარში მოეკლათ დრო. მაგრამ მაშინ ეს იყო უძლურთა დრტვინვა. ახლა მათ ხმაში გაისმა სიმტკიცე და დამაჯერებლობა. ისინი მიხვდნენ. სიმართლის გასაგებად სრულიადაც არაა საჭირო, წახვიდე სწავლულებთან. მათი საკუთარი ცხოვრება იქნება საუკეთესო მასწავლებელი. საჭიროა მხოლოდ მათი გამოღვიძება და უკეთ გარკვევა ვითარებაში.

*

უმთავარო, უკუნი ღამე იყო. საღამოდან მოყოლებული ჟინჟღავდა წვიმა. გარშემო ყველას ღრმად ეძინა. უეცრად შესახვევიდან გამოიჭრა აქეთ-იქით მოქანავე ავტომანქანა და ნელ-ნელა დაიწყო გასვლა წვიმით წალეკილ შარაგზაზე. ძალიანაც ცდილობდა მძღოლი გარშემოეცლო ნარვალებისთვის, მაგრამ მანქანა მაინც მოხვდა წყლით დაფარულ ნარვალში. მძღოლმა გადართო სიჩქარე, მაგრამ მარჯვენა თვალი მხოლოდ ბუქსაობდა და ისროდა წყლის შხეფებს. მანქანა კი არ იძვროდა. მძღოლმა ისევ ჩართო სიჩქარე, მაგრამ ამაოდ; დაბუქსავებული ბორბალი სულ უფრო ღრმად ეფლობოდა მიწაში.

გრილი ღამე იყო, მაგრამ მძღოლის სახე ოფლისაგან ბზინავდა. იგი ფერმკრთალი იყო, აღგზნებულ თვალებში აღელვება ეხატებოდა. მან უმწეოდ ჩამოუშვა ხელები, უმიდოდ ამოიოხრა და ამოიკვნესა:

— ოი ბუდავ, ნუთუ არ გაქეს ჩვენი სიბრალული? — ეს იყო მწვანე სახლის პატრონის ხმა.

— შენ ხომ არასოდეს არ გაგიკეთებია მისთვის სიკეთე, ის რატომღა უნდა იყოს ჩვენი შემბრალე? — გაისმა მანქანიდან ქალის ძლივს გასაგონი სუსტი ხმა.

— როგორ თუ არასოდეს? — სწრაფად შეეპასუხა მამაკაცი, თითქოს ცდილობდა ყოველისშემძლეს გაეგონა მისი ხმა. — გასულ თვეს ბუდას დაბადების დღისთვის[1] ათასი ბათი შევწირე.

— შენ თვითონ არ ამბობდი, რომ ეს ფულების შეწირვა მათი საკუთარი სავაჭროში დაბანდებაა? — შეესიტყვა ქალის ხმა. — შენ ამასაც ამბობდი, რომ წირავ ათასს, ჯილდოდ კი ათჯერ უფრო მეტს ღებულობ. ნუთუ ბუდა ასეთ საჩუქრებს ღებულობს?

---

[1] ბუდას დაბადების დღედ ითვლება 543 წლის მაისი, სრული მთვარის დღე. ამ დღეს მიღებულია ძღვენის მიტანა და ფულის შეწირვა ბუდას ტაძრისა და ქანდაკებების აღსადგენად.

მწვანე სახლის პატრონმა ღრმად ამოიოხრა და გაჩუმდა.

ქალის ხმა, რომელიც მანქანიდან ისმოდა, მისი ცოლის ხმა იყო. იგი მძიმე ავადმყოფი იყო და სასწრაფოდ უნდა მიეყვანათ საავადმყოფოში. ისე მოხდა, რომ იმ დამეს სახლში არც ერთი მამაკაცი არ აღმოჩნდა. ვაჟიშვილები შორეთად ერთად დიდი მანქანით გაემგზავრნენ სასეირნოდ ბანგსონში [1]. ამიტომ ძი ას შუაღამეს თვითონ გამოიყვანა გარაჟიდან პატარა მანქანა, რომ ცოლი ექიმთან წაეყვანა.

ეყვანე სალის პატრონი ცოლს მიუბრუნდა და შეხედა. იგი იჯდა უმწეოდ უკან გადახრილი. თავი მოსამსახურის მხარზე დაეყრდნო, თვალები დახუჭული ჰქონდა. ნათურის უფერული სინათლეზე მოჩანდა გაფითრებული, ცივი ოფლით დაფარული სახე მისი ქმრისა, რომელიც თაყვანსა სცემდა ფულს, როგორც ღმერთს. ახლა კი, ამ უბედურებაში, როდესაც ფული უძლური იყო, იგი დახმარებისათვის იწვევდა სათნო კეთილსმყოფელს, რომლის წინაშე არასოდეს არ იყრიდა მუხლს და რომელიც აღარასოდეს მოჰგონებია მას შემდეგ, რაც ადამიანებზე ამაღლდა.

— მანდ, გავგიჟდები ნამდვილად! — შესჩივლა მან მოსამსახურე ქალს. — ამ ორმოდან რამდენიმე მამაკაცის დაუხმარებლად ვერ ამოვალთ. ჩვენს სახლში კი არავინაა.

დამბრმავებელმა ელვამ გაკვეთა ცა, წამით ყველაფერი განათდა ირგვლივ. გაისმა ჭექა-ქუხილის გრიალი. ავადმყოფმა ქალმა შიშით შეჰკვირა. მწვანე სახლის პატრონი გადაიხარა საზურგიდან, სიტყვა ვერ მონახა, მოეხვია ქალს მხრებზე, რათა როგორმე მაინც დაემშვიდებინა.

ავადმყოფმა წაიჩურჩულა:

— ბედა, ჩვენ გვირისხდები?

როდესაც ელვამ ისევ გაანათა გარემო, მანამ გაიხედა მანქანის გამოღებულ მინაში და თვალებში იმედის ნაპერწკალი აენთო. როგორც კი მიწყდა ჭექა-ქუხილის ხმა, მან თქვა:

— ეჭ საღლაც უნდა იყოს მენის ჭიხი. წავალ, გავაღვიძებ და ვთხოვ დაგვეხმაროს მანქანის ამოთრევაში. კარგი?

— მენი! — წამოიძახა მწვანე სახლის პატრონმა ისე ხმამაღლა, რომ მისი ცოლი შეკრთა და თვალი გაახილა. — ეს ის მენია, რომელიც ოდესღაც ჩემთან მუშაობდა. ჩქარა გაიქეცი და მოძებნე. ის უსათუოდ გვიშველის. იჩქარე! დრო არ იცდის!

მანამ ფრთხილად დააწვინა თავისი ქალბატონი მანქანის საჯდომზე და ფანრით ხელში გაემართა ქოხისაკენ, რომელიც ძლივს მოჩანდა სიბნელეში.

კარგა ხანი გავიდა, სანამ შორიდან ისევ გამოჩნდებოდა ფანრის სინათლე. გრძელი ვიწრო შუქი გასრიალდა მიწაყრილზე, რომელიც ბრინჯის მინდვრებს ჰყოფდა, და მანქანას დაეცა. სინათლე ახლოვდებოდა. ახლა მწვანე სახლის პატრონმა უკვე შესძლო გარჩევა, როგორ მოაბიჯებდა მიწაყრილზე ჩასკვნილი მამაკაცის გამოსახულება. შემდეგ ამოიღო ცხვირსახოცი, სახეზე ოფლი შეიმშრალა, რაღაც გაუბედავად და დაბნეულად შეხედა ცოლს — იგი თავჩაქინდრული იწვა.

როდესაც მენი და მსახური ქალი გადმოახტნენ გზისპირა თხრილს, მწვანე სახლის პატრონმა გააღო კარი და მანქანიდან თავი გამოყო, მძაფრი ქარი სახეში მოხვდა და იგი ერთბაშად წვიმის წვეთებით დაიფარა. ჩვეულებრივ დროს იგი როდი ჩააგდებდა თავის თავს ასეთ განსაცდელში. მაგრამ ახლა...

---

1 საკურორტო ადგილია სიამის ყურის სანაპიროზე.

— მენ, შენა ხარ? — წამოიძახა მან.

მენი მანჭანიდან ორი ნაბიჯის დაშორებით გაჩერდა. მას სარონგი[1] ჰქონდა შემოხვეული ტანზე, თავი კი პირსახოცით გაეკრა. ძლიერ მხრებსა და მკლავებს წვიმის წვეთებისაგან ლაპლაპი გაჰქონდა. ყურადღებით მიაცქერდა მწვანე სახლის პატრონს.

— დახმარება მჭირდება, — ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა ამ უკანასკნელმა. — ხომ ხედავ, მანჭანა ორმოში ჩავარდა, რა არ გავაკეთე, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. ვიწმემ რომ უბიძგოს უკნიდან, მაშინ კი დაინძრევა. მომეხმარე, მენ.

მენმა კუშტად შეხედა მდიდარს:

— ჩვენ ხომ ერთმანეთს არასოდეს არ ვიცნობდით, რისი გულისთვის უნდა შემოგწირო ჩემი შრომა?

მწვანე სახლის პატრონი მოულოდნელობისაგან შეკრთა, მაგრამ თავი შეიკავა და განაგრძო:

— მზადა ვარ გადაგიხადო რამდენიც გინდა.

— მაგრამ შრომა ხომ არაფერი ღირს, ასე არ არის? შრომა ადვილად შეიძლება იპოვო. ასე რომ მონახეთ იგი სხვაგან, — თქვა მენმა ღირსებით და გაბრუნდა წასასვლელად.

მდიდარმა დაბნეულად დაახამხამა თვალები და სასოწარკვეთილმა დაიყვირა:

— მენ, არ წახვიდე, გესმის, არ წახვიდე! ჩემი ცოლი მძიმე ავადმყოფია, ექიმთან მიმყავს. რომ დაგავგვიანდეს, შეიძლება დაიღუპოს. მენ, მიშველე რამე, გავგიჟდები.

და მწვანე სახლის პატრონი გამოვარდა მანჭანიდან. მენი ჩაციებით მისჩერებოდა:

— შრომა ხომ არაფერი არ ღირს. აი ფული კი სხვა საქმეა! სცადეთ მანჭანის ამოთრევა თქვენი ფულებით!

მენმა ეს თქვა, მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა მიწაყრილისაკენ. მწვანე სახლის პატრონი უკან დაედევნა. როდესაც მენი მიწაყრილს მიუახლოვდა, მდიდარი წამოწია, სტაცა ხელი სარონგში და ისევ დაუწყო მუდარა, რათა მიშველებოდა. მაგრამ მენმა მოიშორა მისი ხელი და როგორც კი გამოეცალა დასაყრდნობი, მდიდარი წყლით დაფარულ მინდორზე დაეცა. მენს უნდოდა განეგრძო გზა, მაგრამ ამ დროს მანჭანიდან შემოესმა ქალის აცახცახებული და სუსტი ხმა:

— თანაგრძნობა გაუწიეთ ავადმყოფ ქალს. მოიგონეთ სათნოება, გამოიჩინეთ სიბრალული!

მენი ადგილზე გაქვავდა. ქალის შესაბრალისმა კვნესამ მწვავე ტკივილად დაუარა გულში. მან ჯერ ნაბიჯი გადადგა, თავი გაიქნია, კბილები დაახრჭიალა, მიუბრუნდა მწვანე სახლის პატრონს, რომელიც ლამობდა წამოდგომას, და უთხრა:

— ჩემი გული ჯერ კიდევ არ გაქვავებულა შენსავით. დამიცადე, ახლავე დავბრუნდები.

მენი ჩქარი ნაბიჯით გაემართა მიწაყრილისაკენ, მდიდარი კი დაბრუნდა გზაზე. როდესაც მანქანასთან მივიდა, იდაყვით ჩამოეყრდნო მანქანის ფრთას

---

[1] ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც ტანზე იხვევენ. ხმარობენ ქალები ქვედა კაბის მაგიერ; ამავეთად მამაკაცებიც.

და ხარბად მიაშტერდა ჩაბნელებულ მინდორს. ყუოადღებას არ აქცევდა წვიმას. მალე ქოხში სინათლე აინთო და მდიდარმა გაარჩია შიგ მოძრავი ჩრდილები. თვალები იმედით გაუბრწყინდა. ახლა იგი ისე შეჰყურებდა ქოხს, როგორც ღმერთების სავანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მიწაყრილზე გამოჩნდნენ ადამიანები.

მენი დაბარუნდა ორ ამხანაგთან ერთად, ხელში ძალაყინი და რამდენიმე ფიცარი ეჭირა. მდიდარი შეჰყურებდა მენს, როგორც ღვთაებას. მენს სახის გამომეტყველება წინანდებურად მკაცრი ჰქონდა, არც კი შეუხედავს მწვანე სახლის პატრონისათვის და არც ერთი სიტყვა არ დაცდენია.

მენი მაშინვე შეუდგა საქმეს. მიწა შემოუთხარა ორმოში ჩამჯდარ ბორბალს, შეუგდო შიგ ძალაყინი და მიაწვა თავისი მძლავრი ხელებით. ბორბალი ამოწია — მენის მეგობრებმა მარდად შეუდგეს ბორბალს ფიცარი. მენი დაიხარა, მოიწმინდა სახიდან ოფლი, რომელიც წვიმის წვეთებს შერეოდა, გადაავდო ძალაყინი და მდუმარედ მდგომ მდიდარს უთხრა ჩამჯდარიყო მანქანაში და აემუშავებინა.

მწვანე სახლის პატრონი მორჩილად შევიდა მანქანაში და ფეხი დააჭირა სტარტერს. მენი დაიხარა, ხელი სტაცა ტალახში ამოსვრილ საფეხურს და მანქანის აწევას შეუდგა, მისი ამხანაგები კი მანქანას უკნიდან აწვებოდნენ.

— ავწიოთ! — იყვირა მენმა.

— ავწიოთ! — უპასუხეს ამხანაგებმა.

მძღოლმა ჩართო სიჩქარე და ერთობლივად წაბიძგებული მანქანა ამოძვრა ორმოდან.

მდიდარმა გააჩერა მანქანა, კარი გააღო, გამოყო თავი გარეთ და თქვა:

— მადლობელი ვარ, მენ! ჩვენ თუ ექიმს მივუსწარით და ჩემი ცოლი სიკვდილს გადარჩა, ეს მხოლოდ თქვენი დახმარების წყალობით იქნება.

— როდესაც მე გკვდებოდი, შენ ხომ არ დამეხმარე, — უპასუხა მენმა.

— ჩვენ მხოლოდ ბუდას შევეჩიჩინებთ, მაგრამ არასოდეს არა ვყოფილვართ ასე ახლოს ყოველსშემძლებელთან, როგორც თქვენ, ღირიბები ხართ, — მოისმა მანქანიდან ქალის სუსტი ხმა.

მოტორი აგუგუნდა. მანქანა გზატკეცილზე გავიდა.

მენმა აიღო ძალაყინი, გაიდგა მხარზე და ამხანაგებთან ერთად წვიმაში გაემართა ქოხისაკენ, რომელიც სიბნელეში არ მოჩანდა.

თარგმნა **მარიამ აგიაშვილმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭეჭელაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

ფანტაზიები

უმაღლესი მათემატიკა

„ჩემო ძვირფასებო! უკვე დიდი ხანია, თქვენი ბარათი აღარ მომსვლია. რატომ აგვიანებთ ასე? მე ნუ მომმაძავეთ, ჩემგან ნუ იღებთ წერილების გვიანგვიან წერის მაგალითს. მე შეიძლება მთელ თვეს ვერ მოვიცალო, თავისუფალი დრო არც ისე ბევრი მრჩება. ადვილი ხომ არაა ამდენ სიახლესთან შეგუება! ძველებური ცხოვრება სხვა იყო, აქ სულ სხვაა.

წარმოიდგინეთ, სისხამ დილას საყვირის ხმაზე ვდგებით, ცოტას წავივარჯიშებთ, შხაპს მივიღებთ ან აზოვის ზღვაში ვიბანავებთ, ვისაუზმებთ და მაშინვე ვვეწყება მეცადინეობა. შემდეგ რამდენიმე საათს სამწყობრო მომზადება გვაქვს, მერე ისევ თეორიული მეცადინეობა და ასე. მორიგეობით გვიწევს ხოლმე ხან ჩვენი საცხოვრებლის დერეფნების მორეცხვა, ხან სამზარეულოში კარტოფილის ფცქვნა (გახსოვს, გიგლა, ბებიამ რომ ნახევარი კილო კარტოფილის გაფცქვნა გვთხოვა ქუთაისში და ჩვენ რომ ქვა ავაგდეთ და თავი შევუშვირეთ— ეგ რა ვაჟკაცის საქმეაო! თურმე არაფერი გვცოდნია, ბიჭო, ცხოვრებისა! ნახევარი კილო რა მითქვამა, მთელი ტომრების გაფცქვნა გვიწევს ხოლმე. დედიშენის შვილი ხარ და უარს იტყვი — აქ ასეთ რამეებზე ხუმრობა არ იციან!).

ეხლა ლოგინის დალაგება თქვით! ჩვენმა კაპიტანმა (ილინი-თქო, რომ გწერდით, ძალიან კარგი კაცია-თქო) ერთხელ თვითონ გვიჩვენა როგორ უნდა ლოგინის გასწორება სწრაფად და ლამაზად. პირველად რომ შევხედე, ვიფიქრე — ამას რა უნდა-მეთქი, ერთი, ორი და მზად არის-მეთქი. მაგრამ თურმე ნუ იტყვი, არც ისე ადვილი ყოფილა ისე გაასწორო ლოგინი, რომ სიჩქარეში სხვებს არ ჩამორჩე და თანაც მთელ პალატაში ყველა ლოგინი ზუსტად ერთნაირად იყოს დალაგებული... ეხლა ტანსაცმლის გაწმენდა! თურმე ჯარისკაცის ქამრის ბალთა, ჩექმები თუ ღილები სულ მუდამ სარკესავით უნდა კრიალებდეს.

სხვა რამეც ბევრია ისეთი, რაც წინათ უცნაურობად მომეჩვენებოდა. მაგალითად, როცა ქალაქში გაგვიყვანენ და ქუჩაში დამწკრივებულება მივდივართ,

---

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქეთ-იქით გახედვა არ შეიძლება, თავი სწორად, გამართულად უნდა გეჭიროს და ასე გამართულ-გაუხმელი უნდა მიდიოდე. პირველად გვეძნელებოდა ასე სიარული, ერთი სული გვქონდა ირგვლივ ყველაფერი დაგვეთვალიერებინა. მაგრამ ეხლა შევეჩვიეთ და ძალიანაც მოგვწონს. განსაკუთრებით სასიამოვნოსაა, თუ ვინმე გამვლელმა ჩვენზე თვალი შეაჩერა და ჩვენმა ერთმა მოხიბლა. აბა მაშინ უნდა ნახოთ, როგორ გავიჯგიმებით, ფეხს რა მოხდენილად შევაწყობთ ხოლმე. ასეთ დროს ვასო და შალვა აუცილებლად სიმღერას წამოიწყებენ. ოშვიათი პირველი-მეორე აქვთ და ბევრი კარგი სიმღერაც იციან. ზოგიერთი სიმღერა სწორედ მარშით სიარულისათვის არის ზედგამოჭრილი. მაგალითად, ერთი მშვენიერი ძველი სიმღერა ყოფილა —

მაღლობზე გადმომდგარიყო
თვალუუყურებ თეთრი ქალიო.

სასწავლებელში ათიოდე ქართველი ვართ. შალვას და ვასოს უცებ ბანს ვეტყვით ხოლმე და მშვენიერი სიმღერა დაგუგუნდება. აქ ყველას მოსწონს ქართული სიმღერები. გამვლელ-გამომვლელებიც, როგორც ვატყობთ, ძალიან გაკვირვებულნი ხან ისამოვნებენ რჩებიან მათთვის ამ უცხო ჰანგებით.

ასეთ დროს ჩვენს თავს უკვე ნამდვილ სამხედროებად წარმოვიდგენთ ხოლმე. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რაღა გვაკლია ნამდვილ სამხედროობას — ფიცი უკვე მივიღეთ, საყარაულო ვახტზეც ყოველ ჩვენგანს უკვე რამდენჯერმე მოუწია დგომამ, პარაშუტით ხტომაც ვისწავლეთ, კარგად ფრენაც და სხვა ბევრი რამეც.

ერთი სიტყვით, აქაური ცხოვრებით ეხლა ძალიან კმაყოფილი ვართ. ერთადერთ ხინჯად გულში ის ჩამრჩა, რომ ჩემი სურვილი იყო გამანადგურებლის მფრინავი გამოვსულიყავი, მაგრამ წელს ამ სახის მფრინაობაზე მიღება არ ყოფილა და, მეტი რა ჯანი მაქვს, ისევ ბომბდამშენზე ფრენას ვსწავლობ“.

. . . . . .

გადავიკითხე ახალდაწერილი სახლში გასაგზავნი ბარათი და გულში გამეცინა: არა, მართლა ძალიან უმოქმედნია ჩემზე ეს ახალი ცხოვრებას. ეტყობა, გაბერუებული ვარ, ჩემი ძველი ბუნება იცვლება, ახალი კი ჯერაც არ ჩამოყალიბებულა და ჩემი თავი ვერ მიპოვნია. აბა რამ დამაწერინა ასეთი ოფიციალური წერილი, თითქოს შინაურებს კი არ ვესაუბრებოდი, ვინმეს ანგარიშს ვაბარებდი. ნუთუ ორი-სამი თბილი სიტყვაც ვერ ვიპოვე, რომ ჩემიანებისთვის მეთქვა?

მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არა მაქვს. სასწრაფოდ მივაწერე ბოლო სტრიქონები, კონვერტი დავაწებე და სამეცადინო ოთახისაკენ გავეშურე. იქ უკვე მელოდებოდა ვასო.

*

იმ დღის შემდეგ, რაც პარაშუტით გადმოხტომაზე სირცხვილი ჰამა, ვასოს ველარ ვცნობდით: დარდი გულში ჩაიხვია, განმარტოვდა, ჩვენთან ლაპარაკებაც არ უნდოდა (თუ რაცხენოდა!), ფიქრიანი და გულჯავრიანი კიდე-კიდე დადიოდა. ჩვენ ვწუხდით, გარს ვუტრიალებდით მეგობარს, მაგრამ ვერაფერი გაგვეწყო; შალვა და მე იმ აზრს ვადექით, როგორმე ვასო ჩვეულებრივ მხიარულ ცხოვრებაში ჩავითრიოთ-თქო, პარაშუტი და გადმოხტომა არც ვუხსენოთთქო. მაგრამ ვასო ვერაფრით ავიყოლიეთ — ვერც სანაძლეოებით, ვერც სიმღერა-გართობით, თამაშით თუ წიგნებით. დილიდან, მეცადინეობის დაწყებისთანავე, უკანა მერხზე მარტოდ-მარტო ჩამოჯდებოდა, თავს ჩაღუნავდა და იყო ასე გარინდებული, თავის ფიქრებში გართული. სამწუხარო მეცადინეობაზეც

ძველებურად აღარ გაისმოდა მისი წკრიალა პირველი და, საცხოვრებლისაკენ მარშით რომ ვბრუნდებოდით, ოცმეთაური ამაოდ ეხვეწებოდა — სიმღერა წამოიწყეთო. ვასოს მაგივრად სიმღერას გელა ნანობაშვილი იწყებდა და თავისი ხრინწიანი ხმით გამხნევების ნაცვლად გვაღიზიანებდა მეცადინეობით დაღლილ კურსანტებს. ბიჭები ერთი-ორი ტაქტის წამღერებას აცლიდნენ ხოლმე და მერე აურევდნენ: ზოგი უდროოდროს ჩაებმებოდა სიმღერაში, ზოგი ჰანგს ძალად ამახინჯებდა. ამაზე გელას გული მოუვდებოდა, სულაც ჩაჩუმდებოდა და ასე გაბუტულებივით მოვდიოდით ყველანი.

— ოცეულო, ნუ ჩამოგიშვია ცხვირი! — შესძახებდა ვითომ ჩვენს გასამხნევებლად ოცმეთაური კუპუხიძე და ახლა თვითონ წამოიწყებდა: — Если завтра война, если враг нападёт...

მაგრამ კუპუხიძის უბედურება ის გახლდათ, რომ, თუმცა სმენაზედაც მწყრალად არ იყო და მის ხმასაც არა უშავდა, გაჭირვების დროს გამოდგებოდა, — მაგრამ სამინელი აქცენტი ჰქონდა, რუსულად სიტყვებს სწორად ვერ ამბობდა და ძალიან სასაცილო მოსასმენი იყო მისი „ვოინა“ და „ნაპადიოტ“... ჩვენ სიცილი აგვიტყდებოდა ხოლმე და კუპუხიძის „მომღერლის კარიერაც“ ამით მთავრდებოდა. ასე რომ ბოლოსდაბოლოს მართლა დაძმარებულნი ვბრუნდებოდით და შურით ვუსმენდით, როგორი მწყობრი გუგუნით მოალყვდნენ სხვა ოცეულები.

უშანგის სხვა შეხედულება ჰქონდა ვასოსთან ურთიერთობის საკითხზე. მას საერთოდ არ უყვარდა „პოლიტიკა“ და „გულის მოსაფანი“, მანუგეშებელი სიტყვების თქმა. „გულის მოფხანა რაღა ჯანდაბაა, ფხანა ქეცმა იცისო“ — ხშირად მოგვაგონებდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივის სიტყვებს. — კაცმა თუ რამე მიჰქარა, პირში უნდა უთხრა, მეორედ აღარ მიჰქარავსო, — ეს იყო მისი ცხოვრებისეული დევიზი და ამ დევიზს მტკიცედ ადგა კიდეც. ამიტომ როდესაც მე და შალვამ გადავწყვიტეთ ვასოსთან „დამალობანა გვეთამაშა“, მის შელახულ თავმოყვარეობას ასერიგად გავფრთხილებოდით, უშანგი უკმაყოფილოდ აბუზღუნდა, ერთი-ორ დღეს ჩვენი ხათრი დაიჭირა, შემდეგ კი ველარ მოითმინა და, ერთ მშვენიერ შაბათ საღამოს, როცა ვასომ კლუბში წამოსულაზე უარი განაცხადა, მოურიდებლად მიახალა მეგობარს:

— რა გააჩირე საქმე, დალოცვილო! რა გადაგვაყოლე იმ შენს პარაშუტსა! თუ მართლა გული გერჩის, აი, მეორედ წაგვიყვანენ და მაშინ ნუღა იდეღლებ. თუ არა და რა ჩვენი გადასახდელია შენი გაფუჩებაა!

ყოველი ჩვენგანისაგან ვასო იმით გამოირჩეოდა, რომ მეტისმეტად, ავადმყოფურად თავმოყვარე იყო. უშანგის სიტყვებზე გველაკბენივით წამოიჯრა ლოგინიდან, რომელზედაც მიწოლილიყო დასასვენებლად, ერთი ეი ჩაილაპარაკა — ფუი შენს კაცობასო და ოთახიდან გავარდა.

ოთახში დარჩენილთ გუნება გაგვიფუჭდა. რაღას ვიზამდით — ვასოსთვის უკან გამოდგომას და შემორიგების ცდას აზრი არ ჰქონდა, არა და კლუბში წასვლის ხალისიც დაგვეკარგა. შალვამ უიმედოდ ხელი ჩაიქნია და თავის საყვარელ ვაჟა-ფშაველას ჩაუჯდა; უშანგიმ შინაურებისათვის წერილის მიწერა დაიპირა. მე ერთხანს უსაგნოდ ვიბორიალე, მერე კი გადავწყვიტე საპარაკმახეროში წავსულიყავი და წვერი გამეპარსა: სადღაც ამოკითხული მქონდა — წვერის გაპარსვა ადამიანს კარგ გუნებაზე აყენებსო. უფრო კი გულმა იმიტომ გამიწია საპარიკმახეროსკენ, რომ იმედი მქონდა — ჩვენი საყვარელი ძია მიშა, ცხოვრებაში გამობრძმედილი და ათასგან ნამყოფი, მუდამ მხიარული დალაქი, რამდე-

ნიმე გონებამახვილ ანეგდოტს ან საინტერესო რამე ამბავს იტყოდა და ამაზე გულს გადავაყოლებდი.

საპარიკმახეროში ორად ორი კლიენტი დამიხვდა. ერთი უკვე სავარძელში იჯდა და იპარსებოდა, მეორეს კი გაზეთში ჩაეგრო თავი და რიგს ელოდებოდა. ან კი ვინ მოცდებოდა ასეთ მშვენიერ საღამოს! ვისაც თმა ჰქონდა გასაკრეჭი ან წვერი მოსაპარსი, ადრევე მოეთავებინა ეს მოსაწყენი პროცედურა და ახლა ყველას თავთავისი გასართობი მოენახა.

— ა-ა, პრინცი ჩვენელაშვილი! — ღიმილით გაშალა ხელები ძია მიშამ. — მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრძანდით! თქვენი მონა-მორჩილი ორ წუთში განთავისუფლდება და შეეცდება თქვენი ბრწყინვალება სანიმუშოდ გაფხიკოს... ოი, პარდონ!.. — დაატანა სასწრაფოდ, რადგან ლაპარაკში გართულს მაკრატლის წვერი შიგ ყურისძირში ეჩხვლიტა კლიენტისათვის და იგი უსიამოდ იღრიჯებოდა.

ახლაღა ვიცანი სავარძელში მჯდომი კლიენტი — ეს იყო კაპიტანი ილინი. კაპიტანმაც მიცნო, სარკეში ოდნავ გამიღიმა და თავის დაქნევით სალამი მომცა.

ძია მიშას მხიარული ენის ტარტალის თავი აღარ ჰქონდა: მოულოდნელი მარცხით ნირწამხდარი, აფუსფუსებული თავს დასტრიალებდა სავარძელში მჯდომს და გამალებით აწკაპუნებდა მაკრატელს. მე იქვე მრგვალ მაგიდაზე მდებარე „პრავდის“ ნომერი ავიღე, გადავშალე მეხუთე გვერდზე, სადაც იმხანად სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები საერთო სათაურით — „ომი დასავლეთ ევროპაში“. ჯერ დასავლეთ ევროპის რუკას დავადგი თვალი; შავი ისრები აღნიშნავდა გერმანელთა ჯარების წინსვლას საფრანგეთის შუაგულისკენ, პარიზისაკენ. რა მცირე მანძილია დარჩენილი ამ ჯარებსა და საოცნებო ქალაქს — პარიზს შორის! ერთი ნახტომიც და ფაშისტები ამ უმშვენიერესი დედაქალაქის მისადგომებთან იქნებიან. ნუთუ უნდა დაინგრეს, გაპარტახდეს და გავერანდეს ფრანგი ხალხის ხელით შექმნილი უნიკალური ძეგლები, იშვიათი ნაგებობანი, კულტურის კერები, მხოლოდ იმის გამო, რომ ორმა მოქიშპე მთავრობამ ორ ხალხს თავს მოახვია საძულველი ომი და სისხლისღვრა! ამ შემაძრწუნებელი აზრის პასუხი იქვე ვიპოვნე: აჰა, მადლობა ღმერთს, მოუფიქრებიათ! — გაზეთში დაბეჭდილი ცნობა იუწყებოდა, რომ პარიზი ღია ქალაქად გამოეცხადებინათ და საფრანგეთის სარდლობას დადაეწყვეტა უარი ეთქვა მის დაცვაზე თვით ქალაქის შიგნით. ბრძოლები მხოლოდ პარიზამდე და პარიზს იქით წარიმართებოდა. ეს კარგი, მაგრამ თვითონ გერმანელების მიერ პარიზის აღება! როგორ აირია ევროპა. რა ხანძარია გაჩაღებული! ჩვენც რომ მოგვწვდეს იმ ხანძრის ალი. ჰა? რა მოხდება, რა დავკარგოთ თავს, ვინ იცის? თუმცა...

— კურსანტო ჩვენელაშვილო, დღეს საღამოს, როცა მოიცლით, ჩემსას შემოიარეთ, — მომესმა ფიქრში გართულს. ავიხედე. წვერგაპარსული ილინი თავს წამომდგომოდა. ფიცხლად ზე წამოვიჭერი, გავიშმე და ვუპატაკე:

— არის შემოვიარო, ამხანაგო კაპიტანო!

ჩემს ზედმეტად ოფიციალურ პატაკზე და „გაშტრიკინებულ“ შესახედაობაზე ილინს გაეღიმა, არა, კი არ გაეღიმა, თვალები მხიარულად აუციმციმდა.

— ეს ბრძანება არაა, — წყნარად თქვა მან. — თუ მოიცლით, ისე შემოიარეთ, შინაურულად, ერთი რჩევა მინდა გკითხოთ.

უცბად შეტრიალდა, კარი გაიარა და სადალაქოში მყოფნი პირდაღებულნი დაგეტოვა.

— არა, გეთაყვა, არა! პარდონ, დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენ ვერ დაგსვამთ! უფროსობაში გამორჩეულ პირს ლოდინი არ შეჰფერის! — სხაპა-სხაპით

მიაყარა ძია მიშამ ჩასაჯდომად გამზადებულ კურსანტს, ხალათი შეისწორა, სასაცილოდ გაიჯგიმა, შემდეგ თავი მდაბლად დამიკრა და მომახსენა: — მაქვს პატივი მოგებსახურო, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ჩემი ჯერი არ არის, როგში ეგ იდგა, — გამეცინა მე.

— როგშიო?! რას ნიშნავს „როგში ეგ იდგა“? თქვენს ბრწყინვალებას კაპიტანთან აუდიენცია მოელის და რა დროს როგია? ჩვენ უბრალო მოკვდავნი ვართ, მოვითმენთ, არა უშავს რა! — და კვლავ მდაბლად დამიკრა თავი.

სიცილით ჩავჯექეი სავარძელში. მოხითხითე დალაქმა საყელოში ხელსახოცი ჩამიტანია და მაგრად გამინასკვა, ისე მაგრად, რომ ყელის ძარღვები დამეზერა.

—Терпи, казак, атаманом будешь! — პათეტიურად შეჰყვირა ძია მიშამ და ის იყო მაკრატლისკენ წაიღო ხელი.

— ღორები!.. თქვენი... — მოგვესმა ამ დროს ძალზე გაბოროტებული ხმა. ორივენი შემკრთალნი შევბრუნდით: ის კურსანტი, ვისი რიგიც იყო კანონით, გაგულისებული მიემართებოდა გასასვლელისაკენ.

— რა სულელია... ერთი ბეწო იუმორის გრძნობა არა ჰქონია, — ნაწყენი ხმით ჩაილაპარაკა ძია მიშამ და ამ დროს კურსანტმა კარი ისე გაიჯახუნა, მთელი სადალაქო შეზანზარდა.

ასეთი სირეგვნე კაცს როგორ არ გააცოფებდა! ჩემთვისვე მოულოდნელად სისხლი თავში ამივარდა, წამოვხტი, კარებს ვეძგერე, გარეთ გამოვიჭერი და ჭით გავექანე, საითაც ის ახირებული კურსანტი მიალაგებდა. არ ვიცი, იმ წუთას რომ დავწეოდი, რას ვეტყოდი, რას ვუზამდი. ეს კია, ისე მჭონდა წონასწორობა დაკარგული, შესაძლოა ურიგოდ მოვქცეულიყავი.

მაგრამ ვიღრე იმ ახირებულ კურსანტს დავეწეოდი თავგზაარეული მოულოდნელად ვიღაცას მთელი ძალით დავეჯახე, მეც კინაღამ დავვარდი და ისიც კინაღამ წავიქეცე.

— რა ამბავია, ჩეჩელაშვილო, ვინ მოგსდევთ? — მომესმა მშვიდი ხმა.

ჩემს წინ კაპიტანი ილინი და პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორი იდგნენ. ადგილზე გავქვავდი, ვეღარაფრის თქმა ვერ მოვახერხე და თავი რომ ჩავღუნე, მაშინღა შევნიშნე: გულზე, სუფრას მოგებენილი პატარა ბალიის მსგავსად, ძია მიშას თეთრად მოქათქათე ხელსახოცი მქონდა აფარებული. ამან უფრო დამაბნია. სირცხვილის გრძნობა გამიორკეცდა. რა უნდა მეთქვა ამ პატიოსანი ხალხისათვის? ვიღაც კურსანტმა რაღაც სისულელე ჩაიდინა და იმას მივდევდი-მეთქი? შერე-და რას მისდევდი, რას უპირებდიო, ხომ მკითხავდნენ?

უშველოს ღმერთმა, ისევ დალაქმა მიხსნა გაუპირვებდან. ისიც ჩემს ფეხდაფეხ გარეთ გამოსულიყო და, როცა გაიგო, რას მეკითხებოდნენ, თავისებური ეუმორით, მაღლაიანად ნაკაზში სიტყვებით ყოველივე მოუთხრო ოფიცრებს.

ილინმა და ინსტრუქტორმა ბევრი იცინეს.

— აი რას გეტყვით, — მომმართა ილინმა. — გაპარსვას ხვალ დილითაც მოესწრებით. მოდი, ეგ ქათქათა ნაჭერი ისევ ძია მიშას დაუბრუნეთ, თქვენ კიდევ ჩვენთან ერთად წამოდითო, თორემ ისეთი სახე გაქვთ, სადმე ხანჯალს იშოვნით და ვინმეს გამოშიგნავთ.

კაპიტანს ჩვენი საცხოვრებლიდან ახლოს მდგარ სახლში ორი მომცრო ოთახი ეჭირა. გზაში იგი ისე ძალდაუტანებლად მესაუბრებოდა საქართველოზე, ამინდსა და სპორტზე, რომ მის ბინაზე მისულს თავი თითქმის შინაურ კაცად მიმაჩნდა. და როდესაც ილინმა შემთხვევით ერთი საქვეყნოდ ცნობილი პარაშუტისტი ახსენა, გუნებაზე მოსულმა ქირქილით ვუთხარი — რატომ, მასეთი

პარაშუტისტები ჩვენცა გვყვანან-მეთქი. და ჩამოვუთვალე ორი-სამი კურსანტი, რომლებმაც ამ რამდენიმე დღის წინ ვერ გაბედეს პარაშუტით გადმოხტომა.

ჩამოვუთვალე და უმალ ენაზე ვიკბინე: ილინს სათნო სახე შეცვლოდა, ზედ წყრომა ასახულიყო, თვალებიც რაღაც სხვაგვარად აჭიატფებოდა. მართალია, ამგვარი გამომეტყველება სულ რამდენსმე წამს შერჩა სახეზე, მაგრამ ესეც კმაროდა იმისათვის, რომ მე ენა ჩამგარდნოდა. ილინს გაეცინა:

— თქვენს მეგობარზე რატომ არაფერს ამბობთ?

— რომელ მეგობარზე? — დავიბენი.

— ვასილ ხეცურიანზე. ისიც ხომ ვერ ჩამოხტა? როგორ ფიქრობთ, რატომ მოუვიდა ასეთი მარცხი?

ეს მითხრა, საავარელში მოხერხებულად მოიკალთა, მეც მანიშნა—დაჯექიო, პაპიროსის კოლოფი ამოიღო და დინჯად გააბოლა. მივუხვდი, არ უნდოდა ავჩქარებულიყავი პასუხის გაცემისას.

— მშიშარაა? — კვლავ შემეკითხა კაპიტანი, რაკი შემატყო — მე არამც თუ ვჩქარობდი პასუხის გაცემას, სულაც ვერაფერი მომესაზრებინა.

— არა, მშიშარა არ გახლავთ! — მივუგე სასწრაფოდ.

— დარწმუნებული ხართ?

— სავსებით დარწმუნებული.

— მაშასადამე, ხეცურიანის მარცხი მხოლოდდამხოლოდ ნერვების ამბავია. მან წინა დღეს გაიგო — ხვალ პარაშუტით ხტომა გვექნებაო, მთელ საღამოს და ღამეს იფიქრა ამ საიდუმლოზე, რომელიც მხოლოდ თქვენ ოთხმა იცოდით, და დილით ნერვებმისუსტებული ადგა...

— თქვენ საიდან შეიტყეთ ეგ ამბავი? — წამოვიძახე გაოცებულმა.

— ...სუსტი ნერვები კი მხედრულ ცხოვრებაში დაუშვებელია, — ისე განაგრძო კაპიტანმა, თითქოს ჩემი რეპლიკა არც გაეგონოს. — მე საქართველოში კარგა ხანს მიცხოვრია, ბევრი მეგობარიც მყოლია ქართველი. ვიცი — თქვენ არაჩვეულებრივად, უცნაურობამდე თავმოყვარე ხალხი ხართ. ხეცურიანი კი, როგორც შევატყე, ყველა ქართველზე მეტად თავმოყვარე უნდა იყოს. ეხლა, მორიგი ხტომა როცა გექნებათ, ხეცურიანი ისევ საშინლად აღელდება — უკვე იმის სურვილით, რომ როგორმე გამოასწოროს ძველი მარცხი და თქვენს თვალში დაკარგული პრესტიჟი აღიდგინოს. ასე აღელვებული, ნერვებდაძაბული ავა ჰაერში და შესაძლოა ხელახლა შეგარცხვინოთ — კვლავაც ვერ გაბედოს გადმოხტომა. მერე? ერთხელ რომ დაიჩაგრება კაცი, სულ ხელიდან წავა...

ჩემმა მოსაუბრემ ღრმა ნაფასი ჩაისუნთქა, მცირე ხნით დაყოვნდა, შემდეგ თვალი გამიშტერა და ისე განაგრძო:

— მაშასადამე, საჭიროა ხეცურიანს რითმე დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ, რომ მომზადებული, დამშვიდებული შეხვდეს მომავალ გამოცდას. ამ საქმის გამო სხვებზე მეტად მისი მეგობრები უნდა ზრუნავდნენ... თქვენ კი დაგიღიათ პირი და არ იცით, რა გააკეთოთ, ბალღებივით გაბუტვიხართ ერთმანეთის...

მე მართლა პირდაღებული შევცქეროდი კაპიტანს. ვერაფრით ამეხსნა — საიდან უნდა სცოდნოდა მას ასე დაწვრილებით ჩვენი ამბები, გულთმისანი ხომ არ იყო ის დალოცვილი? მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო აღარ მქონდა. ვასოს ბედი მართლა ჩვენზედაც იყო დამოკიდებული. მაგრამ რა უნდა გვექნა? — ამ თავსმტვრევ კითხვაზე პასუხი ამჟამადაც ვერაფრით მეპოვნა. არა და რაღაც ხომ უნდა მეთქვა, რომ ჩემს მოსაუბრეს მთლად რეგვენი არ ვგონებოდი. და დაუფიქრებლად წამოვტორტლე:

— სავსებით მართალი ხართ, ამხანაგო კაპიტანო! ჩვენი ვასოსთან დამოკიდებულება მართლა არაფერს არა ჰგავს. ჩვენ შეეცდებით ყველაფერი გამოვასწოროთ და ხელცურიანს დავეხმაროთ. დღეიდანვე ჩავუტარებთ საუბრებს მისი საქციელის შეუფერებლობაზე, საბჭოთა ადამიანების მამაცობაზე, მოვალეობის გრძნობაზე...

ვამბობდი ამ ყურით მთარეულ სიტყვებს და ვამჩნევდი, როგორ ღვივდებოდა ილინის თვალებში დამცინავი ნაპერწკლები, ვგრძნობდი, რომ გადახარხარება ერთ რამედ უღირდა. მაგრამ მან არც გადაიხარხარა და არც დამცინა. მოკლედ მომიჭრა.

— ჩემი აზრით, ასეთი ოფიციალური ღონისძიებებით ბევრს ვერაფერს გავხდებით.

— მართალია, — უმალ დავუმოწმე გახარებულმა იმ ამბით, რომ ჩემს უგუნურ ტირადას ბოლო მოეღო.

— ცურვა თუ იცის ხელცურიანმა? — შემეკითხა სავსებით მოულოდნელად კაპიტანი.

— საკმაოდ ცუდად, ასიოდე მეტრს თუ გასცურავს.

— ეგეც კმარა. კოშკურიდან ხტომა უყვარს?

— არა, არა! — წამოვიძახე და მგონი ვიგრძენი, საით უმიზნებდა კაპიტანი. — მახსოვს, თბილისში საცურაო აუზში დავდიოდით ხოლმე და პირველ კოშკურას ვერაფრით ავაცილეთ.

— პირველიდან ხომ ხტებოდა ხოლმე?

— ხშირად.

— აგრე, აგრე... — შუბლს ისრესდა ილინი და რაღაცას გამალებული ფიქრობდა. — თქვენ ახლა წადით, — მომმართა ბოლოს, — შეეცადეთ სამივე მეგობარმა ისევ ძველებური ურთიერთობა დაამყაროთ ხელცურიანთან. დანარჩენს მე მოვუყლი. მხოლოდ კარგად დაიხსომეთ — რა საქმეც უნდა დავავალოთ ვასილს, თქვენი გაკვირვება არასგზით არ გამოხატოთ; პირიქით, სულ პირიქით... ხომ გამიგეთ?

საკმაოდ ბუნდოვნად გავუგე, მაგრამ რაღა დროს კამათი იყო! მესამე დღეს ჩვენი საწყლისნო მეცადინეობის პროგრამა ოდნავ შეცვალეს და ბრასის სტილით ცურვის ნაცვლად წყალში სიმაღლიდან ხტომა დაგვინიშნეს. შევატყევი, ვასოს ეს ამბავი არაფრად ესიამოვნა. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არაფერი გაგრძნობინეთ, პირიქით, ვითომ სხვათა შორის საუბარი იმის თაობაზე ჩამოვაგდეთ, თუ რარიგ სასიამოვნოა წყალში ხტომა და რა ლამაზად ხტებიან ხოლმე კარგი სპორტსმენები თავით მესამე კოშკურიდან.

იმ დღეს ჩვენი ოცმეთაური ხაზზე არ გამოცხადებულა. გავიკითხეთ და გვითხრეს — შეუძლოდ შეიქნა, დღეს არც მოვალო. მეცადინეობაზე წასვლის წინ კაპიტანმა ილინმა ჩვენს უმეთაურო მწკრივს შეჰხედა და თქვა:

— ოცეულის მეთაურის მოვალეობას დღეს შეასრულებს კურსანტი ვასილ ხელცურიანი.

იმ დღის შემდეგ, რაც პაროშუტით გადმოხტომაზე თავი შეირცხვინა, ვასოს ცოცხალ სახეს ვეღარ იცნობდით: ამ სახეს აღებეჭდა და აღარ შორდებოდა ფლეგმატური გამომეტყველება, სრული ალბათაა ყველასა და ყოველივეს მიმართ. და აი, ახლა ეს სახე თვალის დახამხამებაზე შეიცვალა: ვასო ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა, თვალები კვლავინდებურად ეშმაკური ცეცხლით აუკაიაფდა, მხრებში ოდნავ მოხრილი რომ იყო — გაიმართა, ნაბიჯი წინ წადგა და კაპიტანს უპატაკა:

— არის შევასრულო ოცმეთაურის მოვალეობა!

შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა და გვიბრძანა:

— ოცეულო, სმენა-ა! მარჯვნისა-ა-კენ! ნაბიჯი-ით და-არ!...

გულმა არ მომითმინა და მოვხედე მიმავალი მწკრივის წინ გაჭიმულ ვასოს. და სწორედ ის მოხდა, რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა პირველი წუთებიდანვე: ოცმეთაურის მოვალეობის შესრულებელს სახეზე ხელახლა მკრთალმა ფერმა გადაურბინა, ერთხანს ადგილზე გაქვავებული იდგა, მერე ყოყმანით, ფეხის თრევით კაპიტანს მიუახლოვდა და (როგორც შემდეგ თვითონვე გვიამბო) მოახსენა:

— ამხანაგო კაპიტანო! მე არ შემიძლია ამ მოვალეობის შესრულება...

— რა-ა-ო? — აქაჩა წარბები ილიმა.

— დიახ, არ შემიძლია და, კიდეც რომ შემეძლოს, მაინც არ შევასრულებდი, — სხაპა-სხაპით მიაყარა ვასომ. — მე ვიცი, თქვენ იმიტომ გამომარჩიეთ დღ იმიტომ დამაკისრეთ ოცმეთაურობა, რომ შემატყეთ — დარცვენილი ვარ, თითქოს დაჩაგრული, ნირწამხდარი და გაფუჭებული, რადგან იმ დღეს პარაშუტით გადმოხტომა ვერ გავბედე. ჰოდა აი, ეხლა თქვენ გინდათ გამომაფხიზლოთ, პასუხისმგებლობის გრძნობა ჩამინერგოთ და ამით მხნეობა შემმატოთ. მაგრამ მე კარგად მივხვდი თქვენს ფსიქოლოგიურ მანევრს...

— Молча-ать! — ისე დასჭექა კაპიტანმა, რომ ოციოდე ნაბიჯზე წასული ჩვენი მწკრივი შიშით გაიტრუნა და ინსტინქტურად ნაბიჯს მოუმატა. — კურსანტო ხეცურიანო! შეწყვიტეთ ლაყბობა და შეუდექით თქვენი მოვალეობის შესრულებას! ზურგისა-კენ! სირბილით ია-არ!

— ეხლაც ვერ გამიგია, ბიჭებო, რამ მაიძულა, რომ შემოვტრიალებულიყავი და ოცეულისკენ გამოვჭენებულიყავი. ეს კია, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს იმ დალოცვილი კაპიტანის სხეულიდან ჩემში რაღაც ძალა, რაღაც რკინისებური გადმოიღვარა. იმ წუთში რას არ გავაკეთებდი!.. სულ დამავიწყდა ჩემი ფსიქოლოგიაც და უგუნებობაც, — გვიამბობდა შემდეგ ვასო.

ჩვენც ვერაფერს ვიტყოდით, თუ რამ აიძულა ჩვენი ვასო, მაგრამ ოცეულს რომ დაეწია, ყველამ ვიგრძენით — მისი რამდენიმე დღის სიძაბუნე მართლაც უკვალოდ გამქრალიყო და ჩვენს გვერდით რკინის ნებით აღვსილი კაცი მოაბიჯებდა.

ზღვისპირა პლაჟზე გავედით და კოშკურას მივადექით. ვასო არც თვითონ დაფიქრებულა და არც სხვებს აცალა დაფიქრება. ტანისამოსი სასწრაფოდ დაგვახდევინა თუ არა, კვლავ დაგვამწკრივა და გვიბრძანა:

— დღეს კოშკურიდან ხტომას ვისწავლით. ცურვა ყველამ იცით. ყოველ შემთხვევაში, იმდენს ყველანი მოახერხებთ, რომ თავი არ დაიხრჩოთ. თუ დაღრჩობას დააპირებთ — ჩვენ აქა ვართ („ჩვენს“ ხაზი გაუსვა ვასომ). აბა, ვიწყებთ. ჯერ მე გადმოვხტები და შემდეგ რიგ-რიგობით მომყვებით.

და ციყვივით აირბინა შვეული კიბე.

პირველი კოშკურიდან ყველა შეუფერხებლად გადმოხტა, არავინ შეყოყმანებულა. სამ-სამჯერ ჩავხტით თუ არა, ვასო მეორე კოშკურაზე აძვრა. აქ კი ერთი-ორმა დააპირა ტრამპლინზე შეჩერებულიყო, სული მოეთქვა, ჯერ თვალით გაეზომა მანძილი და შემდეგ ეფიქრა გადახტომაზე.

მაგრამ ვინ აცლიდა ამდენს! უშანგი და ზალვა შესანიშნავი მოცურავენი და მხტომელნი იყვნენ. მეც არა მიშავდა რა. სამივენი დავნაწილდით ოცეულზე. წარბშეკრულნი უშანგი ბოლოში ჩადგა, მე და ზალვა შუაში და ბიჭებს მართლა რომ ცეცხლი შევნთეთ. სიხარულისა და მღელვარებისაგან ყოველი ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განის გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. სამივენი ვგრძნობდით: ამ კოშკურებზე წყდებოდა პარაშუტით მომავალი ჩამოხტომის ბედი. საკმარისი იყო მცირე რამ ბზარი ვასოს აღგზნებულ ბუნებაში, რომ შემდეგ ძნელი იქნებოდა მისი შველა. ამიტომ რაც გაგვეწყობოდა ვცდილობდით „ტემპი არ დაგვეკარგა", თორემ მეორე კოშკურაზევე რომ შევფერხებულიყავით, მერე რაღა მოხდებოდა? თავი და თავი საქმე ხომ მესამე — თორმეტმეტრიანი კოშკურა იყო!

ამ უკანასკნელზე ვასო კვლავ ჩქარი ნაბიჯით ავიდა. ოდნავ, სულ ოდნავ გაფითრებული მიდიოდა, მაგრამ მოძრაობა და ნაბიჯი მტკიცე ჰქონდა. ბაგეები მჭიდროდ მოეკუმა, წამწამებს ხშირ-ხშირად აფახულებდა, თითქოს რაღაც უსიამო ფიქრს იშორებსო...

...ასვლა და გადმოშვება ერთი ჰქნა. წამითაც არ შეყოყმანებულა, თორემ, ვინ იცის, ის წამი იქნებ საბედისწერო გამომდგარიყო!

წყლიდან რომ თავი ამოჰყო, ბავშვივით გაიღრიჯა, შალვას და მე დაგვეჭყანა. შემდეგ მცირე ხნით დაივიწყა, რომ დღეს ოცმეთაურის მოვალეობას ასრულებდა და რომ ოცმეთაურს ამჩატება არ შეშვენოდა — უშანგის პეშვით წყალი შეასხა, გადაიხარხარა და ლურჯ ტალღებში ლაღად აჭყუმპალავდა...

ის დღე იყო და ის დღე. ვასომ თავდავიწყებით შეიყვარა სპორტი, განსაკუთრებით კი წყალში სიმაღლიდან ხტომა. დღენიადაგ ამ თავის გატაცებაზე გველაპარაკებოდა, ისე რომ ბოლოს თავიც კი გაგვაბეზრა. არც მაშინ დამცხრალა, როდესაც პარაშუტით ჩინებულად გადმოხტა და ინსტრუქტორის ქება დაიმსახურა. როგორც კი თავისუფალ დროს მოახელთებდა, ან ზღვისაკენ გარბოდა, ან სპორტდარბაზში ვარჯიშობდა იარაღებზე.

— დაწინაურებულო ამხანაგო, ფრთხილად იყავი! მე ბიჭი არ ვყოფილვარ, ვასო ხეცურიანი არ მქვიებია, თუ ერთ თვეში არ გაგისწარი! — მითხრა ერთხელ დაჟინებით, ძალზე სერიოზულად, ისე რომ ხუმრობსო, ვერ იფიქრებდი.

და არც ხუმრობდა, თუმცა იცოდა — ჩემი დაწევა და გასწრება უკვე საკმაოდ ძნელი იყო, რადგან რამდენიმე კურსანტთან ერთად მე დაწინაურებულთა ჯგუფში ვიყავი გადაყვანილი. ჩვენმა ჯგუფმა კარგა ხანია გაიარა ფრენისათვის მოსამზადებელი კურსი, შემდეგ სასწავლო თვითმფრინავ „У-2-ზე" იფრინა და ახლა სასწავლო საბრძოლო თვითმფრინავებზე იყო უკვე გადასული. ის ჯგუფი კი, რომელშიაც დანარჩენ ჩემ მეგობრებთან ერთად ვასოც ირიცხებოდა, ჯერ „У-2-ს" არ გასცილებოდა. მაგრამ ვასომ მტკიცედ გადაწყვიტა — „კუდში ჩანჩალი ჩემი საქმე არ არისო". თავის ჯგუფში ხომ ბეჯითად მეცადინეობდა და, გარდა ამისა, მისივე თხოვნით, მე ვეხმარებოდი, წინასწარ განვუმარტავდი საბრძოლო თვითმფრინავის აღნაგობასა და საფრენ თვისებებს. ჩემი მეგობარი გულდასმით მისმენდა, უმთავრეს ამბებს რვეულში ინიშნავდა და ისეთ შეკითხვებს მაძლევდა, რომ ხშირად პასუხის გაცემა მიძნელდებოდა კიდეც.

*

ახლაც დამინახა თუ არა, მოულოდნელად მომახალა:

— რამე რომ იყოს, შენ თვითონ, დაუხმარებლად თუ შეძლებ იმ საბრძოლო მანქანის წაყვანას?

— რაო, ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ შევძლებ? — მივუგე ისე გულდაჯერებულმა, რომ, ცოტა არ იყოს, მე თვითონაც გამიკვირდა.

— ნუ ტრაბახობ, ოთარ, უინსტრუქტოროდ ვერაფერსაც ვერ შეძლებ. აი,

წელან შენი ჯგუფელები იყვნენ აქ. იმათაც იგივე ვკითხე. ყველა იმას ამბობდნენ— ჯერ ვერ შეეძლებთო. ვითომ შენ რაღა წითელი კოკი ხარ?

— წითელი კოკი კი არა ვარ, ჩემი ამბავი შენზე და იმათზე კარგად მე ვიცი. მართალია საბრძოლო ბომბდამშენი ბევრად უფრო რთული მანქანაა, მისი მართვის დროს საჭიროა დიდი ყურადღება, სიზუსტე, სისწრაფე და სიმარჯვე, მაგრამ შეუძლებელი ამ ქვეყნად არაფერია, — დავუკაკლე ვასოს ინსტრუქტორისაგან გაგონილი.

— იცი რა გითხრა? ეგ ზღაპრები სხვას მოუყევი...

ვასოს სიტყვა გაუწყდა. ოთახის კარი ზათქანით გაიღო და შემოვარდა ჩემი ჯგუფის კურსანტი ლეონიდ იაშინი.

— ოთარი სადაა, ხომ არ იცით? — იკითხა კარებშივე და, რომ დამინახა, ხელები გაშალა, მომეხვია და გულდაგულ ჩამკოცნა.

— ლეონიდ, იცოდე ვერას მიეწერა, რომ შენ აქ ხვევნა-კოცნით ხარ გართული, — დაცინვით უთხრა ვასომ.

— შენც მოგცლია ერთი, რა დროს ვერაა და ნადეედა! ოთარ, მომილოცავს! მომილოცავს, ძმაო!..

— ჰო, რა იყო, რას მილოცავ?

— რა იყო და ინსტრუქტორს უთქვამს თურმე — ხვალ ჩეჩელაშვილი საბრძოლო ბომბდამშენით დამოუკიდებლად გაფრინდებაო. გესმის? — დამოუკიდებლად! ჩვენს ჯგუფში ჯერჯერობით მარტო შენ მოგცა ამის უფლება. გესმის?—ლეონიდს ცისფერი თვალები სიხარულის ალაღი გრძნობით უბრწყინავდა.

— ჯორი იქნება, — თქვა ვასომ და გადმომხედა. მე ოდნავ გაფითრებული ვიღექი. ყელში ბურთი მაწვებოდა. ხმის ამოღება მიჭირდა...

მეორე დილით კი უკვე საბრძოლო მანქანის კაბინაში ვიჯექი და შტურმანი მეუბნებოდა:

— ნუ ღელავ, მთავარია არ აღელდე... ყველაფერი კარგად იქნება...

მოტორი ჩავრთე და თვითმფრინავი სტარტის ხაზზე გამოვაგორე. სანახევროდ თითქმის ბურანში მყოფმა გავიგონე, როგორ მომცეს გაფრენის უფლება. გაზი ჩავრთე თუ არა, თვითმფრინავმა ისე წამიღო, თითქოს ჩემი არეული ფიქრებისათვის გასწრება სურდა.

„იქნებ ჯერ არც ვიყო საამისოდ მომზადებული, ჰა? იქნებ აჯობებდა ჯერ სულ დაწვრილებით შემესწავლა ეს მანქანა, მისი ყოველი დეტალი, ყოველი თვისება და ნიუანსი ხუთი თითივით მცოდნოდა?! რაც უნდა იყოს, ასეთი მძლავრი საბრძოლო მანქანაა და რამე მარცხი რომ მომივიდეს...“ — ამის გაფიქრება მოვასწარი და უკვე სამასი მეტრის სიმაღლეზე ვიყავი ავარდნილი.

თავი შევიბერტყე, ვცდილობ აზრი მოვიკრიბო, ჩემი მანქანის მართვის გარდა არაფერზე ვიფიქრო.

აეროდრომის თავზე წრე შემოვხაზე და დაბლა დავეშვი. იქ, დაბლა ჩანს ნიშანი „T“. კარგი მფრინავი სწორედ იმ ნიშანთან დასვამს თვითმფრინავს. ბიჭოს, თითქოს არა უშავს რა, ნიშანს არ გავცილებივარ!..

ჩემს შესახვედრად მორბიან კურსანტები. ხელს მართმევენ, მილოცავენ. ესკადრილიის მეთაურს გამოვეპიმე და ვუპატაკე დამოუკიდებელი გაფრენის შესახებ. მგონი ისიც კმაყოფილი უნდა იყოს ჩემით. თვალები მხიარულად უციმციმებს. მართლაც, მეთაური მაქებს:

— მომილოცავს! კარგად იფრინეთ! მხოლოდ ეს მანქანა კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. შემდეგშიაც ასე განაგრძეთ და მალე სავსებით დაეუფლებით მის მართვას.

ნეტავ ახლა აქ ყოფილიყვნენ შალვა, ვასო და უშანგი! განსაკუთრებით ვასო!

— ჰა, რას იტყვი, ძვირფასო? — ვეღარ მოვითმინე და მე თვითონ შევეკითხე საღამოთი ჩემს მოწაფეს.

ვასომ ტუჩი იიბზუა, თან სიტყვა ბანზე ამიგდო:

— იმ კვირას საბოლოო შეხვედრა გვაქვს. კეთილი ინებე და ხვალ წვრთნაზე დროულად მობრძანდი, თორემ მე ვიცი — ახლა შენს თავს მართლა დიდ ვინმედ წარმოიდგენ და ჩვენთან თამაშს აღარ იკადრებ.

სასწავლებელში ფეხბურთელთა რამდენიმე გუნდი გვყავდა. თითქმის ერთი თვე გადიოდა, რაც დავიწყეთ სასწავლებლის თასის გათამაშება. ის გუნდი, რომელშიც მე ვთამაშობდი და რომლის კაპიტანიც ვასო იყო, წაუგებლად მივიდა ფინალამდე. მაგრამ ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგე ჩვენზე ძლიერი თუ არა, ჩვენზე სუსტი მაინც არ იქნებოდა. იმ გუნდში თამაშობდნენ უშანგი, ლეონიდ იაშინი და კიდევ რამდენიმე ძალიან ძლიერი თავდამსხმელი. ამიტომ საფინალო თამაშს გულისფანცქალით მოველოდით. ვასო ნერვიულობდა, ვარჯიშის დროს „ტყავს გვაძრობდა“, განუწყვეტელი „მუშაობით“ სიქს გვაცლიდა, თვითონაც თავს იკლავდა და არც ჩვენ გვზოგავდა.

ვიცოდით მისი ახირებული ხასიათის ამბავი და არაფერს ვეუბნებოდით. ვიცოდით, რომ ვასოს ყოველ საქმეში თავკაცობისა და პირველობის ჭია ღრღნიდა ხოლმე. თუკი რამეს ხელს მოჰკიდებდა, უეჭველად ყველასათვის გასწრებას ესწრაფოდა. ამ შემთხვევაში მისი ხასიათი სწორედ მისწრება იყო გუნდისათვის: ყოველი ფეხბურთელი მუდამ ფორმაში გვყავდა, თამაშის დროსაც ყოველი ჩვენგანი ზუსტად ასრულებდა წინასწარდასახულ გეგმას, კაპიტანის ტაქტიკურ მითითებებს (ფეხბურთის ტაქტიკა კი, მართალი უნდა ითქვას, ვასოს ბრწყინვალედ ესმოდა). ამიტომ ფეხბურთის საქმეში მისი სრული მორჩილი ვიყავით და, როდესაც ვასო რამეზე დაგეტუქსავდა ან რაიმეს ცოტა არ იყოს ქედმაღლურად გვიბრძანებდა — უსიტყვოდ ვემორჩილებოდით ხოლმე.

მაგრამ იმ წუთას მე ისე ვიყავი აღგზნებული, ისე მინდოდა ვასოს ეღიარებინა ჩემი საფრენოსნო ოსტატობა, რომ მომავალ მატჩზე ფიქრი სულაც არ მეპიტნავებოდა. არც ის მესიამოვნა, სიტყვა რომ ბანზე ამიგდო ვასომ და პირდაპირ არაფერი თქვა ჩემს წარმატებაზე. ამიტომ გულმოსულმა ვუპასუხე:

— შენც ერთი გააჭირე საქმე შენი ფეხბურთით! რა ლანგარია შენ გამოშიხვედი, რომ უფეხბურთოდ ვეღარ ძლებ?

— ლანგარა ვარ თუ პაიჭაძე, შენ არავინ გეკითხება, — აპილპილდა გუნდის კაპიტანი. — შენი საქმეა ვარჯიშზე დროულად გამოცხადდე და გუნდის მოგებაზე იფიქრო. მეტი არაფერი, გესმის? მეტი არაფერი!.. — თითქმის ყვირილით გაიმეორა მან.

— „დროულად გამოვცხადდე“, არა? იქნებ სულ არ ვაპირებ გამოცხადებას?

— როგორ თუ არ აპირებ?

— ისე, უბრალოდ, შეიძლება ხვალ და ზეგ სათამაშოდ სულაც ვერ მოვიცალო, სამეცადინო მაქვს.

— ვერ მოიცლი და ფინალშიც ვერ ითამაშებ, — მოკლედ მომიჭრა ჩემმა მოსაუბრემ და დამაკვირდა — აბა როგორ ეფექტს მოახდენს ჩემი სიტყვებიო. მან იცოდა, რარიგად მიყვარდა ფეხბურთის თამაში.

მაგრამ მე უკვე შელახულად მივიჩნიე ჩემი თავმოყვარეობა. არც დავფიქრებულვარ, ისე მივახალე:

— ძალიანაც რომ შემეხვეწო, მაინც არ ვითამაშებ, გაიგე? არ ვითამაშებ.

ამას არც ვასო მოელოდა, არც იქვე მყოფი უშანგი და შალვა. მათაც, ისევე როგორც ჩვენ თვითონვე — მე და ვასოს — ეს კამათი აქამდე მეგობრების ჩვეულებრივი წყაინკლავება ეგონათ. მეც ასე ვფიქრობდი გულის სიღრმეში, ვასოც. ერთმეორეს უფრო ჟინის გამო ვეძძებილავებოდით. მაგრამ ჩემთვისაც და ვასოსთვისაც მოულოდნელად ვიფეთქეთ, ორივენი გავგულისდით.

არც იმ საღამოს და არც მეორე დღეს ერთმანეთისათვის ხმა აღარ გაგვიცია. პარასკევს ჩვენი გუნდის სამი თუ ოთხი მოთამაშე მომადგა.

— შენ რა, მართლა ხომ არ გადაგიფიქრია თამაში, სავარჯიშოდ რატომ აღარ მოდიხარ? — ისე უბრალოდ და გულწრფელად მკითხა ვოვა ეფიმოვმა, რომ უცებ მართლა საშინლად მომძინდა სტადიონზე გასვლა და ბურთის თამაში. ერთი პირობა ვიფიქრე — ჯანდაბას ეს სულელური გაჯიუტება და ბავშვური თავმოყვარეობა, ახლავე ბიჭებს გავყვები და, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, თამაშში ჩავებმები-მეთქი. მაგრამ უმალ თვალწინ დამიდგა ვასოს დამცინავი ღიმილი, რომელსაც ალბათ შემაგებებდა, რაკიღა თავმოდრეკილსა და დამარცხებულს დამინახავდა.

— არა, ვოვა, მე აღარ ვითამაშებ თქვენს გუნდში, აღარც დრო მაქვს და მაინცდამაინც აღარც მეხალისება.

— გაგიჟდი? — გადმოკრაჭა თვალები ვოვამ. —ზეგ ფინალია, თასის ბედი უნდა გადაწყდეს და რა დროს ხალისზე ლაპარაკია?

— რა მოხდა ფინალი რომაა? ჩემს მეტი აღარავინ გყავთ? სხვა გამოიყვანეთ.

— ოთარ! ნუ სულელობ!

— . . . . . .

— ნუ სულელობ-მეთქი! ნუ მიჰქარავ!..

ისევ დუმილი.

ჩვენი საუბარი უშედეგოდ დასრულდა. მართალია, ბიჭებმა რომ თავი ძალიან გამოიდევეს, ვუთხარი — თუ ვასო მოვა და მეტყვის, მხოლოდ იმ პირობით ვითამაშებ-მეთქი. ამას ვეუბნებოდი, მაგრამ იმთავითვე ვიცოდი — ვასო უმალ ფეხს მოუჭრაზე დაეთანხმებოდა ვინმეს, ვიდრე ჩემთან მოსვლასა და თხოვნაზე. ასე რომ საქმე გადაწყვეტილი იყო.

ბიჭები ძალზე ნაწყენი გამშორდნენ. მაგრამ უფრო ნაწყენი მე ვიყავი. და ნაწყენი ვიყავი, რაღა თქმა უნდა, არა სხვა ვინმეზე, არამედ ჩემს საკუთარ თავზე. კაცმა რომ თქვას, რას გავჯიუტდი? — ვამბობდი გულში. — იქით ვასოს გაუბჯენია ფეხები ჯოროვით, აქეთ მე. რა მოხდა ასეთი? არაფერი, სრულებით არაფერი სათქმელი. უბრალოდ წაეკინკლავებით, მერე რატომღაც ორივენი გავგულისდით, ჩვენ-ჩვენი დავიჯერეთ, ავიხირეთ და იოტის ოდენას დათმობა არც ერთს აღარ გვინდა. რა სისულელეა, რა ბალღობაა და დაუფიქრებლობა!.. რა კარგი იქნება, ჩვენი შერიგება რომ როგორმე მოხერხდებოდეს, აჰ თავის მხრივ ვასო პირველ ნაბიჯს არ გადმოდგამს, არც მე გადავდგამ, ეს მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი... მაგრამ რა მოხდება რომ გადავდგა, როგორმე გავუძლო პირველი მისალის უხერხულობას?! შემდეგ ყველაფერი კარგად წავა. ვასო თვითონ ჩემზე მეტად შეეცდება არაფერი მაგრძნობინოს, უხერხულობიდან გამოიყვანოს და ისეთივე კარგ მეგობრებად დავრჩებით, როგორიც ადრევე ვყოფილვართ! ჰა? რა იქნება-მეთქი, მე თვითონ რომ მივიდე?...

მაგრამ კვირა ისე დადგა, რომ არავისთანაც არ მივსულვარ. ჩემსავე სიკეთეს ჯიუტეს ვერ ვაჯობე, ვერ დავძლიე ის რაღაც ჭია, რომელსაც შელახულ თავმოყვარეობას უწოდებენ და რომელიც ზოგჯერ ისეთ საქმეს ჩაგვადენინებს, შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე სანანებლად გვრჩება ხოლმე.

დიახ, ვერ ვივაჟკაცე, პირველმა ნაბიჯი ვერ გადავდგი და როგორღა უნდა გამემტყუნებინა ვასო, რომელსაც აგრეთვე ჩემსავით არ ეყო ძალა თავისთავისათვის ეჯობნა, შესარიგებლად მოსულიყო!..

ვერ ვივაჟკაცე და თამაშის დღეს სტადიონზე მაყურებელთა შორის ვიყავი და არა ფეხბურთელთა შორის!

გავცქეროდი მინდორს, რომელზედაც ოცდაორი სპორტსმენი დანავარდობდა, გული მწყდებოდა, თითებს ვიკვნეტდი, ვნაობდი, მაგრამ ამასთან ერთად სადღაც შიგნით ის წყეული „შელახული თავმოყვარეობა“ მიღიტინებდა და დროდადრო ისეთ აზრს გამიტარებდა თავში, რომ მე თვითონვე მრცხვენოდა საკუთარი თავისთვის მისი გამხელა. ჰო, ახლა რაღა დასამალია, დროდადრო ვფიქრობდი-მეთქი, რომ ჩვენი გუნდი იმ შეხვედრას წააგებდა და ვასო ჭკუას მოეგებოდა, ამ წაგებას იმით ახსნიდა, რომ გუნდს ერთი ძირითადი მთამპაშე (ჩეჩელაშვილი) აკლდა, ახსნიდა, შეინანებდა თავის სიფიცხესა და დანაშაულს და ბოდიშით მოვიდოდა ჩემთან შესარიგებლად...

ისე არაფერი ცუდი არ აგცხადებოდეთ, როგორც მე ეს ნაჩუმარი ფიქრი არც ამიხდა და არც ამიცხადა. ჩვენებმა ის თამაში და თასი მოიგეს და მერე როგორ მოიგეს! სამი ერთზე! გუნდის ყველა წევრი ისე თავგანწირულად თამაშობდა, გეგონებოდათ ამ მატჩის შედეგზე ყოფილიყო დამოკიდებული არა მარტო მათი, არამედ მათი ოჯახების, მათი რესპუბლიკებისა და მთელი სახელმწიფოს ბედი. მოწინააღმდეგენი ასეთ რამეს სულაც არ მოელოდნენ. პირიქით, მათ თურმე უფიქრიათ — ხეცურიანის გუნდში განხეთქილებაა, უსიამოვნებაო, ჯერ ხომ ისედაც მოუგებდით, ახლა კი რაღას დავემაგრებვიან, როცა ასეთ დღეში არიანო! სწორედ ამ ფიქრმა დაღუპა და თასი დააკარგვინა, რადგან თამიდანვე ზედმეტად გულდაჯერებულებმა, რაღაცნაირად ზანტად დაიწყეს თამაში. მართალია, ასეთი განწყობილება დიდხანს არ გაჰყოლიათ, იცოცხლე, იკადრეს დაფაცურება, როცა ზედიზედ ორი ბურთის გამოღება მოუხდათ თავიანთი კარის ბადიდან, მაგრამ უკვე გვიან იყო, ძალიან გვიან, ჩემი გუნდის ბიჭებს თავი აეწყვიტათ, მოედანს დაპატრონებოდნენ და ინიციატივის დათმობას სულაც არ ფიქრობდნენ.

თამაში რომ დამთავრდა, რამდენიმე ამხანაგთან ერთად მეც გასახდელში შევვარდი და ჩვენი გუნდიდან ვინც პირველი მომხვდა ხელში — გადავეხვიე, გულწრფელად მივულოცე გამარჯვება. ეს იყო ვოვა ეფიმოვი. ჩემს აღტაცებას ვოვა საკმაოდ გულცივად შეხვდა და ლოყა ისე მომიშვირა საკოცნელად. მაგრამ იმ წუთას ვერაფერი შევნიშნე, ისე ვიყავი გახარებული ჩვენი გუნდის მოგებით (და იმითაც, რომ ჩემი ფარული ფიქრი — წააგებენო, არ გამართლდა, ამიტომ სინდისიც აღარ მქენჯნიდა); ვოვას შემდეგ მეკარეს გადავეხვიე, შემდეგ სხვას კიდევ ვიღაცას. თან გავყვიროდი:

— მომილოცავს, ბიჭებო! აი, ეს მესმის! ნამდვილი ვეფხვები იყავით!

გვიანღა შევამჩნიე, რომ ჩემი ენთუზიაზმი სპასუხო რეაქციას სულაც არ იწვევდა. ზოგნი თავს მარიდებდნენ, ცდილობდნენ წინ არ შემომყროდნენ, რომ არ გადამკოცნა, სხვანი ჩემს რეპლიკებზე თვალებს უხერხულად დაბლა ხრიდნენ და ჩუმდებოდნენ. სახტად დავრჩი.

„მოღალატედ, სულმოკლედ მთვლიან, ჩემთან ლაპარაკიც არა სურთ“ — გამიელვა აზრმა. და როდესაც თვალი იქაურობას მოვატარე და ჩემი გუნდის ყველა მოთამაშის სახეზე ამ წამიერი აზრის დამადასტურებელი გამომეტყველება დავინახე, მივხვდი, რომ იმ ოთახში მე აღარაფერი მესაქმებოდა.

სასწრაფოდ გავეცალე ძველს, აწ უკვე ცივად მომზირალ მეგობრებს. გული ბოღმით, სიმწარით მქონდა სავსე. პირსახე, ყურები მიხურდა, ისეთი გრძნობა მომყვებოდა, თითქოს ვისმე ქურდობაზე დავეჭირე და ამხანაგთა წრიდან სამარცხვინოდ კინწისკვრით გამოვეძევებინე.

„მაშ ახლა აღარ უნდებართ, როცა საქმე გაინაღდეს და თასი ხელში ჩაიგდეს, ხომ? — მაწვებოდა მღვრიე ფიქრი. — გუშინწინ ძალიან მეხვეწებოდნენ, როცა გაჭირვებაში იყვნენ! ფუჭ, უმადურები! ეგოისტები!..

(რატომაა, რომ ცხოვრებაში მეტწილად ასე ხდება — საკუთარი ეგოიზმი ან უმართებულო მოქმედება უფრო ძნელი შესამჩნევია, ვიდრე სხვათა...)

ჩემს წამხდარ გუნებას ახალი უბედურება დაერთო: გასახდელიდან გამოველი თუ არა, კაპიტან ილინს შევეჩეხე.

— თქვენი ამბები მომითხრეს, — ჯიქურ მომახალა კაპიტანმა. — არ მოველოდი, თუ ასე გაწირავდით ამხანაგებს. რასა ჰგავს ეს? კომკავშირელი და ისიც სამხედრო, ასე უნდა იქცეოდეს?! იცოდეთ, მე ძალიან ნაწყენი ვარ თქვენზე...

აჰა, ესღა მაკლდა! რას გადამეკიდა ეს ყოვლისმცოდნე კაპიტანი? მაგასაც მე მივაჩნივარ დამნაშავედ, მოღალატედ, ამხანაგთა გამწირველად?..

ბოლმით გასენილი გუნება უარესად დამიმძიმდა. აღარ მახსოვს, რა მივუგე ილინს საყვედურზე ან როგორ დავშორდი. აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი. ბოლოს ჩვენს ოთახს მივაშურე. ვიმედოვნებდი — იქნებ უშანგი და შალვა იქ იყვნენ, მათთან საუბარში ცოტა გულს გადავაყოლებ-მეთქი. იმედი არ გამიმართლდა. ისევ გარეთ გამოვედი, სტადიონთან მოლზე წამოვწექი და მწარე ფიქრებს მივეცი თავი.

მოვიგონე ქუთაისი და უზრუნველი ბავშვობა, შინაურები, ძველი მეგობრები, თბილისის სკოლა, აეროკლუბი. რას მოვრბოდი, ნეტავ, ამ ეისში? ეყოფილაყავი ჩემთვის — ხალისიანი, მხიარული, ბედნიერი, ამხანაგებით გარშემორტყმული. აქ რამდენი დღეა, იმდენ ახალ უსიამოვნებას უნდა გადავეყარო. ეს მკაცრი წესები, ეს ახირებული ხალხი, ეს თავუთებელი მეცადინეობა, რთული მანქანები, ძნელად სამართავი თვითმფრინავები!..

ჰო, მართლა, ჩემი თვითმფრინავი, ჩემი ფოლადის არწივი!..

უეცრად ყველაფერი დამავიწყდა — დარდიც, უგუნებობაც, ბოღმაც, მწარე ფიქრებიც, ამხანაგთა უსამართლოდ გაკიცხვის სურვილიც. ერთადერთი გრძნობა დამეუფლა — მოშინდა რაც შეიძლება ჩქარა თვალი შევლებინე „ჩემი“ მანქანისათვის, დავმტკბარიყავი მისი მძლავრი, გოლიათური აღნაგობით, სულიერ არსებასავით მივალერსებოდი მის ფრთებს, პროპელერს, კაბინის მინებს...

... ნეტავ საით მივდივარ, აქ საიდან მოვხვდი? აკი მოლზე ვიწექი და რაღაცას ვფიქრობდი!.. აეროდრომზე მანქანები ჩაწკაპული. მზეზე ელვარებენ. აგერ „ჩემიც“! როგორ ამაყად აღუმართავს ფრთები, ზვიადად გასცქერის ტრამალს. ახლავე მასთან გავჩნდები და გავუნდობ ჩემს სადარდელს, ყველაფერს მოვუყვები, ყველაფერს! ვეტყვი, როგორ გამამწარეს უმადურმა ადამიანებმა, როგორ გამწირეს, გამრეყეს, თავიდან უგულოდ მომიცილეს... ვეტყვი, რომ ახლა ჩემთვის ყველაფერი გათავებულია — აღარც ამხანაგები მყავს და აღარც მეგობრები; სახლშიც ვერ დავბრუნდები შერცხვენილი. ჩემი ნუგეში ახ-

ლა მხოლოდ ისაა, ის კრიალა მანქანა, ერთადერთი, ვისაც ჩემი ნამდვილად ესმის და მისანდობი მეგობარია...

რაო, ვინ ვარო, სად მივდივარო? რამ გააგიჟა ეს თავწითელა იაკოვლევი? დიდი ამბავი მომხდარა, თუ აეროდრომზე გუშაგად დაუნიშნავთ. ამას ვერ უყურებთ? სად მივდივარ? სად მივდივარ და ბებიაჩემთან, შენ რა გესაქმება? ახლა აეროდრომზე შესვლა არ იქნებაო? კაცო, შენ ხომ არ შეიშალე? ჯერ ერთი, თქვენობით ნუ მელაპარაკები, შე გაბღინძულო ჩერჩეტო, თორემ გუშინდელივით ერთს წამოგაკრტალებ მოგვერდით. მერე კიდევ, ვერა ხედავ, სად მივდივარ? — ჩემს თვითმფრინავთან მაქვს ცოტა სამუსაიფო. იქით-მეთქი, გამატარე! ნუ გეშინია, არაფერს გავაფუჭებ...

მაგრამ სამხედრო წესრიგსა და მის იმჟამინდელ დამცველს — თავწითელა იაკოვლევს ჩემი გუნება-უგუნებობისა არაფერი ესმოდათ. გუშაგს ჩემი მოსმენაც კი არ სურდა და მხოლოდ იმას მიმეორებდა ჯიუტად—ვერ გაგატარებ, ახლა აეროდრომზე შესვლა აკრძალულიაო.

რა უნდა მექნა! გამოვბრუნდი პირში ჩალაგამოვლებული. ეს კია, ცოტათი ხასიათზე მოვედი და აზრიც გამინათდა. გულში მტკიცედ ვთქვი: რაკი ყველამ ასე გამწირა, ასე მარტოსული — უამხანაგოდ, უმეგობროდ დავრჩი, ისღა დამრჩენია დღე და ღამე გავასწორო, თავი მოვიკლა, ჩემი საქმე ძირფესვიანად, ბრწყინვალედ შევისწავლო და, თუ ახლა მოწინავე კურსანტი ვარ, ორ-სამ თვეში შესანიშნავი მფრინავი გავხდე-მეთქი; მაშინ კი ვუჩვენებ ყველას — ამხანაგებსაც, თანაკურსელებსაც და უფროსებსაც — რა ბიჭიც ვარ და რა შემიძლიაო-მეთქი!

*

შემოდგომის ცივი წვიმა და ქარი გვირტყამდა სახეში აეროდრომისაკენ მიმავალ კურსანტებს. ასეთმა ამინდმა გუნების გაფუჭება იცის. მაგრამ იმ წუთას არც ერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა ამინდზე. ჩვენი საფიქრალი სხვა რამ იყო. რამდენიმე კურსანტს, მათ შორის ვასილ ხეცურიანსა და უშანგი პაპუაშვილს იმ დღეს უფლება მისცეს დამოუკიდებლად, ინსტექტორის დაუხმარებლად წაეყვანათ საბრძოლო მანქანა და ბიჭები სიხარულით ფეხს მიწაზე არ აკარებდნენ, ღელავდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს ალარ აცლიდნენ. მეც აღგზნებული ვიყავი: ჩემი დავალება გახლდათ სიმაღლევანი გაფრენა.

სიხარულით ფანცქალება გული და ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — პირველობა ისევ არავის დავუთმე, ჩემს კურსელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ მე მომცეს სიმაღლევანი გაფრენის უფლება.

თვითმფრინავის კაბინაში არც ქარი ატანდა და არც წვიმის წვეთები. თბილოდა. სასიამოვნო იყო იქიდან სველი აეროდრომისა და გაწუწული ხალხის, წყლის გუბეებზე წვრილ-წვრილი წვეთების დაცემის ცქერა. უფრო სასიამოვნო კი ის იყო, რომ მანქანა მართლაც კარგად წავიყვანე და მალე ღრუბელთა ზემოთ, კრიალა ლაჟვარდისა და ელვარე მზის სამფლობელოში ავიჭერი.

ქვემოთ ღრუბელთა მღელვარე ზღვაა. თვალსაწიერზე მხოლოდ ეს ზღვა და ლაჟვარდი ზეცა ჩანს, მეტი არაფერი. უჩვეულო სიმხნე და შემართება ვიგრძენი. მეოცნება ბავშვსავით მომინდა რამის გამოსარჩევი, საგმირო საქმე მქონოდა გასაკეთებელი და ქვეყანა ჩემზე ამელაპარაკებინა. შემდეგ ეს გრძნობა რადაც განცხრომის მაგვარმა ნეტარებამ შეცვალა. საზურგეს უზრუნველად გადავწექი და ღიმმორეულმა ღიღინი დავიწყე:

„მოყმემან პირშიშველამან
შიბნ გაიარნა კლდისანი...“

რაო, ვითომ რითა ვარ იმ მოყმეზე ნაკლები, სალ კლდეთა შორის ვეფხვს რომ შეება?! მგონი არაფრით, აჴ ყოჩაღ-მეთქი, ოთარ! — შეჴარე ჩემი თავი და ისევ უზრუნველად გამეცინა...

... უკვე დროა დაშვებისა. აბა, ბიჭობა ახლა უნდა გამოვიჩინო! აეროდრომზე უკვე დამხვდებიან საბრძოლო მანქანით პირველი დამოუკიდებელი გაფრენიდან დაბრუნებული ბიჭები. მათ შორის ვასოც იქნება. ნახოს, თავისი თვალით ნახოს ჩემი სიმარჯვე და ოსტატობა. ნახოს, როგორ უნდა ამ ვეებერთელა მანქანის მართვა...

ღრუბლებს ჩამოვცილდი. კურსი ჩვენი აეროდრომისაკენ მაქვს აღებული. აგერ, ნაცნობი შენობები, თვითმფრინავები. აგერ, დასაჯდომი ნიშანი „T“.

ახლაც არ ვიცი, როგორ მოხდა ყოველივე. ეტყობა, ძვალ-რბილში მჭონდა გამჯდარი ბედითი ფიქრი — უკვე დასრულებული სამხედრო მფრინავი, ჩემი საქმის უნაკლო ოსტატი ვარ-მეთქი და გულისყურიც იქითკენ მივმართე, რომ სხვათა წინაშე თავი მომეწონებინა, მათთვის ჩემი ღირსება მეჩვენებინა. და ამგვარი ქარაფშუტობისათვის კიდეც ღირსეულად დავისაჯე: გვიანღა შევნიშნე, რომ სწორი ორიენტაცია არ ამეღო და დაშვების დრო ვერ მოვიზომა. ჩემმა თვითმფრინავმა გუგუნით გადაუქროლა თავზე დასაჯდომ ნიშანს და მისი თვლები ამ ნიშნიდან საკმაოდ მოშორებით შეეხო მიწას. შეეცდომის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იყო. ერთ მარცხს მეორე მოჰყვა: დაბნეულმა და აფორიაქებულმა მანქანა კინაღამ სხვა თვითმფრინავს არ დავაჯახე. შემდეგ ჩემი ბომბდამშენი გასცდა დასაშვებ ზონას, აეროდრომის ფარგლებს, იქ რბილ ნიადაგზე არახრახად და ამ ნიადაგში გაიჭედა, ჩაეფლო...

ცოცხალ-მკვდარი გამოვცვივი კაბინიდან, ტყავის ხელთათმანები გავიძრე და მიწას დავახეთქე. თავჩაღუნული მივემართები იქით, სადაც ესკადრილიის უფროსი მეგულება. თან გულში იმედს ვეპატრები: იქნებ არც ისე დიდი დანაშაული ჩამიდენია, იქნებ ყველაფერი მცირე დაუდევრობად მიიჩნიონ და ყურადღება არ მიაქციონ, აჴ..

ესკადრილიის უფროსის რისხვით ანთებულ თვალებს რომ წავაწყდი, ეს იმედიც გამიქარწყლდა. ძლივს ამოვღერღე პატაკის სიტყვები.

— როგორც ჩანს, თქვენთვის ჯერ აღრე ყოფილა დამოუკიდებლად ფრენა, — მკაცრად მომიჭრა უფროსმა. — დღეიდან ისევ ინსტრუქტორთან ერთად იფრინეთ და ივარჯიშეთ!..

ეტყობა, ძალზე საბრალო სანახავი გავხდი ამ სიტყვების გაგონებისას. ჩემი მოსაუბრე ოდნავ მოლბა და კილოც ოდნავ შეცვალა:

— არ მთველოდი თქვენგან ასეთ თავქარიანობას. აბა მოიგონეთ, რა თქვა ვალერი ჩკალოვმა: „თვითმფრინავის მართვა მათემატიკა არისო“. მათემატიკაც არის და უმაღლესი მათემატიკაც! ეს კარგად დაიხსომეთ შემდეგში...

ესკადრილიის მეთაური გამშორდა. მაგრამ ჩემს სატანჯველს ბოლო არ მოეღებოდა. უეცრად კურსანტების წრეში აღმოვჩნდი. მათ წინ ინსტრუქტორი იდგა და მეუბნებოდა:

— თავს გახვედი, არა? წარმოიდგინე, რომ შენისთანა მფრინავი აღარავინაა და უკვე დასრულებული ოსტატი ხარ, ხომ? მე მგონი გმართებს იცოდე, რომ იმ წუთიდან, როდესაც თვითმფრინავის კაბინაში შეხვალ, იქიდან გამოსვლამდე შენს თავს აღარ ეკუთვნი და უფლება არა გაქვს შენი ყურადღება სხვა რამეზე

შიმართო, გარდა თვითმფრინავისა. ეჰ, ოთარ, ოთარ!.. — და მან მოწყვეტით ჩაიქნია ხელი.

მიწასთან გასწორებული, განადგურებული გამოვცილდი ამხანაგთა ჯგუფს. ისევ წვიმდა. აუტანელი იყო სველი მიწის, წყლის გუბეებისა და მათზე დაცვენილი წვრილი წვეთების ცქერა. საშინელი კაეშანი შემომაწვა გულზე და მომეჩვენა, რომ ჩემს სხეულში იდგა ეს უსიამო სიცივე, ჩემს სულში ცრიდა წვიმა და ტიალი ქარი ჰჭროდა. არემიდამო უდაბური და გავერანებული ჩანდა, ირგვლივ თითქოს ძეხორციელი არსად იყო და მე მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე უნდა მევლო უდაბურ ტრამალზე, სადაც ცივი ქარი დაძრწოდა და წვიმა ეფინებოდა პირქუშ სანახებს. უნდა მევლო მარტოდმარტოს, ყველასაგან მიტოვებულს და დამცირებულს...

მკლავზე ფრთხილად მომკიდეს ხელი. თავი უნდილად მოვაბრუნე.

— მაპატიე, ოთარ! — მითხრა ვასომ, — ამ ამბავში მეცა მაქვს ბრალი, მეც დამნაშავე ვარ...

მის ზურგს უკან კი უშანგი და შალვა იდგნენ და დარცხვენილნი მიღიმოდნენ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ბიბინეიშვილი

ამოდის, თენდება!

არსებობდა ორი აღმოსავლეთი, ორი აზია— აღმოსავლეთი რედიარდ კიპლინგისა და პიერ ლოტის ნაწერებში, და აღმოსავლეთი რეალური, რომლის ხმაც ისმოდა ბოქსიორების, ტაიპინების, სიპაებისა და ბაბის მიმდევართა აჯანყებებში.

ევროპელი ბურჟუა შეექცეოდა აღმოსავლეთიდან მოტანილ ყავას, ჩაისა და თამბაქოს, ბანანებსა და ფინიკებს, იცვამდა აღმოსავლური აბრეშუმის ქსოვილებსა და ბამბეულს, იფენდა აღმოსავლეთში მოქსოვილ ნოხებს, ტკბებოდა აზიელ ოსტატთა შესანიშნავი ნახელავით, სპილოს ძვალზე ამოჭრილი ზღაპრული ქსოვილით, უნაზესი ნახატებით, თაჯ-მაჰალის იდეალური პროპორციებით, კითხულობდა, იმეორებდა ფირდოუსის, საადის, ჰაფიზისა და ომარ ხაიამის სტრიქონებს, მდიდრდებოდა მილიარდზე მეტი აზიელის არაადამიანური მონური შრომის ხარჯზე, ომობდა აზიაში შეკრებილი „ფერადი" არმიებით და ყველა აზიელს ველურსა და ზარმაცს უწოდებდა. ოდითგანვე კოლონიზატორები ამტკიცებდნენ, აზიისა და აფრიკის დაპყრობილ ქვეყნებში კულტურა შევიტანეთ, წესრიგი დავამყარეთ, ქაოსს და ურთიერთრბევას გადავარჩინეთო, და აზიის დაპყრობილ ხალხებს აყვედრიდნენ თავიანთ ბატონობას.

აღმოსავლეთში ელოდნენ მაჰდის მესიას, ეძებდნენ ბრძოლის გზებს ბუდას ნაწერებში, ყურანსა და ვედებში, მაგრამ ყოველი აჯანყება მაინც მარცხით მთავრდებოდა. ინდოელი სიპაები ინგლისელებმა ზარბაზნის ლულებზე მიაბეს და ყუმბარებით დაფლითეს, ირანში ბაბის მიმდევრებს სპარსელებისვე ხელით გაუსწორდნენ, ბოქსიორების აჯანყება სისხლში ჩაახრჩეს. ყუმბარებითა და ტყვიებით უნდოდათ შთაეგონებინათ აზიელებისათვის თეთრი ადამიანისა და ევროპელის უპირატესობა და ბატონობის უფლება. გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II ბოქსიორების აჯანყების ჩასაქრობად ჩინეთისაკენ გამგზავრებულ გერმანელ ჯარისკაცებს გზა დაულოცა: „არავინ დაინდოთ, ტყვეები არ წამოიყვანოთ, ვინც ხელში ჩაგივარდებათ, ის თქვენია. როგორც ჰუნებმა ამ 1000 წლის წინ თავისი მეფის ატილას წინამძღოლობით მოიხვეჭეს სახელი, რომელიც გადმოცემებსა და ძველ ამბებში დღესაც დიდებითაა მოსილი, დაე ჩვენც ისე მაღლა ავწიოთ გერმანელის სახელი ჩინეთში, რომ 1000 წლის შემდეგაც კი ვერც ერთმა ჩინელმა ვერ გაბედოს გერმანელისათვის ალმაცერად შეხედვა".

იმპერიალისტური ევროპა იმედოვნებდა, რომ დაჩაგრული აღმოსავლეთი ვერასოდეს ვერ გაერთიანდებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. იმპერიალიზმს ჰყავდა ერთგული, ძლიერი მოკავშირე — აზიის ფეოდალები და კომპრადორული ბურჟუაზია, „ფერადი" ჯარისკაცები და „თეთრი" ოფიცრები; მუსლიმანებს სძულდათ ბუდისტები, ხოლო ქრისტიანი მისიონერები ორივე მათგანის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ხალხს; თურქეთის სულთანი აბდულ-ჰამიდი სისხლიანად წოდებულ ვილჰელმ II-ის მხეს ფიცულობდა, საფრანგეთის პრეზიდენტისგან ჯამაგირს იღებდა და სამხედრო ხომალდებს ინგლისში აშენებდა. სამაგიეროდ ინგლისშიც, გერმანიაშიც და საფრანგეთშიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში თურქი ასკერი აღმოსავლეთის ჟანდარმად გამოდგებოდა. ასეთ პირობებში ძნელი არ იყო სტიქიურ და დაქსაქსულ გამოსვლებთან გამკლავება, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც აჯანყებულებს ზეციდან დახმარების იმედი ჰქონდათ.

1905 წელმა შეარყია რუსეთის იმპერია, მასთან ერთად შეირყა იმპერიალიზმის ბატონობა მთელს აღმოსავლეთში. აღმოსავლეთის ხალხებმა პირველად დაინახეს, თუ როგორ უნდა ბრძოლა, პირველად შეიგნეს, თუ რა არის ბრძოლის მიზანი, რუსეთის რევოლუციის იდეები გაბატონდნენ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა შეგნებაში. რუსეთში ამტყდარმა ქარიშხალმა ქარიშხალი გამოიწვია მთელს აღმოსავლეთში.

აჯანყებულ ჯავშნოსან „პოტიომკინის" გამოჩენამ შავ ზღვაზე შეაშფოთა სტამბოლში დოლმა-ბაჩეს სასახლე, სამაგიეროდ იმედი ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსახა ათასობით და ათიათასობით ადამიანს სრუტეების ნაპირებზე და ვრცელ ანატოლიაში.

ლეიტენანტი შმიდტი დახვრიტა რუსეთის თვითმპყრობელობამ, მაგრამ შმიდტის სიტყვები და საქმეები მიწვდა ოსმალეთს, მიწვდა ისეთ ადგილებს, რომლებსაც ოსმალეთის თვითმპყრობელობა და ევროპის იმპერიალიზმი თავის ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენად თვლიდა. თურქეთის არმიის ოფიცერთა ჯგუფმა, სწორედ იმ არმიისა, რომელსაც ჟანდარმობა უნდა გაეწია მთელს აღმოსავლეთში და დაეცვა გადამთიელთა ინტერესები, წერილით მიმართა ლეიტენანტ შმიდტის შვილსა და დას: „ჩვენს გულში ლეიტენანტი შმიდტი დარჩება დიდ მებრძოლად და ადამიანის უფლებებისათვის წამებულად. ის იქნება მასწავლებელი ჩვენი შთამომავლობისათვის. ჩვენო ძმაო ევგენი პეტრეს-ძევ, ჩვენო დაო ანა პეტრეს ასულო, იცოდეთ, რომ სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ლეიტენანტმა შმიდტმა მებრძოლთა ცხედრების წინაშე სევასტოპოლში, უკვე მოეფინა ჩვენი იმპერიის ყველა კუთხეს.

ჩვენც ვფიცავთ დიდ მოქალაქე ლეიტენანტ შმიდტს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ წმინდა სამოქალაქო უფლებისათვის, თავისუფლებისათვის, რის გულისთვისაც დაგვეღუპა მრავალი საუკეთესო მოქალაქე. ვფიცავთ აგრეთვე, რომ შევეცდებით, რითაც კი შეგვეძლება, გავაცნოთ თურქ ხალხს რუსეთის ამბები, რათა გაერთიანებული ძალებით მოვიპოვოთ ადამიანურად ცხოვრების უფლება... ლეიტენანტი შმიდტი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში და თაობებს გადაეცემა, თუ როგორ შეეწირა ის თავის სამშობლოს". ეს არ იყო მარტო წერილი — თურქეთში ტექსტი ჰექტოგრაფზე გაამრავლეს და პროკლამაციად ავრცელებდნენ. რუსეთის რევოლუციას მიესალმებოდნენ ყველანი, ვისაც უყვარდა თავისი სამშობლო, ვისთვისაც ძვირფასი იყო მისი თავისუფლება. აბდულა ჯევდეთი, „ითიჰად ვე თერაქის" („ერთიანობა და პროგრესი") პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მიმართავს ხალხს:

„...ჩაგრულო ხალხო — მუსლიმანებო და არამუსლიმანებო — გაერთიანდით! ღარიბებო და მდიდრებო, სუსტებო და ღონიერებო, ქალებო და კაცებო, ახალგაზრდებო და ხნიერებო, გაერთიანდით! ტრაპიზონის, არზრუმის და კასტამონუს მოსახლეობამ, ამ ვილაიეთების გმირმა მოსახლეობამ, ჩვენმა გმირმა ძმებმა, უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები. შეხედეთ რუსეთს, შეხედეთ ირანს..."

ოსმალეთისათვის უჩვეულო არ იყო არც აჯანყება და არც ამბოხება, მაგრამ უფრო ხშირი იყო შეთქმულებები. შეთქმულებებს აწყობდნენ ტახტისთვის მეტოქენი, იენიჩრები, რომლებიც ტახტიდან აგდებდნენ და ტახტზე აყავდათ სულთნები. იენიჩრების მოთხოვნა არ სცილდებოდა ჯამაგირის მომატებასა და პრივილეგიების გაფართოებას. სულთნით უკმაყოფილო ქურთების ცხენოსანი რაზმები დროგამოშვებით ეშვებოდნენ ანატოლიის მთებიდან და ძარცვავდნენ ბარის მცხოვრებთ, მაგრამ სულთანის რეჟიმს არავინ ემუქრებოდა, პოლიტიკური პროგრამა არავის ჰქონდა.

მხოლოდ მე-19 საუკუნეში გაიგო ოსმალეთმა, თუ რა იყო პოლიტიკური პროგრამა და პოლიტიკური პარტია. ეს იყო „ახალგაზრდა ოსმალთა" ჯგუფი. ისინი მოითხოვდნენ არაბული სიტყვების განდევნას თურქული ენიდან და კონსტიტუციის მაგვარ რაღაცას. მე-19 საუკუნის დასასრულისათვის ოსმალეთმა იხილა ახალი პარტია „ითიჰად ვე თერაქი" — „ახალგაზრდა ოსმალების" პოლიტიკური მემკვიდრე. ამ პარტიის წევრებმა თავის თავს „ახალგაზრდა თურქები" უწოდეს. მათ უკვე აშკარად აღარ სურდათ სულთანის ერთმმართველობა, მაგრამ ბევრსაც ვერაფერს ბედავდნენ; მათი ოცნება არ სცილდებოდა კუდმოჭრილ კონსტიტუციას, რომლის ავტორები ჯერ კიდევ „ახალგაზრდა ოსმალები" იყვნენ. აბდულ-ჰამიდი მათ უძლეველ გოლიათად ეჩვენებოდათ და ბრძოლის მეთოდად მხოლოდ ხვეწნა-მუდარას მიიჩნევდნენ. მაგრამ იმათთვის, ვინც იწამა ლეიტენანტ შმიდტის ბრძოლის მეთოდები, მიზნები და იდეალები, აღარ ვარგოდა არც კუდმოჭრილი კონსტიტუცია და არც ხვეწნა-მუდარით ბრძოლა. 1907 წელს ოსმალეთის ბურჟუაზიულ-რევოლუციური ორგანიზაციების პარიზის ყრილობაზე, სადაც წამყვანი ძალა „ითიჰად ვე თერაქი" იყო, პირველად გაისმა სიტყვები — „შეიარაღებული აჯანყება". ეს სიტყვები შეიტანეს ყრილობის დეკლარაციაში, და ამიერიდან შეიარაღებული აჯანყება, რუსეთის რევოლუციის მსგავსად, უნდა გამხდარიყო ბრძოლის მეთოდი სულთნის რეჟიმის წინააღმდეგ.

თუ ჯავშნოსან „პოტიომკინის" ზარბაზნების ხმა გაიგონეს სტამბოლში, სამაგიეროდ ნასაკირალთან ბრძოლის ხმები კარგად ისმოდა ტრაპიზონში, არზრუმსა და რიზეში. ლაზისტანში შეიქმნა შეიარაღებული რაზმები „ქართველი ძმების" დასახმარებლად. ლაზისტანის რაზმები მზად იყვნენ თოფის ლულები სტამბოლის წინააღმდეგაც კი მიემართათ. ეს იყო ის პირველი ნაბიჯები, რომელთა შესახებაც იუწყებოდა აბდულა ჯევდეთი.

იმ დროს, როდესაც თურქეთში შეიარაღებულ აჯანყებაზე ჯერ მხოლოდ მსჯელობდნენ, ირანში აჯანყების ცეცხლი უკვე კარგა ხნის გაჩაღებული იყო.

ირანის შაჰების სამფლობელოში შაჰ-აბაზის დროინდელი ძლიერების კვალიც კი აღარ იყო. ირანში ირანისა აღარაფერი დარჩა. ყველაფერი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახმელეთო გზები, მდინარეები, მიწის მოსავალი, წიაღისეული სიმდიდრენი, ქარხნები, ბანკები, არმია და სკოლები — უცხოელებისა იყო. რუსეთმა თვალი დაადგა სპარსეთის ჩრდილოეთ მხარეს, ინგლისმა კი — სამხრეთს. თითქოს არსად, მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ იყო მოსახლეობა ისე დაჩაგრული, გაღატაკებული და ჩამორჩენილი, როგორც ირანში. ვის არ ნახავდით აქ: გლეხ მოჯამაგირეს, გლეხ ყმას და გლეხ მონას. ვინმე ალი-მოჰამედმა, სეიდმა, თავისი თავი გამოაცხადა ბაბად ანუ კარად, რომლის პირითაც მოციქული მაჰდი თავის ნებას ამცნობდა ხალხს, ხოლო შემდეგ კი თვით მოციქულ მაჰდად აღიარა თავი და ხალხს ალაჰის სახელით აუწყა: დადგა ძველი სამყაროს აღსასრული და იწყება ახალი ერა, როცა აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, ძლიერი და სუსტი, აღარავინ აღარავის დაჩაგრავს და ყველანი თანასწორნი იქნებიანო. ამის შემდეგ ხალხმა იარაღი აისხა, რათა შეესრულებინა ალაჰის ნება. ხალხი ალაჰისა და სასწაულის იმედით იბრძოდა და შაჰის მთავრობამ ადვილად ამოჟლიტა ბაბის მიმდევრები. 1905 წელს ირანელი ხალხი ალაჰისა და სასწაულის იმედით აღარ იყო, აღარც ზღაპრული აღთქმული ქვეყანა სწამდა. რევოლუციამ კარგად დაანახვა ირანელ ხალხს, თუ რა იყო ბრძოლის მიზანი და როგორი იყო ბრძოლის მეთოდები.

შიმშილმა და სიდუხჭირემ მრავალი ადამიანი გამოდევნა ირანიდან. მიდიოდნენ იქ, სადაც შეიძლებოდა ლუკმა პურისა და სამუშაოს შოვნა. ბაქოს ნავთის სარეწებზე, თბილისის მშენებლობებზე მრავალი ირანელი ლტოლვილი გაჩნდა. ისინი შეეზარდნენ ამიერკავკასიის მუშათა კლასს, აქ შეითვისეს მათ რევოლუციური ბრძოლის თეორია და პრაქტიკა, გაეცნენ მარქსს და ლენინს, უსმენდნენ სტალინს. როდესაც რევოლუციამ შეარყია ცარიზმი, როდესაც შესუსტდა შაჰის ერთგული მოკავშირე და მეგობარი რუსეთის იმპერია და იმპერიალისტური დაწოლა ჩრდილოეთ ირანზე, ირანში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, დაიწყო ირანის რევოლუცია. ახლა ირანელ ხალხს სათავეში უდგნენ არა ბაბის მაგვარი მეოცნებენი, არამედ ბრძოლაში გამოწრთობილი კადრები. დამსჯელმა რაზმებმა ვერაფერი გააწყვეს. შაჰმა უკან დაიხია. მოწვეული იქნა პირველი პარლამენტი, შეიქმნა პირველი კონსტიტუცია და ირანის მძლეთამძლე შაჰი, შაჰ-აბაზის, ნადირ-შაჰისა და აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის მემკვიდრე კონსტიტუციურ მონარქად იქცა. ამიერიდან, პირველად აღმოსავლეთის ისტორიაში, მონარქი დაემორჩილა კანონს, რომელშიც ეწერა, რომ ხალხი მთელი სახელმწიფო ძალაუფლების საწყისია.

ხალხმა შექმნა ფიდაების შეიარაღებული რაზმები, ჩამოყალიბდა დემოკრატიული ენჯუმენები. ფიდაების დახმარებით თავრიზში და ჩრდილოეთ ირანის ბევრ ადგილას ძალაუფლება დემოკრატიული ენჯუმანების ხელში გადავიდა. ირანის ამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ეკონომიურ რაიონში შაჰის ხელისუფლება ფაქტიურად დაემხო. ფიდაების რაზმები და დემოკრატიული ენჯუმენები დახმარებას იღებდნენ ამიერკავკასიელი რევოლუციონერებისაგან, ამიერკავკასიიდან აწვდიდნენ მათ იარაღს. ფიდაების დასახმარებლად თავრიზში ჩავიდა რამდენიმე ასეული შეიარაღებული ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი, თავრიზელთა არტილერიას სარდლობდა მეზღვაური ჯავშნოსან „პოტიომკინიდან“.

1905 წლის რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ცარიზმი მოღონიერდა და გათამამდა, ბრძოლა ირანში კი გრძელდებოდა, რევოლუცია ახალ-ახალ რაიონებს ედებოდა და სამხრეთისაკენ მიიწევდა. ირანის რეაქციას აღარ შესწევდა ბრძოლის ძალა. 1911 წელს მეფის რუსეთის ჯარები შეუდგნენ რევოლუციის ჩახშობას ჩრდილოეთ ირანში, ასევე მოქმედებდნენ ინგლისის ჯარები სამხრეთ ირანში. კვლავ აღსდგა ყაჯარელი შაჰის შეუზღუდველი ძალაუფლება.

თუ ოსმალეთი და ირანი ზედ რუსეთის საზღვრებზე მდებარეობდნენ, სამაგიეროდ შორს იყო ინდოეთი. ჰიმალაისა და ყარაყორუმის მაღალი მთები საიმედოდ კეტავდნენ მას ჩრდილოეთიდან. დიდი ბრიტანეთის იმპერიალიზმი დარწმუნებული იყო ინდოეთის შეუვალობაში. ვერავინ გადმოლახავდა ჰიმალაისა და ყარაყორუმს, ვერც ზღვიდან მოვიდოდა ვინმე, რადგან იქ ინგლისის ფლოტი ბატონობდა. მაგრამ ინგლისს რომ ინდოეთი დაეკარგა, ამისათვის თურმე სულაც არ იყო საჭირო უცხოეთის ჯარი — რუსეთის რევოლუციის იდეები ვერ შეაჩერეს ვერც მაღალმა მთებმა და ვერც ზღვების ბატონმა ინგლისის ფლოტმა.

ინგლისელებს ყოველთვის თავი მოსწონდათ ინდოეთით. გაივლის ალბათ მრავალი, შეიძლება რამდენიმე ათეული საუკუნე, და ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში კლასიკური კოლონიის მაგალითად მოიყვანენ ინდოეთს, ისევე როგორც ახლა ჩვენ კლასიკური მონათმფლობელური სახელმწიფოს მაგალითად მოგვყავს ძველი რომი. ურიცხვი რაჯები, ფეოდალური სამთავროები, ინგლისური კოლეჯები და იქ აღზრდილი ინდოელი მოხელეები, რამდენიმე ათეული ინდოელი სტუდენტი ოქსფორდსა და კემბრიჯში ბრიტანეთის მთავრობას თავის საიმედო დასაყრდენად მიაჩნდა. თითქოს არ არსებობდა ძალა, რომელიც წინ აღუდგებოდა ინგლისს ინდოეთში. ინგლისელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აჯანყებული სიპაების დახვრე-

ტის შემდეგ ვერავინ აღმართავდა ხელს მათზე. სინამდვილე კი სხვა იყო — ინდოეთი მიესალმებოდა რუსეთის რევოლუციას. ლენინი მაშინ წერდა: „ზარეთა მღელვარება ინგლისის ინდოეთში“. ბენგალეთის გაყოფა ორ პროვინციად ინდოეთში სწორად გაიგეს, როგორც ეროვნული მთლიანობის ხელყოფა. ბენგალეთი, ბენჯაბი, ბომბეი მასობრივმა საპროტესტო მოძრაობამ მოიცვა. მართალია, ეს იყო ჯერ მშვიდობიანი მოძრაობა, რომელსაც რელიგიური ელფერი ედვა, მაგრამ მასში სჩანდა ხალხის ძალა, რომელიც მხოლოდ ახლა ამოქმედდა. ამას მოჰყვა გლეხობის რევოლუციური მოძრაობის მკვეთრი გაძლიერება და აჯანყება ბენჯაბში, ქალქ რავალპინდის აღება და შემდეგ ინდოეთისთვის სრულიად ახალი რამ — პოლიტიკური გაფიცებები. გაიფიცნენ რკინიგზელები. მჭედლები, ფეიქრები, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი. ხალხმა უარი სთქვა მოძრაობის შვიდობიან ფორმებზე, რომელსაც მოითხოვდა ინდოეთის, ეროვნული კონგრესი. ინდოეთში აშკარად ამზადებენეს რუსეთის რევოლუციაში გამოყენებული ბრძოლის მეთოდები.

პირველი მსოფლიო ომი. იმპერიალისტური ბრძოლა მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის. ევროპას იმპერიალიზმს სჭირდება „ფერადი“ ჯარისკაცები და აღმოსავლეთს რესურსები. აღმოსავლეთი უხდის ხარკს დასავლეთს სისხლითაც და ოფლითაც. ომის ცეცხლი ბუგავს მახლობელ აღმოსავლეთს. გიფური თეორიებითა და აკვიატებული აზრებით შეპყრობილმა ენვერ ფაშამ ოსმალეთი გერმანულ ომის ეტლს მიაბა. ბედმა კვლავ უმტკიცა თურქებს და ოსმალური ჰილალი უკუღმა შეტრიალდა. ომის დროს და მასზე უფრო ადრეც ანტანტის ქვეყნებმა გაინაწილეს ნადავლი. ჯერ კიდევ 1907 წელს ინგლისმა და რუსეთმა გაიყვეს სპარსეთი. ასევე გაინაწილეს ოსმალეთი საქმაო და პიკომ — ინგლისელმა და ფრანგმა დიპლომატებმა, თუმცა შემდეგ იძულებულნი გახდნენ რუსეთს, იტალიასა და სპარიძნეთს შეპირებოდნენ ოსმალეთის საკმაოდ დიდ სივრცეებს. ამ ხელშეკრულების თანახმად ომის შემდეგ ყველას თავისი ერგებოდა, ხელცარიელი რჩებოდნენ მხოლოდ... თურქები. ასე უნდა დასრულებინა თავისი არსებობა სახელმწიფოს. აღმოსავლეთის ქვეყნებს პერსპექტივაში მონობის ახალი ეპოქა ჰქონდათ.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შეაბრუნა ისტორიის მსვლელობა. დაიწყო ახალი ერა კაცობრიობისათვის. დროებით მთავრობის დამხობის მეორე დღესვე რუსეთის საბჭოების II ყრილობამ მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ, გაუქმებულად გამოაცხადა ყველა არათანაბარწორუფლებიანი ხელშეკრულება. 1917 წლის 24 ნოემბერს გამოქვეყნდა სახელმწიფოთა ხალხების უფლებათა დეკლარაცია, რომელიც ეფუძნებოდა ლენინის ცნობილ თეზისებს ერების თვითგამორკვევის შესახებ. ამ დეკლარაციით რუსეთის ხალხებს მიეცათ საშუალება თავისუფლად განეკარგათ თავიანთი ბედი, ჩამოეყალიბებინათ ეროვნული სახელმწიფოები ან ნებაყოფლობით შეერთებოდნენ რუსეთის ფედერაციას. ეს დეკლარაცია ეხებოდა ყველა ხალხს, ყველა ერს, ყველა ეროვნებას, ყველა ეთნიკურ ჯგუფს, ყველა ტომს, ყველა ეროვნულ უმცირესობას, რომლებიც ცხოვრობდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. ეს დეკლარაცია ეხებოდა ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი. საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ ის წინააღმდეგია ეცხო მიწების დაპყრობის. საბჭოთა მთავრობამ გაიუქმა ის ხელშეკრულებანი, რომლებიც თვალსაწინეზეღნენ კონსტანტინეპოლის დაპყრობას და სპარსეთის განაწილებას. ამიერიდან საბჭოთა რუსეთის სახით აღმოსავლეთის ქვეყნებს ჰყავდათ ერთგული მოკავშირე და დამხმარე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მუდროსის დროებითი ზავის ძალით ოკუპირებულ თურქეთში იწყება ანტიიმპერიალისტური გამთავისუფლების მოძრაობა. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გენერალი მუსტაფა ქემალ ფაშა, შემდგომში თურქთა მამაო— ათათურქად წოდებული. ქემალ ათათურქს მის ბრძოლაში თურქეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მხარი დაუჭირა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ. ანტანტა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თურქეთი. თურქეთი სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

რუსეთის ჯარები სტოვებენ ირანს. საბჭოთა რუსეთმა დაუბრუნა ირანს ყველაფერი ის, რაც მას მეფის მთავრობამ წაართვა. ირანში იწყება ეროვნულ-გამთავისუფლებელი ბრძოლის ახალი, ძლიერი აღმავლობა. რეშთსა და ენზელიში რუსეთის მაგალითისამებრ იქმნება საბჭოები. ინგლისის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ იწყება პარტიზანული მოძრაობა. ბრძოლა ძლიერდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინგლისმა 1919 წელს „ხელშეკრულება“ დასდო ირანთან. ხელშეკრულება თვალსაწინებოდა ბრიტანეთის ფაქტიური პროტექტორატის დამყარებას ირანზე. ირანელი ხალხისათვის მძიმე დღეებში საბჭოთა სახელმწიფომ 1921 წლის 26 თებერვალს თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება დაუდო ირანს. ხელშეკრულების დადების პირობა იყო „ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა ირანიდან, ამავე დროს, ხალხის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შედეგად, 1905—1911 წლების მსგავსად, შაპის მთავრობამ კვლავ დაკარგა კონტროლი ირანის ჩრდილოეთ პროვინციებზე. ირანის მთავრობამ ვერ გაბედა დაემტკიცებინა ინგლის-ირანის ხელშეკრულება. ინგლისი იძულებული გახდა გამოეყვანა თავისი ჯარები ირანის თითქმის მთელი ტერიტორიიდან. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გაელენით გაშლილმა ირანელი ხალხის ძლიერმა ანტიიმპერიალისტურმა ბრძოლამ იხსნა ირანი ინგლისის მონობიდან.

რუსეთის სოციალისტური რევოლუციამ შეარყია იმპერიალიზმის პოზიციები ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში, შესუსტება ბრიტანეთის პოზიციებიც ინდოეთში. ინდოეთის მეწყდა რუსეთის რევოლუციის გამარჯვების ცნობა, მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგეს, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი სთქვა ცარიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე და ხალხთა თანასწორობა გამოაცხადა. ინდოელი ხალხისათვის ეს იყო სიგნალი ახალი ბრძოლებისათვის, ინდოელი ხალხი დარწმუნდა, რომ შეიძლება იმპერიალიზმის დამარცხება, ბრიტანეთის განდევნა ინდოეთიდან. დაიწყო გაფიცვები, ბომბეის ქუჩებში შესდგა დემონსტრაცია წითელი დროშებით. შეიქმნა პროფკავშირები. გლეხები უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე. ომის ფრონტებიდან დაბრუნებული ინდოელი ჯარისკაცები წელში აღარ იხრებოდნენ ინგლისელი ბატონების — საჰიბების წინაშე, მათ თავი უკვე ადამიანებად მიაჩნდათ და ადამიანურ უფლებებს მოითხოვდნენ. ინდოეთში მოითხოვდნენ რუსეთში გამოცხადებულ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, ინდოეთის არალეგალურმა გაზეთებმა დაბეჭდეს მისალმება საბჭოთა რუსეთისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „რუსეთის რევოლუციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინდოელი ხალხის ფსიქოლოგიაზე. ინგლისის ყოველგვარი ცდის მიუხედავად, ხალხთა თვითგამორკვევის ლოზუნგი შეიჭრა ინდოეთში“. ეს ლოზუნგი შეიჭრა ყველგან: ინდოეთში, ინდონეზიაში, შორეულ ფილიპინებში, საფრანგეთის მიერ დამონებულ ინდოჩინეთში; გაძლიერდა ბრძოლა იმპერიალისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩინეთში, არაბეთის ქვეყნებში. თავისუფლებისათვის მებრძოლთ სათავეში ჩაუდგნენ აღმოსავლეთის ახალგაზრდა კომუნისტური პარტიები.

აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხებს არ ჰქონდათ ერთიანობა, იმპერიალიზმმა შესძლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში თავისი ბატონობის აღდგენა. ინდონეზიის ახლანდელი პრეზიდენტი სუკარნო წერდა: „...თუ იმპერიალისტური გოლიათები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მაშინ მოდით, ვითანამშრომლოთ ჩვენც, ამ იმპერიალისტური გოლიათების მსხვერპლებმა“.

1927 წელს ბრიუსელში შესდგა დაჩაგრულ ხალხთა კონგრესი. ეს იყო ბანდუნგის და კაიროს კონფერენციების წინამორბედი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაშლილმა ძლიერმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იძულებული გახადა იმპერიალიზმი ეძებნა კოლონიური ბატონობის ახალი, შენიღბული ფორმები — ინდოეთს ჰპირდებიან კონსტიტუციას, ახალ დაპირებებს აძლევენ ინდონეზიას, ინდოჩინეთს, არაბებს.

გერმანიის ფაშიზმისა და იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხებამ, დაჩაგრულ ხალხთა ერთგული მეგობრის საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ და გაძლიერებამ, აზიის უდიდესი სახელმწიფოს ჩინეთის სოციალისტური განვითარების გზაზე დადგომამ საბოლოო კატასტროფამდე მიიყვანა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. ყოფილი კოლონიები: ინდოეთი, ინდონეზია, არაბული ქვეყნები დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოებად იქცნენ. აზიის ხალხებმა შეიგნეს, რომ ძლიერება ერთიანობაშია. შეხვედრა ნიუდელში, შემდეგ ბანდუნგი და ბოლოს კაირო მოწმობენ აზიის ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილებას: იარონ არჩეული თავისუფლების გზით, არავის დაუთმონ, რაც მოპოვებული იქნა თაობების თავგანწირული ბრძოლის შედეგად, და ბოლომდე მიიყვანონ ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ. აზიის ხალხები დახმარების ხელს უწვდიან აფრიკის ხალხებს.

კოლონიური სისტემა იშლება და მას ვერავითარი ძალა ვერ შემოაბრუნებს, მაგრამ კოლონიალიზმი ჯერ არ მომკვდარა. აზიაში ჯერ კიდევ ცოცხლობენ კოლონიური იმპერიების ნამსხვრევები. იმპერიალიზმი კიდევ შეეცდება ფეხი მოიკიდოს აღმოსავლეთში, შეინარჩუნოს აფრიკა. წინ არის დიდი ბრძოლები.

იმპერიალისტ დამპყრობელთათვის აზიელი მეორე და მესამეხარისხოვანი ადამიანი იყო. გადამთიელებს თავისი თავი პრივილეგირებულთა და კულტურულთა რასად მიაჩნდათ. სიტყვა „აზიელი“ მათს ლექსიკონში ზიზღისა და დამცირების გამომხატველად იქცა. აზიელებს კი არასდროს არ სცხვენოდათ თავისი აზიელობის, ისინი ამაყობდნენ თავიანთი წარსულით და სწამდათ მომავალი. და დღეს აზიის ყოველ კუნჭულში, ყველგან, სადაც კი მიხვალთ, თქვენ გაიგონებთ სიამაყით წარმოთქმულ სიტყვებს: „მე აზიელი ვარ“. ევროპაში თუ ამერიკაში ჩასული ინდოელი, ავღანელი, სპარსელი თუ არაბი ასევე სიამაყით იმეორებს: „მე აზიელი ვარ“. აზია ამაყობს თავისი აზიურობით.

ევროპაში უკანასკნელ წლებში შეშფოთებით ბევრს წერენ აზიური ნაციონალიზმის შესახებ, რომელიც ვითომდა ემუქრება „თეთრ ადამიანთა“ სამყაროს. მაგრამ აზიელებიც ხომ მრავალნაირნი არიან, არიან ფერადნიც და არიან თეთრებიც, და მათი ბრძოლა არის ბრძოლა თავისუფლებისათვის, ერთიანობისათვის, მშვიდობისათვის, რათა ჩვენს პლანეტაზე აღარ იყოს მონა ერები და ბატონი ერები — ყოველი ადამიანი თანასწორუფლებიანია. აზიისა და აფრიკის ხალხების წარმომადგენელთა ყოველი შეხვედრა ახალი ნაბიჯია იმ დიდი იდეალებისათვის ბრძოლაში, რომელსაც მიესალმება ყოველი პატიოსანი ადამიანი მთელს მსოფლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ თვარაძე

აღმოსავლეთი და საქართველო

კაცობრიობის კულტურული განვითარების ისტორიაში უკანასკნელი საუკუნეები იმითაც არის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი, რომ თავი იჩინა ერთმა საგულისხმო მოვლენამ: დასავლეთი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე „უძღები შვილის“ როლს ასრულებდა მისი ცივილიზაციის აკვნის დამრწევის — აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, თანდათანობით პირს იბრუნებს ამ ქვეყნებისაკენ და სულ უფრო ხარბად ეწაფება იქ დაგროვილ საუნჯეს — ადამიანის გონის, ინტელექტისა და ინტუიციის ხელისხელ საგოგმანებ მონაპოვრებს.

დაწყებული უძველესი დროიდან, როდესაც ბერძენთა ნახევრად მომთაბარე ტომებმა ხეთას სახელმწიფო გადაიარეს და მის ნანგრევებზე დააფუძნეს თავიანთი მაღალი ცივილიზაცია, დასავლელ მემკვიდრეთათვის აზია მუდამ იყო სულიერი წყობის ფასეულობათა იმპორტის დაუშრეტელი წყარო. მაგრამ ამ ფაქტის აღიარებისათვის ნიადაგის შემზადებას გაცილებით მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე, ვთქვათ, ბუდას შესახებ არსებული ინდური ლეგენდის სულისმარგებელ ქრისტიანულ მოთხრობად გადაქცევას და ევროპის უკიდურეს დასავლეთ სანაპირომდე გავრცელებას.

აღმოსავლეთის კულტურის ბაზაზე დასავლეთმა დიდი, თვითმყოფადი კულტურა შეიქმნა, შემდეგ თავისი სულიერი მოძღვარი დაივიწყა, ამაყად წელში გასწორდა, ამ მოძღვარზე დამპყრობლის მახვილი აღმართა და ისეთი კოლოსის პირით, როგორც ჰეგელი იყო, უთხრა: შენი გონება ნაკლებ განვითარებულია, მას არ შეუძლია აბსტრაქტული აზროვნების სიმაღლეებს მისწვდესო. ჰეგელის ეს სიტყვები შემთხვევითი როდია. ძალზე დიდხანს მიაჩნდათ ევროპელებს აზიის ქვეყნები ველური, გაუნათლებელი ტომების სამკვიდროდ, სადაც შეუძლებელია არამც თუ მაღალი კულტურის არსებობა, არამედ მისი გავრცელებაც კი.

ნიშანდობლივი ამბავია, რომ დასავლეთმა აღმოსავლეთისა თავდაპირველად ლიტერატურა და ხელოვნება სცნო, შემდეგ მისი წმინდა ინტელექტუალური მონაპოვრებიც აღიარა, ბოლოს კი ისიც „აღმოაჩინა“, რომ ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია, არაბეთი, სპარსეთი და სხვა ქვეყნები ძველთუძველესი ცივილიზაციის შემქმნელნი და საუკუნეთა მანძილზე მატარებელნი ყოფილან. უკვე გასული საუკუნის დამდეგს დიდმა გოეთემ გამოთქვა თავისი ცნობილი მოსაზრება სპარსული პოეზიის შესახებ. უოლტ უიტმენის პოეზიაში ინდური ფილოსოფიური აზროვნების კვალი აღმოჩნდა. ფიცჯერალდმა ინგლისი და მთელი ევროპა აახმაურა ომარ ხაიამის რუბაიების უბრწყინვალესი თარგმანებით; აღმოსავლური ლიტერატურით დაინტერესება მოდად გადაიქცა. და რა აღმოჩნდა? ევროპელმა მეცნიერებმა მიაკვლიეს „რიგ-ვედასა“ და „უფანიშადებს“, „ბჰაგავატ გიტასა“ და კონფუცის, ბუდასა და ლაო-ძის, ზოროასტრსა და იბნ-სინას, დიონისე არეოპაგელსა და იოანე პეტრიწს. ევროპა ლამის წალეკა აღმოსავლური ენებიდან ნათარგმნი წიგნების ნიაღვარმა. ინგლისში დაარსდა ომარ ხაიამის სახელობის კლუბები, აღმოსავლეთის უშუალო გავლენით აღმოცენდნენ რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობანი, რომენ როლანმა ტომები დაწერა ინდური ფილოსოფიის შესახებ, თაგორმა და ემინ რეიჰანმა მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს... ყოველივე ამას დაემატა გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დამდეგს ჩატარებული ისტორიული ხასიათის მუშაობა, რომელმაც გაოცებულ დასავლეთს თვალწინ სრულიად ახალი სამყარო გადაუშალა...

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ გრანდიოზული ეპოქალური ძვრებისა; აზიის ხალხები მსოფლიოში იკავებენ იმ პოლიტიკურსა და კულტურულ ადგილს, რომელიც შეეფერება მათს ეროვნულ მეობას. დღეს უკვე პარადოქსად ბევრს აღარავის მოეჩვენება აზრი, რომლის თანახმად ძველი ინდური, იაპონური, ჩინური, არაბული, ტაჯიკური ან ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია, არამც თუ ტოლს არაფერში დაუდებს დასავლურ მწერლობას, არამედ მრავალი ნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მიხედვით მასზე ბევრად უფრო ღრმა, დახვეწილი და მომხიბვლელია.

*

თუ მოვიწადინებდით უზოგადეს ხაზებში მაინც განგვესაზღვრა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ქართველი ერის კულტურული კონტაქტის რაობა, ერთობ შორეული წარსულისაკენ მოგვიხდებოდა მიბრუნება. მეტიც. თუ გავიზიარებთ იმათ თვალსაზრისს, ვინც წინა აზიის უძველეს ხალხებთან — ხეთებთან, სუბარებთან, ურარტელებთან — ქართველობის ახლო ნათესაობას ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ჰიპოთეზად ან აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფად არ მიიჩნევს, მაშინ მხოლოდ კონტაქტზე ლაპარაკით ვერც უნდა დავკმაყოფილდეთ, რადგან ხსენებული ხალხები არა მარტო ახლო კავშირში იყვნენ აღმოსავლეთის სხვა, იმ დროისათვის დაწინაურებულ ხალხებთან, არამედ მათ თავად შექმნეს ისეთი ცივილიზაცია, რომელმაც შემდგომში დასაბამი მისცა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მრავალი ქვეყნის კულტურულ განვითარებას და რომელიც თავისებურ მოსაბრუნ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ საერთოდ კაცობრიობის კულტურული წინსვლის ისტორიაში.

რაც შეეხება კონტაქტს, საამისო ფაქტები საკმაოდაა შემორჩენილი. გასაგები მიზეზების გამო ეს ფაქტები დღესდღეობით უმთავრესად მატერიალური კულტურისა (არქეოლოგიის მონაპოვარნი) და რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების სფეროში იყრის თავს (სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნოთ: მწერალ დემნა შენგელაიას აქვს მეტად საინტერესო დაკვირვებები, რომლებიც შესაძლოს ხდის „ვედების" დროინდელი ზოგიერთი ინდური ღვთაება ქართულ წარმართულ ღვთაებათა პანთეონს დავუკავშიროთ).

მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება ზოგიერთი შედარებით უფრო გვიანდელი კულტურული მოვლენის ასახსნელად (კერძოდ, უამისოდ გაუგებარი იქნებოდა მითრას კულტისა და, თუ გნებავთ, ქრისტიანობის ან მანიქეიზმის გავრცელება საქართველოში): ქართველი ხალხი, ისტორიულ ვითარებათა გამო ასე თუ ისე შეფერხებული კულტურული მსვლელობის გზაზე, გარკვეული მხრით შეცვლილი და განვითარებული სახით იბრუნებდა იმასვე, რაც ადრე ხელგაშლით გაეცა თუ ძალით მიეტაცებინათ მისთვის, რაც მისთვის ასე თუ ისე ნაცნობი და მახლობელი იყო.

მაშასადამე, როდესაც უძველეს ხანაში აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურულ კონტაქტზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა ცალმხრივი, მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური ვითარებით განპირობებული გავლენა, არამედ ერთობ ხანგრძლივი, რთული და მრავალწახნაგოვანი ისტორიული პროცესი.

კიდევ უფრო რთულდება ვითარება მომდევნო ეპოქაში, როდესაც ქართველი ხალხი, გარდა აღმოსავლეთისა, მჭიდრო კონტაქტს ამყარებს დასავლეთის დაწინაურებულ ქვეყნებთანაც. მართალია, როგორც ზემოთაც ითქვა, დასავლურმა ცივილიზაციამ სათავე აღმოსავლეთიდან მიიღო, მაგრამ შემდეგში დასავლეთმა ამ ნიადაგზე იმდენად თვითმყოფადი, თავისთავში დასრულებული და განსხვავებული კულტურა შექმნა, რომ ფაქტიურად მივიღეთ ორი კულტურული სამყარო, რომლებსაც ერთმანეთისა საკმაოდ ცუდად გაეგებოდათ და დასაკავშირებლად უეჭველად შუამავლებს საჭიროებდნენ.

ამ მხრივ წარმართულ მსჯელობას უეჭველად უნდა მოჰყვეს დასკვნა: სწორედ ამგვარი შუამავლის როლს ასრულებდნენ საქართველო და წინა აზიის ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომლებიც გეოგრაფიულად ხსენებულ ორ სამყაროს შორის იყვნენ მოქცეულნი. აქედან კი ერთი ნაბიჯია ცნობილ დებულებამდე: ამ ქვეყნებში ხდებოდა სინთეზი ორი კულტურისა — დასავლური და აღმოსავლური კულტურისა.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ დღესდღეობით უკვე შეიძლება საკითხში მეტი სინათლის შეტანა. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ი. ჯავახიშვილის, შ. ნუცუბიძის, კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, აგრეთვე ჩვენი ზოგიერთი დასავლელი მეგობრის შრომები, მოვლენები ბევრად უფრო ფართო პლანში უნდა განვიხილოთ. სინთეზი და შუამავლობა ისე კი აღარ უნდა გვესმოდეს, თითქოს ხსენებულ ქვეყნებში, კერძოდ კი საქართველოში, მსგავსად ბაზრის მოედნისა, შემოიტანდნენ და ერთიმეორის გვერდით მექანიკურად მოათავსებდნენ ცალკერძ აღმოსავლური და ცალკერძ დასავლური კულტურის მონაპოვრებს, შემდეგ კი დაინტერესებული მუშტარი აღმოსავლურ საქონელს დასავლეთისაკენ წაიღებდა, ხოლო დასავლურს— აღმოსავლეთისაკენ! საქართველო სულაც არ ყოფილა ისეთი დახლი, სადაც ასე მექანიკურად მოთავსდებოდა დასავლური და აღმოსავლური კულტურები, ან, თუ გნებავთ, მათი ნაზავი. ერი, რომელიც მხოლოდ ამგვარი ნაზავის შექმნით დაკმაყოფილდებოდა, ვერ იკისრებდა ორი სამყაროს შუამავლის დიად მისიას და, ამასთან, ვერც უნივერსალური მნიშვნელობის ფასეულობებს მიაწვდიდა მსოფლიოს. ორი კულტურის ამგვარ შეზავებას ჭეშმარიტი სინთეზი არასოდეს მოჰყოლია და იმ ხალხებს, რომლებიც მხოლოდ ამით იყვნენ გართულნი, დიდი კულტურა არასოდეს შეუქმნიათ.

არა, საქმე სულ სხვაგვარადაა. კულტურული სინთეზი ბევრად უფრო რთული მოვლენაა. იგი აუცილებლად საჭიროებს შემდეგ წინაპირობებს: ის, ვინც სხვადასხვა კულტურათა სინთეზი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდინოს, განვითარების თვალსაზრისით ამ კულტურათა შემქმნელ ხალხებზე დაბლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იდგეს, მას უნდა შესწევდეს ძალა თავისთავში დაძლიოს ამ კულტურათა შეთვისების შედეგად აღძრული საფრთხე გავლენის ქვეშ მოქცევისა; ამ კულტურებს მან უნდა დაუხვედროს თავისი თვითმყოფადი, ძალუმი კულტურა და ამ უკანასკნელთან მათი ორგანულად შერწყმის გზით უნდა მისწვდეს განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურს.

ამ წინაპირობათა გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი სინთეზზე. ნაცვლად ამისა, მივიღებთ ან უბრალო გავლენას, ან კიდევ კულტურათა მექანიკურ ნაზავს, რომელიც თავისი მნიშვნელობით ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებს ვერ გასცილდება.

მოვიტანოთ ამგვარი მაგალითები: ცნობილია, რომ არაბებმა ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში გაავრცელეს ანტიკური ფილოსოფია. მაგრამ მათი მისია რომ მხოლოდ ამით ამოწურულიყო, მათ რომ თავიანთი მეტად ორიგინალური ნააზრევი არ შეერწყათ, ვთქვათ, არისტოტელისათვის, ისტორია ამ ხალხს მოიხსენიებდა მხოლოდდამხოლოდ განსწავლულ შიკრიკებად (ასეთი რამ კი დიდ დამსახურებად ვერავის ჩაეთვლება). ან კიდევ წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა სუფისტური პოეზია, მისი შემქმნელნი რომ დასჯერებოდნენ მხოლოდ ინდური რელიგიური ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის დებულებათა მექანიკურ შერწყმას?

ასევე უნდა გვესმოდეს საქართველოში წარმოებული ორი კულტურის სინთეზის საკითხი. მხოლოდ ქრისტიანობის მიღების შემდგომი ეპოქა რომ მიმოვიხილოთ და უფრო ადრინდელ ხანაზე არაფერი ვთქვათ შემორჩენილი მასალის სიმცირის გამო, ვნახავთ, რომ რვანახევარი საუკუნის განმავლობაში აქ მიმდინარეობდა ხსენებული სინთეზირების ძალზე რთული და მეტად საინტერესო ისტორიული პროცესი, რომელიც დაგვირგვინდა ისეთი უნიკალური მოვლენით, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“. ქართველობა ითვისებდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურათა რჩეულ ელემენტებს, ყოველივე ამას ორგანულად შეირწყავდა, საკუთარი, ეროვნული კულტურის ბაზაზე გადაამუშავებდა და ამ საფუძველზე ჰქმნიდა თვისობრივად სრულიად ახალ (უფრო მაღალ საფეხურზე მდგარ) კულტურას, რომელიც შემდგომში თავის მხრივ განვითარების მძლავრ ფაქტორად შეიძლებოდა ქცეულიყო (და იქცეოდა კიდეც) იმავე ქვეყნებისათვის, საიდანაც ადრე შეთვისებული იყო ესა თუ ის ელემენტები. შედარების ენით რომ ვილაპარაკოთ, ხსენებული ისტორიული პროცესი ჰგავდა არა ნივთიერებათა მარტივ ფიზიკურ შეზავებას, არამედ რთულ ქიმიურ რეაქციას, რომლის დროსაც რეაქციაში შემავალი ელემენტები ერთიმეორესთან შერწყმით თვისობრივად სრულიად ახალ ელემენტებს გვაძლევენ, შემდგომში ეს ახლადშექმნილი ელემენტები კვლავ ერთმანეთზე მოქმედებენ და ასე დაუსრულებლივ. ფსიქიკური ცხოვრების სფეროშიც მსგავსი რაღაც ხდებოდა და სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან კულტურული პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ ამგვარი რთული ურთიერთმოქმედების ნიადაგზე.

ასე იყო მეცამეტე საუკუნის დამდეგამდე, ვიდრე სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან ერთად განუხრელად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა ქართული კულტურა და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობანი სხვა ხალხებთან.

ახლა ჩვენს წინაშე წამოიჭრება ძალზე საინტერესო პრობლემატური საკითხები, სახელდობრ — აღმოსავლეთის რომელ ქვეყნებთან ჰქონდა ხსენებულ პერიოდში საქართველოს ჩვენამდე შემორჩენილი მასალებითაც დადასტურებული თუ სავარაუდო კულტურული კონტაქტი და რა სფეროებში ან რა დოზით იჩენდა თავს იგი?

პირველ საკითხზე პასუხის გაცემა შედარებით იოლი საქმეა. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო სპარსულ-არაბული კულტურის სამყარო, წინა აზიის ზოგიერთი ქვეყანა, შემდეგ კი ინდოეთი და, როგორც ჩანს, ჩინეთიც (ამ უკანასკნელთან არსებულ კავშირზე, ვფიქრობ, ის ფაქტიც მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და „თამარიანის“ შემქმნელთათვის ეს ქვეყანა სულაც არ წარმოადგენს რაღაც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით არსებულ აბსტრაქციას, არამედ სავსებით რეალურსა და თითქოს საკმაოდ ნაცნობ ობიექტს.). რაც შეეხება აღმოსავლეთის სხვა, იმ დროისათვის კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებს (მაგალითად, იაპონიას), არც ჩვენამდე მოღწეული ცნობები ამბობენ რამეს მათთან რაიმე ხასიათის სულიერ ურთიერთობაზე და ასეთი რამ არც უნდა იყოს საგულვებელი.

ახლა მეორე საკითხი: კულტურის რომელ დარგებსა თუ სფეროებში და რა დოზით იჩენდა თავს აღმოსავლეთის ქვეყნებთან არსებული კონტაქტი? ხელოვნების მრავალ დარგზე (მუსიკა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება და სხვ.) ამჯერად ვერაფერს ვიტყვით ჩვენს ხელთ არსებული მასალის სიმცირისა და საკითხის საფუძვლიანად შეუსწავლელობის გამო; მწერლობის, მხატვრული ლიტერატურის, ფილოსოფიური და რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების სფეროებში კი ძალზე საინტერესო მოვლენებსა და მრავალ პრობლემატურ საკითხს შეიძლება მივაკვლიოთ.

კერძოდ, თუ ავიღებთ მხატვრულ ლიტერატურას, ცხადი უნდა შეიქნეს, რომ ქართული სინამდვილის ზოგიერთი მოვლენის ახსნაში დიდად შეგვიწყობდა ხელს აღმოსავლურ ლიტერატურასთან შეპირისპირება.

ცნობილია, რომ მრავალი ქრისტიანული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნისაგან განსხვავებით, საქართველოში, მდიდარი სასულიერო მწერლობის პარალელურად, ბრწყინვალე საერო ლიტერატურა შეიქმნა. ეს გარემოება მკვლევართათვის დიდხანს წარმოადგენდა თავსატეხ პრობლემას. მრავალი წამოყენებული დებულებიდან დღესდღეობით ყველაზე დამაჯერებელი ჩანს პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომლის თანახმად ამ თითქოსდა უცნაური მოვლენის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ საქართველოში საერო მწერლობა მხოლოდ X—XI საუკუნეებში კი არ ჩასახულა, როგორც ხშირად მიიჩნევენ ხოლმე, არამედ ამ მწერლობის ფესვები უფრო ადრეულ საუკუნეებში, თვით წინარექრისტიანულ ეპოქაში არის საძიებელი. ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს პროფ. შ. ნუცუბიძის დებულება საქართველოში საკუთარი, ქართული ანტიკის არსებობისა და ამ ანტიკის საფუძველზე შემდგომში რენესანსული სულისკვეთების აღმოცენებისა. ამ ფაქტორებთან ერთად და მათ შემდეგ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნების უმდიდრეს ლიტერატურასთან ახლო ნაცნობობას. ეს ნაცნობობა ფაქტია და დადასტურებულია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ისეთი თარგმანით, როგორიცაა „ვისრამიანი“.

აი, სწორედ ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ჩვენს წინაშე რიგი საკითხებისა. უწინარეს ყოვლისა, გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ XI—XII საუკუნეების ქართული ლიტერატურისათვის თითქოს სავსებით შეუმჩნეველი დარჩენილა რუდაქი, შაჰიდ ბალხელი, ომარ ხაიამი და რიგი სხვა მსოფლიო მნიშვნელობის მწერლებისა. ორში ერთია: ან იმდროინდელ საქართველოში სიტყვის ყველა ოსტატი ბრმად მისდევდა დევიზს — „მოშაირე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“, და ამიტომ ჩვენში არაფერი შექმნილა მსგავსი ისეთი ჟანრებისა, როგორიც იყო, ვთქვათ, სპარსული „რობაი“, ჩინური „ძუე-ძუი“ ან იაპონური „ტანკა“, ან კიდევ არაბულ-სპარსული, ინდური თუ ჩინური ლიტერატურის, განსაკუთრებით ლირიკის, ნიმუშები ქართულადაც ითარგმნებოდა (თუ არ ითარგმნებოდა, რაღაც კუთხით მაინც დაჩნდებოდა ქართულ პოეზიაში) და ეს ყოველივე ჟამთვითარების მსხვერპლი გამხდარა, ჩვენს დრომდე აღარ შემორჩენილა.

პირველი მოსაზრება შეიძლება აპრიორულად უკუვაგდოთ (სხვა არა იყოს რა, თავად რუსთაველი გვიდასტურებს ლირიკული ჟანრების უხვად არსებობას); ხოლო მეორის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ, თუკი იმდროინდელ საქართველოში ლირიკულ პოეზიას (და ალბათ მცირე ტევადობის პროზასაც) ფართო გასაქანი ჰქონდა, დაუშვებელია უცხოური ლიტერატურიდან მხოლოდ ეპიურ, სამიჯნურო-სარაინდო და სათავგადასავლო თხზულებებს ეღირსა ინტერესი. აქ ჩვენ უეჭველად მოგვაგონდება XI—XII საუკუნეთა ქართველი მეფეების ბრწყინვალე კარზე უცხოელ პოეტთა ყოფნა, თვით ქართველ მოღვაწეთა მრავალმხრივი განსწავლულობა და ფართო ინტერესები, „თამარიანისთვის“ დართული ელეგიები, იქ მოთხრობილი თავგადასავალი ყარიბი პოეტისა, რომელსაც აღმოსავლეთის თითქმის ყველა კულტურული ქვეყანა შემოუვლია და სულთანის კარზე ლექსებიც უკითხავს; მოგვაგონდება აგრეთვე პავლე ინგოროყვას მიერ მიკვლეული უმდიდრესი ძველ-ქართული პოეზია, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელი (მაგალითად, რატი ორბელი) ვერასგზით ვერ მოთავსდება კანონიკური სასულიერო მწერლობის ჩარჩოებში და ზოგიერთი ნიშნით ბერძნულზე მეტად იქნებ აღმოსავლური ლირიკისადმი სიმპათიებს ამჟღავნებდეს...

ეს ყოველივე უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ვლაპარაკობთ XIII—XV საუკუნეებში (და შემდგომშიც) საქართველოს თავზე დატეხილი კატასტროფებისა და ამ კატასტროფათა შედეგად ბრწყინვალე ქართული ცივილიზაციის დაღუპვის შესახებ (დიახ, უნდა ვილაპარაკოთ სწორედ დაღუპვაზე, რადგან რაც გადარჩენილა და ჩვენს დრომდე მოღწეულა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ნამუსრევიღაა ოდესმე არსებული დიდი ცივილიზაციისა. ჩვენ ზოგჯერ ერთობ გაიოლებულად წარმოვიდგენთ ხოლმე იმ საშინელებას, რაც მოჰყვა ჯალალედინის, მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევებს, და ანგარიშს არ ვუწევთ იმ გარემოებას, თუ რა შემაძრწუნებლადაა დაცემული ქართული აზროვნების დონე ე. წ. აღორძინების ხანაში რუსთაველის ეპოქასთან შედარებით). უეჭველია, ამ კატასტროფათა მსხვერპლი შეიქნა ამა თუ იმ აღმოსავლური ენიდან თარგმნილი მრავალი ქმნილებაც, აგრეთვე ისეთი ორიგინალური ნაწარმოებები, რომლებიც, მსგავსად „ვეფხისტყაოსნისა“, თავისთავში აერთიანებდნენ როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცივილიზაციების საუკეთესო ელემენტებს.

*

თუ ჩავუკვირდებით ქართული აზროვნებისა და კულტურის რაობას ეგრეთწოდებული დაცემის ხანის შემდგომ პერიოდში, XVI—XVIII საუკუნეებში, საჩინო შეიქმნება ორი გარემოება: მონღოლებისა და სელჯუკური მოდგმის ტომების შემოსევათა შედეგად წინა აზია, მახლობელი აღმოსავლეთი და, საერთოდ, საქართველოს მომიჯნავე სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყნები უკვე აღარ არიან მოწინავე კულტურის არა თუ შემქმნელნი, მატარებელნიც კი. ამავე დროს აღმოსავლეთის მხრიდან

თავს დამტყდარი უამრავი უბედურების შემდეგ ქართველობა ფსიქოლოგიურად ისეცაც მზადაა ზურგი აქციოს აღმოსავლეთს, ეს ერთი.

მაგრამ ხომ არ შეიძლება ქვეყანა მოსწყდეს სხვა ქვეყნების კულტურულ ცხოვრებას, თავისთავში ვგმოავლინოთ ის, როგორც იტყვიან, საკუთარ წვეწში იხარშებოდეს! ასეთი ცხოვრებით ვერც ერთი ხალხი ვერ შეჰქნის დიდ, ფასეულ კულტურას და უეჭველად ეთნოგრაფიულობის ბედითს ბრკყალებში მოექცევა. მაშასადამე, საჭიროა კონტაქტი; მაგრამ ვისთან? დასავლური ცივილიზაციის აღრანდევი ფორპოსტი — ბიზანტია აღარ არსებობს; დასავლეთ ევროპა შორსაა და მასთან მისასვლელი გზაც შტაიცად დაგმანულია; რუსეთთან ურთიერთობა კი ჯერჯერობით მხოლოდ წმინდა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, იმ ზომამდე არ განვითარებულა, რომ ლაპარაკი შეიძლებოდეს გაცხოველებულ კულტურულ კავშირზე. საქართველო ფატალურად ჩაყენებულა გარე სამყაროსაგან ბზოლირებულ მდგომარეობაში. ამავე დროს კულტურული ცხოვრების ძველი, მართალია, ბუნდოვნად შემორჩენილი ტრადიციები ხალხს უკარნახებს სულიერი საზრდო საკუთარი თავის გარდა სხვაგანაც ეძიოს.

ასეთ ვითარებას თავდაპირველად მოსდევს უმწეო და იმთავითვე განწირული ცდა — მიუბრუნდნენ ადიგრაფიასა და ბერძნული ქრისტიანული მწერლობის ნიმუშებს. მაგრამ განვითარების ეს საფეხური ქართველობას უკვე განვლილი აქვს, ამასთან უკვე დასამარებული უცხოური ცივილიზაცია წინასწარს სტიმულად არასგზით არ გამოდგება. მაშასადამე, რჩება ისევ აღმოსავლური, უფრო კონკრეტულად კი (არსებულ პირობებში) — სპარსული კულტურა. იწყება ხანა „ვარდ-ბულბულიანების“, „შამი-ფარვანაების“, „ლეილ-მეჯნუნიანებისა“ და მაღლე ირკვევა, რომ მას ხანგრძლივი არსებობა არ უწერია, იგი ხალხისთვის უცხო და მიუღებელი ყოფილა; ამ კულტურას ქართველი ხალხი ორგანულად ვერ შეისისხლხორცებდა და მისი შემწეობით საკუთარს წინ ვერ წასწევდა. თეიმურაზის აღმოსავლურ ორიენტაციას ლიტერატურაში უმაღ დაუპირისპირდა არჩილის და მის მემკვიდრეთა „მართლის თქმის“ პრინციპი, რაც გამომზატვილი იყო ეროვნული თვითტიის და გამომსახველობითი საშუალებების ძიებაში. ამას საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ ქართველმა მწერლობამ, ერთი-ორი უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, სავსებით ზურგი შეაქცია სპარსულ და, საერთოდ, აღმოსავლურ ლიტერატურას.

რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, სპარსული ლიტერატურა ქართულ მწერლობაში მრეულ სარკვსაეთ ირეკლებოდა, მას გადმოჭრილთულებულს არაფერი გაეგებოდათ სუფიზმური პოეზიის არსისა და შედეგად ვღებულობდით ყოველად უგემურ, დაბალი გემოვნების ქმნილებებს. ასეც რომ არ ყოფილიყო, სპარსული პოეზიის ნიმუშები ბრწყინვალედაც რომ გადმოღოთ, ამგვარი პოეზია გასაღებს მაინც ვერ ისპოვნიდა, რადგან იმდროინდელი საქართველო პოლიტიკურად და სოციალ-ეკონომიურად ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელსაც ხალხს ძალზე ნაკლებად სცხელა თვითმკრი პოეტური სახეებისა თუ აბსტრაქტული იდეებისათვის. ის, რაც შესაძლოა სავსებით გასაგები, მახლობელი და ორგანული ყოფილიყო XII საუკუნის ქართველისათვის, XVII — XVIII საუკუნეებში ბარადოქსად ან სიტყვის უქმ თამაშად მოისმოდა, ქართველის გრძნობა-გონებას არაფერს ეუბნებოდა.

მართალია, გარდა სპარსეთისა, იმდროინდელ საქართველოს აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთანაც აკავშირებდა მცირე რამ. ეს გახლდათ ძველისძველი ტრადიციების აღდგენისა და პოლიტიკური კურსის ძიებაში ბაღის გამოხმაურების უღიმღამო ცდები, რომლებიც, ცხადია, მარცხით დამთავრდა. ცხადია იმიტომ, რომ იმ ეპოქაში აღმოსავლეთის ქვეყნების უმეტესობა უკვე თვითონაც სავალალო დღეში იყო ჩავარდნილი, დღითი-დღე დასავლური კოლონიალიზმის მსხვერპლად იქცეოდა, თვითონაც ბევრი აღარაფერი ებადა, დაუძლურებული და სულით-ხორცამდე გაძარცული იყო და საქართველოსთვის რაღა უნდა მიეცა?

ამიტომ, ბუნებრივია, საქართველო რუსეთსაც რომ არ შეერთებოდა, პოლიტიკურად სავსებით რომ არ ჩამოშორებოდა აღმოსავლეთს, კულტურის თვალსაზრისით მისკენ ხელს მაინც აღარ იზიდა. აღმოსავლეთიდან სულიერი წყობის რაიმე ფასეულობის გადმონერგვის შესაძლებლობა ფატალურად გამოირიცხა მას შემდეგ, რაც საქართველომ, ზემოხსენებული მიზეზების გამო, დაკარგა უნარი აღმოსავლური კულტურის ნაყოფი დასავლურთან ერთად საკუთარი კულტურისათვის ორგანულად შეერწყა და ამ რთული სინთეზის საფუძველზე ცივილიზაციის ახალ სფეროებს მისწვდომოდა. ამასთან, აღმოსავლეთის ქვეყნები ჯიდევ რომ არ ჩავარდნილიყვნენ დამონებულ მდგომარეობაში, იქ იმხანად კულტურული კრიზისი მაინც გარდუვალი იყო: მთავრდებოდა ეპოქა ძველთაძველი, დახავსებული, დაუძლურებული ფეოდალური ცივილიზაციისა და სპეროი იყო რაღაც გარდატეხა, რაღაც ძერა, რათა ეს დახავსებული ცივილიზაცია გადახალისებულიყო, „ფენიქსებრ განახლებულიყო“ და კვლავ დაეპირა თავისი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

•

გასაგები მიზეზების გამო მთელი XIX საუკუნე ისე გავიდა, რომ ქართველობას აღმოსავლეთი კულტურული თვალსაზრისით თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც გახსენებია. ამ მხრივ XX საუკუნის პირველი ათეული წლებიც არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი ძვრებით. ამ ეპოქაში ქართველი ხალხის უპირველესი საზრუნავი იყო — მოეშუშებინა საუკუნოვანი ჭრილობები და კულტურულ განვითარებაში როგორმე დასწეოდა წინ წასულ ევროპას. და თუ მაინც ადგილი ჰქონდა აღმოსავლური პრობლემატიკის გაშუქების ცდებს (ილია ჭავჭავაძის ორიოდე სტატია, არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი ბუდიზმის შესახებ და სხვ.) — ეს იყო მხოლოდდამხოლოდ ევროპული ნაყოფიერის ანარეკლი და არა ისეთი უშუალო აღქმა აღმოსავლეთისა, როგორიც დაგვიტოვა, ვთქვათ, რუსთაველის ეპოქამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენში ამ მხრივაც ნამდვილი რევოლუცია მოხდა. სოციალისტურმა ლოზუნგმა — ავითვისოთ ყოველივე საუკეთესო, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია, საქართველოში იმთავითვე პოხიერი ნიადაგი ჰპოვა ასალორძინებლად. ამ შემთხვევაში მცირე როლი როდი ასრულებდა ჩვენი უძველესი ტრადიციები! როგორც კი გაჩნდა სათანადო ობიექტური პირობები, შესაძლო შეიქნა ფართოდ გაშლილიყო მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთის ქვეყნების უმდიდრესი და უძველესი კულტურის შესწავლასა და პოპულარიზაციას. სწორედ ამ მუშაობის შედეგია, რომ დღეს ჩვენ გვყვანან გამოჩენილი არაბისტები, ირანისტები, ინდოლოგები, არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული ენების, სანსკრიტის თვალსაჩინო სპეციალისტები.

ამავე დროს აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული მიმართება დღეს სულ სხვა ასპექტში უნდა განვიხილოთ, ვიდრე ეს შეიძლებოდა, ვთქვათ, გასული საუკუნის დამდეგს. დღევანდელი აღმოსავლეთი მხოლოდ უძველესი და უმდიდრესი ცივილიზაციის მემკვიდრე კი აღარ არის, არამედ უნიკალისტური მნიშვნელობის სულიერ ფასეულობათა შემქმნელიცაა.

ამ მხრივ თუ შევხედავთ საქმეს, დავრწმუნდებით, რომ ის, რაც აქამდე ჩვენში გაკეთებულა, არავითარ შეხედვებაში საკმარისი არ არის აღმოსავლეთის ქვეყნების როგორც ძველი, ისე უახლესი კულტურის შესაცნობად. ისევ ლიტერატურული ცხოვრების ფაქტები ავამტკიცებენ: ჩვენს მიერ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე თარგმნილი პროდუქცია მხოლოდ წვეთია აღმოსავლური მწერლობის ამოუწურავი ზღვისა.

რა თქმა უნდა, ამგვარი ვითარება არც საკირველია და, ამ შემთხვევაში, არც საძრახისი. აღმოსავლთმცოდნეობა ჩვენში სრულიად ახალი დარგია და, კაცმა რომ თქვას, რაც მთავაწორით, მვონი იმასაც არავინ მოელოდა. მაგრამ რამდენადაც საქმე მომავალ საქმიანობასაც ეხება, მინდა ორიოდე მოსაზრება გამოვთქვა იმის თაობაზე, თუ რა პერსპექტივები გვაქვს ჩვენ ამ მხრივ.

თუ კონკრეტულად მიეფდგებით საკითხს, აღმოჩნდება, რომ აღმოსავლური ენების ისეთ მცოდნეობაზე, ვისაც ამავე დროს ძალი შესწევს თარგმნისა, ჩვენ გვყვანან მხოლოდ სპარსელის, არაბელისა და თურქულის სპეციალისტები. რაღა ვუყოთ ჩინურ, იაპონურ, კორეულ, ბენგალურ, ურდუს, ჰინდისა და სხვა ენებზე შექმნილ ლიტერატურას? ორში ერთია: ან უნდა დაველოდოთ იმ დროს, როდესაც გვეყოლებიან ბენგალურის, ჩინურის, იაპონურისა და სხვათა მცოდნე მთარგმნელები (ე. ი. ეს საქმე გადავდოთ, თუ მეტი არა, მეოთხედი საუკუნით მაინც!), ან კიდევ რუსული, ინგლისური და სხვა ინდოევროპული ენებიდან უნდა ვთარგმნოთ აღმოსავლური ლიტერატურის მრავლის უმრავლესი ნიმუში (ე. ი. თარგმანის თარგმანები გავაკეთოთ!).

ამ საკითხეს ღრმად რომ ჩავყვეთ, მოგვიხდება თარგმნის თეორიის სფეროში შეჭრა და თარგმნის ძირითადი პრინციპების განხილვა. ეს კი ამჯერად ძალზე შორს წაგვიყვანდა... მე მგონი ყველა დამეთანხმება, რომ ისევ მეორე გზას უნდა დავადგეთ, რაგინდ ნაკლულევანიც ჩვენი იყოს იგი. ამ აზრის მართებულებას დასტურებს უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული თარგმანები თვორისა და ბო ძიე-ის ლექსებისა (რომლებიც შესრულებულია რუსული და ინგლისური თარგმანების მიხედვით).

დასასრულ, აუცილებელია მწერალთა კავშირის, გამომცემლობების, ჟურნალ-გაზეთებისა და, საერთოდ, ლიტერატურული საზოგადოებრიობის ერთობლივი ღონისძიებებით შეშუაგდეს ერთი გარკვეული, მტკიცე და კარგად გააზრებული გეგმა აღმოსავლური ლიტერატურის თარგმნისა. საჭიროა გულდასმით შევაფასოთ ავტორები და ნაწარმოებები (ავრეთვე მთარგმნელებიც), რათა ქართველ მკითხველს დროულად გავაცნოთ აღმოსავლეთის ქვეყნების როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები (ყველაფრის, თუნდაც დიდი ნაწილის, თარგმნა ამჟამად ჩვენს ძალღონეს აღემატება და არც არის აუცილებელი!).

ეს ამბავი უნდა გაკეთდეს სანამ ცოდნითა და სიყვარულით, გულისხმიერად და, რაც მთავარია, დროულად, დროულად! ჩვენ ვალში ვართ როგორც აღმოსავლეთის ხალხთა, ისე ჩვენს წინაპართა წინაშე და ამ ვალის კეთილსინდისიერად მოხდისათვის არ უნდა დავიშუროთ არც დრო, არც ენერგია და არც ჩვენი შესაძლებლობანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გვახარია

თანამედროვე ირანის პროგრესული ლიტერატურა

ერთი საინტერესო ვითარება ახასიათებს თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას: ეს არის პროზისა და პოეზიის ურთიერთობა. კლასიკური პერიოდის საპირისპიროდ, ოციანი წლებიდან წამყვან როლს სიტყვაკაზმულ მწერლობაში პროზა ასრულებს. ორმა გარემოებამ განაპირობა ალბათ ეს მოვლენა: ჯერ ერთი, XX საუკუნის დასაწყისიდან ძირეულად იცვლება ირანის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება. კაპიტალიზმის სწრაფმა წინსვლამ, 1905 — 1911 წ.წ. რევოლუციურმა აღმავლობამ და პირველი მსოფლიო ომის შემდეგდროინდელმა ვითარებამ სახე უცვალა ირანის საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებასაც. პროზა იქცა ბასრ იარაღად, რომლის ხშირმა ხმარებამ ხელი შეუწყო მის დახვეწასა და განვითარებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პრესის როლი. სწორედ პრესის ფურცლებზე შემუშავდა ის მარტივი, სასაუბრო, ხალხური ლექსიკითა და გამოთქმებით მდიდარი ენა, რომელიც ასეთი წარმატებით გამოიყენეს ირანელმა პროზაიკოსებმა. ამავე პრესის ფურცლებზე უხვად ქვეყნდებოდა მხატვრული მასალა, რომლის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენდა ნათარგმნი ლიტერატურა. შესანიშნავად თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის შედევრები აფართოებდნენ სპარსელი მკითხველის ჰორიზონტს, აცნობდნენ მას ფორმისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ითარგმნებოდა ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, ვ. ჰიუგოს, ჰ. სენკევიჩის, ე. რემარკისა და სხვათა ნაწარმოებები.

მეორე პირობა, რამაც ხელი შეუწყო სპარსული პროზის მძლავრ განვითარებას, იყო თანამედროვე სპარსული ლიტერატურისა და კლასიკური მემკვიდრეობის თავისებური ურთიერთმიმართება. თუ, ერთის მხრივ, უმდიდრესი სპარსული პოეზია თავისი სახელოვანი ტრადიციებით ხელს უწყობდა თანამედროვე სპარსელ პოეტებს შემოქმედებითი პოტენციით, მეორე მხრივ, ტრადიციის ეს უმძიმესი ტვირთი ბორკილებად აწვებოდა ყოველივე ახალსა და ორიგინალურს [1]. რაც შეეხება პროზას, მართალია, ის მოკლებული აღმოჩნდა წინაპართა გაკვეთილს („ყაბუს-ნამესა" და „გოლესთანის" პროზა დღევანდელი რომანისა თუ ნოველისთვის გამოუსადეგარი იყო), მაგრამ სწორედ ეს აძლევდა მას გარკვეულ გასაქანს, ახლის შექმნის შესაძლებლობას თანამედროვე მიღწევების გამოყენებისა და გადამუშავების გზით.

ყოველივე ეს ქმნიდა გარკვეულ ვითარებას, რომელშიც აღმოჩნდა თანამედროვე სპარსული პროზა. სამწუხაროდ, ეს საკითხები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. ირანელი ლიტერატურისმცოდნე საიდ ნაფისი საგანგებოდ აღნიშნავს: „თანამედროვე პროზის ირგვლივ, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და დღეს პოეზიაზე უფრო ქმედითია მეცნიერულ თუ ლიტერატურულ ხმარებაში, დღემდე არ ჩატარებულა ჭეშმარიტი და შესაფერისი კვლევა-ძიება. ის, რაც ამ თემაზე დაიწერა, არავითარ შემთხვევაში არ არის საკმარისი..." [2].

ამდენად ჩვენს წერილს დავიწყებთ თანამედროვე სპარსული პროზის ზოგიერთი საკითხის მოკლე მიმოხილვით.

როგორც ითქვა, 20-იანი წლებისთვის პრესამ და თარგმანებმა გარკვეული ნიადაგი შეამზადეს ახალი სპარსული პროზისთვის. მწერლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აბდურაჰიმ თალიბოვი, ალი აქბარ დეჰხოდა, ადიბ-ოლ-მემალექი და სხვ. თალიბოვის სადა ენით დაწერილი საგანმანათლებლო წიგნები, დეჰხოდას სატირული ფელეტონები გაზეთ „სურე ესრაფილში" მიზნად ისახავდნენ ირანელი ხალხის სამსახურს. მაგრამ თანამედროვე სპარსული პროზის დემოკრატიული მიმდინარეობის პირველ წარმო-

1 საიდ ნაფისი და ფატმა სიაჰი, ირანის თანამედროვე ლიტერატურა, ბაქო, 1946.

2 წინასიტყვაობა ირეჯ აფშარის ანთოლოგიისა — „თანამედროვე სპარსული პროზა", თეირანი, 1951.

მადგენლად ერთხმად აღიარებულია მირზა სადე თოჰამედ ალი ხან ჯემალ-ზადე.

1916 წლიდან 1921 წლამდე ჯემალ-ზადე თანამშრომლობდა სპარსულ ჟურნალში „ქაევე", რომელიც ბერლინში გამოდიოდა. მან გამოაქვეყნა რიგი სინონერესო სტატიებისა მაზდაკის მოძრაობის, რუსეთ-ირანის ურთიერთობისა და სხვა საკითხებზე. 1922 წელს იმავე ჟურნალის სერიაში გამოიდგა ჯემალ-ზადეს ნოველათა კრებული დამახასიათებელი სათაურით „იყო და არა იყო რა" („იაქი ბუდ ვაიაქი ნაბუდ" — ასე იწყება სპარსული ხალხური ზღაპრები). კრებულს მან წარუმძღვარა სპროგრამო წინასიტყვაობა, რომელიც სახელმძღვანელოდ იქცა მთელი მომდევნო თაობისათვის. ჯემალ-ზადემ დაუნდობლად ამხილა თანამედროვე ირანის ჩამორჩენის მიზეზები ლიტერატურულ დარგში. მათ შორის უმთავრესს, მისი აზრით, წარმოადგენს ის, რომ როდესაც სპარსელ მწერალთ ხელს ჰკიდებს კალამს, მისი გონება მთლიანთვის ერთი მუქი განსწავლულებისკენ. იგი გამორიცხავს მოსახლეობის ფართო ფენებს, ხალხს, მას არ სურს „ლიტერატურული დემოკრატიზმი". ჰქმედან გამომდინარეობს მეორე უბედურება — გაუგებარი და ხელოვნური სტილი, ხალხური მეტყველების ცხოველმყოფელ წყაროს მოწყვეტილი ენა. თავისი თეორიული მსჯელობის საილუსტრაციოდ ჯემალ-ზადემ გადაწყვიტა დაწერა რამდენიმე მოთხრობა: „დაე, მათი ავტორის სუსტი ხმა ემსგავსოს მაძლის ყივილს განთიადისას, მაძინებელ ქარავანს რომ აფხიზლებს. დაე, მან განაცივიროს ლიტერატორნი და სწავლულნი, ოღონდ მიაპყრობინოს ყურნი დროის ძახილისკენ, რათა ალერ დარჩეს დაფარული მათი ფიქრი და აზრი ისე, ვით მზე იმალების ღრუბლებს ქიშე ან სადაფი იმარხას ოკოლ მარგალტს. იმედი მაქვს, რომ ეს უგზოუკვლო მოთხრობები, რომელთაც შეიწყნარებენ ოსტატები, გზას გაუკაფავს ჩვენს ახალ შეგრძნებს. ეს იქნება საუკეთესო ჯილდო ჩემი შრომისა".

მართლაც, ჯემალ-ზადეს ნოველები სანიმუშოდ გამოირჩევა თავისი ენით და ფორმით. ხალხური გამოთქმების, ტერმინების სიუხვე, რეალისტური თხრობა და იუმორი მიმზიდველსა და ადვილსაკითხვ ხდის მათ. პირველი ნოველა „სპარსული შაჰნაიეთ ტკბილია" („ფარსი შაჰარი ასთ") მთლიანად მიძღვნილია ენის საკითხებისადმი. იგი აგებულია იმ გაუგებრობაზე, რასაც იწვევს სხვადასხვა ფენის ირანელთა მიერ ენის დამახინჯება.

ყაჯართა ირანის სოციალური წყობის მკაცრ სატირას წარმოადგენს მეორე მოთხრობა — „პოლიტიკოსი". კარგად არის ნაჩვენები, რა შემთხვევითი და მოსაყიდელი ადამიანები ექცევიან ხალხს სათავეში, ოღონდ გადაჯაჭვებული ჩანს თვით ხალხის, როგორც პასიური ბრბოს, ფსიქოლოგიის სიმთლე.

ნატიფი იუმორითაა გაჟღენთილი ნოველა — „როგორც ქოთანი, ისეთივე ჭარხალი", რომელშიც აღწერილია ირანის სახელმწიფო ასპარეზსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენა. გაუნათლებელი ეროვნული, რომელსაც ელემენტარული ცოდნა გააჩნია, უცხად ინიშნება ირანში შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო, საფინანსო, სამხედრო, განათლების, ფოსტა-ტელეგრაფის, ვაჭრობის და სხვა მრჩეველად თუ მინისტრად.

ჯემალ-ზადეს როლი სპარსული პროზის განვითარების საქმეში უდავოა. ოღონდ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომელმაც შეაფერხა ჯემალ-ზადე რეაქციონერ-ნაციონალისტთა ბანაკში მიიყვანა. საქმე ისაა, რომ ჯემალ-ზადე ხშირად გვეკითხება ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციებზე მდგარი. მას გული შესტკივა საერთოდ ირანის დიდების დაშრობის გამო, განურჩეველად სოციალური უთანასწორობისა. უკვე მის პირველ მოთხრობებში შეიმჩნევა ზოგჯერ მოჩვენებითი ხალხურობა, რომელიც ენისა და ფორმის საპლის იქით არ მიდის. მისი სატირა ხშირად ზოგადია, მიმართული სანერთოდ მმართველი აპარატის წინააღმდეგ. უკანასკნელ პერიოდში ჯემალ-ზადეს აღარ შეუქმნია რაიმე მნიშვნელოვანი („ზმანება", „სიტყვის ველი", „საგიჟეთი" — ეი მისი შემდეგდროინდელი თემატიკა).

საქართ იყო ამ ბრწყინვალე ენისა და ახალი ფორმების მომპოვებელება აგრეთვე ახალი, ქეშმარიტად ხალხური შინაარსის, სოციალური თემატიკის დასაძლევად. დაახლოებით ამავე წლებში გამოქვეყნდა ცნობილი მწერლის მორთაზა მოშფიყ ქაზემის ვრცელი რომანი — „საზარელი თავრანი" („თეჰრანე მახუფ"). მოქმედ პირთა სამიჯნურო ისტორია გაშლილია უბრალო ადამიანების გაჭირვებული ცხოვრების ამსახველ ფონზე. ოღონდ ურიცხვმა წვრილმანებმა და ზოგჯერ დეტექტივური რომანების მიბაძვამ დაუკარგა მას სოციალური სიმახვილე. აქვე უნდა აღინიშნოს ამპად ალი ხან ხოდადადეს დღიურები „გლეხიკაცის შვილ ღღე" („რუხუ ნიკა ქარგარ"). ავტორი რეალისტურად აღწერს ირანელი გლეხის მძიმე მდგომარეობას და ვერასდ ხედავს ხსნის გზას. ენის ხალხურობის ტენდენცია აქ უკიდურესობამდეა მიყვანილი.

30-იანი წლების დასაწყისში ირანში დიდ პოპულარობით სარგებლობდა ებას ხალილის რომანები („ბედშავობა", „შურისძიება", „ადამიანი" და სხვ.). ავტორი გვიხატავს ირანელი ქალის უუფლებო მდგომარეობას, გვაძლევს არასებული სინამდვილის მკაცრ კრიტიკას, აყენებს მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს და ოცნებობს

ირანის მომავალ პროგრესზე[1]. მაგრამ თავის რომანებში ის ვერ ასცდა ლიტერატურული ტრადიციით დამკვიდრებულ მჭევრმეტყველებას, მრავალსართულიან მეტაფორებსა და ფიგურალურ თქმებს[2].

ამრიგად, აღნიშნული პერიოდი წარმოადგენს თანამედროვე სპარსული პროზის დემოკრატიული მიმდინარეობის სათავეს. შესანიშნავად დაახასიათა იგი ორიენტალისტმა ქ. ჩაიკინმა: «Только от книги «Йэки буд йэки не-буд» можем мы вести начало новой реалистической школы, давшей действительно новые и свежие памятники иранской беллетристики. Лишь с этого момента можно говорить о появлении форм повести и романа в тысячелетней литературе Ирана, ибо, только рассматривая произведения Джемаль-задэ, Каземи, Халили и других, получаем мы возможность верить в подлинное обновление иранской словесности, наконец-то решившей распроститься с мистическим туманом, высоким поэтическим стилем и бесконечными шаблонными кравчими, розами, соловьями и мотыльками для того, чтобы вплотную соприкоснуться с близкой, живой и реальной действительностью»[3].

მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ამ წლების ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელობა. მის წიაღში წარმოიშვა და აღიზარდა ძალა, რომელმაც უფრო მაღლა აიტანა ჭეშმარიტად პროგრესული სპარსული პროზის ღირსება.

სპარსული ლიტერატურის კონსერვატორი მკვლევარები უარყოფითად ეკიდებოდნენ ახალ ძვრებსა და მიმდინარეობებს უპირატესად იმ საბუთით, რომ ლიტერატურული გადატრიალება ყოველთვის უკავშირდება გენიალურ სახელებს. ფირდოუსისა და საადის თხზულებებმა ახალი გზები გაკვალეს და თვით იქცნენ შემობრუნების ცენტრებად სპარსული ლიტერატურის ისტორიაში. ხოლო რა აზრი აქვს ცარიელ გადატრიალებაზე საუბარს, როდესაც არ არსებობს მისი პრაქტიკულად განმახორციელებელი მწერალი[4]. ვფიქრობთ, თანამედროვე სპარსული პროზის განვითარებამ მოხსნა ეს საბუთი. ჯემალ-ზადეს მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად განაგრძო და დააგვირგვინა დღეს უკვე დიდ მწერლად აღიარებულმა სადეყ ჰედაიათმა. თავისი ენით იგი არ ჩამოუვარდება ჯემალ-ზადეს, მან სრულყოფილად აითვისა მსოფლიო ლიტერატურის მიღწევები ფორმის დარგში და ყოველივე ეს გამოიყენა ირანის ჩაგრული ფენების, მდაბიო, უბრალო ხალხის მდგომარეობისა და განცდების აღსაწერად.

სადეყ ჰედაიათმა სწავლა-განათლება მიიღო პარიზში, აქვე შექმნა თავისი პირველი ნოველები. 1930 წელს ის დაბრუნდა თეირანში და აქტიურად ჩაება ლიტერატურულ ცხოვრებაში. ლიტერატურული წრე „რობე“ („ოთხეული“), რომელშიც მონაწილეობდა ს. ჰედაიათი, აერთიანებდა პროგრესულად მოაზროვნე მწერლებსა და მოღვაწეებს. ერთ-ერთი მონაწილე, მკვლევარი მოჯთაბა მინოვი თავის მოგონებაში აღნიშნავდა: „ჩვენ ვიბრძოდით ფანატიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის. ჰედაიათი იყო ჩვენი წრის სული და გული. ჩვენ ვაფასებდით მის მწერლურ ნიჭს და გვეგონა, ვამხნევებდით და ვახალისებდით მას. სინამდვილეში კი ის იყო ჩვენი შთაგონების წყარო. თვითეულ ჩვენთაგანში პოულობდა ის რაიმე ღირსებას და ცდილობდა მის გაღვივებას“..[1]

სადეყ ჰედაიათი ცდილობდა ზედმიწევნით შეესწავლა მშობლიური ხალხის ცხოვრება, მისი გულისტკივილი, ზნე-ჩვეულება, ენა. იგი ბევრს მოგზაურობს, სწავლობს და აგროვებს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. 1936 წელს მან მოიარა ინდოეთი, სადაც შეისწავლა ფალაური ენა და ღრმად გაეცნო სასანურ ლიტერატურასა და ხელოვნებას. ს. ჰედაიათი ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, შესანიშნავად იცოდა მუსიკა და მხატვრობა, წლების განმავლობაში მუშაობდა თეირანის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში, აგრეთვე ხელოვნებათმცოდნეობის სკოლასა და უნივერსიტეტში. სადეყ ჰედაიათი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ჟურნალში „ფაიამე ნოუ“ („ახალი ამბები“), მონაწილეობდა ამ საზოგადოების ღონისძიებებში. 1944 წელს იგი დაესწრო ტაშკენტის უნივერსიტეტის იუბილეს. ყოველივე ამის პარალელურად ს. ჰედაიათს არ შეუწყვეტია ლიტერატურული შემოქმედება.

როგორც ითქვა, თავისი პირველი ნაწარმოებები სადეყ ჰედაიათმა გამოაქვეყნა 30-იან წლებში. თავდაპირველად მათში იგრძნობოდა ექსპრესიონისტული მანერა, ზოგჯერ ფორმალურ მიბაძვამდე დაყვანილი. ამ მხრივ დამახა-

---

[1] ქ. ფალავა, დემოკრატიული მიმდინარეობა ირანის თანამედროვე პროზაში, სტალინის სახ. თსუ შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 216.

[2] Е. Бертельс. Очерк истории персидской литературы, 1928, 153.

[3] К. Чайкин. Краткий очерк новейшей персидской литературы, 1928.

[4] А. Болотников. Джемаль-задэ и его «Были и небылицы», წიგნში — Джемаль-задэ, «Были и небылицы», 1936, 12.

[1] Садек Хедаят, избранное, Москва, 1957.

სიათებელია ვრცელი მოთხრობა „ბრმა ბუ“ („ბუფე ქურ“). მისი გმირი ძალზე წააგავს ედგარ პოს ავადმყოფურად მგრძნობიარე, განდეგილი ცხოვრების მოტრფიალე გმირს. აქვეა სიყვარულისა და სიკვდილის შემზარავი სურათები, იდუმალება, ბუნდოვანება. მაგრამ ეს არ იყო ს. ჰედაიათის გზა. ამავე პერიოდში შექმნილი პირველივე ნოველების უმრავლესობა შეიცავს იმ დამახასიათებელ თვისებებს, რომელთა შემდგომმა განვითარებამ მოუტანა მათს ავტორს ყველაზე უფრო ეროვნული მწერლის სახელი. 1930 წელს დაიბეჭდა კრებული „ცოცხლად სამარეში“ („ზენდე ბეგურ“). სიმბოლური და მეტად სპეციფიური სათაურია სწორედ აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული ყოფისთვის, სადაც მეტად გავრცელებულია ანდაზა: „ქალის გაჩენას გველის გაჩენა უჯობსო კაცს“. ყრუ ჩადრი, ეზოს გარსმოვლებული კედელი, ყოველგვარ უფლებას მოკლებული არსებობა — ეს ხომ ნამდვილი სამარეა, სადაც ცოცხლად იმარხება სპარსელი ქალი. აი ერთ-ერთი ნოველა ამ კრებულიდან — „აბჯი ხანუმ“. საწყალი აბჯი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს ნათესავთა საყვედურებმა მისი უნებლიე შინაბერობის გამო. ზედმეტი მჭამელი კი მძიმე ტვირთად აწვა ოჯახს. ყოველივე ისეთი დამარწმუნებელი და რეალისტური დეტალებით არის დაწერილი, იმდენად შემაძრწუნებელია თავისი უბრალოებით, რომ სულაც აღარ გვიკვირს, როდესაც ვკითხულობთ, რომ განთიადისას მთელი სახლი ფეხზე დააყენა აუზის წყლის ტყლაშუნმა და კივილმა. სიღრმეში მოჩანდა აბჯი ხანუმის დამშვიდებული, თითქოს განათებული სახე: „ჩანს, მას მიეღწია ისეთი ადგილსამყოფელისათვის, სადაც არ არსებობდა სილამაზე თუ სიმახინჯე, ქორწილი თუ პანაშვიდი, სიცილი თუ ტირილი, სიხარული თუ დარდი. ის იყო სამოთხეში“.

მაგრამ არც მხოლოდ გათხოვებაშია სიხარული. მეორე ნოველის — „ქალი, რომელმაც ქმარი დაჰკარგა“ („ზანი ქე მარდაშ გომ ქარდ“) მთავარი მოქმედი პირი ასეთივე სამარეში აღმოჩნდა ქმრის სახლშიც. მაგრამ მასში უკვე ღვიძებს აქტიური პროტესტის გრძნობა. ზარინქოლა, აბჯი ხანუმისაგან განსხვავებით, იბრძვის საკუთარი ბედნიერებისთვის.

1932 წელს გამოვიდა ნოველათა მეორე კრებული „სამი წვეთი სისხლი“ („სე ყათრეიე ხუნ“). აქაც ჰედაიათის გმირებია უბრალო, გულმართალი და ვაჟკაცი ადამიანები, რომელთა შესახებ ასეთი სიყვარულით მოგვითხრობს ავტორი. ერთ-ერთი ნოველის — „ძმაკაცი აქოლის“ („დაშ აქოლ“) შესახებ ნათქვამი სიტყვები მიუდგება მთელ ამ ციკლს: „იგი უნდა წაიკითხო, რათა გაიგო, რაოდენ მძლავრია უანგარობისა და თავდადების გრძნობა ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს მოკლებულ ირანის მდაბიო და უბედურ ხალხში“ [1]. ეს სიტყვები ეკუთვნის სადეყ ჰედაიათის ტრადიციის გამგრძელებელს, პროგრესულ მწერალსა და მოღვაწეს ბოზორგ ალავის.

ერთგან, ნოველაში „მორევი“ („გარდაბ“) მწერალი ასეთ სურათს გვიხატავს: „ფრინველთ გამყიდველი თავის კალათს მისჯდომოდა. კალათში ფეხგაკოჭილი სამი დედალი და ერთი მამალი ეყარა. მათი წითელი კანჭები სიცივისაგან ცახცახებდა. იქვე თოვლზე სისხლის წითელი ლაქები აჩნდა. ცოტა მოშორებით სახლის ზღურბლს მიყრდნობოდა ქაჩალ-გამყიდველის ბიჭუნა, რომელსაც დაფლეთილი პერანგიდან შიშველი ხორცი მოუჩანდა“. ეს არ არის შემთხვევით დანახული სურათი. ცოტა ქვემოთ ნოველის გმირს კვლავ თვალწინ დაუდგება საშინელ ყინვაში მოცახცახე ქათმების ფეხები და ნახევრად შიშველი ბიჭის მკლავები. ეს სურათი წარუშლელია მკითხველისთვისაც, რადგან გრძნობ, ყოველივე ამასთან ერთად როგორ ცახცახებს მწერლის აღშფოთებული და ბოღმით აღსავსე გული.

1933 — 1943 წლებში იბეჭდება ნოველათა ორი კრებული: „ჩრდილ-ნათელი“ („საიეროუშან“) და „მოხეტიალე ძაღლი“ („საგე ველგარდ“).

ს. ჰედაიათის ნოველათა უმრავლესობა კომპოზიციის მხრივ სანიმუშოა, ექსპრესიულად ვითარდება და ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთან სდევს მოულოდნელი და ეფექტური ფინალი. მწერლის ენა დინამიურია, ხალხური თქმებითა და ლექსიკით მდიდარი. ხალხურია თვითონ ნაწარმოებთა სულისკვეთებაც. ის აღწერს ხალხის ცხოვრებას და წერს ხალხისთვის გასაგები, სადა ენით. მისი ენა გასაოცრად მომხიბლავია, ნაწარმოებთა მუსიკა — თავისებური და ნაზი, მაგრამ ამასთან მყარი და დახვეწილი. ასევე მაღალმხატვრულია ს. ჰედაიათის სტილი.

ნოველების გარდა ს. ჰედაიათს ეკუთვნის მეტად საინტერესო მოთხრობები „ალავიე-ხანუმ“ და „ჰაჯი-აღა“. შთამბეჭდავი სატირული ფერებით გადმოგვცემს ავტორი ირანის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ხასიათს.

ს. ჰედაიათი ავტორია აგრეთვე მთელი რიგი პიესებისა, სტატიებისა და გამოკვლევებისა.

მისი მეგობრის დახასიათებით „ჰედაიათში იბრძოდა ორი ძალა: სიკვდილი და სიცოცხლე. მისი ეს განწყობა მჭიდროდ უკავშირდებოდა მისი სამშობლოს მდგომარეობას. როდესაც ის ხედავდა ქვეყნის აღმავლობას, ცოცხლდებოდა, ქვეყნის დაცემასთან ერთად კი მძიმე სევდას

[1] ბოზორგ ალავი, სადეყ ჰედაიათი, ჟურნალი „ფაიამე ნოუ“, 1945, № 8.

ეძლეოდა"[1]. ერთ-ერთი ასეთი გამოცოცხლების პერიოდში, საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვების საპასუხოდ მან დაწერა ალეგორიული ზღაპარი „უკვდავების წყალი" („აბე ზენდეგი"). ნათელი ოპტიმიზმით გამსჭვალულ მწერალს სწამდა, რომ კეთილი სძლევს ბოროტს, გამოჩნდება გმირი, რომელიც აჰმადაქის მსგავსად თვალს აუხელს დამონებულ ხალხს. მაგრამ ომისშემდგომ წლებში გამეფებულმა რეაქციამ აიძულა ს. ჰედაიათი კვლავ თავისი ჭაბუკობის წლების ქალაქს—პარიზს წასულიყო. აქ, სულიერი დეპრესიის მომენტში, 1951 წელს მან თავი მოიკლა.

იმავე წელს თეირანში გამოვიდა წიგნი „თანამედროვე სპარსული პროზის შედევრები", რომლის საგრძნობი ნაწილი სადეყ ჰედაიათის თხზულებებს აქვს დათმობილი. წიგნის შემდგენელი და რედაქტორი საიდ ნაფისი წინასიტყვაობაში წერდა: „საოცარია, რომ სწორედ ჰედაიათი სხვებზე უფრო მეტად მაქეზებდა ამ საქმის შესასრულებლად. გასულ ზაფხულს ერთხელ დაჟინებით ჩამაცივდა, შეადგინე თანამედროვე მწერლების ანთოლოგია, ხალხმა უნდა იცოდეს, რომელია თანამედროვე პროზაულ ნაწარმოებებში საუკეთესო. თვით მწერლები ამ საქმეს ვერ გააკეთებენ, რადგან ძალაუნებურად ყველას თავისი ნაწერი მოსწონს და ვერ გამოარჩევენ საუკეთესოს. ეს საქმე სპარსული და ევროპული ლიტერატურის სპეციალისტმა უნდა გააკეთოსო. ...მეუბნებოდა, სხვისთვის თუ არა, ჩემთვის მაინც შეასრულეთ იგი, მე პირადად დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი, ოღონდ ჩემს საუკეთესო თხზულებებზე მიმითითეთო.

ეს იყო ჭეშმარიტად დიდი მწერალი და ადამიანი..."

სადეყ ჰედაიათს უმშვენებდნენ გვერდს და მისი სიკვდილის შემდეგ ავითარებენ პროგრესულ პროზას რიგი მწერლები. მათ შორის გამოირჩევა ზემოხსენებული ბოზორგ ალავი. მისი მწერლური ბიოგრაფია ემსგავსება ჰედაიათისას. 1935 წელს მან გამოაქვეყნა მოთხრობათა კრებული „ჩემოდანი" („ჯამედან"), რომელიც ევროპული დეკადანსის გავლენას განიცდიდა. დემოკრატიული მიმდინარეობის მწერლებთან დაახლოებამ მოაძებნინა მას რეალისტური ხელოვნების გზა. ბ. ალავი აქტიურად ჩაება შაჰის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის გამოც მალე საპატიმროში მოხვდა. აქ დაწერა მან მნიშვნელოვანი თხზულება — „წერილები საპყრობილედან" („ვარაყე ფარაჰაიე ზანდან"), რომელშიც აღწერილია ირანელ მშრომელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის. ეს თემა იქცა ბოზორგ ალავის, როგორც მწერლისა და მოღვაწის, მოწოდებად. 1946 წელს ირანის მწერალთა პირველ კონგრესზე ბოზორგ ალავიმ განაცხადა: „პოეტებმა და მწერლებმა უნდა იპოვონ ახალი მკითხველი, ხალხთა მასები... ისინი წინ უნდა უძღოდნენ მათ და გზას უკაფავდნენ". უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან გამოირჩევა რომანი „მისი თვალები" (ჩაშმჰაიაშ"), რომელშიც მოცემულია ცდა კომუნისტების — ოსდათ მაყანისა და ხოდადადის სახეების გამოძერწვისა, და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ დაჯილდოებული კრებული „წერილები" („ნამეჰა"). ირანელი გლეხის მძიმე ცხოვრებას ასახავს მოთხრობა „წყალი" („აბ").

პროგრესულ მწერალთა ლიტერატურულ საზოგადოებაში შედის ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი: ონსორი, მეჰდი აჰუვათი, აჰმად ყასემი, აჰმად სადეყი (მინუ), ომიდი და სხვ. მათი ნოველების თემატიკაც ირანელი ხალხის ყოფაცხოვრებითაა შემოფარგლული. მაგრამ სულ უფრო ხშირად და ხმამაღლა ისმის მებრძოლი პროტესტისა და აქტიურობისაკენ მოწოდების ხმა. ირანელ პროზაიკოსებს კარგად ესმით, რომ საკმარისი აღარაა ნახევრადფეოდალური წყობილების კრიტიკა, საჭიროა ასახო ხალხთა მასების ამოძრავება და სწრაფვა ახალი მიზნებისკენ.

თემატიკისა და ამოცანის სირთულითაა გამოწვეული თუ ზოგიერთი მათგანის ნაკლებ დაოსტატებით, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მათი თხზულებები მხატვრულად სუსტ შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ თანამედროვე პროგრესულ სპარსულ პროზას აქვს ყველა შესაძლებლობა შემდგომი მხატვრული ზრდისა და განვითარებისა. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური პირობებისა, პროგრესული ირანელი მწერლები მტკიცედ მიჰყვებიან მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ ბრძოლის გზას.

შედარებით უფრო ნელა და ძნელად იკიდებდა ფეხს დემოკრატიული მიმდინარეობა თანამედროვე სპარსულ პოეზიაში. როგორც ითქვა, განსაკუთრებით რთულ პრობლემას წარმოადგენდა ათასწლეული ტრადიციით ნაანდერძევი თემებისა და სახეების დაძლევა თუ უარყოფა. XX საუკუნის დასაწყისი წლების რევოლუციონერ პოეტთა მიღწევასა და დამსახურებას წარმოადგენდა ვარდ-ბულბულის სამიჯნურო მოტივების ნაცვლად ცოცხალი ადამიანისა და სინამდვილის რეალისტური ასახვა. მათ შორის გამოირჩევა პოეტი ირეჯ-მირზა. თავის შემოქმედებაში იგი იღწვის ქვეყნის პროგრესისათვის, ებრძვის ყოველივე ბნელს, ბოროტსა და ჩამორჩენილს. მტკივნეულად განიცდის პოეტი ირანული ყოფის სამარცხვინო მხარეებს, განსაკუთრებით, ქალის საშინელ ბედს. ამასთან კავშირშია მისი ბრძოლა ისლამის დოგმებთან, რომელნიც აკანონებდნენ ქალის მონობას. ლექსების მთელი ციკლი უძღვნა იერ-მირზამ ჩადრის ახდის საკითხს:

[1] А. З. Розенфельд. Садек Хедаят, Краткие сообщения XVII, 1955, გვ. 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩადრმა რომ შებუროს მეგობრის სახე,
ვის რაში სჭირდება, ღმერთო, ამიხსენი!“

ქალი მამაკაცის ტოლია და თანაბარი მდგომარეობა უნდა ეკავოს. უწმინდესი ქალთა შორის — დედაც ხომ ქალია, რომელსაც ეგოდენ უღრმეს პატივსა ვცემთ! ირეჯ-მირზას ეკუთვნის უბრწყინვალესი ლირიკული ლექსი „დედა“, რომელიც ხალხში გავრცელდა ფოლკლორის ნიმუშივით. მანვე გალექსა აღმოსავლური თქმულება „დედის გული“: შვილმა, სატრფოს ბოროტი ჩაგონებით, დედას გული ამოჰგლიჯა. მირზის შვილი, ჩქარობს აჩვენოს მიჯნურს სასურველი ნადავლი, წაბორძიკდება ანაზდად და... შეწუხდება დედის გული: შვილო, ფეხი ხომ არ იტკინე.

ამ ლექსებმა სიცოცხლეშივე მოუპოვეს ავტორს ირანელი ხალხის სიყვარული და პოპულარობა. საერთო მოძრაობამ ლიტერატურის გახალხურებისა და ფორმის გამარტივებისკენ გავლენა იქონია ირეჯ-მირზას სტილზე. სადაა, მაგრამ არა ღარიბი მისი პოეტური მეტყველება, მინიმუმამდეა დაყვანილი გარეგნული მხატვრული სამკაულები, ეფექტურადაა გამოყენებული სასაუბრო, უშუალო და ემოციური ზეპირმეტყველების ტონი.

20-იანი წლების საერთო ლიტერატურულ გამოცოცხლებას დაემთხვა დემოკრატიული პოეზიის აღმავლობა. ამ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი პროგრესული პოეტები, როგორიცაა მალექოშშოარა ბაჰარი, არეფი, ფარვინი, მირ-ზადე ეშყი და სხვ. მათ ნაწარმოებებში იგრძნობა იმ საკითხების გადაწყვეტის ცდა, რომელნიც აინტერესებდნენ და აღელვებდნენ საზოგადოებას, ირანელ ხალხს. აღსანიშნავია, რომ იცვლება თვით ფორმა სპარსული ლექსისა. მართალია, ეს პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ შორს იყო პოეტური სრულყოფისაგან, მაგრამ ამ ეტაპზე იგი უდაოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

პროგრესული პოეტის აფრაშთეს კრებულის წინასიტყვაობაში დახასიათებულია ის რთული პოლიტიკური პირობები, რომელნიც აფერხებდნენ დემოკრატიული პოეზიის განვითარებას: „ამ პერიოდის თხზულებებში ძნელია ლიტერატურული შედევრის პოვნა. პოლიციის ცენზურა, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების აღკვეთა არ აძლევდნენ შესაძლებლობას პროგრესულ პოეტებს ეთქვათ ის, რაც სურდათ“. ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ეშყი საკუთარ სახლში გამოასალმეს სიცოცხლეს, ფაროხი ციხეში მოკლეს, ხოლო პროგრესული ჟურნალის „დონიას“ გამომცემელს დოქტორ ერანის ციხეში ტიფი შეჰყარეს ხელოვნურად და მით მოუსწრაფეს დღე...

თანამედროვე პროგრესული პოეზიის აღმავლობის ახალი პერიოდი უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. ირანელი ხალხის ბრძოლამ ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, რეზა-შაჰის დიქტატურის დამხობამ შედარებით თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობა მისცა ირანელ პოეტებს. ლიტერატურული განვითარების ხაზი აქ ემთხვევა პროზის შესახებ ზემოაღნიშნულ ვითარებას, ოღონდ გაცილებით ნაკლები მასშტაბებით. პროგრესული ირანელი პოეტებიც აღარ სჯერდებიან ცალკეული მომენტებისა თუ ფაქტების რეალისტურ გაშუქებასა და კრიტიკას. ისინი ცდილობენ გაიაზრონ ირანელი ხალხის ისტორიული ბედი, დასახონ საბრძოლო გზები; ვითარდება სპარსული პოეზიისთვის მანამდე უცნობი პოლიტიკური სატირის ჟანრი. მაგრამ ხშირად პუბლიცისტური და პლაკატური ხასიათი უკარგავს ამ ლექსებს ემოციური და მხატვრული ზემოქმედების ძალას.

თანამედროვე პროგრესული პოეზიის ნიჭიერ წარმომადგენელთა შორის გამოირჩევიან ეჰსან თაბარი, აფრაშთე, ჟალე, შეიბანი და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს ის დიდი როლი, რომელიც სპარსული პროგრესული პოეზიის განვითარებაში შეასრულა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ აბულ ყასემ ლაჰუთის შემოქმედებამ.

ე. თაბარის მამხილებელი ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსების ციკლი „ირანის სურათები“. პოეტი ცდილობს გამოაფხიზლოს თავისი ხალხი და გულისტკივილით ეკითხება:

„ამდენი ტანჯვის და ვაების შემდეგ
შენ კვლავაც სდუმხარ?!“

ე. თაბარი დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის მხატვრულ მხარეს, ოსტატურად იყენებს ტროპებს, მუსიკალურ მომენტს, კლასიკური პოეზიის ზოგიერთ სახეს.

მძაფრი პოლიტიკური სატირის შემცველია აფრაშთეს ლექსების კრებული — „რა კარგად გითქვამს“. იგი ორი ნაწილისგან შედგება („მდიდართა თოვლი“ და „ღატაკთა თოვლი“) და შესაბამისად აღწერს ორი სხვადასხვა ფენის განსხვავებულ ბედ-იღბალს.

პოეტი ქალი ჟალე კარგად იყენებს ე. წ. თავისუფალ ლექსს. მისი პუბლიცისტური ლირიკა ხასიათდება აქტუალური თემატიკითა და აზრის მოწიფულობით. მთელი რიგი ლექსები უძღვნა მან მშვიდობისათვის ბრძოლის თემას:

„ჩვენ გვსურს, რომ უწვდენ ცის სილურჯეში
ფრენდეს მტრედი და არა ბომბმშენი“.

ამ მოკლე და მეტად ზოგადი მიმოხილვიდან ერთი რამ მაინც ნათელია: თანამედროვე ირანის ლიტერატურულ ცხოვრებაში სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს პროგრესული მიმდინარეობის ნაკადი, რომელიც მხატვრული დაოსტატების გზით ეხმარება ირანელ მშრომელებს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში.

წინასაერილობო ტრიბუნა

გიორგი ნავროშვილი

მწერლის ჰეშმარიტი გზა

ცნება „ახალგაზრდა მწერალი“ ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს; ამ ცნების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. უფრო ხშირად ამ სახელწოდებით მოიხსენებენ იმ მწერლებს, რომლებიც ასაკით ახალგაზრდები არიან. ხან კი ის იგულისხმება, რომ მწერალს ჯერ არ დაუგროვებია ცხოვრების უფრო დიდი გამოცდილება, ჯერ ყველაფერი არ უნახავს ამ ქვეყნად, ჯერ ბევრი არ უმოგზაურია, ბევრი არ განუცდია; მაგრამ ახალგაზრდობა ხომ იმავე დროს მეტ ძალას, სულის უფრო მეტ სილღეს გულისხმობს, ქვეყანა მის თვალთა წინაშე უფრო ახალია, უფრო ცოცხალი, ათასფრად მოელვარე და ხალისიანი.

ასეა თუ ასე, იმ ასპარეზზე, რომელსაც მწერლობა ეწოდება — არავინ არ კითხულობს, ვინ არის ახალგაზრდა მწერალი და ვინ არა; აქ ასაკს არავინ დაგიდევს, ისევე როგორც მეტალურგიული ქარხნის სამჭიროში, როგორც საკოლმეურნეო მინდორზე. პირიქით, ახალგაზრდიანად უფრო მეტს მოითხოვენ, და, როგორც ჩანს, მწერლობაშიც ასეა: ფრანგი მწერალი ჟიულ რენარი წერდა: „ლიტერატურას ჰქმნის მხოლოდ ხარები, და ყველაზე ღონივრებს იმ ხარებს შორის კაცობრობამ გენიოსები უწოდა. ეს ისინი არიან, ვინც ხელებდაკაპიწებულნი მუშაობენ თვრამეტ საათს დღედაღამეში. დედებ და სახელი — ეს არის განუწყვეტელი დაჭიმული ძალღონისა“.

ჩაკი-ღა რენარის ეს შედარება მოგიყვანეთ, მე პირდა აქეე გავიხსენო ქართველი გუთნისდედის ბრძნული წესიც: გუთნისთავში ის მუდამ ბეგერ, დადინჯებულ ხარებს აბამდა—ცელს არ გაამრუდებენ, სწორად გაიტანენო, ხოლო საგლეჯში აბამდა ფიცს, დაუდეგარ, გაყაღნებულ მოზრებს: იმათ უნდა გაეტანათ, გაეგლიჯათ ყამირი; და მერე როცა დადინჯდებოდნენ, ისინიც გუთნისთავში ჩადგებოდნენ და კვლავ ახალი თაობა გაიტანდა ახალ ყამირს. ყველაფერი ეს ასე იყო, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გუთნისდედას თვალი მუდამ ახალგაზრდებზე ეჭირა მარტო იმიტომ კი არა, რომ მათს ჯაბუკურ სიხალისეს, სილღეს და სიფიცხეს შეჰხაროდა, არამედ იმიტომაც, რომ მათ მეტი მზრუნველობა სჭირდებოდათ, წრთვნა სჭირდებოდათ, რომ ღონემოკრძალებულებს და გამოუცდელებს კვალი არ გაემრუდებინათ, გუთნისა სწორად ეტარებინათ, არც ველისაკენ გადაეტანათ და არც ხნულისაკენ.

მე მგონია ასევე სცვლიან თაობები ერთი-მეორეს ყოველი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაშიც.

ყოველივე ამის მიუხედავად, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, დიდ ასპარეზზე ყველა თაობა მწერლებისა თანაბარად პასუხისმგებელია მკითხველის, საერთოდ ხალხის წინაშე. იმ მკაცრ და დიდ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, რომელსაც ნამდვილი ხელოვნება წარუდგენს უეშმარიტ ოსტატს — ახალგაზრდასა და შეახნის კაცს, თუ გნებავთ მოხუცს შორისაც — არავითარი განსხვავება არ არსებობს. ლიტერატურის ისტორიაც და აწმყოც ჭეშს ადასტურებენ, რომ ხელოვნება საანეტო მონაცემებს დაბადების წლებს არ ითვალისწინებს. ყოველივე ამასთან მკითხველს საქმე არა აქვს; ის ცალკე კრიტერიუმს არავის არ უძებნის; ორიენტაციას — ახალგაზრდისაგანაც და ხნიერისაგანაც ის მთელ გულს მოითხოვს, მთელ ნერვებს, მთელ სიცოცხლეს; ის მოითხოვს, დაუხატო ცხოვრება, დაუხატო ადამიანის სული, ისე რომ ნაწარმოებში იგრძნონ ახალი ხმა. და თვითონ ლიტერატურის ისტორიაც ხომ არ არჩევს ამას; მაგალითისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო: ილია ჭავჭავაძემ თავისი „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“ და „კაცია ადამიანი“ დაწერა ოცდაორი წლის ასაკში, „კაკო-ყაჩაღი“ — ოცდასამი წლის ასაკში, „მგზავრის წერილები“ ოცდათორმეტი წლის ასაკში; აქ, ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს იმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ ნაწარმოებთა გამოქვეყნება ანდა ბოლო რედაქცია მომდევნო წლებს ეკუთვნის.

აქ შეიძლებოდა დაუსრულებლად მოგვეყვანა მაგალითები, მაგრამ ესეც საკმარისია: ყოველ ნაწარმოებს, რა ასაკისაც უნდა იყოს მისი ავტორი, ხალხი ერთი კრიტერიუმით ზომავს, ერთ სასწორზე სდებს.

* * *

ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შექმნა — მართლაც უაღრესად რთული და ძნელი საქმეა. რენარის სიტყვები დღე-ღამეში თვრამეტი საათის მუშაობაზე — ეს ფრაზის სილამაზისათვის არ არის ნათქვამი; გავიხსენოთ როგორ დაუღალავად, დაუცხრომლად, საუკუნო კატორღამისჯილებივით მუშაობდნენ ბალზაკი, ფლობერი, ლევ ტოლსტოი, მაქსიმ გორკი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა. ასევე მუშაობენ ის ჩვენი თანამედროვენი, რომელთაც წინ მიჰყავთ ქართული ლიტერატურა. ერთმა ქართველმა საბჭოთა პოეტმა, მეგობართა წრეში, თავისი პროფესიის საიდუმლო ამ სიტყვებით გაამჟღავნა:

—საწყალ მამაჩემს რომ დაენახა, თუ რამდენს ვწვალობ ამ ლექსებზე, რამდენს ვიტანჯები, რამდენ ღამესა ვტეხავ და ხშირად არაფერი გამოდის, მეტყოდა: შვილო, რას იკლავ თავს, სხვა რაიმე ხელობა მონახე, მაგ ლექსებს თან ხომ არ გადაჰყვებიო!

ამ პოეტს, როგორც სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატს, იცნობენ არა მარტო საქართველოში; მისი უნაზესი ლირიზმით გამსჭვალული ლექსები ისე უბრალოა, ისე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა; ისინი ცოცხალნი არიან, გეგონებათ იმ სუნთქვასავით თავისთავად დაიბადნენო. და ეს სწორედ იმ ჯაფისა და შრომის წყალობაა, იმ უძილო ღამეების ნაყოფია.

მწერლის შრომა — მუდმივი ძიებაა. აქ მთავარია იპოვნო ტიპიური, დამახასიათებელი, განაზოგადო, აქციო საყოველთაოდ გასაგებად მარტო იმ თვალსაზრისით კი არა, რომ აზრს მიგიხვდნენ, არამედ იმ მხრივ, რომ ადამიანის სულზე იმოქმედო და მისი აზრი წარმართო. ეს ძლიერ ძნელი ოსტატობაა — მეტად გამჭრიახი თვალი უნდა გქონდეს, იმ თვალმა რაღაც ახლებურად, თავისებურად უნდა დაინახოს სინამდვილე და მწერლის ოსტატობა კი ის არის, რომ ამ ხილვის, ამ დანახვის გადმოცემა სიტყვას შეაძლებინოს. სიტყვით ამბის მოყოლა ადვილია, მაგრამ ხატვა სიტყვით — ძნელია. სიტყვამ საგანი, მოვლენა, ადამიანი, რომელიც ჩვენს თვალწინ არა დგას, რომელიც ცოცხალიც აღარ არის, ისევ უნდა გააცოცხლოს, სული ჩაუდგას, თვალწინ უნდა დაგვიყენოს, როგორც რეალური, ნამდვილი. მას უნდა ვხედავდეთ, მის ხმას უნდა ვისმენდეთ, თუნდაც ის ათი საუკუნის წინანდელი ადამიანი იყოს. და მერე შეძლებს კი ამდენს სიტყვა? დიახ, შეძლებს; მას აქვს განუზომელი სიმდიდრე, რაღაც დაულეველი განძი, რომელიც არ ამოიწურება და არც არის ამოწურული, მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობას უკვე ჰყავს გენიოსები, სიტყვის ჯადოქრები, რომელთაც, ასე გეჩვენება, თითქოს გააკეთეს ყველაფერი შესაძლებელი, რაც კი ადამიანს ამ სფეროში შეეძლო. მაგრამ ეს ილუზიაა. ყოველი ახალი, კარგი მწერლის თვალი ხელახლა ხედავს ქვეყანას, და მაიაკოვსკიმ შესანიშნავად თქვა — პოეზია უცნობ სამყაროში მოგზაურობააო. ეს უნდა გავავრცელოთ პროზაზეც, ვინაიდან უამისოდ პროზაიკოსის ნამდვილი გამარჯვება შეუძლებელია.

მართლაც და, სიტყვაში პოტენციურად ჩამარხულია განუზომელი შესაძლებლობანი. ეს გაუთავებელი მადანია, დაულეველი, ამოუწურავი. ეს რომ ასე არ იყოს, ლიტერატურის ისტორიაც არ იარსებებდა, კაცობრიობის მხატვრული აზრის განვითარება გაჩერდებოდა ჯერ ისევ ადრინდელ ეპოქაში, ადამიანი დაილაგებდა წინ ჰომეროსის უკვდავ ქმნილებებს, სოფოკლეს ტრაგედიებს და ამით დამთავრდებოდა ლიტერატურის ისტორიაც, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. მათს შემდეგ მიდიან წლები, საუკუნეები, ათასეული წლები და მაინც მუდამ რჩება რაღაც ახალი სათქმელი; ეს თვითონ ცხოვრების დიალექტიკური განვითარების საიდუმლოებაა. ხომ მუდამ, ყოველ გაზაფხულზე ახალია სამყარო; ასჯერ რომ გენახოს, ასპირველჯერ მაინც ახლებურად ისმის შრიალი ზღვის ტალღისა, ყანების შრიალი, ხოლო ყოველი ჭაბუკიც და ქალიშვილიც, როცა მათი სიყვარულის დრო დგება, თავიდან იწყებენ ყველაფერს, თითქოს მანამდე არავის ჰყვარებოდეს და ისინი პირველნი ყოფილიყვნენ პირველქმნილ მიწაზე.

სწორედ ამ სიახლის გადმოცემა უნდა შეიძლოს სიტყვამ, უკეთ რომ ვთქვათ, მწერალმა უნდა შეაძლებინოს მას. მაშინ სიტყვა მართლაც ზღაპრულ, ჯადოქრულ ძალას იძენს, პოულობს გზას ადამიანის გულისაკენ, ათრთოლებს მას, ხან სიხარულის, ხან მწუხარების ცრემლებს აფრქვევინებს.

და ამ გზას ადამიანის სულისაკენ მწერლის სიტყვა მით უფრო ჩქარა გაჰკვალავს და გაჰკაფავს, რაც უფრო ახლოს იქნება მწერალი ხალხის გულთან, რაც უფრო ძლიერად გადმოსცემს ადამიანის სულის სიღრმეს, მის მისწრაფებებს სამართლიანობის, სიკეთის, თავისუფლების, სილამაზისა და სიყვარულისადმი. ეს არის მთავარი მოთხოვნილება სოციალისტური რეალიზმისა — მწერალი უნდა იყოს ხალხთან ერთად და გადმოსცემდეს მისი სულის მთელ სიდიადეს.

კომუნისტური პარტია მოითხოვს ჩვენგან, ვაჩვენოთ ადამიანი შრომაში. ეს ფრიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძნული მითითებაა და იგი ყოველ მწერალს მუდამ უნდა ახსოვდეს, ახალგაზრდა იქნება ის თუ მოხუცი; და მართლაც—ეს ხომ ასეა თვითონ ცხოვრებაში, სადაც შრომის გარეშე ნამდვილი ადამიანის არსებობა წარმოუდგენელია. ხომ წარმოუდგენელია კოლმეურნე გლეხი, რომელიც მიწას არ ხნავს, ვენახს არ აშენებს და არ უვლის, წარმოუდგენელია კალატოზი, რომელიც სახლს არ აშენებს, მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს არ ასწავლის, შოფერი, რომელიც საჭესთან არ ზის, მწერალი, რომელიც არ წერს; მაშასადამე, ადამიანი — თვითონ მისი შრომაა, ეს არის მისი დანიშნულება ამქვეყნად; უამისოდ მის არსებობას აზრიც არა აქვს; აი ამიტომ ასე დაბეჯითებით მოგვიწოდებს სოციალისტური რეალიზმის მოძღვრება, რომ ადამიანი ნაჩვენები იქნას მის შრომაში, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ხასიათების გამოძერწვა, ადამიანის სულის გამოხატვა შევცვალოთ საწარმოო პროცესების აღწერით. ეს კი ბევრ მწერალს ემართება. მათ ავიწყდებათ, რომ ტრაქტორისა თუ მარტენის ღუმელის აღწერას მხატვრულ ნაწარმოებში აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ისინი რაღაც კუთხით აშუქებენ ადამიანის სულიერ მოძრაობას, თორემ ისე აბა ეს რა საჭიროა: ტრაქტორები და ბულდოზერები მშვენივრად არის აწერილი ტექნიკურ სახელმძღვანელოებში, მაგრამ ისინი ჯერ არავის გამოუცხადებია მხატვრული ლიტერატურის ქმნილებებად.

მაშასადამე, მხატვრული ლიტერატურა — ეს ადამიანთმცოდნეობაა, როგორც გორკი ამბობდა; მას თავისი სფერო აქვს — ესაა მდიდარი შინაგანი სამყარო ადამიანისა, რომელიც მწერალმა უნდა გადაგვიშალოს თვალწინ, ისე, რომ მკითხველის სული შესძრას, ასწავლოს მას, წინ წაიყვანოს, იქით, საითაც ჰქრის ისტორიის ქარი, ხოლო ის მუდამ ზურგის ქარია, და არა პირქარი, რადგანაც მუდამ წინ ეძახის ადამიანს, წინისაკენ უბიძგებს, ახალი მწვერვალებისაკენ და ამ დიდ საკაცობრიო წინსვლაში მწერლის როლი განუზომლად დიდია. ამიტომ მწერალი თვითონ არის მშენებელი ახლისა, კომუნისტურისა, ის მასწავლებელია, რომლის სიტყვას ხალხი სასოებით უნდა ისმენდეს.

ამიტომ არის, რომ მწერლები მუდამ დგანან კაცობრიობის სულიერ მოძღვართა, მის მასწავლებელთა შორის; ეს ყველასათვის გასაგებია და მაგალითების მოყვანაც საჭირო არ არის. საჭიროა მხოლოდ ის, რომ ყოველთვის ახსოვდეს მწერალს ეს, როცა თავისი ნაწარმოების წერას იწყებს.

* * *

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართულ პროზაში გამოჩნდა ახალი სახელები, რომელთაც მწერალთა და მკითხველთა საზოგადოებრიობის ღრმა ინტერესი გამოიწვიეს.

ჩვენს მიმოხილვას არა აქვს სისტემატური ხასიათი. ეს უფრო შთაბეჭდილებანია, ჩვენი მწერლების ნაწარმოებთა კითხვისაგან მიღებული. მე მინდა გამოვარჩიო ყველაზე უფრო დამახასიათებელი, საგულისხმო და საინტერესო მოვლენები.

დავიწყოთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობებით. ეს მოთხრობები ყურადღებას, პირველ რიგში, იმით იქცევენ, რომ მათში ჩანს სინამდვილის თავისებური, მძაფრი, ცოცხალი და ღრმა შეგრძნობა. მისი ტალანტის ძალა კარგად იგრძნო მარიეტა შაგინიანმა, როცა მისი პატარა წიგნის გადაკითხვისთანავე განაცხადა — ამ ახალგაზრდა მწერალს ცხოვრების შესანიშნავი ბელეტრისტის თვალი აქვსო.

სასიხარულოა ისიც, რომ რ. ინანიშვილის მოთხრობა, უმრავლეს შემთხვევაში, პრობლემურია, მაძიებელი; მას მართალია ჯერ ბევრი არ დაუწერია, მაგრამ უკვე აქვს თავისი სამყარო — დასახლებული მისთვისვე ძალზე ნაცნობი, საყვარელი, ახლობელი ადამიანებით. აქ, მის ქვეყანაში, იმ ასპარეზზე, რომელსაც მწერლის თვალი მოიცავს — კიბეებზე მსუბუქად ამორბიან მზემოკიდებული, მკლავებშიშველი ქალიშვილები, მოალაჯებენ ჭაბუკები, ისმის ალტაცების შეძახილები. არის ჟრჟოლვა და კულულების ლივლივი, ნაზი ღიმილი და ღონიერი ხითხითი, ხვევნა-კოცნა და მხარზე ხელის ტყაპუნი.

ეს არის ქვეყანა, სადაც ყველაფერი ნორჩი სიცოცხლით ჩქეფს და მღელვარებს, სადაც უცებ ახალგაზრდა ქალიშვილს ორ თვეში ჭორფლი გამოაჩნდება სახეზე. ხოლო მეორე სტუდენტ ქალიშვილს, საპირველმაისოდ რომ გათხოვდა, პირველ სექტემბერს, სწავლის დაწყებისას, უკვე განიერი კაბა აცვია და მას ხარბი თვალით უყურებენ სხვა გოგონები.

მაგრამ მარტო ეს ადამიანები როდი ცხოვრობენ მის მხატვრულ სამყაროში. იქნება აქ ნაკლები ადგილი არ უჭირავთ უფროსი თაობის ადამიანებს, „ჩურჩხელების“ გმირს იაგორას, ლიტერატურის მასწავლებელ მამიდას მოთხრობიდან „კისკისა“, პაპას — კოჭივით რომ წამოუჯდა პურის ნაჭერი სუფრაზე: პური ასე რომ დაჯდება, უსათუოდ სტუმარი მოვა, მაშინვე იმ ნაჭერს მეორე ნაჭერი უნდა დაადო — რაკი-ღა მოდის, ბარემ ბარგიანი მოვიდესო. და თურმე სტუმარი კი არა, ბიჭი იბადება, რომ მიემატოს ამ ახმაურებულ ქვეყანას („ბიჭი“).

პირველი, რაც ხიბლავს მკითხველს რ. ინანიშვილის მოთხრობებში — ეს არის ულრმესი და უნაზესი სიყვარული ადამიანებისადმი. ეს მუდამ მისი მოთხრობების ქვეტექსტია, მაგრამ, ისეთი ძლიერი ქვეტექსტი, რომელიც მუდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედაპირზე ამოხეთქავს ხოლმე, როგორც წყარო, რომელსაც მოუპრებული ენერგია აქვს, როგორც გაღვივებული თესლი მცენარისა, რომელსაც მიწაში გედინადერი ვერ გაიჩენებს.

აჩვენოს ოატბაზში, დიდი სასიცოცხლო ძალა, დიდი გაჭანება სულ უბრალო, თითქოს ერთი შეხედვით მოსაწყენ ყოველდღიურობაში— ეს არის მწერალის ამოცანა. ეს კარგად არის გათმოქმედული მოთხრობაში „კოცნა". ტრამვაით მოგზაურობაზე უბრალო და ჩვეულებრივი ამბა რა უნდა იყოს; ნინოე ტრამვაით ბრუნდება სამსახურიდან, ბაზარში გამოუვლია, ცოტა ხორცი უყიდია, ცოტა ყვავილი, ცოტა კარტოფილი, ერთი მანეთის მწვანილიც დაუმატებია; ჰოდა, ახლა ოცნებობს — შინ რომ მივალ, გემრიელ სადილს გავაკეთებო, ელიზბარს გადამალულ „წრინაწალს" გამოვუჩენ, ნანელს — ლიმონათს ვეუყიდი და მთელი თქვენი უფრო ბედნიერი და მხიარული გახდებით. მაგრამ ტრამვაიში ნინო მოულოდნელ ამბავს გადაეყრება: ვიღაც ბიჭი დაეინებით უცქერის მას, ნინო ჯერ ბრაზობს, მას ის ვიღაც თავხედი ჰგონია, მერე კი, სხვისი პაპუკური სიყვარულის სადღეშიოს უნებური მოწმე რომ ხდება, იმ უცხოთა სიყვარულის ერთი სხივი მის სულშიაც გაიბრწყინებს და თავის პირველ გიჟურ სიყვარულს გაახსენებს.

და ან ნინო უკვე სახლშია:

„ელიზბარი დაბრუნებულიყო. თავის მაგიდას მისჯდომოდა და რაღაც ქაღალდებს ამშვენრებდა. ნინომ ჩანთა კარებთან მიაგდო, გაყრილივებულ იატაკზე გასრიალდა და, როგორც თხუთმეტი წლის წინათ, სტუდენტები რომ იყვნენ ისიც და ელიზბარიც, ყველზე შემოეგდო, თავი აუწია და...

ჰკოცნიდა დიდხანს, დიდხანს, დიდხანს. ხანდახან ესმოდა ელიზბარის გაკვირვებული ამოძახილი, ხელადად მის გაოცებულ თვალებს. მაგრამ ეს მხოლოდ აცინებდა. და ისევ ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა".

აქ ძნელი ასახსნელია ამ ქალის სიხარულიც და, იმავე დროს, ამაზე ადვილი გასაგებიც არაფერი არ არი. არ მინდა ეს პარადოქსიები ისმოდეს. ეს თვითონ ცხოვრებაა ასეთი: იმ ტრამვაიში ნახულმა თუ გაგონილმა ქალს გაახსენა, თუ რაოდენ ბედნიერი იყო თვითონ. თურმე მას უფრო მეტი ბედნიერება ჰქონია ამ ქვეყნად, ვიდრე ქმრისათვის სიხარულად გამზადებული წინანდლის პოოლი და ის სახელოსანელო სადილი, რომლის შემზადებასაც სამსახურის დამთავრების მერიც კი მოასწრებს დამპირნი. ჰქონდა, სადღაც ცხოვრებაში ჩვეულებრივი, უფერული პრობაულობა და ადამიანის სულიერი სიხარულის პოეტური სმაყარო იწყებს. ქალი უცებ თხუთმეტი წლით გაახალგაზრდავა ტრამვაიში მომხდარმა ამბავმა. ეს პლატტური ოატბაზში კი არ არის, არამედ უშუალო და ბუნებრივი, რაც ფარულად არის ჩაქსოვილი მთელს ჩვენს ცხოვრებაში, ურომლისოდაც ეს ცხოვრება მოსაწყენი და უფერული იქნებოდა.

რ. ინანიშვილი სიტყვაძუნწი ოსტატია. ის ცდილობს ყოველ ფრაზას დიდი დატვირთვა მისცეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდი ხედვით და შემეცნებითი ტევადობა. ან ერთი ადგილი მოთხრობიდან „დღევანდელი დღის ეს წუთები".

„ავტობუსში შოფერი ამოვიდა.

— ყველანი ამოხვედით? — იკითხა ხმამაღლა.

ყველამ უკან მიიხედა, ყველა ადგილი დაკავებული იყო.

— ყველანი, ყველანი.

— აბა, რა თავებს იხოცავდით, ბალხის? რით ვერ ისწავლეთ, ყოველ დღე გზაში ხართ!

— ი, შენ გაიხარე შვილო!

— ეე, რას იზამ, ძმაო!

— კოლტუხა უნდა ისწავლოთ, — განაგრძობდა შოფერი, — ეგრე არ იქნება. ეს ხარებაურდა ვისია, გზიდან მოაცილეთ!

— მოვაცილებთ, შვილო, მოვაცილებთ, თუ გინდა ზედ თავზე დავიდგამთ.

შოფერმა ღიმილით გახედა შაოსან, პატარა დედაბერს:

— ჰა, ძველო!

და მეტი აღარა უთქვამს-რა. ჩაეიდა, კარები დახურა და ატბაუსი დაიძრა".

წაიკითხავთ ამ სტრიქონებს და ცოცხლად დაგიდგებათ თვალწინ ის დედაბერიც და ეს გაღაზღანდარებული შოფერიც. მწერალს არც კი აქვს ნათქვამი, რომ ის პირველი რეპლიკა— „ი, შენ გაიხარე შვილო" იმ პატარა, შავებში ჩაქცეულ დედაბერს ეკუთვნოდა, რომელსაც ბოლოს შოფერი ღიმილით გადახედავს და ეტყვის—„ჰა, ძველო!", არა აქვს ეს ნათქვამი და არც იყო საჭირო. ასეთი სიტყვაძუნწობა მართლაც მოსაწონია.

ამრიგად, ატბაუსი გზაშია, ფასანაურისაკენ მიემგზავრება; ადგილი არ არის უფრო ულამაზესი გზის მოკვნის, უფრო უკეთესი სანაობის მოძებნა, ვიღრე არაგვის ხეობაა. ერთი სიტყვით, ბარათშვილისა არ იყოს—„ქართველსა გულსა როგორ გაუძლოს, ოდეს მშვენება მისი იხილოს". მაგრამ დახეთ, ინანიშვილის მგზავრები მიდიან სწორედ ამ გზაზე და იგი მოთხრობაში სრულებითაც არა ჩანს. არის მხოლოდ ორიოდე ფრაზა ომის შესახებ, რომ „მცხეთის გასცდნენ, არაგვს გადახედეს", მერე უბრალოდ ნახსენებია ქინგილი, ანანერი და ეს არის სულ. მე მგონია, რომ აქაც მოსაწონი სიტყვაძუნწობაა. არაგვის ხეობა, ეს შემთხვევაში, სრულიადაც არ ანტერესებს მწერალს. აქ სხვა პრობლემაა; აქ არის ბედი ამ ადამიანისა, რომელიც სანატერეს სულის ტოლს მაშინღა შეხედა, როცა ორმოცდათორმეტი

წლისა მოიყარა, როცა მას უკვე ერთი შვილი სტუდენტი ჰყავდა და მეორე — მეცხრე კლასის მოსწავლეა; ის შუადამ ოცნებობდა ამ ქალზე, ახლა ცისფერთვალებაინი თინა ღუდუშაურის სახით რომ გამოეცხადა; მასაც თავის მხრივ უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ბა გაეკეთა, ის დედად ოჯახისა; და ან ეს ძველი ოცნება მგზავრს უეცრად დაუდგა თვალწინ.

და პროფესორის თითქოს ახლა გამოეღვიძა; გული დასწყდა, როცა თინას ქმარი დაინახა, ცოლს ფასანაურში რომ დაუხვდა; პროფესორი დანებეულია: წუთით მოელანდა თავისი ბედნიერება, ისიც კი გვიან და ისევ უეცრად მიეფარა თვალს. ახლა მას აღარ მიუხარია თავის ცოლ-შვილთან, ისეთი გრძნობა აქვს, "თითქოს, მატარებელს ჩამორჩენოდეს და ფეხით დასდგომოდეს მწირ, ერთფეროვან, მტვრიან, სიცხის აღმფრთი გახვეულ გზას, სადაც არაფერი ჩანს, არავისი შეხვედრის იმედი არ არის, არასოდეს გამოჩნდება ბოლო".

ჯონი სტეკეთი, აქ ნაჩვენებია სულიერი დრამატიზმი იმ ადამიანისა, რომელსაც გულის ტოლი ვერ შოძებნა, წეეშალა და ცხოვრების თანამგზავრად ის არ აირჩია, ვინც ოცნებაში ეხატებოდა. ამიტომ მისი ცხოვრებაც მოსაწყენი და უფერულია. და მკითხველი ხვდება, რომ აღარც იმ ადამიანის ცხოვრებაა ნათელი და მხიარული, რომელიც მას ადარაჯს ელოდებაზე. პროფესორი გამოსაცალ ვერ ხედავს, და ცხადია, ვერც მწერალი მოსძებნის მას; ცხოვრების გზა იმ პროფესორს თითქმის უკვე გაუვლია და ახლა ამთ-ღაა საყვარულზე ოცნება.

როცა ჭაცლად ვასიღ ბარნეი, პლატონური ფილოსოფიის გავლენით წერდა ამ თემაზე, ხატავდა ადამიანებს, ერთიმეორისათვის რომ გარენილან ქვეყნად და ბოროტ ადამიანებს თუ მოუწყობელ ცხოვრებას ისინი დაუშორიშორებია, როცა ბარნეი ამაზე წერდა, მას დასმულ კითხვაზე პასუხს ისევ ის პლატონური ფილოსოფია აძლევდა — შეყვარებულთა მონათესავე სულები უერთდებოდნენ ერთმეორეს სადღაც მიღმა სამყაროში, სადაც მათი გათაშვა აღარავითარ ამქვეყნიურ ძალას აღარ შეეძლო. თანამედროვე მწერლისათვის ასეთი გადაჭრა პრობლემისა, ცხადია, გამორიცხულია, უნდა მოიძებნოს სხვა პასუხი; და ის ატრორი თითქოს იძლევა პასუხს. მოთხრობის ბოლო სტრიქონები ასეთია:

„ბევრჯერ დამითია ასე, მაგრამ დღევანდელი დღის ეს წუთები მაინც მეტისმეტად ემძიმებოდა.

და, ვინ იცის, რომ მართლაც ეს არ იყო ის გზის დასაწყისი, რომელზედაც ბოლოს ყველა ადამიანი უნდა შედგეს და სადაც სევდიან გრიაჯზე ათრიოს ძონძებში გამოხვეული საკუთარი ძვლები".

ყოველივე ეს აღარ შეშფოთის იმ სიცოცხლით სავსე ქვეყანას ქეთილ ადამიანებისა, რომელიც ჩვენ გვხიბლავს ინანიშვილის სხვა მოთხრობებში კითხვის დროს.

ეს სულიერი მოქანცულობის განწყობილება ჩანს მოთხრობაშიც „გადასავალზე"; ქალსა და კაცს უყვარდათ ერთი-მეორე, მარტ დაშორდნენ, ქალიც გათხოვდა და კაციაც ცოლი შეირთო. ერთად რომ ყოფილიყვნენ, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ისინი ბედნიერი იქნებოდნენ. და ან ახლა, განშორების შემდეგ, ისინი აფთიაქში ხვდებიან, ერთსაც ბავშვი გაზომია აკად და მეორესაც. შეხვდებიან და თითო-ოროლა სიტყვას გადაუგდებენ ერთი-მეორეს; და აი მოთხრობის ბოლოც:

„... მას შემდეგ, როცა ვხვდები, აღარ გავრბივარ. მე ვხვდები ის, რაც ვარ, ის ფიქრით, რასაც საერთოდ ვფიქრობ მასზე.

ისიც წყნარად ჩაიცლის გვერდზე, სევდიანად შემომხედავს და ოდნავ დამიკივის თავს.

მე მივხედავ და მთელ ჩვენებას, რომ ჩვენ უკვე ხნიერი ადამიანები ვართ. გვინახავს ეს, გამოგვცდია ის, გადავგრეხილა ათასი რამე და ახლა ვდგავართ სადღაც გადასავალზე და გულდაწყვეტილნი გავყურებთ ჩვენს მიერ გამოვლილ გზას".

ძნელია დაუჯერო მწერალს, რომ ასე უეცრად გატყდნენ, უეცრად დაბერდნენ ეს ახალგაზრდები; ნაძალადევი და უდროოდ მოსულია მათი ბებრული მარაზნი, მათი სულიერი მოქანცულობა; ასევე იოქმის მოთხრობა „პროფესიული თამაშის" გმირზე, ახალგაზრდა ქალიშვილზე, რომელიც „ოცდაცამეტ წლისაა და უკვე ბებერია, ბებრული პატრა აცვია, ბებრულად აქვს შეკრული თმები". ეს ქალიშვილი ვიღაც მოფუქსავატო ახალგაზრდა მწერალმა გაათამაშა, მიაყვარხარო, უთხრა ტყუილად, მარტ კაფეშიც დაპპატიჟა, იქიდან სახლამდე გააცილა და თავბრუდახვეულმა ქალიშვილმა ჭიშკართან გამოთხოვების დროს აკოცა კიდეც მას. მარტ ვაჟი აღარ გამოჩნდა, ათი დღის შემდეგ შეხთხვევით ხვდებიან ერთმა-მეორეს და ვაჟი თავს იმართლებს: „იცით, რა, ის ჩემი ჩვეულებრივი პროფესიული თამაში იყო. შეიძლება ეს სისაძაგლეა, მაგრამ მე ხომ ვალიარებ: ის ჩემი პროფესიული თამაში იყო. შემდგომ ასეთი ამბებისა მე გწერ".

ამ მოთხრობაში ვაჟი, ცხადია, უწესოდ იქცევა. ქალიშვილი კი ყვავილივით წმინდა და ალალია. მაგრამ მისი ასე უეცრად დაბერება — მაინც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია; მე მგონია, ადამიანს მეტი ძალა აქვს, მით უმეტეს ახალგაზრდობის ასაკში. ამიტომ მეტად უნდა გვჯეროდეს მისი ამ სულიერი ძალღონისა. ცხოვრება უფრო დიდი და რთულია: იმ ფაქტმა, რომ ვიღაც ახალგაზრდა კაცი ცინიკოსი აღმოჩნდა, მეტად ძნელია ახალგაზრდა ქალიშვილს იმის რწმენა შთაუნერგოს, რომ სიცოცხ-

ლეს აზრი აღარა აქვს; რაო, ისინი მარტონი ხომ არ არიან ამ მიწაზე, რომ იმ ქალიშვილმა მარტო ერთი კაცის საქციელის მიხედვით გაზომოს სიყვარულიცა და პატიოსნებაც ამ ქვეყანაზე. მშვენიერად თქვა გენიალურმა პოეტმა: „სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს, და საბრალოა, ყმაწვილი რომ ბერიკაცობდეს". ვინ ვინ და ბარათაშვილმა კი იცოდა, თუ რა მწარეა სატრფოს ღალატი და სიყვარულში იმედის გაცრუება! და მაინც დასწერა ის ბრძნული სიტყვები, ზემოთ რომ მოვიყვანეთ. არაფერია იმაზე ცუდი, როცა ბერიკაცს დახატავენ ხოლმე როგორც ცხრამეტი წლის ჭაბუკს, როგორც პირტიტველა ენთუზიასტს (ეს სამწუხაროდ, ხშირად ხდება ჩვენს ლიტერატურაში), მაგრამ არც ის არის საჭირო, რომ ახალგაზრდა ქალიშვილები დედაბრებად წარმოვსახოთ. მე სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს საბჭოთა ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს მძაფრი სულიერი დრამატიზმის გრძნობა. ეს უაზრობა იქნებოდა — ჩვენი ადამიანისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის; სიყვარულში პირუმტკიცობას, სატრფოს ღალატს, ახლობელის უბედურებას, ცუდ ამბავს, დარდს და მწუხარებას ის ისევე განიცდის, როგორც ყველა მოკვდავი ამ წუთისოფელში. ყველაფერი ეს ასეა და ამის უარყოფა თავის მოტყუება იქნებოდა. მაგრამ ასეთივე თავის მოტყუებაა დაუწყო დარდსა და სიბერის სევდას ძებნა იქ, სადაც მას საამისო საფუძველი არა აქვს, სადაც ადამიანის სიცოცხლის დვრიტა უფრო ღონიერია; რა თქმა უნდა, დიდად სადარდებელია ის, რაც „პროფესიულ თამაშში" შემთხვა გულუბრყვილო გოგონას, მაგრამ განა ამის გამო ყველაფერმა დაკარგა ფასი ქვეყანაზე: სიყვარულმაც, მზის სხივმაც, გაზაფხულმაც, იმ აჟრიამულებულმა ახალგაზრდობამაც, რომლის სილაღეს, გაქანებას ასე კარგად თვითონ ინანიშვილი ხატავს? ძნელი დასაჯერებელია. ჩვენ, მაგალითად, გვჯერა რომ უდროოდ დაბერებული ჭაბუკები არიან რემარკის „დაბრუნების" გმირები, მოხუცებულნი არიან ისინი, თუმცა ჯერ სიმწიფის მოწმობაც არ აუღიათ, მაგრამ ინანიშვილის „ბებრები" კი გვატყუებენ, არ გვჯერა მათი სიბერისა, და მათი სევდაც რაღაც სულ უცნაურია, ისეთი რამ არის, რასაც მწერალი ეფერება კიდეც. ესაა სევდა, თვით ინანიშვილისავე სიტყვით რომ ვთქვათ, „საყვარელი დაიკოსავით ჩამოკონწიალებული კისერზე".

ეს სიტყვები მოთხრობა „სევდადან" მოვიყვანეთ და მის შესახებაც ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ. აქაც ჩვენს წინაშე ახალგაზრდა ქალია. ის კიროვის პარკში გამოსულა სასეირნოდ. „ვერ ვიტყვი რამდენი წლისა იქნებოდაო, — გვეუბნება მწერალი,—შეიძლება ოცისაც არ იყო, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ოცდაათიც უკან ჰქონდა მოტოვებული. გვიყურებდა მოწყენით, სევდიანად, იმ ადამიანის თვალებით, რომელსაც ბევრი რამე უნახავს, ბევრი რამე გამოუცდია... აღნაგობა კი თვრამეტი წლის გოგონასი ჰქონდა — მომცრო, კირკიტა". უეცრად ამ ქალის გვერდით ტანწერწეტა ახალგაზრდა კაცი გამოჩნდება, შესცინის ამ ქალს, ეხუმრება, რაღაც სასაცილოს უამბობს და ორივენი მხიარულად კისკისებენ. „რა კარგები იყვნენ, ღმერთო ჩემო, როგორ უხდებოდნენ ამ ბაღს, ერთმანეთს".

მაგრამ... უეცრად ბაღში შემოდის დაბალი, სქელი, წლებითა და სიმსუქნით ორნაირად დამძიმებული გენერალი. ეს კაცი ამ ახალგაზრდა ქალის ქმარია. ტანწერწეტა ჭაბუკი გამოეთხოვება ცოლ-ქმარს და მიდის; მარტო დარჩენილი ცოლ-ქმარი სდუმს, აბა რა აქვთ მათ სათქმელი, რა შეიძლება იყოს საერთო მათ შორის?

ამრიგად, ჩვენს წინაშე ახალი პრობლემა დადგა. ეს არის ე. წ. მეზალიანსის ანუ „შეუფერებელი წყვილის" პრობლემა. უნებურად გახსენდებათ მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი რუსი მხატვრის ვ. პუკირევის სურათი „არათანაბართა ქორწინება". აი იქ მართლაც არის სევდა; ამ დიდ ადამიანურ სევდასა და მწუხარებაზე მეტყველებენ ახალგაზრდა ქალიშვილის ცრემლებისაგან დასიებული და ჩაწითლებული თვალები, მოტეხილივით დაბლა ჩამოვარდნილი ხელი, რომლითაც მას საქორწინოდ ანთებული სანთელი უჭირავს, იქვეა ბებერი გენერალიც თავისი ორდენებით, ესაა ამ გოგონას ქმარი. პატარძლის ზურგს უკან დგას ახალგაზრდა კაცი, წინანდელი სატრფო, გულხელდაკრეფილი და მჭმუნვარე. ეს მართლაც ტრაგედიაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეზალიანსი დღეს პრობლემას აღარ წარმოადგენს; ქალთა განთავისუფლებამ მოხსნა ის დღის წესრიგიდან და, ამრიგად, ამ თემასაც დაეკარგა თავისი სიმწვავე, თავისი ინტერესი; დღეს კიდევაც რომ გამოჩნდეს ისეთი ქალიშვილი, რომელიც თავის სატრფოს ხელსა ჰკრავს და ანგარიშით მოხუცზე გათხოვდება— ქალიშვილის შემდგომი სინანული ჩვენ აღარ დაგვაინტერესებს, მის მწუხარებას ველარ გავიზიარებთ, მან ყველაფერი თავის თავს დააბრალოს. სულ სხვაა ქალიშვილი პუკირევის სურათიდან: ის თავისი დროის უდანაშაულო მსხვერპლია, ტრაგიკული პიროვნებაა; ეპოქის გამოცვლის შესაბამისად ამ ტრაგიზმმა დაკარგა ძალა და ემოციური ზემოქმედების უნარი. ჩვენს დროს სრულიად სხვა კონფლიქტები და სხვა წინააღმდეგობები აქვს და სწორედ მათი მონახვა და გამოხატვაა საჭირო.

მაგრამ საბედნიეროდ, ინანიშვილის მწერლურ სახეს ეს მოთხრობები მაინც არ განსაზღვრავენ. მთელ მის შემოქმედებაში მეტად ნათლად ჩანს

ახლის ძიების კვალი და ეს ძიებანი ადამიანის სულის სიღრმეში — ხშირად სასიხარულო წარმატებით მთავრდება. მის მოთხრობებში ჩანს ადამიანისადმი სიყვარულით აღსავსე გული, მძაფრი რეალიზმი და ნამდვილად ქართული ნაციონალური კოლორიტი. ეს კი მთავარი და გადამწყვეტია. მწერალს შესწევს უნარი და ძალა, რომ ასწავლოს ახალგაზრდობას, მორალურად აამაღლოს და გაასპეტაკოს იგი. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც „მამა და შვილები“. შესრულების თვალსაზრისით ეს ნამდვილი შედევრია; მერე რაოდენ აქტუალური, რაოდენ მტკივნეული საკითხებია მასში აღძრული. ასევე ძლიერ კარგია მისი „შინაურები“, „ჩურჩხელები“, „საყვარელი დღეები“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც გამოხატულია დღევანდელი ადამიანის უგულითადესი მისწრაფებანი, გამოხატულია ჭკვიანი ოსტატის მარჯვე და უკვე გაწაფული ხელით.

* * *

გასულ წელს ილია რურუამ გამოსცა მოთხრობების კრებული „როცა ცხოვრებას შეიტკბობ“; ამ წიგნმა დაამტკიცა, რომ მისი ავტორი უდავოდ საიმედო და ნიჭიერი ძალაა, მას აქვს ხალასი ბუნებრივი ტალანტიც და საჭირო განსწავლულობაც; მას აქვს თავისი საკუთარი ხმა, თავისებური ხედვა სამყაროსი. ამასთან, მის შემოქმედებით ფანტაზიას შთააგონებს დიდი სიყვარული ადამიანისადმი. სწორედ ამ მხრივ საინტერესოა მისი მოთხრობა „ფერი ვარდის, ფერი ცის“... წაიკითხავთ ამ პატარა მოთხრობას და არ გავიწყდებათ პატარა თამრიკო, რომელსაც უცნობმა ბათუმელმა ძიამ თბილი პალტო გაუგზავნა ყაზახეთში — გოგოს არ შესცივდესო. ეს რაღაც სენტიმენტალური ისტორია კი არ არის, არა, უაღრესად ადამიანურია, ეს თვით ის დიდი სიყვარულია, რომელიც უცნობი კეთილი კაცის გულში გააღვიძა ქმრისაგან მიტოვებული ქალის მძიმე დარდმა. რა კარგად ამხილა აქ მწერალმა უსულგულო მამა პატარა თამრიკოსი, მართლაც გააშიშვლა იგი და მისი მორალური სილატაკე თვალწინ დაგვიყენა. მაგრამ აი სად იწყება ჩვენი დავა მოთხრობის ავტორთან: მან არ იკმარა მწერლის განკარგულებაში მყოფი საშუალებანი ამ მოთხრობის პერსონაჟის შოთას დასასჯელად, საკმარისად არ ჩასთვალა მკაცრი მორალური მსჯავრი და... ადმინისტრაციულ ზომებსაც მიმართა, შოთა სამსახურიდან მოხსნა და სოფელში გაგზავნა. ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რომ ეს ამბავი, ეს სამსახურიდან მოხსნა რითიმე დაკავშირებული იყოს სიუჟეტთან. არა, აქ ასე არ არის. ეს, ასე ვთქვათ, ყალბად გაგებული ტენდენციის წინაშე მიტანილი ხარკია. მწერალს გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ თუ შოთა სამსახურიდან არ მოხსნეს, თუ მან ძველებურად მოსკოვის მივლინებებში იარა უახლესი სამედიცინო დანადგარების შესასწავლად—მაშინ მოთხრობა უტენდენციო იქნება. აქ არის მთავარი ნაკლი რურუას მოთხრობებისა: ავტორი ხატავს სურათებს, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ, მათში იდეა თვით მხატვრულ ქსოვილშია ჩაწნული, მაგრამ ის ამას არა სჯერდება. ამით კი მხატვრული ნაწარმოები ზარალობს; თვითონ ილია რურუა კრიტიკულ წერილებსაც წერს და ვინ იცის, რამდენჯერ გაუხსენებია სხვისი ნაწარმოებების გარჩევის დროს ფრ. ენგელსის ბრძნული აზრი, რომ ტენდენცია თვით მხატვრული სახიდან უნდა მომდინარეობდეს და მკითხველს თავზე ძალათი არ უნდა მოვახვიოთ. მაშ რაღად ავიწყდება ეს ჩვენს მწერალს მაშინ, როცა თვითონ წერს მოთხრობას? მე მგონია, ახალგაზრდა მწერალი ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს.

ი. რურუას წიგნში ბევრი პატარა ნოველა ახარებს მკითხველის გულს. კარგია, მაგალითად, სურათი, როცა შვილს ახალ ჭერქვეშ პირველ ღამეს ვერ დაუძინია, და აღარც დედას ეძინება, რომელიც ძველი სახლის ჭერქვეშ უკანასკნელ ღამეს ათევს. მოხუცი იქ უნდა გამოეთხოვოს მთელ წარსულს, რომელსაც იმ სახლში გაუვლია: თავის ოდესღაც გადახდილ ქორწილსაც, ბავშვების დაბადებასაც, სიხარულსაც, მწუხარებასაც, მთელ ცხოვრებას („უძილო ღამე“); ასევე კარგია „გზის დასაწყისში“, „დაბალი და მაღალი“, „მებაღე“ და სხვ. აქ ჩანს როგორ იზრდება, როგორ მაღლდება ჩვენი ცხოვრება, როგორ ებრძვის ახალი ძველის გადმონაშთებს და სძლევს მათ. მაგრამ ხშირად მწერალი ვერ პოულობს ნამდვილ კონფლიქტებს და ამიტომ თვითონ იგონებს მათ; ეს კი დამაჯერებლობას უკარგავს ნაწარმოებს, ეს ითქმის კერძოდ წიგნის პირველსავე მოთხრობაზე „როცა ცხოვრებას შეიტკბობ“. მთავარი გმირი აქ არის ღრმად მოხუცებული გლეხკაცი უთუთია, რომელსაც მეტსახელად ბუზღუნას ეძახიან; ამ ბუზღუნა მოხუცს ერთი შვილი პროფესორი ჰყავს, მეორე—მწერალი, მესამე — კინორეჟისორი. შვილიშვილებიდან ორი დოცენტია, სამი ექიმი, ოთხი ინჟინერი, სამი პედაგოგი, შვიდი აგრონომი, და მათ შორის მარტო ერთია კოლმეურნეობის ბრიგადირი. თავისთავად არც ეს არის სასიხარულო, რომ ამდენ ხალხში მხვნელ-მთესველის პროფესია მარტო ერთ კაცს ამოურჩევია, მაგრამ ამასაც დავანებოთ თავი. მოხუცს ამდენი პროფესორები და კინორეჟისორები ახვევია თავზე, ერთი სიტყვით, სულ განათლებულ ხალხში ტრიალებს და მაინც ახალგაზრდებს გაუთავებელი საყვედურებით ავსებს—რათ გინდათ ახალი კოსტუმები და ნაირ-ნაირი კაბები, თქვენხელები რომ ვიყავით, ჩვენ შინმოქსოვილი ტანსაცმელი გვეცვა და თხუთმეტ წლამდე მუხლებამდე ჩამოშვებული ხამის პერანგის მეტი არაფერი ვიცოდით. ელექტრონის გამოყვანა გაუხარდა, მაგრამ რო-

ც გაწყვეტილმა მავთულმა მეზობელი ომსზვრა-ლა—ელექტრონის მომგონსაც აუტზღენდა; ან სწორედ ეს არის ძალაო გამოგონილი კონსულტა-ტი. ვინ დაიჯერებს, თითქოს გლეხმა არ იცო-დეს, რომ ცუდად ჩაცმას და დედაშიბილიც სი-არულს კარგი ჩაცმა-დახურვა სჯობსო! ატტორი კი გვარწმუნებს, რომ უთუოდ ბუზღუნს ვე-რაფრით ვერ გადაჰპენს, ვიღრე კინოეკსპედი-ციის მთავარ კონსულტანტად არ დანიშნეს. აჭ კი, ქველი სოფლის სურათების გადაღების დროს მათრახების ზუზუნი რომ გაიგონა მოხუცმა, მა-შინ-ღა გაახსენდა, რა საშინელი იყო წარსული, რომელსაც ის თურმე ტყუილად აქიებდა. „დიდი ძაღლური ცხოვრება კი გვქონიაო“, ახლა-ღა მიხვდა ის. ეს მოხუცი არ აჯერებს ჭეშმარიტს, რაღაც სქემასა ჰხვეს და სიტუაციებიც მეტად ხელოვნურია.

საბჭოთა ლიტერატურა ოპტიმისტური ლიტე-რატურაა და ნათელი იმედის, პერსპექტივის, სა-ცოცხლის სიყვარულის გაწყვიტილებას უღვი-ძებს მკითხველს, მომავლის რწმენას განუტკი-ცებს. ეს ყველაფერი ასეა, ეს თვითონ ეპოქის, ცხოვრების სულია. მაგრამ არ შეიძლება ადამი-ანებს ვხატავდეთ სულ შედარ ატტიცებული, აღგ-ზნებული მგზნებარებაში; ილია ჭავჭავაძე კი ხან-დახან ეშმორება ეს: მის ცალკეულ მოთხრობებ-ში ადამიანები სულ იმით არიან გართულნი, რომ შეჰხარიან თავიანთ თავს, თავიანთ მდიდრულ საწოლებს და აბრეშუმის საბნებს, თავიანთ სა-კუთარ ატტმანქანებს, თავიანთ დაჯილდებს და ა. შ. ეს ტენდენცია აშკარად ჩანს მის წიგნში. ასეთივე გაწყვიტილებითაა გამსჭვალული მისი ბოლოდროინდელი მოთხრობა „შეჭი და ჩრდი-ლი“. აქ ნაჩვენებია ქალწვილი თავის სამუშა-ოზე; და ჩვენ ვხედავთ, რომ მის ატტაცებას არა-ვითარი ხაზღვარი არა აქვს. ჩვენი მდიდარი, შე-ბარსხით სავსე, ლამაზი და თავისუფალი ცხოვ-რება ერთთავად მარტო ატტაცებისაგან როდი შედგება. აქ ბევრია საფიქრებელიც, არის სიძნე-ლეც, არის ხანდახან სადარეულიც და სულაც არ არის საჭირო ყველაფერს ვარდისფერი სათვა-ლეებით ვუცქიროთ, ისევე როგორც არ არის სა-ჭირო ფერება ჩვენშეკრთ და მარტო ჩრდილო-ვანი ხხარება დავინახოთ. მთავარია, პირველ რიგში, ატტიერად ვეუწყობეთ ხელს სოციალის-ტური სინამდვილის პოზიტიური საწყისის დამკვიდრებას, ახლის გამარჯვებას. მთა-ვარია სისხლჭარბად და ცოცხლად ვხატავ-დეთ კომუნიზმის შენებელ ადამიანს, რომელ-შიაც განსაზიერებულია ჩვენი სინამდვილის მთა-ვარი ხერხი, წარმმართველი ტენდენცია, მთავა-რია შევქმნათ მხატვრული სახე ადამიანისა, რო-მელიც მისაბაძი იქნება მილიონებისათვის; და აი, როცა ამ ასპექტში შევხედავთ სინამდვილეს, მაშინ აღარც სიძნელეთა გამოსახვისა მოგვერი-დება. არავის არ სჭირდება წვიდანთა ხატები-ვით უსიცოცხლო სქემები, რომლებიც მარტო ატტიმა აყეთებენ, რომ ღიმიებიან და უხარიან. დღევანდელ საბჭოთა ადამიანს კი ამ სიხარული-სათვის ხანდახან არც კი სცალიან, იმდენი სა-ზრუნავი აქვს მას, იმდენი დაუცხებული საქმე, რომელიც დამთავრებას ელის. და ეს გასაგებიც არის — ის ხომ ისტორიაში მანამდე არნახულ, ახალ სამყაროს აშენებს.

ერთი შენიშვნაც ნება შესახეს: ილია ჭარუა-მ ბევრ მეტი მომთხოვნელობა უნდა წარმოა-უდგინოს თავის თავს; ხანდახან ის წერს ატტა-ნელი, პირდაპირ საკანცელარიო სტილით. აი მა-გალითად:

„ეს წელს ყოო მიღწეული უთუთია, მაგრამ კიდევ მზნედ გამოიყურებოდა. სოფელში არცერ-თი მნიშვნელოვანი საქმე არ გაირჩეოდა მის გა-რეშე. კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ისეთ მოულოდნელ და უცნაურ კითხვებს დასვამდა, რომ რაიონის ცენტრიდან მომგზავრებულ ამხანა-გებს ხშირად მთელი თავისი ცოდნისა და მჭერ-მეტყველობის მოშველიება სჭირდებოდა“.

განა შეიძლება ასე მოშვებულად, ასე მარცხე-ნა ხელით წერა? ამ კანცელარულობის გარდა მას აქვს მიდრეკილება ყალბი პათეტიკურობისაკენ; ან მაგალითად:

„მოთა თემცა არა, ქარაშოტო, სუსხიანო, ცდუნებაც მოუგერიებელო, დანაკოო აუნაზღა-ურებელო, მოგმართავ შენ, ქარაშოტო ისევ, რომ გრიგალივით მომვარდი, ამიტაც და სადღაც გა-დამიქნე:.. ჯერჯერობით შენგან მოყენებულ ტკივილებს განვიცდი ისევე წმვავედ, როგორც გუშინდელ შენით გატაცება ჩვენ მეგობრობის დასაწყისში, რომელიც ჩემი მხრივ სავსე იყო უხანაბრ ბენეგრების მოლოდინით, შენის მხრივ კი, ალბათ, აგდებული ზიზღნარევი და-მოკიდებულებით, რომელსაც მოვარაყებული დი-მილით ფარავდი კარგახანს... ჩემი ბრძა, მხურ-ვალე გატაცება ტკირთად გაწვა თურმე ეი რომ მისგან განთავისუფლებულიყავი, წაბეედი ნაცი-ღი, გატკვნილი გზით“. ამის წერს მიტოვებუ-ლი ქალი თავის ყოფილ ქმარს. რაა ავიწყდება ატტორს, რომ დარეს ასეთი მაღალფარდოვნებაც არ უყვარს. არა, ასე არ მისწერს მიტოვებული ქალი თავის გამაუბედურებელს. ან მეტი სისა-დავეი საქირო, უბრალოება, მეტი სიმართლე ცხოვრებისა. მაშინ მკითხველიც უფრო მეტად დაგვიჯერებს.

ილია ჭარუა უდავოდ კარგი პერსპექტივის მქონე მწერალია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მას ძალა და უნარიც შესწევს ამ ნაკლო-ვანებათა დასაძლევად.

* * *

1955 წელს თბილისში გამოვიდა ახალგაზრდა მწერლების ალმანახი. პროზა ამ ალმანახში იხს-ნებოდა ლადო მრელაშვილის ნაწარმოებით, რომელსაც სათაურად წარწერილი ჰქონდა „ირ-

მის ნახტომი. რომანი. თავი პირველი". მეორე თავი ამ რომანისა დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში".

ამ ნაწარმოებმა თავის დროზე სათანადო გამოხმაურება გამოიწვია. მკითხველი პირველ რიგში გაახარა და გააოცა ფერების იმ სიუხვემ და სიმდიდრემ, იმ ცოცხალმა ცხოვრებამ, რომელიც ამ რომანში ჩქეფს. მრელშვილს ერთ აღგილზე ნაჩვენები აქვს როგორ მიღის კაცი ნაპრალზე და კალიები, მისი ნაბიჯით დამფრთხალნი, როგორ წამოფორხილებიან და ტყეისაკენ დაეძგერებიან ხოლმე მას ხან ფეხზე, ხან ტანზე. როცა ამას გვთხულობდი, მე ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს თვითონ მივდიოდი ყანაში, მეტკეცნობდენ ის კალიები, ფიზიკურად მესმოდა სენი მზისაგან ჩაფიცხებული, ჩამწვარი ნაპრალისა და ყველაფერი ეს თვალწინ აყენებდა, აცოცხლებდა არა მარტო იმ ადამიანს, არამედ მთელ პეიზაჟსაც.

ან მეორე სურათიც: კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მკითხველისათვის უცნობი კაცი შემოდის. შუახანს კარგად გადაცილებული, სიმსუქნე დიდიხანია მოსდებია, ლოყები მეზერვისავით დაბერილი აქვს, მაგრამ სჭელ წარბებს ოქით მოპკლულ პატარა და ჭრტყი თვალებში გამჭრიახობა და ზორსმჭვრეტელობა ჩანს. მისი ოდნავ შეწითლებული დღეისათვეის და მოკლე ცხერის გაბერილი ნესტოები აშკვეყნიური, ყოველი სახის ვნებათა ახლო ნაცნობობას მოწმობენ. შემოდის ეს კაცი ეზოში და თვალი უცებ იქვე დაღებული მოშლილი სატვირთო მანქანისაკენ გაექცევა: იმ მანქანას კაბინაც მიეყლეპილი აქვს, ძარაც დალეწილი. პირქუშად დასცქერის კაცი ამ ბატიალებულ მანქანას, სანთლებს უჩხეკინებს, წვეგმს ფეხს მიარტყამს, მერე ზეზღით გადააფურთხებს და პირდაპირ კანტორისაკენ გასწევს. ცაცხვის ძირში შეკრებილი ხალხი სლაშზე სალმით უპასუხებს და უკან გაჰყვება.

შწრალს ჯერ არ უთქვამს, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედებით, ვინ არის ეს კაცი: ვიცით არა მარტო მისი გარეგნობა, მისი ჩვეულნი, არამედ მისი თანამდებობაც კი. ეს ხომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. და ჩვენ ასე გვეხარია, თითქოს ძველ ნაცნობს შევხვდით, და უკვე რაღაც სიხარულით მიეგებეთ შწრალს თხრობას, ის სიხარულით, რასაც კარგი ნაცნობის ნახვა გამოიწვევს ხოლმე, თუმცა ამჯერად კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასიათზე არ არის. ან ჩვენ ვხედავთ, როგორ ჯდება ის მაგიდასთან, ახალ გაზეთს გადახედავს, იქნება ბევრი რამ საყურადღებოც არის მასში, მაგრამ ძია ნიკოს ახლა ამისი თავი არა აქვს, ის უბედურად გადასცქერს გაზთს და ოწყვება მისი გათვალებული ჩხუბი, დაჯა და კამათი მთელ სოფელთან.

თავმჯდომარე ჯერ ბრიგადირ ილოს უწყრება, რომელსაც ოთხი ურემი იმიტომ ვერ გაეშვებინა, რომ ერთს წინაღამეს ზეწარი და სამი ქალი ჩასტეხია: „აბა იმ ურმის გამართვას რა უნდოდა, ბიჭო! ყველაფერი მე უნდა გითხრათ და მიგითითოთ", მაგრამ არც ბრიგადირი ტყდება: მასაც არა გვაქვსო. „იმას რა მასალა უნდა, ბიჭო,— მაინც ისევ მართალია თავმჯდომარე,—წადი ახლავე და გომურთან ნაყარი კაფეიდან გამოარჩიე, თუ საზეურე ვერ იშოვო, სათოვეს ერთი სარი გამოაძრე და ის წაიღე".

და ასე, ყველას თავისი საჩივარი და სატკივარი აქვს. ერთს ეს აკლია, მეორეს—ის, ზუგა მოსავალი კი არ იცდის. ყველა დაბეგრულია, მთელი სოფლის ცხოვრება აქ, ამ ერთ პატარა ოთახში ღიღს და ბობოქრობს; მეშპობაი კი არა, გაუთვებელი ჩხუბია, ხან წყრომა, ხან მოფერება, როგორც დიდ ოჯახში, სადაც მამა თავის შვილებს ხან ურისხდება და ხან კიდეც ცდილობს ტკბილი სიტყვებით დაიყოლიოს; კოლმეურნეობა ერთი დიდი ოჯახია, თავმჯდომარე—მამაა, ის კიდეც უნდა უყვარდეთ, კიდეც უნდა ეროდეთ და ისიც აუცილებელია, რომ მტკიცე დისციპლინა ჰქონდეთ, თორემ რამდენი, რომ შუა მინდორში სიცხის გეუზე ყოფნას ლურჯი გრილო ურჩევნია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ სურათს: კაბინტების კარი კვლა ღიება, მაზუთით და ზეთის ლაქებით მთხვნეზლული ბიჭი შეშფოთებით თვალიერებს იქ მყოფებს. თავმჯდომარე ერთხანს უსიტყვოდ, საყვედურით უცქერის შემოსულს და მერე წამოიძახებს:

„— შენ რაღა ჩემი გამჩენი გაგიწყრა, ბიჭო? ბიჭი თავჩაღუნული დგას და ხმა ვერ ამოუღია.

— რაზე შემიშალე, შვილო, ხელი, ხვალ მოსავლის აღებას ვიწყებთ და შენ მანქანას გემტვრევე? რა იყო, რა მოგეწყინა, რა მოგეჩვენა, რამ გადაგრია, რაზე დაეჯავე იმ სახლს? თუ, შვილო, გიჟი ხარ, ატყოდე და საგიეშო წაგიყვანდი. თუ არა და რაზე მიმტკრევ მანქანას ამ სიკეთის დროს?"

•

თავჩაღუნული ბიჭი თვალს ძლივს უმაჯთავს თავმჯდომარეს:

„— რა ჩემი ბრალია, ძია ნიკო, კაცს მოგარდე და სახლს დაეჯახა. მაშ ადამიანს ხომ არ გაგუსუდიავდი? აი, ეს ბიუგიაც იყვნენ. ამბობენ, შრომელიაო ის ბიჭი. ველოსიპედით მოდენილიყო, მანქანაზე დადებულ მილებისთვის ხელი ჩაეკეთ და იგრე მოგეყოლოდა უკან. ესენი გაჯავრებულიყვნენ და იმასაც ხელი გაეშვა და ზედ ცხეირწინ გამომიქროლა. ასეთალტზე აუსწრებია თვალი და იქვე დაეცა. მე მაშინვე მეფრენრავე გავანებეთი მანქანა, მაგრამ მილებმა გადაძალა უკან, ხომ ნახეთ, რამსიგრძე მილებია, ანდე ეზოში არა ყრიან? თითო რვა მეტრია".

ყველაზე მოსაწონი აქ ის არის, რომ თქით ინტონაციაც აქ ნამძარია, როგორც ფერი, რო-

გორც სალებავი, რომელიც ერთბაშად ხატავს და აცოცხლებს კაცს. აქ მწერალმა ყველაზე მთავარში გაიმარჯვა: სიტყვაში, ფორმალურ და ბგერითს ცნებაში, უხილავს და მხოლოდ ყურის მოსასმენში—ფერის, თვალით დასანახის ძალა მისცა. ამან ჩაუდგა სული ჩვენთვის ძია ნიკოსაც, იმ ბედოვლათ ზოდრასაც, რომელსაც ძლევს მიღრეკა გაჭანებული მანქანა, რომ კაცი გადაერჩინა.

მე მინდა ამ ერთ სიტყვაზე — **მანქანის მიღრეკაზე** შეკვეთილ მკითხველის ყურადღება. ეს მეტად გამომხატველი სიტყვაა. ახალი ქართული რომანებიდან, მოთხრობების გმირები, გასაგები მიზეზების გამო, უმეტეს შემთხვევაში მანქანებით მოგზაურობენ. საღდა ნახავთ ახლა ისეთ ნაწარმოებს თანამედროვე თემაზე, სადაც მანქანა არ იყოს. იმავე დროს საჭარო და შესაფერი ენებები აღარა გვიქვს. აი თუნდაც ეს მაგალითი: "შოფერმა ჯი არ მოაბრუნა, არამედ მიღრიკა მანქანა; ეს სიტყვა ლაღო მრეღაშვილმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ურიმის ლექსიკონიდან გადმოიტანა. თომცა უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა, რომ ლ. მრეღაშვილმა კი არა, თვითონ ხალხმა მოიპოვა ეს სიტყვა ძველ არსენალში და ახალში გადაიტანა. ამ ერთმა მარკვეულ მოქნეულმა სიტყვამ პლასტიკური სურათი დახატა—ცოცხლად დაგვანახა, როგორ ჩაებღაუჭა ბიჭი საჭეს და კაცი სიკვდილს გადაარჩინა.

მიესდევთ რომანის ამ ეპიზოდებს და ჩვენს თვალწინ მთელი ის დღე წარმოდგება, ვხედავთ როგორ აბრაზებენ, ამწარებენ, ენჩხუბებიან ძია ნიკოს; ვანი იმიტომ, რომ ცუდი კაცია, განა ეჯავრებათ! არა, თვითონ სჭვრეტ თხოულის ასე, უამისოდ მთაველს ვერ აღვეს, ამ ვეება ქვეყანის პურს ვერ აჭმევ. რომანში ეს დღე სულ უფრო მძაფრდება, თამპალომარის კაბინეტში სულ უფრო ხშირეული ლაპარაკი ისმის, ყოველი ამ მყოფის ტემპერამენტი უფრო მძაფრი ხდება, და აი, ბოლოს თამპალომარე მეექსპერტის ბრიგადირს — რევაზს დაეტაკება. სამე ისაა, რომ მეექსპერტის ბრიგადირი თავის ხალხს ყანაში არ უშვებს და პურის მოსაღის აღებას კი უამისოდ ვერ ასდიან; ამაზე შესჩივის მემინდვრე შალიკო თამპალომარეს—რევაზი ხალხს არ მაძლევსო. თამპალომარე წარბშეკრული მიუბრუნდება მაგრეშანა ბიჭს:

— რატომ არ აძლევ, ბიჭო, ამ კაცს მუშაობელს. როდემდის უნდა იყო შენწერეა და შენნება. ხომ ხედავ, მოსავალი კარზე გვდგა და პატრონობა უნდა. ხელის შეწყობის მაგერია? ერთხელ იყო, შვილო, შენი მოხსნა უნდოდათ ბრიგადირობიდან და მე გადავიჩინე. მეორედ იყო და, ისევ მე გიშველე. შენ როგორ გგონია, მუსამედა მოგეშველება? არა, შვილო, მეყოფა. კაცი დაებერდი, თვალის ამხილე ვარ და ეგეთი ხათაბალა კაცი ჯერ არ მინახავს. შვილო, განა მე ორი თავი მაბია? არ შემიძლია. აი, საერთო კრებას მოვიწვევ და გავანთავისუფლებ, მაღარ გინდა ბრიგადირობა. გაგონილა და თქმულა, ქრისტიანებო? პარტიულ კრებაზე არ დავადგინეთ, შენ ყურებში ბამბა გეკეთა? ან იქნებ წყალტიბი იყოც და ხმა ვერ მოგაწვდინეთ?"

მაგრამ ის შავგვრემანი ბრიგადირიც არა ტყდება — ვაზსაც უპირსო, გაფურჩნესა უნდა, თავის გადაჭრა. მე კი არა, სხვა ბრიგადეხსაც არ უნდა მოაკლოთ ხალი, რადგან ნაკვეთები და-სამუშავებელია. მაგთო ვაზების მწკრივებქვეშიდან ზვეთი რომ აიხვიო, ცის ნაკუწსაც კი ვერ დაინახავ, ისეა გაბურული ერთმანეთში, ნახერხები და მტევანი გადუქცება, ხელის მატანებსა უნდა, ცის გახსნა უნდაო.

აქ კი ივსება თამპალომარის მომთმენის ფიალა:

„— ვაზებს ცის გახსნა უნდათ, შვილო, შენ კიდევ ცის ჩამონარეცვა, რომ შიგ მოჰყვე და ერთხელ და სამუდამოდ დაგისვენო. ხალხს არ იძლევი, არ იძლევი, სხვა ბრიგადირებს რაღას მირევ? რა აგიტაციას ეწევი. ეგღა უნდათ? ვერა ხედავ როგორ არიან დავირებულები? გასწვალი, ჯარი მოგიელია, საქმის რაღაც გაგეგება—რაღაზე მიღია ხალხს, შვილო, ხელის შეწყობის მაგერია? შენ ავად პასუხს, მე რომ გეგმა ჩამეშალოს? შენ ვინა ხარ, კაცო! წადი. მომშორდი, შვილო. აღარ მინდა შენი ბრიგადირობა!"

რევაზსაც თავისი სიმართლე აქვს: არც მოსავლი უნდა ჩალეს მინდორში და არც ვენახი უნდა წახდეს. ხოლო მუქარა მასზე სულაც არა სჩრის:

„— რაც შეეხება ჩემს ბრიგადირობას, ნუ მაშინებ. მე რომ მშინებოდა, აქედან ბერლინში ფეხით ვერ ჩავიდოდი. ახლა შემიძლია წვადე? მზე სად წამოვიდა და მე ისევ აქა ვარ. საქმეც დაცდა არ იცის.

თამპალომარე წელში გასწორდა.

— ჯანდაბაში წადი, შვილო, რევაზ, და დოზანაში! წადი, ჩემი ტრგვინ ქოთანი ქვასა და ბაშინი ძაღლსაო. ეგრემე ყოფილა, რომ სულ წასულხარ და აღარ მოსულხარ.

შავგვრემანმა ბრიგადირმა მადლობა გადაუხადა გზის დალოცვისათვის და გავიდა".

აი ასე, რომანში ბუნებრივად წამოიჭრება მწვავე საზოგადოებრივი პრობლემა—შრომის ბალანსი მეტისმეტად დამაბული, მუშა-ხელი არ ჰყოფნით; ახალგაზრდობის ერთ ნაწილში მიწას დაუკარგავს თავისი მომხიბვლელობა და ისინი მოასფალტებული პრომსაქუტებისაკენ გაქცეულან.

ეს მართლაც საჭიროპრობლემა საკითხი წერალმა შესანიშნავი ტაქტით და საკითხის ცოდნით წამოსჭრა.

ყველაფერი ეს, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, თითქოს უფერული, პროზაული სინამდვილეა. და თითქოს გაუგებარია, რატომ იწერენ ის ამდენ ინტერესს, რაღაც შინაგან, ესთეტიკურ სიხარულსაც კი; ამიტომ, რომ ეს ცოც-

ხალი და ლაღი ცხოვრებაა, მუდამ ასე დაძაბული, მღელვარე, შფოთითა და ვაი-ვაგლახით, ძიებითა და ფუსფუსით, სიხარულითა და იმედებით სავსე.

ამ ფონზე იშლება რომანში სიყვარულის ისტორიაც, სადაც მწერალი ასევე ცოცხლად გვიჩვენებს სინამდვილეს.

მე მგონია, რომ ნამდვილი ხალხურობა სწორედ ეს არის. ხანდახან ჩვენ მეტად ყალბი წარმოდგენა გვაქვს ხალხურობის პრინციპის შესახებ. ზოგს ის ხალხურ ზეპირსიტყვაობასთან, ფოლკლორთან ნათესაობამდე დაჰყავს; მაგრამ ეს ხომ პრიმიტიული წარმოდგენაა. ნაწარმოებში თვითონ სული უნდა იყოს ხალხური, ხოლო რაც შეეხება იმ ფრთიან გამოთქმებს, რომლებიც ფოლკლორის წიაღშია გაფანტული, მათი გამოყენების, ათვისების საქმე—ეს უკვე ცალკე საკითხია. აქ დიდი ტაქტი და ოსტატობაა საჭირო. ცნობილია, რომ სანჩო-პანსო სულ ანდაზებით ლაპარაკობს, ხოლო არის შემთხვევები, როცა მის ლაპარაკში ანდაზები სულ ჯაჭვივით არის გადაბმული ერთიმეორეზე: პირველს მეორე აგრძელებს, მეორეს—მესამე, და იქმნება გონებამახვილობის რაღაც გასაოცარი შთაბეჭდილება. ამ ანდაზების ნახევარზე მეტი სერვანტესს კი არა, ესპანელ ხალხს ეკუთვნის, მაგრამ რომანში ისინი ისე არიან ჩაქსოვილნი, თითქოს ის ანდაზები პირველად წარმოითქმოდეს, თითქოს მანამდე არავის გაეგონოს ისინი. ესაა მწერლის ოსტატობა; მარტო სერვანტესი კი არა, აქ შეიძლება აუარებელი მაგალითის დასახელება მშობლიური ლიტერატურიდანაც, მაგრამ საჭირო არ არის.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მე მინდა აღვნიშნო, რომ ლ. მრელაშვილი საკმაო ოსტატობით იყენებს ფრთიან ფრაზას. რომანში დახატულია სასადილოს გამგე, რომელიც თავის, ასე ვთქვათ, სკეპტიციზმს ამ ქვეყნისადმი ასე გამოსთქვამს:

„მან ჭიქა ასწია და სუფთა და მიმზიდველი ხმით დაიწყო:

— მე რა უნდა გითხრათ, ბიჭებო! მთქმელებიც და მომგონებიც თქვენა ხართ, ქვეყანას უვლით და კარგსაც და ავსაც თქვენ უნდა გადაეყაროთ. ჩემი ხელობა კი გაუჭრელი საზამთროა. დილიდან მოვალ აქა და არ ვიცი, ის დღე როგორი გამომადგება. ყველა სიფათისა და მარიფათის კაცი შემოდის და გადის... ცოცხალი კაცისას რას გაიგებ, შუბლზე არ აწერია და გული ხალათს შიგნითა აქვს. იცით, რა გითხრათ, ბიჭებო? მოდი, ნამუსიან მკვდრებს გაუმარჯოს და უნამუსო ცოცხლები შეიწყალოს!"

აქაც მთელი პორტრეტია. ესაა კაცი, რომელსაც ადამიანის პატიოსნებისა არა სჯერა, და ეს იმიტომ, რომ, თუმცა მწერალი არ ამბობს, მაგრამ უთქმელად გაგრძნობინებთ, რომ ეს სასადილოს გამგე თვითონ არის უპატიოსნო კაცი. ერთი დამსწრეთაგანი ასე მიმართავს მას:

„—ერთი მითხარი, ვისა გლოვობ, რატომ წვერი არ გაგიპარსავს?

ლევანიჩმა ყბაზე ხელი მოისვა და კისერი სასაცილოდ გადახარა გვერდზე.

— რა ვქნა, ვარლამ, გენაცვალე, ქვეყანასთან ეგრე პირშავადა ვარ"

შეხედეთ, როგორ პირდაპირ მხატვრული მეტაფორებით მეტყველებენ ისინი—ჩემი ხელობა— გაუჭრელი საზამთროაო, ცოცხალი კაცისას რას გაიგებთ, შუბლზე არ აწერია, და გული კი ხალათს შიგნით აქვსო, ნამუსიან მკვდრებს გაუმარჯოს და უნამუსო ცოცხლები შეიწყალოსო, წვერს არ ვიპარსავ იმიტომ, რომ ქვეყანასთან ეგრე პირშავადა ვარო და ა. შ. განა მართლაც აქ ჩვენს წინ მთელი ხასიათი არ წარმოსდგება? ესაა მართლაც „უნამუსო ცოცხალი", რომელიც „ქვეყანასთან პირშავად არის".

ასე უნდა გამოიყენოს მწერალმა ეს ფრთიანი ფრაზები, ასე გადაადნოს, დახვეწოს და ისე ჩართოს მხატვრულ ქსოვილში, რომ ისინი აღარ უნდა ჩანდნენ. არ უნდა შეგვაცდინოს მან, რომ ისინი ძლიერ სახარბიელონი არიან, თვალს მოგტაცებენ.

ამას წინათ გამოქვეყნდა ნიკოლოზ ვერზბიცკის საინტერესო მოგონებები სერგეი ესენინზე. თურმე, როცა პოეტი თბილისში ჩამოვიდა, ყველაზე პირველად აქაურმა ბაზარმა გააკვირვა. მან იკითხა, რას ლაპარაკობენ ასე გულითადად მყიდველი და გამყიდველიო. და აი მას გადაუთარგმნეს:

— ქალბატონო, დაო, მობრუნდი! გამიგონე, რა გითხრა, შენ გგონია ეს მართლა ყველია? არა, ეს ყველი კი არა, სიმღერაა. ღმერთს გეფიცები. ამ ყველს თითონ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სჭამს. გასინჯე, გენაცვალე, ნუ მომერიდები, აბა ერთი გასინჯე და თუ სიამოვნებისაგან არ იცეკვო, მაშინ ფული არ მინდა, ისე წაიღე.

პოეტს გაუკვირდა—რაშია საქმე, აქ ყველანი მხატვრული სახეებით, ლექსებით რატომ ლაპარაკობენო.

მაგრამ უფრო მეტი იყო მისი განცვიფრება, როცა ის კოჯრის გზაზე თეთრ დუქანში წაიყვანეს; მას ძველი ჩინელი პოეტის—ლი ბოს ამბავი ახსოვდა და თვითონაც მასავით სუფრა დუქანში კი არა, შარა გზაზე გაშალა და ეს იმიტომ, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელისათვის დაეძახნა და თითო ჭიქა მიეწოდებინა; და აი, მოდიან კოდელი, მარაბდელი, ტაბახმელელი, ოქროყანელი, წავკისელი გლეხები, მოერეკებიან ცხენებს, კამეჩებს, ვირებს, მოაქვთ მაწონი, ნახშირი, ყველი და ათასი რამ, რაც თბილისსა სჭირდება. ესენინი ეძახის იმ გლეხებს თავის სუფრაზე. თითო ჭიქას აწვდის და როგორ უკვირს, როცა პირველივე მათგანი, ჭიქას რომ დასცლის— მას მიმართავს:

— ასე მტერი უდაგეცალოსო.

„ეს ნამდვილად ბრძენია, აღმოუჩენელი პო-

ეტი,—ფიქრობს ესენინი,—თორემ აბა ასე უცებ საიდან მოიფიქრა, ეს ხომ მშვენიერი მხატვრული სახეა“.

მაგრამ პოეტმა ჯერ როდი იცის, რომ ეს ფრაზა იმ გლეხს არ მოუფიქრებია.

უფრო გაოცდა ესენინი, როცა გლეხმა სადღეგრძელო ასე უთხრა.

— იმდენ ხანს იცოცხლე, რამდენი ფოთოლიც აი იმ ხესასხია, ისეთი მართალი ყოფილიყო, როგორც ხარის ქედი, ცის ნამი და დედაკაცის ნამუსი, როგორც ვაჟკაცის მარჯვენა, მეგობარს ჩამოსართმევად რომ გაუწვდის და მტერს კიდევ გულში ხანჯლის დასაკრავად!

მესამემ უფრო უცნაური უთხრა:

— რამდენიც ვარსკვლავია ცაზე, ცხოვრებაში იმდენი ბედნიერი გზა გქონოდესო.

მეოთხემ უთხრა:

— ისე სუფთა, ნათელი და გამჭვირვალე იყოს შენი გული, როგორც მთის წყაროაო.

მეხუთემ უთხრა:

— შენს ცხოვრებაში ყველაზე მცხუნვარე დღეს, ყველაზე დიდ სიცხეში, დაე, ცაზე ერთი ობოლი ღრუბელი გაჰოჩნდეს და თავის ჩრდილში დაგასვენოსო.

ესენინი განცვიფრებული იყო, ხარბად უსმენდა მთარგმნელს, იწერდა გლეხების ნათქვამს და თან თვითონაც ცდილობდა მათსავით სახეებით ელაპარაკა, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა. ის ბრაზობდა, და როგორც გაჯინიანებული ბავშვი, კითხულობდა:

— მე რატომ ვერ ვახერხებ? მე ხომ პოეტი ვარ? ესენი კი უბრალო, უსწავლელი გლეხები არიან!

მაშინ მას აუხსნეს, რომ ყოველი ის ფრაზა, რომელიც აქ წარმოითქვა და რომელიც მას ესოდენ მოსწონდა, შეიქმნა ვინ იცის, იქნებ ასი, იქნებ ათასი წლის წინ, რომ საუკუნეები ხვეწავდნენ ამ თქმებს, ამ ფრაზებს და ასევე გამოხატო აზრი უცებ, ერთ წუთში — ეს წარმოუდგენელია.

თურმე პოეტი საშინლად დაღონდა, როცა ეს ახსნა-განმარტება მოისმინა.

ეს მაგალითი ბევრს მეტყველებს იმაზე, თუ როგორ უნდა ეპყრობოდეს მწერალი ამ ფრთიან გამოთქმებს და, საერთოდ, მდიდარ ხალხურ სიტყვებს. ეს დიდი საგანძურია, და მის მოხმარებასაც დიდი ტაქტი და ოსტატობა სჭირდება. ყველაზე ძვირფას მარგალიტს, ლალსაც თუ ფირუზსაც მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა ის ლამაზი ქალის ისედაც თვალმიმტაც მკერდსა თუ თითებს ამშვენებს.

* * *

ლ. მრელაშვილის რომანი ჩვენს ლიტერატურაზე, ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე საუბრისათვის საკმაო მასალას იძლევა. აქ არის ის, რის გამოც შეიძლება იდავო; აი თუნდაც ის გარემოება, რომ აქ ბევრი რამ დაუდლეველი და დაუმთავრებელია. ავტორს აქვს საკუთარი ხმა, ჩვენ უკვე ვიცნობთ ამ ხმას, მაგრამ რატომღაც ასე მეჩვენება, რომ თვითონ მწერალი ვერ გრძნობს თავის ამ ბუნებრივ მონაცემებს, თითქოს მას არ სჯერა თავისი ტალანტისა, თავისი თავისა. ეს ორმა გარემოებამ მაფიქრებინა. პირველი — როცა ამ რომანს ვკითხულობდი, ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ადგილებმა:

„ისეთი ტკბილი იყო სიმღერა, ისეთი კარგი, ისე სულამდე ჩამწვდენი, რომ ადამიანს სისხლს უდუღებდა და ძალაუნებურად იმ დასაწველი ბიჭის ბედის მოზიარედ ხდიდა. ბიჭი კი ჩიოდა, მოსთქვამდა და მთელ ქვეყანას შეღაღადებდა, რომ ის დასწყევლა ქალმა ლამაზმა, ახლოს აღარ იკარებს და მასთან გატარებული ტკბილი ღამეები აღარ ახსენდება, რომ მან სხვა იშოვა და ის კი ირემივით უცალოდ დადის ამ სიტკბოთი და სიყვარულით სავსე ქვეყანაზე“.

და შემდეგ:

„ქალის მამამ, თელაველმა აგრონომმა... იქიდან მოსავლის გადიდების ათასგვარი იდეებით გატენილი თავი და შემთხვევით ხელში ჩაგდებული დატოვებული ხორბლის ერთი თავთავი ჩამოიტანა“...

„აგრონომმა მომხდურები თავის ქვეყნის საზღვრებს იქით გადარეკა, წინ ხუთიოდე ფრიცი გაიმძღვარა და დუნაის პირას საძმო საფლავში ჩაწვა“.

ჩაიკითხავთ ამ ადგილებს და რაღაც გახსენდებათ, თითქოს ადრე სადღაც გაგონილი ხმები კვლავ შემოგესმათ, თითქოს ძველ ნაცნობებს შეხვდით. ყოველ მწერალს ხომ აქვს თავისი ხმა, რომლითაც მას უმალვე იცნობ, წიგნს ყდაზეც რომ არ დახედო. უამისოდ ჭეშმარიტი მწერლობა არ არსებობს. აქ, ჩვენს მაგალითებში, ზემოთმოყვანილი პირველი ფრაზა დემნა შენგელაიას ინტონაციას გაგონებთ, ხოლო მეორე და მესამე — მიხეილ ჯავახიშვილისას. რად უნდა მტკიცება იმას, რომ ორივენი ქართული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები არიან, ახალგაზრდა მწერალს არც დაეძრახება ისწავლოს მათგან, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, თუ რა უნდა ისწავლოს! ახალგაზრდა მწერალმა მათი ინტონაცია კი არ უნდა გადმოიღოს, არამედ შეეცადოს თვითონ იყოს ისევე დამოუკიდებელი, თავისებური, ისევე იმორჩილებდეს სიტყვას, როგორც წინა თაობის ოსტატები. მიბაძვა კი არაფერ ხეირს არ მოუტანს. ეს არ არის ნამდვილი გზა დიდი მწერლობისათვის, და ლადო მრელაშვილი ამ ამბავს სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს.

და მეორეც—რომანის პირველი თავები სამი წლის წინათ გამოქვეყნდა. გაგრძელება კი აღარა ჩანს ეს ძალზე დასანანია. ასე კარგად დაწყებული წიგნის შუა გზაზე მიტოვება მწე-

რაღს არ ეპატიება, მით უმეტეს ახალგაზრდას, რომელიც სავსეა ძალღონითა და ენერგიით; და მე მინდა ამ ნაწარმოებზე ლაპარაკი ისევ ჟიულ რენარის სიტყვებით დავიმთავრო:

„ტალანტი მდგომარეობს არა იმაში, რომ დასწერო წიგნის ერთი გვერდი, არამედ იმაში, რომ დასწერო სამასი. არ არსებობს ასეთი რომანი, რომლის მოფიქრება არ შეეძლოს ყველაზე საშუალო წარმოსახვის ადამიანს... მაგრამ საქმე ისაა, იღო მაშინ კალამი, დაილაგო წინ ქაღალდი და მოთმინებით, დინჯად შეუდგე წერას. აქ ღირები ნებისყოფაა საჭირო, რომ ყოყმანი არ დაიწყო. სწორედ ასეთი ნებისყოფის ადამიანები მოეჯდებიან ხოლმე მაგიდას და ოფლში იწურებიან. სწორედ ისინი მიიყვანენ საქმეს ბოლომდე, სულ გაათავებენ მელანს სამელნეში, გადაპრელებენ მთელ ქაღალდებს; ამით განსხვავდებიან ისინი სულმოკლეთაგან, რომელნიც ეერთხელ ვერაფერს ვერ დაიწყებენ და, მაშასადამე, ვერც დაამთავრებენ“.

ლ. მრელაშვილმა თავისი წიგნი კარგად დაიწყო, მან იგი აუცილებლად უნდა დაამთავროს.

• • •

დასაწყისში ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ჩვენი წერილი არ წარმოადგენს სისტემატურ მიმოხილვას; მართლაც, ჩვენ აქ არაფერი გვითქვამს ახალგაზრდა მწერლების მთელ რიგ რომანებსა და მოთხრობებზე, რომლებიც მოწმობენ ქართული პროზის ახალ აღმავლობას. ეს ყველაფერი დიდად სასიხარულოა, მაგრამ ჩვენ მაინც თავს ვერ ვეკვეკვეთ ერთი საყვედურისაგან ახალგაზრდა პროზაიკოსების მიმართ: ისინი ნაკლებ გაბედულნი არიან, ხშირად თემატიკურად შემოხღუდულნიც. არაა საკმარისი აკვირდებოდე ცხოვრებას, უნდა იყო მისი მონაწილე, იბრძოდე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის. აი, თუნდაც რა უზარმაზარი პრობლემაა ახალგაზრდისათვის პროფესიის არჩევა და რა მწვავედ დგას იგი ამჟამად. და აქაც ახალგაზრდობის გზის მიჩვენებლად ისევ ძველი თაობის მწერლები გვევლინებიან, ისევ ს. კლდიაშვილი, ისევ აკ. ბელიაშვილი; ბარაქალა მათს კალამს, მაგრამ საქმე ის არის, და ამოცანაც იმაშია, რომ ვცადოთ ამ ძველ ოსტატებს მხარშიც ამოვუდგეთ და წინაც გავუსწროთ. ლაგოდეხის რაიონში საუკეთესო სკოლადამთავრებულება ახალგაზრდებმა სპეციალური კრება მოიწვიეს, აკ. ბელიაშვილის მოთხრობები განიხილეს და მერე ერთხმად დაადგინეს: მიებაძათ ამ მოთხრობების გმირებისათვის, წასულიყვნენ მათსავით ყველა კოლმეურნეობაში, შებმოდნენ მიწას ადამიანის ბედნიერებისათვის საბრძოლველად. სამშობლოს საკეთილდღეოდ. ძლიერ კარგია ეს; და საჭიროა, პირველ რიგში, ჩვენი ახალგაზრდა მწერლის სიტყვამაც ასეთი ძალა შეიძინოს; ის სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალგაზრდობას, ასწავლოს, მისი ცხოვრების მესაჭე გახდეს. ჩვენ მარტო ერთი პროფესიის არჩევის საკითხი გახსენეთ: რამდენი ასეთი თემა, რომელიც დაუყოვნებლივ გამოხმაურებას მოელის. და აქ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა უნდა სთქვან თავიანთი სიტყვა; ეს მათი უპირველესი მოქალაქეობრივი და მწერლური მოვალეობაა.

ეი ამ მოთხოვნილებას უყენებს სოციალისტური რეალიზმის მოძღვრება საბჭოთა მწერლობას. ესაა წინსული ერთადერთი ჭეშმარიტი გზა, რომელიც ჩვენს წინაშე დასახა ჩვენმა საჭელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ.

რევაზ კვერენჩხილაძე

მხატვრული სახე და პოეტური ოსტატობა

ბუნებრივია ის დიდი ყურადღება, რასაც ამ-საზრებს მხატვრული სახე. ის ხომ მხატვრულ ლიტერატურაში სინამდვილის ასახვის ერთადერთი და სპეციფიკური ფორმაა და სწორედ მისი საშუალებით გადმოიცემა, გამოიხატება იდეა. მხატვრულ ნაწარმოებში აზრი იქცევა სახედ.

მხატვრული სახის არსი უცვლელია, მაგრამ მისი ადება-შექმნის საშუალებები და ხერხები იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქებში. მაგალითად, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში მხატვრული სახე უფრო ფიგურალურია, დახვეწილია, მისი გამომსახველობითი საშუალებები უფრო გამდიდრებულია, გაფართოებულია, ვინემ ეს იყო, ვთქვათ, XIX საუკუნის პოეზიაში.

მაგრამ თავისთავად აღებული ის ამბავი, რომ დღევანდელი პოეზიის მეტაფორული აზროვნება უფრო დახვეწილია, უბრალოსობას არ ეძლევა. მეტისმეტად ავადმყოფურ და თვითმიზნურ დამოკიდებულებას ფორმის დახვეწილობისადმი, ცივი სილამაზისადმი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხშირად გადაუჭრია ლიტერატურა იმ უფსკრულში, რომელსაც ეწოდება „პოეზია პოეზიათვის“. ეს მუდამ უნდა ახსოვდეს ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

მწერლობის დანიშნულება და მოწოდება მუდამ ხალხს სამსახური იყო და არის. შორს რომ არ წავიდეთ, ამის შესანიშნავი მაგალითია ქართული რეალისტური მწერლობა XIX საუკუნისა, ილიასა და აკაკის პოეზია, რომელიც თავისი თანადროულობით, თავისი მოქალაქეობრივი პათოსით, პოლიტიკურ-სოციალური სიმძაფრით და პუბლიცისტური მგზნებარებით მშობლიურ ერს ემსახურებოდა, მშრომელთა საქმისათვის ბრძოდა. ეს თანადროულობა,ეს დაინტერესებულობა პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრებითა და მოქალაქეობრივი პათოსი ღირსეულად შეითვისა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ.

მეტაფორული აზროვნების გაფართოების, გამდიდრებისა და გართულების გზების ძიება თვითმიზნური კი არ უნდა იყოს, ლამაზი მეტაფორა მხოლოდ სილამაზისათვის კი არ უნდა იქმნებოდეს, არამედ ეს უნდა კეთდებოდეს ღრმა იდეური, საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაარსის კიდევ უფრო მაღალმხატვრულ, დახვეწილ ფორმაში გადმოცემისათვის.

ჩვენ არ ვაცხადებთ მხატვრული სახის ყოველმხრივი და ამომწურავი განსაზღვრა-დახასიათების პრეტენზიას. ჩვენ გვინდა მხოლოდ, ამ უკანასკნელ ხანს ასპარეზზე გამოსული პოეტების მაგალითზე, ყურადღება გავამახვილოთ მხატვრული სახის არსებით, მთავარ ნიშან-თვისებებზე და ცალკეული სახის ურთიერთობაზე სახის სისტემაში.

მხატვრული სახე გრძნობად-კონკრეტული ფორმაა, ე. ი. მხატვრულ სახეში სინამდვილე ასახება კონკრეტული სახნისა თუ მოვლენის ცოცხლად დახატვით; მხატვრულ სახეში ადამიანს შეუძლია სახნისა თუ მოვლენის გრძნობადი ალმა. აქედან: გრძნობის, ემოციის უდიდესი მნიშვნელობა მხატვრულ სახეში. ეს ძველისძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მისი განმეორება გვჭირდება იმიტომ, რომ ყურადღება გამამახვილოთ შემდეგზე: მხატვრული სახის გრძნობად-კონკრეტულობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს სახე ვაქციოთ უშუალო შთაბეჭდილებათა უბრალო თამაშურად. მხატვრული სახის საშუალებით გადმოცემული უნდა იქნას ღრმა შინაარსი. მხატვრულ სახეში სახნისა თუ მოვლენის არსი უნდა იქნას გადმოცემული კონკრეტული სახნისა თუ მოვლენის ასახვის საშუალებით. მხატვრული სახე უნდა იყოს ერთიანობა ზოგადისა და კონკრეტულისა, ერთიანობა მოვლენის არსისა და მისი მრავალფეროვანი კონკრეტული გამოვლინებისა.

• საკითხის განხილვის წესით. — რედ.

თანამედროვე პოეზიაში ხშირად იქმნება ისეთი ნაწარმოებები, რომელთა მხატვრული სახეები ვერ მიდის შთაბეჭდილებათა უბრალო ფიქსაციის იქით. ამ ნაწარმოებებს აკლია მხატვრული ჩანაფიქრის პოეტურობა, გააზრების სიღრმე, განსაკუთრებით კი შეიმჩნევა იმ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებშიც არის ცდა რაიმე პრობლემის მხატვრული გაშუქებისა. ახალგაზრდა პოეტმა მ. მაჭავარიანმა ლექსში — „ხალხი მარადისია“ მოინდომა მხატვრულ სახეებში გაეშუქებინა თემა ხალხის მარადიულობისა:

„ვხედავ: მოძრაობს ტრამვაი,
მზე რახანია არის.
ვხედავ: ვიღაცა იცინის,
ვხედავ: ვიღაცა სტირის,
მესმის ყივილი მამლის.
მესმის საყვირი ქარხნის!..
— მარადისია ხალხი!“

იმის ნაცვლად, რომ სინამდვილეზე დაკვირვებისაგან მიღებული ამ უშუალო შთაბეჭდილებებისაგან შეერჩია ისეთები, რომლებშიც უფრო დამახასიათებელად გამოჩნდებოდა ხალხის მარადიულობა, ორგანიზება შეეტანა მათში, გაეანალიზებინა, უფრო ღრმად და პოეტურად გაეახზებინა და ამის შემდეგ ექცია მხატვრული სახის შინაარსად, პოეტმა ამ შთაბეჭდილებათა უბრალო ფიქსაციაა მოახდინა. ამის შედეგად თემა გაშუქდა გამარტივებულად.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები ცდილობენ სინამდვილის წმინდა ემოციური აღქმის გვერდით (რაშიც ქართულ საბჭოთა პოეზიას დიდი მიღწევები აქვს) ღრმად ჩასწვდნენ, ფილოსოფიურად გაიაზრონ სინამდვილე. ეს მისასალმებელია. მაგრამ საჭიროა სინამდვილის გააზრებას მიეცეს სიღრმე და სინათლე, ცხოვრებისეული სიბრძნე გაცოცხლდეს მხატვრულ სახეებში, თორემ აზროვნების სეროგატები გემოვნების გაფუჭებას მეტს ვერაფერს მოიტანს. ეს მთელი სიცხადითა და სიმწვაოვით ცხადყო ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების ისტორიამ: დღეს აღარავის ახსოვს აზროვნების ის სეროგატები, რასაც პოეზიად ასაღებდნენ. მაშასადამე, შთაბეჭდილებათა უბრალო ფიქსაცია მხატვრულ სახეს, არამედეს სინამდვილის ღრმა და სწორი ასახვის უნარს. მით უმეტეს, თუ შემოქმედს სინამდვილის ფილოსოფიურ-პოეტური ასახვა, რაიმე პრობლემის გაშუქება სურს..

საკითხში სინათლის შეტანისათვის მოვახდინოთ კონკრეტული მასალის დაპირისპირება. პოეტ მუხრან მაჭავარიას სურს სახეებში ხორცი შეასხას ქართველი მწერლისა და პატრიოტის სულხან-საბა ორბელიანის უდიდეს სიყვარულს სამშობლოსადმი. შემოქმედს აქვს ლამაზი, ღრმად გააზრებული, გამოკვეთილი პოეტური ჩანაფიქრი და როცა მიზანი ნათელია, პოეტს შეუძლია მკაცრად დაემორჩილოს ყველა მხატვრული სახე ამ მიზნის ხორცშესხმას:

— „წვიმა არ არი!
საბას კაბა დაუსველა რამ?!
თოვლი არ არი!
სულხან-საბას აკანკალებს რა?!
— „რამ დაასველა?!
— „რამ გაათვარა?!
„რა აკანკალებს?!
საჭიროველა მისთვის:
წვიმაც, თოვლიც და ყინვაც...“

არ შეიძლება ჭრუანტელის გარეშე წაიკითხოთ ეს ლექსი. პოეტი არსად არ ამბობს სიტყვასიტყვით — საბას საჭიროველი უყვარდაო. იგი ამას გვაგრძნობინებს სახეების საშუალებით და ამით უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. აქ შთაბეჭდილებათა უბრალო ფიქსაცია კი არაა, არამედ სახეებს მიცემული აქვს ღრმა იდეური შინაარსი. სწორედ ამიტომ უფრო ნათლად, ღრმად და დამახასიათებლად ასახა სინამდვილე მ. მაჭავარიანმა ამ ლექსში, ვინემ ზემოთმოტანილ ლექსში.

განვიხილოთ არჩილ სულკაყორის ლექსი („თოვამ იმატა უფრო და უფრო“), რომელშიც უბრალო ფიქსაციის ნაცვლად მხატვრულ სახეებში ჩაქსოვილია ღრმა შინაარსი. პოეტი ხატავს კონკრეტულ სურათს და ამ ხასიათიდან გამომდინარეობს ღრმა აზრი: ადამიანები შეუმჩნეველად და დაუშაღლებლად ეწევიან ერთმანეთს სამსახურს, უზიარებენ ერთმანეთს ადამიანურ სითბოსა და სიყვარულს, რაც მათ ეხმარება ბუნებასთან ბრძოლაში. აი კიდევ ერთი ლექსი, რომელშიც კონკრეტული მხატვრულ სახეებად არის ქცეული ის ძველისძველი ბრძნული აზრი, რომ ხალხისაგან მოწყვეტილ ადამიანს ცხოვრების ჭარიზმალი გათელავს („სურათი“ არჩილ სულკაყორისა).

„მძიმე ნისლები მთებს აწევიან
და ჩაურაზავთ ღრუბლებს ცისკარი,
მაღალი ნაძვი ტყეს გაქცევია
და მარტოდ მარტო მთისკენ ჩიჭარის.
მთისკენ ჩიჭარის,
გადის დღეები
და ნაძვს უხმობენ ნაძვის ხეები“...

პოეტი ლექსში პირდაპირ არსად არ ამბობს თანამომმეთაგან გაქცევა ცუდიაო, მაგრამ მან ამ აზრის სახედ ქცევა მოახერხა, როცა ალაზნის გაჯავრებაზე ჩამოაგდო სიტყვა:

„რად განმარტოვდა,
რისთვის გაიქცა,
იქნებ ძმათათვის არა სცალია?! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვეით რომ ისმის, როგორც ზარის ხმა გაჯავრებული ალაზანია“.

შემდეგ კი სახეებით ძალდატანებლად და ცხადად გვაგრძნობინებს ამ ცხოვრებისეულ სიბრძნეს. სწორედ გვაგრძნობინებს, კი არ გვიმტკიცებს:

„გადის დღეები,
გადის დღეები
და ნაძვს უხმობენ ნაძვის ხეები,
უხმობენ...
მაგრამ დილადრიან
მოვიპოვა წვიმა ქარიშხლიანი,
ნაძვი შუაზე გადაამტვრია,
დაბლა დაცა ნაძვი ჭრიალით...
მთამ მოიცილა ღრუბელთა ჯაჭვი,
ცამ გადაიკრა მოლურჯო ფერი.
ტყე ათასი ხმით გუგუნებს მძლავრად,
უძლეველობის სიმღერას მღერის“.

აი რა ნათლად გაამუქა პოეტმა მხატვრულ სახეებში ღრმა აზრი. პოეტმა თითქოს ბუნების წმინდა სურათი შექმნა, მაგრამ ეს სურათი პრინციპულად განსხვავდება იმ განყენებული, ცივი სურათებისა და პეიზაჟებისაგან, რომლებიც დროისა და ადამიანის ნიშანს არ ატარებენ.

ა. სულაკაურის ამ ლექსში უშუალო შთაბეჭდილებები გაანალიზებულია და გარკვეული იდეის გაშუქებისთვის დამორჩილებული. ამ ლექსის მხატვრული სახეები წარმოადგენს კონკრეტულისა და ზოგადის ერთიანობას.

ზოგჯერ სანქმე გვქმნის შესანიშნავ მხატვრულ სახეებთან, მაგრამ ეს სახეები უშუალო შთაბეჭდილებების ფიქსაციის ქქით არ მიდის. მართალია, ეს შთაბეჭდილებები გადმოცემულია ლამაზ ფიგურალურ ფორმებში, მაგრამ მათი ფასი მაინც კნინდება, რადგან მათ აკლია ღრმა იდეური შინაარსი, რადგან ისინი არაა გამოყენებული გარკვეული, გამოკვეთილი იდეის გასაშუქებლად. შესაძლოა მხატვრული სახე ლამაზი იყოს, მაგრამ აკლდეს ღრმა იდეური შინაარსი. ამაზე უნდა ვთქვათ ჩერნიშევსკის სიტყვებით: „მხოლოდ მოაზროვნე ადამიანის ყურადღების ღირსს შინაარსს შეუძლია იხსნას ხელოვნება საყვედურისაგან, თითქოს ის ფუჭი გართობაა, რაც სინამდვილეში ძალიან ხშირად არის ხოლმე. მხატვრული ფორმა ვერ გადაარჩენს ზიზღისა და გულშემატკივარი ღიმილისაგან ხელოვნების ნაწარმოებს, თუ მას თავისი იდეის მნიშვნელობით არ ძალუძს პასუხი გასცეს კითხვაზე: „ღირდა კი გარჯა ამგვარ ცუდ-უბრალო საქმეებზე?“

ჩვენს პოეზიაში ზოგჯერ შეგვხვდება ისეთი ნაწარმოები, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ამ სამართლიან მოთხოვნას. მ. კახიძეს ღრმა შინარსიანი ლექსების გვერდით აქვს ლექსი „მინდორში“, რომელიც დაწერილია მხრლრ იმისათვის, რომ პოეტს ეთქვა: ხვართქლავ, შენც ამოდი და სამშობლო მიწა დაამშვენიე.

მეორე მხრივ, ხშირად ჩვენს პოეზიაში ღრმა იდეური შინაარსი გადმოცემული უსუსურ მხატვრულ სახეებში.

მხატვრული სახის სრულყოფილება გულისხმობს როგორც ფორმის, ისე იდეურ-შინაარსობლივი მხარის სრულყოფილებას. შინაარსი, რაგინდ დიდი და ღრმა უნდა იყოს, მხოლოდ სრულყოფილი მხატვრული ფორმის წყალობით იქცევა ფასეულად, ხოლო ფორმა, რაც უნდა ბრწყინვალე იყოს, ღრმა და დიდი შინაარსის გარეშე მოჩვენებითია. კარგი შინაარსი კარგ ფორმაში — აი გზა ჭეშმარიტი ხელოვნებისა.

საერთოდ განყენებული პეიზაჟის ხატვა ადვილია, უფრო ძნელი სახის დამორჩილება განყოფილისაგან. უნდა იგრძნობოდეს შემოქმედის დამოკიდებულება მხატვრული სახისადმი (მაგრამ არა შიშველი ტენდენცია!). შემოქმედის გულტრილობა ასახულისადმი ღუპავს ნაწარმოებს, ცივსა და განყენებულს ხდის მას.

ჩვენი პოეზიის ზოგიერთ ნიმუშს ეს ცხოველმყოფელობა აკლია. ბევრჯერ უპირატესობა ეძლევა მჭვრეტელობითს, აღწერითს. გავიცვლად ე. წ. სურათების შექმნა, რომლებშიც ბუნება ასახულია განყენებულად, ადამიანისა და დროის ნიშნების გარეშე, მაშინ, როცა ბუნების სურათების გამოყენება შესანიშნავად შეიძლება ღრმა შინაარსის, ადამიანის აზრთა და გრძნობათა ასასხაუად (თუნდაც ზემოთაკნიშნული ლექსი არჩილ სულკაურისა — „სურათი“). და რომ ეს შეიძლება, ვნახოთ კიდევ ერთ მაგალითზე: პოეტი მ. ფოცხიშვილი ხატავს ზღვასა და პალმებს, მაგრამ ხატავს არა ვანყენებულად, არამედ იმიტომ, რომ ზღვის ტალღთა ხმაური, პალმების შრიალი ახსენებს ოდესღაც ზღვით, გემით ფრონტზე წასული სიცოცხლით სავსე მეგობრების ფასდაუდებელ პატრიოტობას:

„არავინ იცის — ტალღებია თუ
შინ მოუსვლელი ძმაბიჭებია...
როდესაც ქარი ზღვას ახმაურებს,
როცა პალმებში ბორიო დაჰქრის,
რატომღაც მესმის მათი ყიჟინი
რატომღაც მესმის სიმღერა მათი“.

ამ ლექსში ბუნების სურათები საშუალებაა და არა თვითმიზანი. აქვე გვახსენებია მიხ. ქვლივიძის ძლიერი ლექსი „უშბა“, რომელშიც პოეტი უშბას სიდადეს სურათს იყენებს ლექსის გმირის სახის გამოსაკვეთად. ჩვენმა პოეზიამ სულ უფრო და უფრო ენებძოლოს პოეტური პეიზაჟის აზრობრივი დატვირთვისათვის.

ზემოთქმულს რომ კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი, მხატვრულ სახეს წინასა და ცხოველმყო-

ფელობას აძლევს ღრმა იდეური შინაარსი. მხატვრული სახე ცალკე იდებული რაც უნდა კარგი იყოს, თუ ღრმა იდეის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაარსის ხორცშესხმას არ ემსახურება, ვერ შექმნის ჭეშმარიტ პოეზიას.

ამ უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს ფასეულობათა ერთგვარ გადასინჯვის ცდებს. რევიზიონისტები ბრალს სდებენ საბჭოთა პოეზიას პოლიტიკურ-სოციალური საკითხებით გატაცებასა და პუბლიცისტურობაში. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ მოქალაქეობრივი, პოლიტიკურ-სოციალური ინტერესების გარეშე პოეზია უსიცოცხლო და უსარგებლოა. დასაბამითა, ღიაა შიშველი პლაკატურობა და აქტუალური თემებით სპეკულირება საღდება ნამდვილ პოეზიად; მაგრამ არც მეორე უკიდურესობაა მოსაწონი, როცა ჩვენი პოეზიის მოქალაქეობრიობის პოლიტიკურ-სოციალური და პუბლიცისტური მგზნებარების ხარჯზე გადიდება უშუალო შთაბეჭდილებათა უბრალო გადმოცემა, ვიწრო სუბიექტურ განცდათა. გაწყვიმიდებათა და შეკრძნებათა წვრილმანი ელფერის ასახვა. რასაც არაეთანარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს, რაც დროის ნიშნის არ ატარებს. დასაბამითა ის ნეიტრალური მიდგომა ცხოვრებისადმი, რაც უსიცოცხლოსა და ცივს ქმნის მხატვრულ ნაწარმოებებს. უდღეურია ის ვიწრო ინტიმური, სალონური პოეზია, რომელშიც არა მრავალთაფერ დამახასიათებელი ზრახვა და გრძნობებია ასახული. არამედ პირადული და კერძო. რომელიმე მხატვრული ნაწარმოები იმიტომ პოეტობს ხალხს გულში ბინას, რომ მასში ღრმად დამახასიათებელად, განუმეორებლად და სინტეზრესოდაა ასახული სინამდვილე, ადამიანები, მრავალთა გრძნობები და ჯრები.

პოეზიის სირთულე გამოიქმაშია. „გრძნობა ძნელად ემორჩილება გამოთქმას“. ხშირად ვმბობენ მიახლოვებთ, როცა საჭიროა მარად ძიება უფრო ზუსტი სახისა. ან პოეტმა მოისურვა სახეებში გადმოცეა რაღაც ღრმა აზრი, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა:

„როცა მარტოდ ვართ, თავს არ ვგრძნობთ მარტოდ,
გვართობს მეგობრის ლექსი, წერილი.
ვულქვა ხომ არ ვართ, რომ არ ვიდარდოთ
ხან მცინარე ვართ, ხან მოწყენილი“.

(შოთა რუსვე)

აქ ქაოტურადაა თავმოყრილი შთაბეჭდილებები. ამას იქით კი ვერ წასულა პოეტი. რაიმე პრობლემის გაშუქებას როგორ მიიღწევს შემოქმედი, თუ გამოთქმის ოსტატობას არ დაეუფლა!

როცა პოეტი წერს „ავილეწე მეტწილად“. რწმუნდები, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს სიტყვის — მხატვრულ ლიტერატურაში ასახვის ამ ერთადერთი საშუალების მნიშვნელობას. ნუ უთანს. განა ერთი და იგივეა „ავილეწე მეტწილად“ და „ავილეწე მეტად“?

მხატვრული სახის შექმნას აქვს თავისი კანონები. თავისი ლოგიკა. სავნის ყოველგვარ სავან-თან შედარება არ შეიძლება. ავიღოთ ასეთი სახე: „რისხვად გრგვინავდნენ ყორნები ცაზე“ (შ. როყვა). ყორნების გრგვინვაზე, ისიც რისხვად გრგვინვაზე უფრო ადრე მათთვის დამახასიათებელი ჩხავილი გაგახსენებდა. ე. ი. როცა პოეტმა მტრის თვითმფრინავები ყორნებად წარმოიდგინა, ეს დასაშვებია, მაგრამ თვისებები უფრო მსგავსი უნდა გამოეხატა. ანდა განა მიზანშეწონილია შორის — მამაცის ეპითეტად ხმარება სიტყვისა „ქედმაბილისი“? ქედმა ქალისთვისაა დამახასიათებელი.

მეტაფორულ აზროვნებაში არის რაღაც ზღვარი, რომლის გადალახვა სახეს სიცხადეს არომვეს და გრძნობად-კონკრეტულობის მინდვრის, მაგიერად აბუნდოვანებს, აუცხარებს. აქ ყველაფერი დამოკიდებული ნიშა და გემოვნებაზე. ძნელი მისახვედრია, რა უნდა ითქვას ასეთი სახეებით:

„სიო ვარდებს დაშიკრიკებს“, „ნიავმა ფრთებით შეჰფერა სიერცე“. ან კიდევ ერთი სახე:

„ბარში ტყემლებმა ქათქათა ზოლი
გაალლეს ზღვის პირს ცისფერ სანოვებად“.

თუ ქათქათა იყო (ქათქათა კი თეთრის სინონიმია), როგორ იქცა ცისფრად და მეორეც, როგორ გაალლეს ზოლი სანოვებად? ასეთი სახეები შორსაა ნამდვილი მხატვრულობისაგან.

მხატვრული სახის შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოთქმის სილამაზეს. „იმისათვის, რათა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა დაიმსახუროს მხატვრულის ტიტული, აუცილებელია მას მიეცეს სრულყოფილი სიტყვიერი ფორმა“ (მ. გორკი).

როცა პოეტი ამბობს :„სუნთქავდა ქართლის მწიფე ყანები. ყოველ წამიერზე ჩანდა ცხოვრება“, არ შეიძლება არ უსაყვედურო ასეთი სახითათვის. როგორ შეიძლება ითქვას: ყოველ წამიერზე ცხოვრება ჩანდაო. ან ან კიდევ: „ზვირთივით ღელავს სამკალი თვითონ“, გრძნობ, რომ სიტყვა „თვითონ“ ზედმეტია და სახეს აფუჭებს. იგი მხოლოდ რითმისთვისაა — რითმას ეწირება სახის სილამაზე.

პოეზია ისეთი ფაქიზი რამ არის, რომ ერთმა უდგილოდ ხახმაძმა სიტყვამ შეიძლება ლექსი გააფუჭოს და პროზაიზმის დაღი დაასვას. აი ამის მაგალითი:

„მას შემდეგ მთელი ქალაქი
იგრძნობ, თუ როგორ გაზრდილა,
როდესაც მიმოიხედავ
ბაქოს დიდებულ ვაჭრლიდან.“

(ჯ. ნიკაბაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელად ემჩნევა, რომ ეპითეტი „დიდებული“ უხერხულად გაისმის, იგი არაპოეტურია. ეს არაა პოეზიის ლექსიკა.

ერთმა ახალგაზრდა პოეტმა თავისი პატრიოტობა ასეთი სახით გამოხატა: „ეს ქვებიც მკერდზე რომ დამაყარონ, მშობლიურია, არ მეტკინება“. მაგრამ პატრიოტული გრძნობის გამოხატვას სილამაზის გრძნობა არ უნდა შეეწიროს.

პოეზიას ესაჭიროება ზუსტი რეალისტური დეტალები, ეს უნდა გაითვალისწინონ იმ პოეტებმა, რომლებიც ზედმეტად მიმართავენ პოეტურ პირობითობას, ნაკლებად აფასებენ რეალისტურ დეტალებსა და შტრიხებს, რის გამოც ასახვა არადამაჯერებელი, არარეალურია და ნაწარმოები ღარიბია სოციალური გარემოს ამსახველი სურათებით. ამას განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდა პოეტებმა; როცა პოეტი წერს:

„ვიდრე ვაკეს აივლიდე,
ვიდრე წინ გზას გაიშლიდე,
ნახავ ლამაზ აივნიდან
წამონთებულ ქალიშვილებს.
აი უკვე მედიცინის
ღირსეული მონაგარი“.

(ო. მამფორია)

ძნელია აქედან გაიგო, რომ ავტორს მხედველობაში აქვს სამედიცინო ინსტიტუტის შენობა ვაკეში და მისი სტუდენტები.

მაღალი პოეტური კულტურის მქონე ქართულ მწერლობაში, სხვა რომ არა იყოს რა, უხერხულია ასეთი გალექსილი პროზის გასაღება პოეზიად:

„მაგრამ მისი პლანტაცია
უსასუქოდ დარჩა, რადგან
ცოტა იყო მოტანილი
და სულ მალე გაუთავდათ“.

ან კიდევ:

„საქმე ის არის, ამხანაგებო,
რომ სავსე იყოს გული იმედით
და კოლექტივის გზა სანაქებო
წინ გავაქანოთ შრომის დიდებით“.

როცა პოეტი თავის სხვადასხვა ლექსში ერთნაირად უყურებს საგნებსა და მოვლენებს, ერთნაირი სახეებით ასახავს მათ, როცა ბევრ ლექსში ერთნაირი წვიმიანი დარი დგას, ბევრ ლექსში ერთნაირად იგონებს პოეტი ბავშვობასა და პირველ სიყვარულს, იქმნება მოსაწყენი ერთფეროვნება.

დღევანდელ პოეზიაში ხშირად ვხვდებით წიგნიდან მოსულ სახეებს, ხშირად ვარიაციებით მეორდება ძველი მეტაფორები და შედარებები სულ სხვადასხვა პოეტის ლექსებში წაიკითხავ: ღამე მგზავრივით წამოგვეწიაო; როცა საქართველოს წარსულს ასახავენ, ხშირად ამბობენ — ბავშვების კალო ლეწესო; მთვარე დაცლილი ყანწივით ხან ცაში ჰკიდია, ხან მდინარეში აგდია; განვლილ ბავშვობას მუდამ ჯოხის ცხენზე ამხედრებულად წარმოიდგენენ.

ლექსიდან ლექსამდე უნდა იძიებდეს პოეტი ახალ სათქმელს, სახეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ თემებისა და სახეების გადამღერებას.

მხატვრულ ლიტერატურაში სინამდვილე აისახება არა ერთი ან ორი სახით, არამედ სახეთა სისტემით. ამიტომ ცალკეული მხატვრული სახე განხილულ უნდა იქნას სხვა სახეებთან ურთიერთობაში. სისტემა გულისხმობს, რომ სახეები ორგანიზებულადაა შერჩეულ-დალაგებული, ურთიერთ კავშირშია, ურთიერთს განაპირობებს, ემორჩილება ნაწარმოების იდეის გაშუქება-ხორცშესხმას. თუ მხატვრული სახე ნაწარმოების, როგორც მთელის სრულყოფას არ ემსახურება, თავისთავად აღებული რაც უნდა კარგი და ორიგინალური იყოს, ფასს კარგავს. ნაწარმოების სრულყოფილება მოითხოვს მის შექმნას შინაგანი ლოგიკის კანონების მიხედვით. თუ სათქმელი თქმულია, ამის შემდეგ ბრწყინვალე მხატვრული სახეებიც რომ მოგვცეს შემოქმედმა, ფასი არ ექნება. აი მაგალითად ლექსი მ. კახიძისა, რომელიც ნაწარმოების ლოგიკის, განწყობილების თანახმად უნდა დამთავრებულიყო მისი დედააზრის გამომხატველი სტრიქონებით: „არ მინდა ყოფნა უშენოდ, არ მინდა ყოფნა უცალოდ“. მაგრამ პოეტმა, რომელმაც დაიწყო მხატვრული სახეებით ამ აზრამდე მისასვლელი განწყობილების შექმნა („რა იქნებოდა ლაჟვარდი ლევა ღრუბლების ამარა, რა იქნებოდა ნეტავი უმზეოდ ზეცის კამარა“ და ა. შ.), თითქოს თავი ვერ შეიკავაო, გაამეღავნა სათქმელი („ან გული უსიყვარულოდ, მზემ ეთხელაც არ დახედოს“). შემდეგ მან ისევ განაგრძო განწყობილებების შექმნა („იალაღები უჯიხვოდ“... და ა. შ.). მაგრამ ეს უკვე არღვევს ლექსის მთლიანობასა და ჰარმონიულობას, ამ მხატვრულ სახეებს უკვე ფასი ეკარგება.

მეორე მაგალითი: პოეტმა ოთარ კუპრავამ ერთ ლექსში ხორცი შეასხა აზრს — დიდი და მართალი ხელოვნება ხალხის გულებში გადადის და ცოცხლობს. ეს აზრი შემოქმედმა გააცოცხლა კონკრეტულ მხატვრულ სახეებში. სოფლელი ბიჭი მოხიბლა მსახიობ თამარ ციციშვილის მიერ მებრძოლი ქალის დარიკოს განსახიერებამ:

„შენ ეკრანიდან გადმოაბიჯე,
ხელი ჩამჭიდე შინ წასასვლელად.
შვილსავით გულზე მიკრავდი გზაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს წინ ოცნების ზღვები შეირხა...
იმ ღამეს ჩემთან, კერის პირს დარჩი
და მერე აღარ გამშორებიხარ".

ლექსის ლოგიკის, განწყობილების ლოგიკის მიხედვით აქ უნდა დასმულიყო წერტილი, მაგრამ ავტორი აგრძელებს ლექსს, ამასთანავე განწყობილებას ცვლის. ამიტომ ლექსის ლოგიკურად დამთავრების შემდეგ შექმნილი მხატვრული სახეები სისტემიდან ამოვარდნილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიტანთ მხატვრული ნაწარმოების, როგორც ლოგიკურად შეკრული სახეთა სისტემის საილუსტრაციოდ. ესაა ლექსი, რომელშიც პოეტი ბუნების სურათებს კარგად იყენებს თავისი პოეტური ჩანაფიქრის უფრო ცოცხლად ხორცშესხმისათვის:

„გვახლდა პატარა, ლამაზი ბიჭი,
თვალგიშერა და ლოყებფუნჩულა.
ჩვენს დანახვაზე შეირხა ფიჭვი
და ნაძვს რაღაცა გადუჩურჩულა".

(ნ. გურეშიძე)

პოეტი კარგად იყენებს პარალელიზმის ხერხს სახეების შექმნაში:

„ზღვა ჩვენს წინ ათასფერად აჭრელდა,
ტალღამ სხვა ტალღა გაიყოლია".

ეს სახე პოეტს სჭირდება არა იმისათვის, რომ პეიზაჟით შეავსოს და შეაფერადოს ლექსი, არამედ იმისათვის, რომ ამ სახით მკითხველი განაწყოს გარკვეული მიმართულებით: როგორც ტალღამ სხვა ტალღა გაიყოლია, ასევე გავრცელდა ჭორი:

„და მე შევნიშნე, როგორ გაგვჭორა
ფრთა მოფარფატე თეთრმა თოლიამ".

ამას უშუალოდ მოსდევს კიდევ უფრო ძლიერი პარალელიზმი:

„ნუთუ არ გახსოვს ლურჯი ჩქერები,
მზემ ოქროსფერით როგორ დაიპყრო"...

როგორც ლურჯი ჩქერები დაიპყრო მზემ, ასევე დაეუფლა ყველას გონებას ერთი აზრი:

„მაშინ ვერავის დავაჯერებდით,
რომ ბიჭი ჩვენი შვილი არ იყო".

აი როგორ იჩენს თავს ლექსის შინაგანი ლოგიკა: ამ პარალელებში მოცემული ბუნების სურათები შექმნილია არა პეიზაჟით ლექსის შესავსებად (რაც საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე), არამედ მათ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ხელს უწყობენ ლექსის როგორც მთელის სრულყოფას. ამ განწყობის შექმნის შემდეგ ბუნებრივია ლექსის გმირის მიერ გულისნადების გამხელა. მან შეიყვარა ზღვაც, თოლიაც, ფიჭვიც, რადგან ისინი მას ოცნებას მიუხვდნენ, მისი ოცნების თანაზიარნი გახდნენ და ბოლოს ხორცს ისხამს ლექსის დედააზრი:

„მე მინდა ერთად, ერთად სულ ერთად
გვნახოს იმ ფიჭვმა, ზღვამ და თოლიამ,
ჭორის გარეშე მართლა რომ ეთქვათ, —
ნახე, რა კარგი შვილი ჰყოლიათ!"

ამ ლექსის ყოველი მხატვრული სახე მაქსიმალურად ეხმარება დედააზრის ხორცშესხმას.

მხატვრული სახე ლექსის, როგორც მთელის ორგანული ნაწილი უნდა იყოს. ერთი პოეტი ზეაწეულ ხელებს ადარებს ომის მეხამრიდებს (შ. ნიშნიანიძე). ცალკე აღებულ ამ სახეს აკლია სიცხადე, მაგრამ სხვა სახეებთან ურთიერთობაში მას აზრი და სიცხადე ეძლევა და შესანიშნავ მხატვრულ სახედ იქცევა. (ლექსში ასახულია მშვიდობის მიტინგზე შეკრებილი ხალხი, რომელიც ხელის აწევით ხმას აძლევს ომის წინააღმდეგ). ან აი მოვიტანთ კიდევ მაგალითს მ. კახიძის შემოქმედებიდან:

„როგორც არაბები მოჭრილან ქარები
მინდვრებზე ზათქით და ზარით,
ტყვეებად წაუსხამთ ვით გურჯის
ქალები,
ხატულა ყვავილების ჯარი.
ბუბუნა ბერმუხა სიცივით ბარბაცებს,
მხრებზე ხარკად აწევს თოვლი.
ხანდახან მზე ნისლში იცინის ზარმაცად
და ზაფხულს მოელის თრთოლვით".

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი უშუალოდ წარსულს არ ეხება, წარსული მაინც ძალუმად აირეკლა მასში. მაგრამ მთავარი სხვაა: ამ ლექსში მოცემულია ლამაზი სურათი, მაგრამ ლექსი მხოლოდ ამისათვის რომ დაწერილიყო, მას არ ექნებოდა ის ცხოველმყოფელობა, რაც მას მთლიანობაში აქვს. მოტანილი მხატვრული სახეები თვითმიზნური კი არაა, არამედ საშუალებაა ლირიკული გმირის ხასიათის გამოსაკვეთად და ეს ამ მხატვრულ სახეებს კიდევ უფრო მეტ წონას აძლევს:

„მე მაინც დავდივარ მზესავით გამთბარი,
სიცივე რას დააკლებს ჩემ სულს,
სიყვარულს ვატარებ ანთებულ ლამპარად
და სიკვდილამდე ეს მსურს".

მაგრამ ახლა ვნახოთ იმავე მედეა კახიძის მეორე ლექსი. მასში არის მშვენიერი სახეები, ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზი თქმები. ზოგიერთ მათგანის ნიმუშად მოტანაც შეიძლებოდა:

„როცა შორს იყავი, შუქი მაკლდებოდა,
ჩამქრალი პატრუქივით ვბოლავდი".

ან:

„რა მოწყენილია ეს ქვიშის ხალიჩა —
ხეზე ჰპარული ფათალო".

ლამაზი სახეებია ცალკე აღებული, მაგრამ რა იდეის გაშუქებას ემსახურებიან ისინი სახეთა სისტემაში? ლექსში, რომლიდანაც ეს მხატვრული სახეები ამოვიღეთ, ხაზგასმულია სიყვარულის უნაყოფობა („ჩვენი სიყვარული ამ ზვირთებს მიაგავს, იყო და არა იყო რა"... „ჩვენი სიყვარული ამ ტალღებს მიაგავს, მიდის და კვალს არ ტოვებს ნაპირზე").

შეიძლება ავტორი შემოგვედავოს: მე კონკრეტული („ჩვენი") სიყვარულის უნაყოფობაზე ვლაპარაკობ და არა საერთოდ სიყვარულზეო. მაშინ ეს უნდა იგრძნობოდეს, უნდა ჩანდეს ლექსში და რადგან ეს არ იგრძნობა, ლექსი დგება საფრთხის წინაშე: მას შესაძლოა დასწამონ სიყვარულის უნაყოფობის აღიარება.

მაშ, ცალკეულმა კარგმა მხატვრულმა სახეებმა, ცალკეულმა ლამაზმა თქმებმა ვერ უშველა ლექსს. მათ დაჰკარგეს ფასი, რადგან ლექსი იდეურად არ არის ნათელი.

ასე მჟღავნდება მაგალითებში მხატვრული ნაწარმოების შინაგანი ლოგიკა, სახეთა შექმნის კანონები, სახეთა ურთიერთდამოკიდებულება და განპირობებულობა სახეთა სისტემაში. ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ასეთ დასკვნას მივიღებთ:

მხატვრული სახის არსი უცვლელია, მისი აგება-შექმნის საშუალებები და ხერხები კი იცვლება სხვადასხვა ეპოქებში. მხატვრული სახის, მეტაფორული აზროვნების გაფართოება და გამდიდრება-გართულება არ ნიშნავს იმას, რომ ფორმისათვის ზრუნვამ თვითმიზნური ხასიათი მიიღოს, შინაარსი, იდეა დაჩრდილოს; მეორეს მხრივ, არც იდეურ-შინაარსობრივმა მხარემ არ უნდა დაჩრდილოს მხატვრული ნაწარმოების ფორმა.

მხატვრული სახე გრძნობად-კონკრეტული ფორმაა, მაგრამ არა უბრალო ფიქსაცია უშუალო შთაბეჭდილებებისა, არამედ ღრმა იდეური შინაარსის გამოხატვა გრძნობად-კონკრეტულ ფორმაში, აზრის ქცევა სახედ, ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობა.

მხატვრული სახის სრულყოფილობა გულისხმობს როგორც იდეურ-შინაარსობრივი მხარის, ასევე ფორმის სრულყოფილობას. ლიტერატურასა და ხელოვნებაში შინაარსი, რაც უნდა ღრმა და დიდი იყოს, მხოლოდ სრულყოფილი მხატვრული ფორმის საშუალებით ხდება მარადიული, ხოლო ფორმა, რაც უნდა ბრწყინვალე იყოს, ღრმა და დიდი შინაარსის გარეშე მოჩვენებითია... კარგი შინაარსი კარგ მხატვრულ ფორმაშია — აი გზა ჭეშმარიტი ხელოვნებისა!

ღრმა იდეურ შინაარსს მოკლებული მხატვრული სახეების ერთერთი გამოვლინებაა ბუნების განყენებული სურათების შექმნა. იმის გამო, რომ ეს სურათები განყენებულია, რომ მათი შექმნა თვითმიზნურია და არა საშუალება ადამიანის აზრთა და გრძნობათა ასასახავად, ამ სურათების ფასი კნინდება.

მხატვრულ სახეს ცხოველმყოფელობას ანიჭებს შემოქმედის აქტიური დამოკიდებულება ასახულისადმი.

პოეზიის სირთულე გამოთქმაშია. მხატვრული სახის შექმნაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოთქმის სილამაზეს. საჭიროა გამუდმებული დაოსტატება მხატვრული სახის სილამაზისა და უფრო მეტი სიზუსტის მიღწევაში.

მხატვრულ ლიტერატურაში სინამდვილე აისახება არა ერთი ან ორი სახით, არამედ სახეთა სისტემით. ამიტომ ცალკეული სახე მკაცრად, გამიზნულად უნდა ემორჩილებოდეს ნაწარმოების, როგორც მთელის, იდეურ-შინაარსობლივ და ფორმის მხრივ სრულყოფას; ცალკეული მხატვრული სახე, რაც უნდა ბრწყინვალე იყოს, თუ ნაწარმოების, როგორც მთელის, სრულყოფას არ ემსახურება, ფასს ჰკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუდმილა გორიაგინა

ქართველი ქალები შვეიცარიაში

60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი წლების დასაწყისში გაზეთ „დროების“ გარშემო თავმოყრილმა მოწინავე ქართულმა საზოგადოებრიობამ წამოაყენა საკითხი — აუცილებელია ქართველმა ქალებმა უმაღლესი განათლება მიიღონო. ქართულმა საზოგადოებრიობამ თავისი ხმა შეუერთა იმ რუს ქალთა ხმას, რომლებიც მოითხოვდნენ უნივერსიტეტში შესვლის უფლებას. ხოლო როდესაც ცხადი გახდა, რომ მეფის მთავრობა დათმობაზე არ წავიდოდა, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და მათი თანამოაზრენი შეუდგნენ თბილისისა და ქუთაისის ქალთა სასწავლებლების საუკეთესო მოსწავლეთა მზადებას შვეიცარიაში გასამგზავრებლად.

მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის უკანასკნელმა წლებმა უდიდესი გავლენა იქონიეს მოსწავლე ახალგაზრდობაზე, რომელიც პროტესტის სულისკვეთებით იმსჭვალებოდა, სულ უფრო და უფრო პროგრესულად აზროვნებდა და არსებული წესწყობილების კრიტიკით გამოდიოდა.

ახალგაზრდობის მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა, ერთის მხრივ, დასავლეთ ევროპის მაგალითები და იქიდან შემოღწეული სოციალიზმის იდეები, ხოლო, მეორე მხრივ — რუსული მოწინავე ლიტერატურა, რომელსაც მაღლა ეჭირა თავისი დროშა. ქალიშვილები სწავლობდნენ რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ნაწარმოებებს, რომლებსაც აწვდიდა მათ ივანოვის ბიბლიოთეკა, სწავლობდნენ ფეიერბახს. ამ ნაწარმოებების გავლენით მათში უფრო და უფრო გარკვევით მომწიფდა თანასწორუფლებიანობის მოპოვების, უმაღლესი განათლების მიღების, სპეციალური ცოდნის შეძენის აზრები. ახალგაზრდობა ემზადებოდა უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში წასასვლელად.

ამ მიმართულებით ქალიშვილებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა პროფესორ თარხნიშვილის — ამ შესანიშნავი ბუნებისმეტყველის, სეჩენოვის მოწაფის, დარვინიზმის ბრწყინვალე მცოდნის ლექციებმა.

თავის იდეურ მოძღვართა და მეგობართა გავლენით ქალიშვილებმა დასახეს თავიანთი გზა. ოლღა გურამიშვილმა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი აირჩია. ის ოცნებობდა, რომ სამშობლოში დაბრუნდებოდა და დაეხმარებოდა ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთელს ჩამოეყალიბებინათ ხალხისთვის ისეთი სკოლები, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის გარდა აგრონომიასაც შეასწავლიდნენ. პელაგია ნაცვლიშვილი ექიმობისთვის ემზადებოდა. კეკე მელიქიშვილი — „დროების“ რედაქტორის, ს. მესხის მომავალი მეუღლე — ლიტერატორობასა და მთარგმნელობას აპირებდა. ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძეებს, აგრეთვე მათს ქუთაისელ მეგობარს მარიამ წერეთელს (მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი წერეთლის და) პედაგოგიური მოღვაწეობისაკენ მიუწევდათ გული.

საქართველოს, ქართველ ხალხს, რომელსაც არ ჰქონდა საკმარისი სკოლები და თითქმის სულ არ ჰყავდა ექიმები, ესაჭიროებოდა თავისი ინტელიგენცია, ხოლო საზოგადოების ქალთა ნაწილის გამოსაღვიძებლად საჭირო იყო ჰყოლოდათ განათლებული საზოგადო მოღვაწე, ექიმი და პედაგოგი ქალები.

1874 წ. ციურიხს გაემგზავრა პელაგია ნაცვლიშვილი, მას მიჰყვნენ დები ნიკოლაძეები და ოლღა გურამიშვილი, ხოლო შემდეგ ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ წერეთელი, ეფემია (ფეფო) ელიოზიშვილი და სხვები.

ეს ის დრო იყო, როდესაც, სერგეი სტეპნიაკ-კრავჩინსკის სიტყვებით, „რუსეთის ყოველი მხრიდან — ვოლგიდან, წყნარი დონიდან, კავკასიიდან, შორეული ციმბირიდან ცოდნის წყურვილით ანთებული ახალგაზრდა ქალიშვილები, თითქმის გოგონები, მსუბუქი ჩემოდნებით ხელში და თითქმის უსახსროდ, მიემგზავრებოდნენ ათასი ვერსის მანძილზე. მხოლოდ ცოდნა მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობა გასცილდა აკადემიურ ჩარჩოებს — საზოგადოების წევრები კითხულობდნენ რეფერატებს პოლიტიკური ისტორიის, სოციალისტურ მოძღვრებათა, კავკასიის ეთნოგრაფიულ თემებზე, ამზადებდნენ სახელმძღვანელოებს საქართველოს სახალხო სკოლებისთვის.

1875 წელს ტკაჩოვმა დაიწყო გაზეთ „ნაბატის" გამოცემა. ამ გაზეთში ის ქადაგებდა რევოლუციური ბრძოლის ბლანკისტურ პროგრამას. რედაქცია იქცა იმ ადგილად, სადაც ტკაჩოვის ირგვლივ თავს იყრიდა ახალგაზრდობა. აქ სხვა ხალხოსნებიც გამოდიოდნენ ხოლმე, მაგრამ ტკაჩოვს განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა. მისი მგზნებარე, ჭკუით, ლოგიკითა და რწმენით აღსავსე ლაპარაკი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებდა; მის სხარტ გამოთქმებს კარგა ხანს იმეორებდნენ მსმენელები.

რუსეთში დაბრუნებული ნ. მოროზოვი დააპატიმრეს და მიუსაჯეს 25 წლით შლისელბურგის ციხეში პატიმრობა. მაგრამ თვით ამ მძიმე განსაცდელის წლებშიც კი მან ფაქიზად გამოატარა თავისი სიჭაბუკის მეგობრებისადმი აღტაცებისა და ღრმა პატივისცემის გრძნობა. მისი მოგონებების ყველაზე გულთბილი სტრიქონები ეხება ო. გურამიშვილს, მ. წერეთელს და ე. ნიკოლაძეს, რომელთაც ის „ახალგაზრდა ტრიოს" უწოდებს. მოროზოვი დაუახლოვდა ამ ქალიშვილებს, ისინი ერთად დადიოდნენ სტუდენტთა კრებებზე, პირველი ინტერნაციონალის სექციათა სხდომებზე, ერთად ადიოდნენ სალვის მწვერვალზე, რომელიც ქალიშვილებს მშობლიურ მთებს მოაგონებდა. ერთ ასეთ გასეირნებას იგონებს მოროზოვი.

მ. წერეთელმა უამბო ნ. მოროზოვს, თუ რავაი-ვაგლახით მოახერხეს საზღვარგარეთ წამოსვლა, რა ხარბად ეტანებიან ცოდნას.

„ამ ალალმართალ, საუცხოო, გულწრფელ ახალგაზრდებთან საუბარი — იხსენებს მოროზოვი — ისე მოქმედებდა ჩემზე, თითქოს მინდვრის ყვავილთა სურნელებამ დამბერაო, მეგონა, ირგვლივ გაზაფხულის პირველი ტოროლები აწკრიალდნენ-მეთქი" [1].

მ. წერეთელი სხვებზე მეტად დაუახლოვდა მოროზოვს, რადგან როცა „რაბოტნიკის" რედაქტორებს დაუმეგობრდა, ისე გაიტაცა მათმა საქმიანობამ, რომ ლავრისტი ქალის გრებნიცკაიას (დ. პისარევის დის) შემწეობით საგანგებოდ შეისწავლა ასოთამწყობობა და გაზეთის ბეჭდვაში ეხმარებოდა რალს, ელსნიცს, გოლდენბერგს და მოროზოვს.

ლევ მეჩნიკოვთან მეგობრობა ანდერძად გაატანა ქალიშვილებს ნიკო ნიკოლაძემ, მისმა უახლოესმა მეგობარმა (1868 წ. ნ. ნიკოლაძე და ლ. მეჩნიკოვი ჟენევაში ერთად სცემდნენ ჟურნალ „სოვრემენოსტს"). როდესაც ქართველი ქალიშვილები ჟენევაში ჩავიდნენ, ლევ მეჩნიკოვის ოჯახში ისინი ნათესავებივით მიიღეს. მეჩნიკოვის პიროვნებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქალიშვილებზე. ეს გახლდათ უაღრესად გულადი ადამიანი. ის სახელოვან ათასეულთან ერთად მონაწილეობდა გარიბალდის ლაშქრობაში. ამასთან იყო დიდი სწავლული — გეოგრაფი, იცოდა 10 ევროპული ენა. ელიზე რეკლიუსთან ერთად მონაწილეობდა მსოფლიო გეოგრაფიის დარგში კაპიტალური ნაშრომის — „დედამიწა და ხალხების" შედგენაში. ლ. მეჩნიკოვი უწონებდა ქალიშვილებს ცოდნის წყურვილს და იზიარებდა მათს შეხედულებას, აუცილებელია უნივერსიტეტის დამთავრებაო.

ო. გურამიშვილის, ეკ. ნიკოლაძის, ეკ. მელიქიშვილის, მ. წერეთლის მეგობართა — რუს ხალხოსანთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ სერგეი სტეპნიაკ-კრავჩინსკის და მიხეილ საჟინს (საჟინი ემიგრაციაში ცნობილი იყო, როგორც არმან როსი).

ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, ენერგიული, ხალისიანი პიროვნება, რევოლუციურ საქმეთა ხარბად მაძიებელი რომანტიკოსი, უშიშარი და უყვედრებელი რაინდი — აი რანაირად წარმოუდგათ ო. გურამიშვილსა და მის მეგობრებს სერგეი კრავჩინსკი. მან მყისვე მოიგო ქალიშვილების გული, რადგან ქებით მოიხსენია მათი იდეური მეთაურის ნ. ნიკოლაძის სტატიები. როგორც გამოირკვა, ის კარგად იცნობდა ამ სტატიებს, რომლებიც დაბეჭდილი იყო „სოვრემენსტში", და იზიარებდა ჟენევის ემიგრაციის ნ. ნიკოლაძისეულ შეფასებას [1].

ქალიშვილები თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ კრავჩინსკის. კრავჩინსკის მხნე და ქმედითმა ბუნებამ საბოლოოდ დაიპყრო მისი ახალგაზრდა მეგობრების გული. ჟენევაში ის დაბრუნდა ბოსნიიდან, სადაც რუსების ჯარში ვოლონტერად იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ. როდესაც მისი მეგობრები ს. საბლინი, ნ. მოროზოვი და მ. საჟინი რუსეთს გაემგზავრნენ, ს. კრავჩინსკიმ სხვა გზა აირჩია და თავისი გეგმები ქართველ ქალიშვილებს გაუზიარა: მისი რწმენით, ბრძოლის ერთადერთი მეთოდი იყო ტერორი, ვინაიდან მთავრობამ ახალგაზრდობას არ მისცა ხალხში მშვიდობიანი პროპაგანდის საშუალება. ტერორი, კრავჩინსკის აზრით, უკიდურესი ღონისძიებაა, ესაა პასუხი მთავრობის მხრივ გამოყენებული რეპრესიებისა. კრავჩინსკი გაემგზავრა იტალიაში,

---

[1] Н. Морозов. „Повести моей жизни". М., 1947, т. I, стр. 472.

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი (პროფ. რ. ნიკოლაძის ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა იქ „ხელი გაეჩვია, რათა მშობლიურ ნიადაგზე სერიოზულად ემოქმედა“ [1].

შემდეგში, როცა ქალიშვილები საქართველოში დაბრუნდნენ, მათ შეიტყვეს ს. კრავჩინსკის შემდგომი ნაბიჯები: ბაკუნინის მიმდევრებთან, ერთი მუჭა ფიცხ ადამიანებთან ერთად მან სცადა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა ბენევენტის პროვინციაში. ის იარაღით ხელში ტყვედ ჩაიგდეს, ცხრა თვე მიწისქვეშეთში ჰყავდათ, მერე სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და მხოლოდ იმან იხსნა, რომ ტახტზე ახალი მეფე ავიდა. მაგრამ იტალიურ სკოლას ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. აქ გაიწაფა ხანჯლის ოსტატურად ხმარებაში. სამშობლოში რომ დაბრუნდა, პირდაპირ ქუჩაში, ხალხში, ხანჯალზე წამოაგო ჟანდარმთა შეფი — მეზენცევი, რომელსაც ასობით დაღუპული რევოლუციონერის ცოდვა ედო კისრად, და მიიმალა. ყოველივე ამის შესახებ ოლღა გურამიშვილს დაწვრილებით უამბო საჟინმა, რომელსაც ის დოსტოევსკის დაკრძალვაზე შეხვდა. პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნებულმა ო. გურამიშვილმა ეს ამბავი უამბო აკაკი წერეთელს, და ეს იყო ერთ-ერთი მოტივი, რომელმაც აკაკის დააწერინა ლექსი „ხანჯალი“.

ქალიშვილებმა ერთბაშად ვერ გაარკვიეს თავიანთი დამოკიდებულება ბაკუნისტ მ. საჟინისადმი. მ. საჟინი იყო დამფუძნებელი რუსული კოლონიისა ციურიხში, სადაც მან მოაწყო პოლიტიკური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა და იაფი სასადილო სტუდენტებისათვის. ქართველი ქალიშვილების ციურიხში ჩასვლის დროისათვის საჟინი მეთაურობდა ბაკუნისტების ბრძოლას ლავრისტებთან და ლავროვთან, რომელსაც ბრალს სდებდა, „ციურიხში იმიტომ ჩამოვიდა, რომ იხსნას ახალგაზრდობა რევოლუციური პროპაგანდისგანო“[2].

მოწინააღმდეგეები ისე გაფთრდნენ, რომ კამათს თავი ანებეს და ფიზიკური ძალის გამოყენებაზე გადავიდნენ. „როსოველებმა“ (არმან როსის მომხრეებმა) სცემეს ლავრისტს; მერე მ. საჟინს თავს დაესხნენ ლავრისტი სტუდენტი ქალები, არც საჟინს დაუკლია ხელი და ორივე მხარე გვარიანად დაშავდა. ქართველმა სტუდენტმა ქალებმა, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ ქალის პატივისცემის ქართულ ტრადიციებზე, დიდხანს ვერ აპატიეს მ. საჟინს ეს ამბავი. ამის შესახებ ვტყობილობთ ოლღა გურამიშვილის წერილებიდან ნ. ნიკოლაძისადმი [3].

გაიარა რამდენიმე წელიწადმა, ქალიშვილები გაეცვნენ კრავჩინსკის, და მხოლოდ მისი ნაამბობის შემდეგ სულ სხვა სახით წარმოუდგათ მისი მეგობარი საჟინი. ისინი აღტაცებით ადევნებდნენ თვალს რევოლუციონერის გზას: გადასახლება, ამერიკაში გაქცევა, ნეჩაევთან შეხვედრა ჟენევაში, მ. ბაკუნინთან დაახლოება, 1871 წ., პარიზის კომუნის დღეებში ბარიკადებზე ბრძოლებში მონაწილეობა, შვეიცარიაში დაბრუნება, რევოლუციური ლიტერატურის გამოცემა და მისი რუსეთში გადაგზავნა, 1874 წ. — იტალიელი ხალხის ბრძოლაში მონაწილეობა, 1875 წ. — თურქთა წინააღმდეგ სლავების ბრძოლაში მონაწილეობა.

ციურიხში, ხოლო შემდეგ ჟენევაში, ქალიშვილები დაუახლოვდნენ რუსი სტუდენტი ქალების იმ შესანიშნავ ჯგუფს, რომელსაც სოფია ბარდინა მეთაურობდა. მათ ბევრი საერთო აღმოაჩნდათ. თუ პეტერბურგში ჩასული ი. ჯაბადარი გაოცა იქაური სტუდენტობისა და თბილისის ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესთა, შეხედულებათა და აზრთა ერთიანობამ [1], აქ, შვეიცარიაში, ეს ერთიანობა კიდევ უფრო საგრძნობი შეიქნა. ს. ბარდინას ჯგუფს ციურიხში „ფრიჩებს“ ეძახდნენ (მათი დიასახლისის, ფრიჩეს სახელის მიხედვით). „ფრიჩების“ საზოგადოებაში შედიოდნენ ს. ბარდინა, ვერა და ლიდია ფიგნერები, ოლგა და ვერა ლუბატოვიჩები, სამი და სუბოტინები, ვ. ალექსანდროვა, დ. აპტეკმანი, ბ. კამინსკაია, გრებნიცკაია, დები თუმანოვები.

ქართველი სტუდენტი ქალებიცა და „ფრიჩებიც“ ერთნაირად იყვნენ გატაცებულნი მეცნიერებით, ლიტერატურითა და საზოგადოებრივი ცხოვრებით. ერთნიცა და მეორენიც ეტანებოდნენ თვითგანვითარებას.

ორივე ჯგუფი გაცხოველებულ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ სტუდენტთა თავყრილობებზე, ხალხოსნობის თეორეტიკოსთა ოჯახებში, მონაწილეობდნენ მათი ბეჭდვითი ორგანოების გამოცემაში. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ქართველი ქალიშვილები დაკავშირებული იყვნენ ბაკუნინის ყაიდის გაზეთის „რაბოტნიკისა“ და ნეჩაევის „ნაბატის“ გამოცემასთან, ხოლო „ფრიჩები“ ასოთამწყობად მუშაობდნენ პ. ლავროვის ჟურნალ „ვპერიოდის“ სტამბაში. პ. ლავროვი იხსენებს: „ყოველ საღამოს „ვპერიოდის“ საამწყობოდან სიმღერით გამოდიოდნენ ახალგაზრდა ასოთამწყობ ქალთა ჯგუფები. მათ შორის ბევრი იყო ისეთი, ვინც

---

1 ნ. ნიკოლაძის არქივი (პროფ. რ. ნიკოლაძის ხელნაწერი).

2 М. Сажин. Воспоминания. М., 1925, стр. 14.

3 ნ. ნიკოლაძისა და ო. გურამიშვილის მიმოწერა (ნ. ნიკოლაძის არქივი).

1 «Былое». И. Джабадари. «Процесс 50-ти».

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე წლის მერე 50-ის პროცესზე უნდა გამოსულიყო..." [1].

როდესაც 1873 წლის მაისში ციურიხს ჩავიდა ნ. ნიკოლაძე, მან თავის მეგობრებთან ნახა საზოგადოება „ჩრდილოელი ქალებისა, რომლებმაც მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. მაშინვე გაჩაღდა კამათი ბაკუნინის მოძღვრებისა და გარიბალდის პროგრამის თაობაზე. ქალიშვილებმა თხოვეს ნ. ნიკოლაძეს ეამბნა ჩერნიშევსკისთან თავისი შეხვედრების ამბავი" [2].

როგორც ახალგაზრდობას შეჰფერის, არც ხუმრობა და სასაცილო თავგადასავლები აკლდათ. ერთხელ ვერა ფიგნერმა და ტკაჩოვმა გადაწყვიტეს დაეფეთებინათ ერთი რუსი პოლკოვნიკი, რომელიც შვებულებით ჩამოსულიყო რუსეთიდან და ყველგან თავი მოჰქონდა, რევოლუციონერებთან მაქვს კავშირიო. გადაწყვიტეს მასთან მიეგზავნათ ვინმე და გაეფრთხილებინათ, თვალყურს გადევნებენ და როგორც კი რუსეთში დაბრუნდებით, მაშინვე დაგაპატიმრებენო. როდესაც საქმე იმაზე მიდგა, თუ ვის გაეთამაშებინა პოლკოვნიკი, შეჩერდნენ კატო ნიკოლაძეზე. მანაც საუცხოოდ შეასრულა ნაკისრი როლი. ეს სცენა აწერილი აქვს ვერა ფიგნერს, რომელიც კარგად იცნობდა ნიკო ნიკოლაძეს და მეგობრობდა ქართველ სტუდენტ ქალებს, რომლებსაც ნიკოლაძე მფარველობდა [3]. შლისებურგის ციხეში ოცი წლის პატიმრობის შემდეგ ვ. ფიგნერმა დაწერა მოგონებები, სადაც თავისი სიყმაწვილის დროინდელ ქართველ მეგობრებს იგონებს.

ანაზდად პეტერბურგიდან მოვიდა ბრძანებულება, რომელიც სახელს უტეხდა და ციურიხის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უსპობდა როგორც რუს, ისე ქართველ სტუდენტ ქალებს. მეფის მთავრობას მისდიოდა ცნობები, რომ საზღვარგარეთ მოსწავლე ახალგაზრდობაში უფრო და უფრო იზრდებოდა რევოლუციური განწყობილება. ამიტომ მან წინადადება მისცა ყველა სტუდენტს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ რუსეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, არ ვცნობთ თქვენს დიპლომებს უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შესახებო. ცირკულარი ავალებდა მათ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ციურიხი, რომელიც უცხოეთის სტუდენტობის ცენტრი იყო. ბრძანებულების მოტივირებაში ნახსენები იყო სოციალისტური იდეებით გატაცება, მაგრამ, ამას გარდა, იყო პუნქტიც, რომელიც შეურაცხყოფდა ყველა ქალიშვილ სტუდენტს. ამ პუნქტში ნათქვამი იყო, რომ მეცნიერებათა შესწავლა მხოლოდ თვალის ასახვევადაა მოგონილი, რუსი ქალები საზღვარგარეთ იმიტომ მიდიან, რომ დაუბრკოლებლად მისცენ თავი „თავისუფალ სიყვარულსო". ამ ბინძურ ცილისწამებას ის შედეგი მოჰყვა, რომ სტუდენტ ქალებს დაურიდებლად დაუწყეს დევნა.

ბრძანებულების მოსვლისთანავე მოწვეული იქნა სტუდენტ ქალთა საერთო კრება; კრებას ქართველი ქალიშვილებიც ესწრებოდნენ. საყოველთაო აღშფოთების გამოთქმის მერე „ფრიჩებმა" ერთხმად დაადგინეს: არ დამორჩილებოდნენ მეფის მთავრობის ცირკულარს; დაბრუნებულიყვნენ რუსეთში, მაგრამ მხოლოდ რევოლუციური მუშაობისთვის; პროტესტი განეცხადებინათ არა ამ კერძო შემთხვევისთვის, არამედ რუსული ცხოვრების მთელი წყობისათვის. სტუდენტმა ქალებმა გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ ჩაბმულიყვნენ რევოლუციურ ბრძოლაში. მათ დატოვეს ციურიხი, გადასახლდნენ ბერლინში, პარიზში, ჟენევაში. „ფრიჩები" შეთანხმდნენ, რამდენიმე თვის მერე რუსეთს გავემგზავროთ, ოღონდ უკვე რევოლუციური, ხალხოსნური ორგანიზაციის სახითო.

ქართველი სტუდენტი ქალები განაგრძობენ ლექციების მოსმენას ჟენევის უნივერსიტეტში. რუსეთიდან კვლავ მოდის ცნობები პროპაგანდისტების ახალ-ახალ დაპატიმრებათა შესახებ.

შვეიცარიაში გაშლილ მოვლენათა და რუსეთიდან მოსული ცნობების გავლენით ქართველი ახალგაზრდობის წინაშე სულ უფრო და უფრო ხშირად დგება საკითხი საქართველოს საზოგადოებრივი გზების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა ითამაშოს ახალგაზრდობამ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

ამ საჭირბოროტო საკითხების გადასაჭრელად 1874 წლის აგვისტოში მოწვეული იქნა ქართველი ახალგაზრდობის კონგრესი. კონგრესზე თავი მოიყარა 40-ზე მეტმა ქართველმა სტუდენტმა. მიწვეული იყვნენ სომხეთისა და დაღესტნის ახალგაზრდობის წარმომადგენლებიც.

კონგრესმა დააინტერესა რუსული ხალხოსნობის წარმომადგენლები. სხდომებს ესწრებოდნენ ტკაჩოვი, ელპიდინი, გოლდენბერგი, გრიბნიცკაია-პისარევა, თუმანოვა-გამყრელიძე (მათ აქვე, სხდომაზე, ფოტოსურათები გაუცვალეს ქართველ სტუდენტ ქალებს). რუსი სტუმრები ააღელვა ქართველ ახალგაზრდათა წრეში გაშლილმა ბრძოლამ, ისინი ღრმად დაინტერესდნენ იმ განხეთქილებით, რომელიც უკვე ისახებოდა კონგრესის მონაწილეთა შეხედულებებში. უმრავლესობა, რომელსაც გიორგი წერეთელი ხელმძღვანელობდა, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა. ისინი მხარს უჭერდნენ კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას.

---

[1] П. Лавров. „Народники-пропагандисты". Л., 1925, стр. 57—58.

[2] ნ. ნიკოლაძის არქივი (პროფ. რ. ნიკოლაძის ხელნაწერი).

[3] В. Фигнер. „Запечатленный труд", М., 1932, т. I, ч. 1; Урок жизни, стр. 90—93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგორის ნაწარმოებთა კრებული



სამი წლის შემდეგ მთელი კულტურული კაცობრიობა აღნიშნავს ასი წლის თავს რაბინდრანატ თაგორის დაბადებიდან. ეს დიდი ინდოელი პოეტი-ფილოსოფოსი, მუსიკოსი, მხატვარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თავდადებულად ემსახურებოდა თავის „დიდ და დაჩაგრულ სამშობლოს“. მაგრამ მისი პატრიოტიზმი არასოდეს არ იზღუდებოდა ინდოეთის ფარგლებით. „ჩემთვის პატრიოტიზმი ადამიანურობას ერწყმის. მე პატრიოტი ვარ იმიტომ, რომ ადამიანი ვარ და კაცადი კაცი... რაც უფრო ნაკლებ გიყვარს ადამიანი, მით უფრო ნაკლებ პატრიოტი ხარ“, — წერდა ეს დიდი მამულიშვილი, რომელიც თავის ქვეყანაში ევროპული კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოებისა და თანამშრომლობის ერთ-ერთი დიდი ორგანიზატორიც იყო. „მე მწამს, — ამბობდა იგი, — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჭეშმარიტი ერთიანობა“, „ყოველი ერი, რომელიც თავისთავში ჩაიკეტება, ახალი დროის სულს ეწინააღმდეგება“.

თაგორი მრავალფერი კულტურის ნაშიერად თვლიდა თავს. მან აითვისა როგორც კლასიკური ინდური ლიტერატურისა და ფილოსოფიის მემკვიდრეობა, ისე ევროპული კულტურის მიღწევებიც. „მან გასდო ხიდი ძველსა და ახალ სამყაროს შორის და ინდოეთში მოდერნიზმის სიმბოლოდ გადაიქცა“ (მულკ რაჯ ანანდ). თაგორმა იგივე საქმე გააკეთა ინდოეთში, რაც უიტმენმა ამერიკაში, კოლრიჯმა და უორდსვორტმა — ინგლისში, პუშკინმა — რუსეთში.

თაგორი ბენგალურ ენაზე წერდა (ეს ენა ყველაზე ახლოს დგას სანსკრიტულთან, ლექსიკის 80 პროცენტი სანსკრიტული ძირისაა. მასზე ლაპარაკობს დაახლოებით 70 მილიონი კაცი). ახალინდური ენებიდან ბენგალური ყველაზე განვითარებული და მდიდარი ლიტერატურის მქონეა. თაგორის ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობა უზარმაზარია. მაგრამ არაბენგალელისა და არაინდოელისათვის თაგორის ყველა თხზულება თანაბრად საინტერესო არაა. მსოფლიო მას უპირატესად იცნობს როგორც ბრწყინვალე პოეტ-ფილოსოფოსს, საგალობელთა კრებულების—„მებაღისა“ და „გიტანჯალის“ ავტორს. ეს უკანასკნელი 1913 წელს გამოიცა ინგლისურად და მის ავტორს ნობელის პრემია და მსოფლიოს უსაჩინოესი პოეტის სახელი მოუპოვა. წიგნი უმალვე ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

ეს დიდებული საგალობლები — დედანში იშვიათი რიტმული მრავალფეროვნებითა და მდიდარი, მელოდიური რითმებით დაყურსული— რომელიც თაგორმა თვითონვე თარგმნა რიტმული პროზით ინგლისურად, მკითხველთა აღტაცებისა და მოწონების მიუხედავად, მრავალი გაუგებრობისა და ცრურწმენის მიზეზი გახდა. საქმე ისაა, რომ მკითხველთა ფართო წრეებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ინდური აზროვნებისა და იდეების სპეციფიკურ სამყაროზე, რომლის გაუთვალისწინებლად ძნელია თაგორის უაღრესად ორიგინალური პოეზიის გაგება. ამიტომ ფრიად გასახარელია, რომ ქართულად გამოსულ თაგორის ლირიკულ ნაწარმოებთა კრებულს დართული აქვს ნუნუ ხომერიკის მიერ კარგად თარგმნილი „დღენი ჩემი სიჭაბუკისა“. ეს თხზულება მსოფლიოში ერთ-ერთ უბრწყინვალეს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად ითვლება. იგი მკითხველს დიდად გაუადვილებს თაგორის იდეური და პოეტური სამყაროს გაგებას. დასანანია მხოლოდ, რომ წიგნში შეტანილი არ არის წერილთა ციკლი „ბენგალია“, რომლის შესავალში თაგორი წერს: „ეს წერილები ჩემი დაბეჭდილი თხზულებების მნიშვნელოვანი ნაწილის სინქრონულია და მათი პარალელური შეპირისპირება მკითხველისათვის ჩემი პოემების გაგებას გააფართოვებდა, რო-

გორც ფართოვდება ბილიკი, როდესაც მას საწინააღმდეგო მიმართულებით ერთხელ კიდევ გადაიერავ".

თაგორის მშვენიერი ლირიკული კრებული „მებაღე", რომელშიც უხვად ჩქეფს გაზაფხულის ფერები და სიხალისე, სიყვარულით უთარგმნია ლანა ღოღობერიძეს. მაგრამ ამ კრებულის ზოგიერთ ლექსს დახვეწა აკლია. მთარგმნელი სავსებით სწორად იქცევა, როცა თავისუფალი ლექსის გარკვეულ ტერფულ თანმიმდევრობას იცავს; სამწუხაროდ, ამ თანმიმდევრობას მთარგმნელი ხანდახან პროზაული გადახვევებით ბღალავს. „გიტანჯალის" ვიშნუიტური პოეზიის მედიტაციური ტონით შეფერილი საგალობლები ძირითადში სწორი ინტონაციით, ძლიერი ექსპრესიითა და მდიდარი ბგერწერითა აქვს თარგმნილი თამაზ ჩხენკელს. შესანიშნავია აგრეთვე ამ ორი მთარგმნელის მიერ შესრულებული „კჰონიკა". კარგი იქნება, თუ მომავალში სრულად ითარგმნება „მებაღეცა" და „გიტანჯალიც".

როგორც წიგნის რედაქტორი (ვ. ჭელიძე) აღნიშნავს, „ქართველი მკითხველი რამდენიმე ათეული წლის წინათ გაეცნო დიდი ინდოელი ჰუმანისტის შესანიშნავ ნაწარმოებებს. განსაკუთრებული დამსახურება ამ საქმეში მიუძღვის პედაგოგ ლავრენტი ძიძიგურს... ამ კრებულში შეტანილია მის მიერ თარგმნილი „ნამგალა მთვარე". რედაქტორი დასძენს, რომ, „თუმცა კრებულში მოთავსებული მასალები სხვადასხვა ხასიათისაა და თაგორის რჩეულად არ შეიძლება ჩაითვალოს", მაგრამ მაინც ამ წიგნს „დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი მკითხველისათვის, რადგან ერთად თავმოყრილი ამდენი ნაწარმოები თაგორისა პირველად გამოდის ქართულად". სასურველია თაგორის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით ამ დიდი ინდოელი მწერლის უფრო სრული კრებული გამოიცეს წინასიტყვაობითა და შენიშვნებითურთ.

რამაზ პატარიძე

ბო ძიუ-ი ქართულ ენაზე

ვინც ქართულ პოეზიას ღრმად დაჰკვირვებია ან თავისი შესწავლის საგნად გაუხდია, დარწმუნებულა მის მაღალ ღირსებაში და აუღიარებია, რომ სწორედ იგია ერთ-ერთი ყველაზე ღირებული რაც ქართველ ხალხს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეუტანია. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ვერც ერთი ერის პოეტური შემოქმედება, იქნება ეს ფრანგული თუ ესპანური, რუსული თუ ებრაული, სპარსული თუ ინგლისური პოეზია, ვერ გააკვირვებს პლასტიკით, ასოციაციების სირთულით, ჩამწვდომობით და ხატოვანებით ქართული პოეზიის ტევად არსენალს. ქართველმა ადამიანმა სწორედ პოეზია აირჩია თავისი სულიერი მოძრაობის გამოსახატავად და დიდი სულიერი ენერგია ჩააქსოვა მასში.



მაგრამ ასეთი „გაკვირვება" მაინც მოხდა და ჩვენ გვგონია, რომ ეს დაიწყო მას შემდეგ, რაც ქართული საზოგადოება თანდათან ეცნობოდა ჩინური (აგრეთვე იაპონური და კორეული) პოეზიის ნიმუშებს. ეს გაცნობა ხდებოდა ნაწილობრივ გერმანული, მაგრამ უპირატესად ბრწყინვალე რუსული თარგმანების შემწეობით. დღეს ჩვენ ბო ძიუ-ის ლექსების ქართული თარგმანის სახით ჩინური პოეზიის კლასიკური შედევრები გვგაჩნია მშობლიურ ენაზე.

ქართველი მკითხველი და პოეზიის მოყვარულნი გააოცა, პირველ ყოვლისა, ჩინური პოეზიის თავისებურებამ და, ვიდრე ამ თავისებურებათა დადგენას გამოუდგებოდნენ, დაათრო მისმა გამოუცნობმა სურნელმა. რაში მდგომარეობს, სად უნდა ვეძიოთ იგი.?

ამ კითხვის განმარტებისთვის საკმარისია ვთქვათ, რომ ჩინური პოეზიისთვის ნიშანდობლივია ემოციის „შიშვლად" მოწოდება, უკიდურესი უშუალობა, საოცარი „ნდობა" მკითხველის მიმართ: ჩინელი პოეტი ძალზე ხშირად უბრალოდ შესჩივლებს თავის მკითხველს და ეს უკვე დამთავრებული პოეტური ნაწარმოების სახეს ღებულობს. ჩინელი პოეტისათვის საკმარისია თქვას, რომ იგი კარგა ხანს შეჰყურებდა მოქანავე ტოტს, რომლიდანაც ეს-ესაა აფრინდა ჩიტუნა, და მის ხელში იგი იღებს იმგვარ სახეს, რაც მკითხველებს ნამდვილ სიხარულს ჰგვრის, ესთეტიკურად ახარებს. ყველაზე რთული სიუჟეტი, რომელიც დიდი ფორმის ჩინურ ნაწარმოებებში შეგვხვედრია, ასეთია: ერთმა ჩინელმა მხატვარმა ისეთი წარმტაცი მთაგორიანი პეიზაჟი დახატა, რომ სურვილისგან იწვოდა, როგორმე ამ მშვენიერ მინდვრებში გაევლო. განგებამ აუსრულა მას ეს წადილი. იგი შევიდა თავის პეიზაჟში, იარა დიდხანს, გადაიარა ერთი მთა, მეორე, მესამე, მეო-

ფარა თვალს და უკან აღარ დაბრუნებულა. ასე მოგვითხრობს ჩინური ლეგენდა.

მცირე ფორმის (ძუე-ძუი) ლექსები უსიუჟეტოა. მასში თითქმის მხოლოდ განწყობილება და ნაზი მეოცნებეობა. ამ ჟანრის ლექსები, სასტიკად კანონიზირებული, მიმართულნი იყვნენ ქმედებისკენ, რომ არაფერი ყოფილიყო ზედმეტი, რაც ამ განწყობილების გამოსახატი არ აღმოჩნდებოდა. ამ ლექსებში მარცვალთა რაოდენობაც ასაზღვრებოდა. წმინდა განწყობილება, შიშველი ემოცია, გულუბრყვილობამდე მისული უშუალობა — ამ თვისებებმა შექმნეს ჩინური კლასიური პოეზია. პოეტური გულახდილობა ყოველგვარი მოსალოდნელი პოზის გარეშე ერთგვარად ასხვავებს მას სხვა ერთა პოეზიისაგან.

ხოლო თუ ჩვენ ჩინური პოეზიის თავისებურებათა უფრო დაწვრილებით ანალიზს გამოვედგებით, ეს შედარებით რთული აღმოჩნდება. ცხადია ვერთ, რომ მის ჩამოსაყალიბებლად მხატვრული პრინციპების გვერდით ისტორიულ გარემოც ასრულებდა გადამწყვეტ როლს. უდიდესი ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ტანის ეპოქის ჩინეთს VII—X საუკუნეებში გაცილებით გულუბრყვილო და ფორმით სადა პოეზია ჰქონდა, ვიდრე ბეჭედ ბატონა და ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს მომდევნო, უფრო გვიანდელ საუკუნეებში. როგორც ჩანს, სულიერი კულტურის განვითარების ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები ნაკლებად არ სპობდა, ვიდრე დიდი ცივილიზაცია. მძლავრი სახელმწიფებრივი ინსტიტუტი.

ტანის ეპოქა ის ხანა იყო, როდესაც პოეტებს ლექსებს დაოისტური ან ბუდისტური ტაძრების, სიფსაო სალვურების შენობათა, ხანაც პირადაპირ მთავრობის სასახლის კედლებზე აწერდნენ. და თუკი ნაწერების მტკიცე დასაბუთება, არ ინდობდნენ თავის მოსასხამებს, აშორებდნენ მტკიცედ და კითხულობდნენ ლექსებს. ამ ეპოქის სახელოვანი პოეტის ბო ძიე-ის ერთი მეგობარი პოეტი იუან ჩენი წერდა — ბოს ლექსები ბიჩზე აკერიათ მეჯინიბეებს, მეცხვარეებს, მთავრებს და მთის ცოლებსო. ისინი ზეპირსიტყვიერით უფრო ერცეულებოდნენ არა ამიტომ, რომ ჩინეთში VII—IX საუკუნეებში სტამბები არ არსებობდა და ლექსები სტამბური წესით არ ბეჭდებოდა; ეს იყო უფრო პოეზიის წყურვილი, რომელიც ათეულმა საუკუნეებმა ვერ გაუნელა ამ საოცარ ხალხს, და კიდევ თვითონ ბო ძიე-ის ფართო პოპულარობა.

ჩვენ ზოგადად ვლაპარაკობდით ჩინური პოეზიის თავისებურებებზე. და ამით ცოტა რამ ვთქვით ბგრეთვე ბო ძიე-ის შემოქმედების შესახებაც. სწორედ ღი ბო, დე ფუ, ბო ძიე-ი იყო ამ ეპოქის ის სამი გიგანტი, რომლებმაც მსოფლიო სარბიელზე გაიყვანეს ჩინური პოეზია და მიუწვდომელი სიმაღლეები დაგვანახეს.

ბო ძიე-ი უდიდესი ლირიკოსია. მისი ლირიკის ფასი უფრო იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის ემოციას მკითხველს აწვდის, თუ ძალზე უხერხული შედარება არ იქნება, „ჰომეოპატური" წესით: რაც ნაკლები მოცულობით არის ლექსში იგი ნახშირი, მით უფრო ძალუძად წვდება ლექსი ადამიანის გულს. ბო ძიე-ი მთელი სიცოცხლის განმავლობაში შრომობდა პოეტური სახის სიზუსტეზე, კომპოზიციის საკითხებზე, რასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მას უაღრესი კონკრეტულობა, ხელშესახებობა შეჰქონდა ლექსის განწყობილებაში, ტერმინი იყო ყოველგვარი ბუნდოვანებისა. ბო ნამდვილი მშრომელი იყო პოეზიისა:

„მე ახალ-ახალ სიტყვებს ვთხზავ
დღეთა შრიალში.
მისთვის კი არ ვწერ,
მოვიხვეჭო დიდება დიდი.
მე ძველ სტრიქონებს
ვკითხულობ და ვასწორებ ხოლმე,
შეიძას მანიკებს, სულს მიხარებს
ლექსებზე შრომა.
თუ მიბრძანებენ
შორეული ემართო სამთავრო,
წვავდ, ძებნას კი არ დავიწყებ
გზებს სატახტოში დასაბრუნებლად.
ერთი მსურს მხოლოდ—
მყუდრო ტბაზე, მდინარეებზე
ლექსთა გალობით
გავატარო სიცოცხლე ჩემი.

ბო ძიე-ის შემოქმედება იმით არის უკვდავი და დღევანდელი მკითხველისათვის უაღრესად საინტერესო, რომ იგი წერდა იმის შესახებ, რისიც მოწმე იყო, რაც სინამდვილეში უგრძნობა. სიკვდილის წინ დაწერილ „ეპიტაფიაში" პოეტი გაამოგზაურა: „ყოველივე, რაც ცხოვრებაში უყვარდა, რაც გგრძნო, რაც მოიპოვა, რაც დაასამარა, რაც თავს გადახდა, რაიც სტანჯავდა, რასთანაც იგი დაკავშირებული იყო და შეეთვისა — ყოველივე ეს მოვლენა და სავანი შეედა მის ლექსებში. გადაშალე ძველი და შენ გაიგებ ყოველივეს ამას".

ბო ძიე-ი ტანის ეპოქის პოეტებში გამოირჩევა თავისი ლექსების სოციალური ქლერადობით. ბოს სოციალური ლექსები ხშირად სინტეტურესა და თავისებურად გადაბრილი. სოციალურ თემებზე იგი ხშირად წერდა. ცნობილია მისი გამონათქვამი — ნტეფ მაშოვნინა წყობასასხამი ასი თოასი ღის სიგრძისა, რათა თბილად შეეშოსა ყველა შიშველი და გათოშილი ადამიანის („თბილი წყობასასხამი შეეკერა"). იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის გაჭირვების, სოციალური უსამართლობის, ადამიანთა უკეთე-

სი მერმისისთვის ბრძოლის ამსახველ თავის ლექსებს და დიდ სამღთოვის გამოძვამდა იმის გამო, რომ სწორედ ეს ლექსები არ იმსახურებდნენ მკითხველთა და მსმენელთა სიყვარულსა თუ ყურადღებას...

ბო ძიტე-ის ლექსთა ქართული თარგმანები ეკუთვნის თამაზ ჩხენკელს, რომელსაც ამჟამად არც თუ მცირე გამოცდილება გააჩნია ამ დარგში. მთარგმნელი იძლევა ნამდვილად პოეტურ, შემოქმედებითად განხორციელებულ, ორგანულად ნაგრძნობ პოეტურ პროდუქციას. თ. ჩხენკელი, რომელიც უშუალოდ თავისი გემოვნებით მივიდა ბზიის ხალხთა ბრწყინვალე პოეზიასთან, შემთხვევით არ ირჩევს ნიჭურ პოეზიას მისი უნაზესი მელოდიკით, ნატიფი ფორმებით, ჭვრეტისა და გარეკანით. ამგვარ პოეზიაში ეგზოტიკურ ელემენტებს იგი სრულყოფის ნიმუშებს. იგი, როგორც გარკვეული გემოვნების პატრონი, დიდ უპირატესობას ანიჭებს წმინდა ემოციურ ლიმისასულურ ხელოვნებას, ამჯერად პოეზიას, ეკრანის რაციონალისტურ ხელოვნებასთან შედარებით. მან იცის, რომ აზიის მთრთოლვარე და მწველი პულსი სცემს ომარ ხაიამის, რაბინდრანატ თაგორის, ლი ბოს და ბო ძიტე-ის პოეტურ ნაწერებში. ამიტომაც არ ხიბლავს მას ეკრანული ინტელექტუალური ლირიკა. ამიტომ ესოდენ პოეტური და მოზაიკური მისი თარგმანები ბო ძიტე-ის ლირიკისა.

გურამ კანკაძა

რუდაქის ლირიკა

1958 წლის ოქტომბერში მსოფლიოს ყველა კულტურული ხალხი აღნიშნავს ტაჯიკურ-სპარსული პოეზიის პირველი კლასიკოსის აბუ ჯაფარ ბენ მოჰამედ რუდაქის, დაბადების 1100 წლისთავს. თბილისის უნივერსიტეტის სპარსული ფილოლოგიის კათედრამ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს უძღვნა კრებული „რუდაქი“. ამასთან გამოიცა მაგალი თოდუას მიერ თარგმნილი რუდაქის „ლირიკა“. წიგნს დართული აქვს პროფ. დ. კობიძის (რედაქტორი) წინასიტყვაობა და მთარგმნელის შენიშვნები. წიგნი გაფორმებულია მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ.

რუდაქი დაიბადა 857 წელს სოფელ რუდაქში (დღევანდელი ტაჯიკეთის ტერიტორიაზე). ფიქრობენ, რომ აქედან წარმოდგება მისი ფსევდონიმი „რუდაქი“, ე. ი. რუდაქელი. პოეტი მოღვაწეობდა სამანიანთა დინასტიის კარზე; მან შექმნა ახალი ლიტერატურული სკოლა, რომელმაც დიდი გაგლენა მოახდინა ტაჯიკურ-სპარსული კლასიკური პოეზიის განვითარებაზე. ამ პოეზიის თითქმის ყველა სალექსო ფორმა და ჟანრი დასაბამს რუდაქიდან იღებს.

მ. თოდუას მიერ ნათარგმნი ლექსები გამორჩეული სიდა და ბუნებრივი სტილით, ძარღვიანი ქართულით. თარგმანი იკითხება ლაღად და თავისუფლად. მხატვრულ ღირსებასთან ერთად აღსანიშნავია თარგმანის ზედმიწევნითი სიახლოვე დედანთან.

თარგმანში ძირითადად შენარჩუნებულია რუდაქის სალექსო ფორმები, ამასთან არ იგრძნობა ის ხელოვნურობა, რომელიც ზშირად თან სდევს ხოლმე ნათარგმნ ნაწარმოებებს:

„დამისხი ღვინო, გადმოაჩქეფე
ეგ იაგუნდის ჩანჩქერი მალე,
ისე ელვარე, ვითარცა მზეზე
ამოწვართული ლაპლაპა ხმალი;
ისე ქარქაში და ისე სუფთა,
ვით ბროლის თასში გულამის წყალი,
ისეთი ტკბილი, თითქოს უძინარს
მიელულაო დაღლილი თვალი“.

ზოგჯერ მთარგმნელი ერთი რომელიმე ფორმით დაწყებულ ლექსს მოულოდნელად სხვა ფორმას გაურევს ხოლმე; ფორმათა ამგვარი აღრევა გამართლებულად არ მიგვაჩნია. ზშირია აგრეთვე ბეითების დატეხა. მართალია, ეს უფრო ამსუბუქებს ლექსს, განტვირთავს მას, და ამით უფრო ბუნებრივს ხდის, მაგრამ სამაგიეროდ ლექსი კარგავს სიდარბაისლეს, რუდაქისეულ სიღინჯეს და ეპიკურობას და შორდება დედანს ფორმის თვალსაზრისით.

რუდაქის პოეზია მდიდარია ალტერაციით. მ. თოდუას უცდია ამის გადმოცემა ქართულ თარგმანში, ზოგჯერ იგი აღწევს მიზანს, თუმცა მეტწილად დედნის ალტერაციული ლექსთარგმნილია უალტერაციოდ და პირიქით:

„ზათქით და ზარით ზანზარებს ზეცა,
მეხი დაეცა, ავარდა ქარი“.

დედანში არა თუ ალტერაციაა, საერთოდ არაა ბეითის პირველი ნახევარი. იგი შეთხზულია მხოლოდ ალტერაციისათვის. მთელი ლექსის გაწყობისათვის მთარგმნელი ზშირად თვითნებურ ხერხებს მიმართავს. ასე, მაგალითად, დედნის ერთი სტრიქონის სანაცვლოდ თარგმანში მთელი ორი სტროფი იკითხება:

„ავაზაკად ჯილგამ
ბევრჯერ დამჯება
და დამიფეთა
ბევრჯერ თავადა,
მაგრამ ასეთი
გრგვინვა და დელგმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასეთი
ზათქი და ზარი!“

თარგმანში გვხვდება ზედმეტად გამარტივებული ადგილები, რომლებიც პოეზიის ნიმუშებად ვერ მიიჩნევა. „სიბერის ელეგიაში“ ვკითხულობთ:

„რა ცოლი, რისი ოჯახი
და მათი გაწამაწია...“
„ეს რა დრო იყო, ღმერთმანი,
ჰკუიდან გადავირევი“.
„ნაბიდს რა ძალა ჰქონია,
თქვენი ჭირიმე, რა ძალა!...“

სადღაა რუდაქის პათეტიკა და ეპიური სიდინჯე!

ბრწყინვალედ შესრულებული თარგმანების გვერდით მოულოდნელად გვაოცებს ულაზათო თქმები: „შენთან რას მოვა“, „მართლაც და მართლაც, რა გახდა ფული“, „როგორც მოდით ციხის ხამებს“, „ნახავ, მაგრამ მსგავსს რას ნახავ“, „რამე კი არი“, „შემოეფშნება ჯაჭვი, ვით მტვერი“ და სხვა.

და ბოლოს შევჩერდებით შაჰიდ ბალხელის მარსიაზე: „შაჰიდის ქარავანი გაემგზავრა, ჩვენი დროც წასულად ჩათვალე, ამას ჩაუფიქრდი“—ესაა დედნის აზრი (სპეციალისტები ამ ბეითის სხვადასხვაგვარ წაკითხვას გვაძლევენ. ჩვენ ვსარგებლობთ პროფ. დ. კობიძის წაკითხვით).

ამის სანაცვლოდ თარგმანში ვკითხულობთ:

„ეჰე, შაჰიდის ქარავანიცა
მის გზას გაუდგა ადრე და ჩქარა,
წავიდა იგი და არასოდეს
არ მობრუნდება, არა და არა!“

წიგნს დართული აქვს მთარგმნელის შენიშვნები. კომენტარები კარგადაა შედგენილი, თუმცა შეიძლებოდა მათი რიცხვის გაზრდა. ჩვენი აზრით, საჭირო იყო შემდეგი სიტყვების განმარტებაც: „გულაბი“, „რანგი“, „ამანათი“, „ბანდი“, „ყიამათი“, „ფარსანგი“, „სამა“, „ბადახშანი“, „თერაზი“ და სხვა.

თარგმანის უარყოფით მხარეებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მათი თავიდან აცილების შემდეგ ქართველ მკითხველს რუდაქის „ლირიკის“ სახით ხელთ ექნება პოეტის ლექსების ნამდვილად სრულყოფილი თარგმანი.

ჩვენი შენიშვნები ვერ ამცირებს თარგმანის მხატვრულ ღირებულებას. მკითხველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მთარგმნელის უშუალო, ლაღი და თავისუფალი თხრობა.

წიგნი სრულ და ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველს ტაჯიკურ-სპარსული პოეზიის ამ დიდი წარმომადგენლის მრავალფეროვან შემოქმედებაზე.

მაია მამაცაშვილი

„მგელი და კრავი“

1948 წელს თურქეთის რეაქციულმა წრეებმა მუხანათურად მოუღეს ბოლო თურქი ხალხის მოსარჩლე და მოჭირნახულე მწერალს საბაჰათინ ალის. ამ აღმაშფოთებელმა ამბავმა მწუხარებით აღავსო როგორც მწერლის თანამემამულენი, ისე მთელი მოწინავე კაცობრიობა. მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი სასტიკ გულისწყრომასა და შეჩვენებას უგზავნიდა ვერაგ მკვლელს, რომელსაც რეაქციული პრესა ხოტბას ასხამდა, კეთილშობილებად და პატრიოტის ღირსეულ საქმედ უთვლიდა მიუტევებელ დანაშაულს. ბნელეთის მსახურნი ხარობდნენ, რომ დაადუმეს მწერლის მართალი სიტყვა და მჭრელი კალამი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა თურქეთის რეაქციისათვის. მაგრამ მათ ვერაფერი მოუხერხეს მწერლის შემოქმედებას, რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა როგორც თურქეთის მოწინავე მწერლობაში, ისე მსოფლიოს პროგრესულ ლიტერატურაში.

საბაჰათინ ალიმ, ნიჭიერმა ბელეტრისტმა და შეუპოვარმა პუბლიცისტმა, რეალისტურად დახატა თურქი ხალხის ცხოვრება, სააშკარაოზე გამოიტანა თავისი ქვეყნის სოციალური სიდუხჭირე, სამარცხვინო ბოძზე გააკრა თურქეთის რეაქციული მთავრობა. მან ოსტატურად დაგვიხატა თურქეთის ყოფის ტიპიური და შემზარავი სურათები; მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგვითხრო „მაწანწალა ბავშვებზე, რომლებიც ღამღამობით გაზეთებს ყიდიან და პაპიროსის ნამწვავებს აგროვებენ; ადამიანებზე, რომლებიც ერთი გოჯი მიწისა და ერთი თუნგი წყლის გულისათვის ხოცავენ ერთმანეთს; პატიმრებზე, რომლებიც სულს ღაფავენ ციხეებში, ადამიანებზე, რომელთაც ექიმისათვის ვერ მიუგნიათ, სიმართლის მაძიებლებზე...“. ეს ყველაფერი თანამედროვე თურქეთის სინამდვილიდან, თავისი ერის ყოველდღიური ცხოვრებიდან გადაიღო მწერალმა; ამიტომაა, რომ ნაზიმ ჰიქმეთი მას თურქულ პროზაში „სოციალისტური რეალიზმის მაუწყებელს“ უწოდებს; ამიტომ იყო, რომ თურქეთის შუასაუკუ-

ნეობრივი რეაქცია სდევნიდა, ასამართლებდა და ამატმრებდა საბაჰათინ ალის, მის წიგნებს კი გოგრის, ჩეხოვისა და ლერმონტოვის წიგნებთან ერთად კოცონზე სწვავდა.

საბაჰათინ ალი ქართულად პირველად ნიჰიერმა ახალგაზრდა მთარგმნელმა ვახტანგ კეკელიძემ ამეტყველა. მან ოსტატურად, მოხდენილი, ლაღი ქართულით თურქულიდან თარგმნა ორი საუკეთესო მოთხრობა „ურემი“ და „ბედნიერი ძაღლი“, რომლებშიც ნაჩვენებია ისევ და ისევ დაბეჩავებული თურქი ხალხის ცხოვრება, ცხოვრება ხალხისა, რომლისთვისაც მდიდართა ძაღლის ბედის მეათედიც კი სანატრელია (იხ. „ლიტერატურა და ხელონება“, 1980 წ., № 25, 42).

საბაჰათინ ალის შემოქმედებაზე ქართველ მკითხველს უფრო სრულ წარმოდგენას უქმნის სახელგამის მიერ 1957 წელს გამოცემული ნოველების კრებული „მგელი და კრავი“. წიგნი შეიცავს 24 ნოველას, თარგმნილია ნოდარ ჯანაშიას მიერ. თარგმანი საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მოწონებას იმსახურებს მთარგმნელის კარგი ქართული ენა. თურქულ სპეციფიკურ და ხატოვან გამოთქმებს ძირითადად სათანადო ქართული შესატყვისები აქვს დაძებნილი. საბაჰათინ ალის ნააზრევი, მისი ნოველების არსი მთარგმნელს კარგად აქვს შეცნობილი. აშეათად გეხვედება ორიგინალს დაშორებული, არაზუსტად თარგმნილი ადგილები; კიდევ უფრო იშვიათია ბუნდოვანი და სტილისტურად დაუხვეწავი გამოთქმები.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესითა და კმაყოფილების გრძნობით გაეცნობა ამ სახელოვანი მწერლის შემოქმედებას.

ვიქტორ ჯანგიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ნიკოლაძე

პირველი ქართველი სცენარისტი და რეჟისორი

„მტკვრისკენ დაჭრებული ფერდობის ძირში თავშეყრილი იყო უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი. ერთმანეთში არეოდა წყრიალა ბოხხიჭი ქუდები, ნაირნაირი ხალათები, ძველებური ყაიდის ჯარისკაცის მუნდირები. ელავდნენ მოკაუჭებული ხმლები, თურქული ატაგანები. მზეზე ბრწყინავდა ხიშტები, ლაპლაპებდა ბასრი ხანჯლები. ხმლებისა და ატაგანების შეჯახებისას ცვიოდა ნაპერწკლები. ასმოდა ბრძოლის ყიჟინა, იარაღის ქლაშუნი. გრიალებდნენ თოფები და დამბაჩები და მუქი ბოლი ეფინებოდა მიდამოს. ერთმანეთს ებრძოდნენ ადამიანები, — განგმირულნი ეცემოდნენ და ტანჯვით სულს ღაფავდნენ.

რუსეთის არმიის ფორმაში გამოწყობილმა სამხედრო შენაერთმა მტკვარი გადალახა და ფერდობს შეესია. გზადაგზა რიგებიდან დახოცილთა გვამები, ტყიელისაგან ატანჯებოდნენ დაჭრილები. უკან იხევდა კავკასიურ ტანსაცმელში გამოწყობილი რაზმი, რომელიც ღონიერი, აზიური ტიპის ადამიანებისაგან შედგებოდა.

მაგრამ მოულოდნელად სიწყნარე ჩამოვარდა, მებრძოლებმა ბრძოლას თავი მიანებეს და ხარხარს მოჰყვნენ. დახოცილები გამოცოცხლდნენ, დაჭრილებთან ერთად ფეხზე წამოდგნენ და დაწარჩენ ჯარისკაცებს შეუერთდნენ. რუსი ჯარისკაცები აირივნენ კავკასიელ მებრძოლებში, ლაყბობდნენ, ხუმრობდნენ. შემდეგ იქვე, ვაკეზე ერთად დაწუწკნენ და სიმღერით წავიდნენ".

გაზეთ „იუენი ტელეგრაფში" აღწერილი ეს ეპიზოდი 1913 წლის ზაფხულის მცხუნვარე დღეებში მცხეთაში მოხდა, რკინიგზის სადგურის უკან, მტკვრის ნაპირებზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა მდინარეზე ხიდია გადებული.

დრანკოვის საკქიაო საზოგადოების დაკვეთით რეჟისორები ს. ესაძე და ლ. ჩერნი იღებდნენ კინოსურათ „გუნების ალებას".

ეს ის სიმონ ესაძეა, რომელიც ცნობილია, როგორც სამხედრო ისტორიკოსი, დაუღალავი მკვლევარი და კავკასიის ომების კარგი მცოდნე. ჯერ კიდევ 1898 წელს მან გამოსცა ორი წიგნი: „ტყვეის დრაგუნები კავკასიაში" და „აღმოსავლეთის ომი". მისი კაბინეტური ნაშრომი — „ისტორიული წერილი კავკასიის მმართველობის შესახებ" 1907 წელს ორ ტომად გამოვიდა.

ეს ის სიმონ ესაძეა, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატზე" მუშაობის დროს. მან გადაწერა სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტები, გადაიღო მათი ასლები, შეადგინა მიურიდიზმის, კაზი-მოლას, ჰამზათ-ბეკისა და შამილის შესახებ არსებული ლიტერატურის დიდი ბიბლიოგრაფიული სია და ლევ ტოლსტოის გაუგზავნა.

„Не знаю, как благодарить Эсадзе, приславшего мне столько выписок, сделанных своей рукой. Я никак не ожидал, что он положит столько труда на это, и мне теперь очень совестно перед ним. Не прислать ли ему мои сочинения с надписями?" სწერდა ლევ ტოლსტოი თავის ქართველ მეგობარს ი. ნაკაშიძეს და, მართლაც, ს. ესაძემ მალე მიიღო დიდი მწერლის მადლობის ნაშვნად ნაწარმოებების კრებული ავტორის წარწერით.

ახლა გასაგებია, თუ რატომ შეჩერდა სიმონ ესაძეზე ცნობილი რუსი კინომრეწველის არჩევანი, როდესაც მან კავკასიის ომის მასალაზე, კერძოდ, გუნების აღებასა და შამილის დატყვევებაზე, ფილმის შექმნა გადაწყვიტა.

გარდა ამისა, იმ ხანებში გამოვიდა ს. ესაძის ახალი ნაშრომი „გუნების აღება და შამილის დატყვევება". დრანკოვის საკქიაო საზოგადოებამ ამ წიგნში ფილმისათვის საჭირო და საკმარისი მასალა დაინახა და სცენარის შექმნა კინოსათვის მანამდე უცნობ ადამიანს უყოყმანოდ მიანდო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ს. ესაძეს სცენარის საფუძველად ზემოთხსენებული შრომა გამოუყენებია. მას თხრობა ერთკვეტს მეფობის უკანასკნელი წლებისა და გიორგი მეთორმეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის აღწერით დაუწყია და გუნიბის აღებითა და შამილის დატყვევებით დაუმთავრებია. სცენარში აღწერილი ყოფილა მდინარე ვალერიკზე წარმოებული ბრძოლები, დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის მონაწილეობა შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, **რუსეთის არმიის რიგითი მებრძოლის** არხიპ ოსიპოვის გმირობა და სხვა ეპიზოდები.

დრანკოვის სააქციო საზოგადოებას თვითონ ს. ესაძეც მიუწვევია რეჟისორად და ლ. ჩერნისთან ერთად კინოსურათის შექმნა დაუვალებია.

როგორც ჩანს, ს. ესაძემ ადვილად აუღო ალღო მაშინდელი კინოგადაღების, მართალია, მარტივ, მაგრამ მისთვის მაინც უცხო ტექნიკას.

გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ 1913 წლის ერთ-ერთ ნომერში წერდა:

„საინტერესოა თვითონ კინემატოგრაფიული გადაღების ტექნიკა. დიდხანს მიმდინარეობს მუშაობა გადაღების მოსამზადებლად. რეჟისორი ზრუნავს სცენის ყოველი მონაწილის გრიმსა და ტანსაცმელზე, შემდეგ ანაწილებს თავთავის ადგილებზე „მოქმედ გმირებს“, თან იმასაც ითვალისწინებს, რომ სცენის მონაწილენი ფოკუსში მოხვდნენ და ობიექტივის ხედვით არეს არ გასცილდნენ. რეჟისორი ესაუბრება მსახიობებს თავიანთი როლების შესახებ და უხსნის მათ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი აპარატის წინ“.

ასეთ სამუშაოს ატარებდა ს. ესაძე ფილმის შექმნის დროს და კიდევაც დაიმსახურა ის, რომ კინოსურათის სცენარის ავტორების გარდა გამოცდილ კინემატოგრაფისტ ლ. ჩერნისთან ერთად იგი რეჟისორადაც იყო მოხსენებული.

კინოსურათში „გუნიბის აღება“ როლებს უმთავრესად ქართველი მსახიობები ასრულებდნენ. შამილის როლში გამოდიოდა ცნობილი მსახიობი ვალერიან გუნია. ფილმში მონაწილეობდნენ ა. იმედაშვილი და სხვა მსახიობები. ასისტენტობდა ახლადულვაშებაკოკრებული ჭაბუკი შაქრო ბერიშვილი. მას შემდეგ იგი კინოხელოვნებას აღარ ჩამოსცილებია.

კინოსურათი „გუნიბის აღება“ კარგი გამოვიდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მასში მრავლად იყო ბატალურ-მასობრივი სცენები, რომლებშიც რვა სამხედრო ნაწილი იღებდა მონაწილეობას. ეს მაყურებლისათვის უჩვეულო სანახაობას წარმოადგენდა და მაშინდელი ტექნიკის პირობებში არც თუ ისე იოლად განსახორციელებელი იყო.

იმ დროს რუსეთში დრანკოვის და ხანჟონკოვის სააქციო საზოგადოებები ერთმანეთს დიდ კონკურენციას უწევდნენ. როგორც კი დრანკოვმა კავკასიის ომების შესახებ სურათის შექმნა გადაწყვიტა და სცენარის დასაწერად ს. ესაძე მიიწვია, ხანჟონკოვმაც დაუყოვნებლივ გადაწყვიტა ანალოგიური სურათის დადგმა და სცენარის დაწერა ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს მამონტოვს მიანდო, შამილის როლის შემსრულებლად კი მიიწვია ცნობილი სომეხი მსახიობი შახატუნი და ფილმის გადაღებას ალავერდის მიდამოებში შეუდგა.

ორივე ეს ფილმი ეკრანებზე ერთდროულად გამოვიდა — 1913 წლის 8 ოქტომბერს.

ბ. ლიხაჩოვი თავის „რუსეთის კინოს ისტორიაში“ წერს: „ეკრანზე ერთდროულად გამოჩნდა ორი აბსოლუტურად ერთგვარი სურათი და უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად დრანკოვმა შეძლო ჭეშმარიტად საყურადღებო ფილმის შექმნა“.

დრანკოვისეული „გუნიბის აღების“ წარმატებასა და გამარჯვებაში საგრძნობი წვლილი მიუძღვოდა სიმონ ესაძეს, პირველ ქართველ სცენარისტსა და კინორეჟისორს.

მას შემდეგ ს. ესაძე არც სამეცნიერო მუშაობას ჩამოსცილებია და არც კინოხელოვნებისათვის დაუნებებია თავი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი საქართველოს სამხედრო ისტორიული არქივის გამგე იყო და თბილისის კინოსტუდიაში სამხედრო კონსულტანტად მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო კარბელაშვილი

როცა დამზადდება „მოლაპარაკე მანქანა“

საბჭოთა ინჟინრების მიერ დამზადებული მანქანები და ავტომატები ადამიანებს უადვილებენ არა მარტო ფიზიკურ, არამედ გონებრივ შრომასაც. საკმარისია ითქვას თუნდაც სწრაფმოქმედ ელექტრონულ საანგარიშო მანქანებზე, რომლებიც მთარგმნელი მანქანების მოვალეობასაც ასრულებენ.

„გონიერი“ მანქანებისა და ავტომატების ფონზე დღეს თვალნათლივ ისახება ახალი საოცარი უნარის მქონე კონსტრუქციების დამზადების პერსპექტივები. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „მოლაპარაკე“ მანქანა.

თუ როგორია ასეთი მანქანის შექმნის პრინციპული გზა და გამოყენების ზოგიერთი მაგალითი, ამას ქვემოთ ვნახავთ.

*

მანქანას რომ შეეძლოს „აზროვნება“, მას უნდა „ესმოდეს“ ლაპარაკი. ჩვენ ვეკითხებით ამხანაგს: — გივი, რამდენი იქნება 75 რომ გავამრავლოთ 75-ზე? ამხანაგი ანგარიშს იწყებს. მანქანამაც ჯერ ლაპარაკი უნდა „გაიგოს“. შეიძლება თუ არა ეს? კონსტრუქტორები ამ კითხვაზე დადებითად პასუხობენ.

თბილისში, ჩელუსკინელების ხიდთან, სამსართულიანი შენობაა, რომელშიც მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი. აქ ინჟინერთა და კონსტრუქტორთა ერთი ჯგუფი მუშაობს ისეთი აპარატურის შექმნაზე, რომელიც „გაიგებს“ ლაპარაკს.

ლაბორატორიაში შევდივართ. ყველგან მოჩანს სხვადასხვა ელექტრომზომი ხელსაწყოები, კონდენსატორები, რადიონათურები, პაწაწინა ნახევრადგამტარები, სქემები და ნახაზები. ერთი სიტყვით, ტექნიკის სამყაროში მოვხვდით.

ვესაუბრებით ინჟინერ ალექსანდრე კაკაურიძეს.

— შეიძლება გვიამბოთ, როგორ აპირებთ დაამზადოთ აპარატურა, რომელიც შეიგრძნობს ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვას?

— ადამიანის სიტყვები რომ შეიგრძნოს აპარატურამ, — გვიხსნის ინჟინერი, — მან ჯერ ერთმანეთისაგან უნდა გაარჩიოს ბგერები. თუმცა ამას ნაწილობრივ მივაღწიეთ, მაგრამ წინ დიდი სამუშაოა. თვითეული ბგერა ყოველთვის ზუსტად უნდა გამოირჩეს სხვა ბგერებისაგან და შესაბამისი ელექტრული წრედი შეიკრას. მაშინ შესაძლებელი გახდება ტელეფონით ლაპარაკის დროს ბგერების სიგნალებით შეცვლა.

— ბგერების სიგნალებით შეცვლა?

ინჟინერმა სკამზე მიგვითითა და როცა ორივენი დავსხედით, წინ ნახაზები გაშალა.

ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქს შორის დამყარებულია სატელეფონო კავშირი. თბილისიდან ტელეფონით შეიძლება ლაპარაკი შორეულ აღმოსავლეთთან, ქუთაისიდან — კიევთან, გორიდან — მურმანსკთან, ბათუმიდან — რიგასთან... მაგრამ ის, რომ ნებისმიერ ქალაქთან საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურმა უმალვე დაგვაკავშიროს, ჯერ კიდევ ვერ არის მიღწეული. რა არის ამის მიზეზი?

დავუშვათ, მოსკოვთან საუბარი გვინდა. ვკრეფთ ციფრს 07 და ვუერთდებით საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის შეკვეთების ბიუროს. მორიგეს გადავცემთ მოსკოვის ტელეფონის ნომერს და ვეკითხებით — როდის შედგება ლაპარაკი. მორიგე გვპასუხობს: ერთი საათის განმავლობაში, ხაზები გადატვირთულიაო. და ჩვენ ერთ საათს ველოდებით. ხაზები გადატვირთულია... ამის მიზეზი კი ის არის, რომ თბილისიდან მოსკოვამდე გაჭიმულ მავთულებში სხვა მოქალაქენი საუბრობენ. შეკვეთები ბევრია.

ინჟინრები ცდილობენ ერთ ხაზში ერთდროულად რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ილაპარაკოს ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. მაგალითად, თბილისიდან სამტრედიამდე გაჭიმულ ერთ წყვილ მავთულში შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდროულად 12 კაცმა ილაპარაკოს. მაგრამ ეს ზღვარი არ ყოფილა. ცდების შემდეგ ინჟინრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ, თუ მავთულებში სიტყვების მაგივრად სიგნალები გაიგზავნება, შესაძლებელი გახდება 10-ჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდოს ერთდროულად მოსაუბრე ადამიანთა რიცხვი. მაგალითად, თბილისიდან მოსკოვამდე თუ დღეს 12 მოქალაქე ლაპარაკობს, მომავალში ამ ხერხით შესაძლებელი იქნება 120-ზე მეტმა აბონენტმა ილაპარაკოს ერთ წყვილ მავთულში და თბილისელი მოქალაქენი ერთი საათით კი არა, ერთი წუთითაც არ დაელოდონ მოსკოვის გამოძახებას.

მაგრამ როგორ შეიძლება მავთულში სიტყვების ნაცვლად, ე. ი. ბგერების ნაცვლად, სიგნალები გადაიცეს, ან რა სიგნალები იქნება ეს?

ყველას გაუგია მორზეს ანბანი. აქ ყოველ ასოს შეესაბამება გარკვეული სიგნალი — წერტილისა და ხაზის კომბინაცია. მაგალითად, ასო „ა“ გამოისახება წერტილით და ხაზით, ასო „ბ“ — ხაზით და ორი წერტილით, ასო „ვ“ — წერტილით და ორი ხაზით და ასე შემდეგ. სწორედ ეს სიგნალები უნდა გადაიცეს მავთულებში ბგერების მაგივრად. ტელეფონში როცა იტყვით „ა“-ს, ასობით კილომეტრზე გაჭიმულ ხაზებში უნდა გაიგზავნოს არა ბგერა, არამედ მისი შესაბამისი ტელეგრაფის სიგნალი — წერტილი და ხაზი. თუ იტყვით „ე“-ს, მავთულებში გადაეცემა სიგნალი — ერთი წერტილი.

რადგან წერტილი შეესაბამება მავთულებში მცირე ხანგრძლივობის დენის იმპულსს, ხოლო ხაზი — უფრო მეტი ხანგრძლივობის დენის იმპულსს, ბგერების ნაცვლად მავთულებში დენის იმპულსები გადაეცემა.

მავთულებში სიგნალები ბგერების ნაცვლად უნდა გაგზავნოს სწორედ იმ აპარატურამ, რომელიც „გაიგებს“ ადამიანის სიტყვებს. აპარატურამ ჯერ ბგერები უნდა გაარჩიოს ერთმანეთისაგან, მერე, შესაბამისად ყველა ბგერისა, ხაზში სათანადო დენის იმპულსები გადასცეს.

— როგორც ხედავთ, — გვეუბნება ინჟინერი კაკაურიძე, — ასეთი აპარატურა ძალზე საინტერესო უნდა იყოს.

— მაგრამ მოსკოვში მყოფი ხომ მხოლოდ მორზეს სიგნალებს გაიგებს ტელეფონში და არა ლაპარაკს. ეს უხერხული იქნება!

— არა. მოსკოვის საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურში თბილისიდან მიღებული ტელეგრაფის სიგნალები ხელახლა ბგერებად გარდაიქმნება და მოსკოვში მყოფი თქვენი ნაცნობი ტელეფონში სიტყვებს გაიგებს. რასაკვირველია, ეს ბგერები ჩვენს მიერ თბილისში წარმოთქმული ბგერები აღარ იქნება, თუმცა სიტყვების მნიშვნელობა იგივე დარჩება.

— მაშ მოსკოვში სხვა ილაპარაკებს?

— მოსკოვში თბილისიდან მიღებულ ტელეგრაფის სიგნალებს ბგერებად გარდაქმნის სპეციალური მანქანა.

— ესე იგი დაამზადებენ „მოლაპარაკე“ მანქანას?!

— დიახ. მანქანა მოსკოვში ზუსტად იმ სიტყვებს წარმოთქვამს, რასაც იტყვის ტელეფონში თბილისელი მოქალაქე. ამგვარად ახალი ხერხით განხორციელებული სატელეფონო ლაპარაკი ასეთი იქნება: ბგერა, რომელსაც თბილისელი აბონენტი თავის სახლში წარმოთქვამს, მავთულებით საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურს გადაეცემა. აქ ბგერა გარდაიქმნება სიგნალად. სიგნალი „იმოგზაურებს“ მავთულებში და მოსკოვის საქალაქთაშორისო სადგურს მიაღწევს. სადგურში დადგმული სპეციალური მოწყობილობა — „მოლაპარაკე“ მანქანა სიგნალს ისევ ბგერად გარდაქმნის და ამ ბგერას მოსკოველ აბონენტს გადასცემს ტელეფონში. მაგალითად, თუ თბილისში ტელეფონში იტყვიან: „როგორ ხარ?“, მოსკოვში მოსაუბრე ზუსტად ამ სიტყვებს გაიგებს, მხოლოდ ეს თბილისელის ხმა არ იქნება. მას „მოლაპარაკე“ მანქანა იტყვის.

აპარატურა, რომელიც ბგერებს სიგნალებად გარდაქმნის, მარტო ერთ ხაზზე უამრავი სატელეფონო ლაპარაკისთვის როდი გამოდგება.

რატომ არ შეიძლება ისე მოეწყოს, რომ ქალმა კი არ ბეჭდოს, მწერალმა ილაპარაკოს და მანქანამ ავტომატურად ბეჭდოს მისი სიტყვები? — დაებადათ აზრი გამომგონებლებს და უკვე რამდენიმე წლის წინათ დაიწყეს მუშაობა ამ საოცნებო მანქანის დასამზადებლად.

ახლა დამუშავებულია ავტომატურად მბეჭდავი მანქანის მრავალი ვარიანტი.

ოთახში რომ ილაპარაკოს ადამიანმა და სიტყვები ასოებად დაიბეჭდოს, აუცილებელია სპეციალურმა აპარატურამ „გაიგოს“ ბგერები და ყველა ბგერის შესაბამისად გარკვეული ელექტროწრედი შეკრას. ამ წრედში ჩართული ელექტრომაგნიტი დააწვება სათითურს, რომელზედაც დამაგრებული იქნება ბგერის შესაბამისი ასო.

ისე რომ ავტომატურად მბეჭდავი მანქანის მთავარი ნაწილი იქნება აპარატურა, რომელიც ადამიანის ლაპარაკს „გაიგებს“.

აპირებენ თუ არა ქართველი სპეციალისტები დაამზადონ ავტომატურად მბეჭდავი მანქანა? ეს მათი დიდი ხნის ოცნება ყოფილა, მით უმეტეს, რომ ასეთი მანქანის შექმნა ადვილია ქართული ლაპარაკის ბეჭდვისათვის. რატომ?

ხშირად რუსულად ნათქვამი რაიმე სიტყვა, ისე როდი იწერება, როგორც გამოითქმის. ჩვენ ვიტყვით: „харошая книга“, მაგრამ ვწერთ: „хорошая книга“, ესე იგი „харошая“-ს მაგივრად ვწერთ „хорошая“-ს. მსგავსი შემთხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები უამრავია. ასევეა ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებში. ამიტომ ავტომატურად მბეჭდავ მანქანას მოუხდება გაითვალისწინოს წარმოთქმის განსხვავება დაწერილობისაგან. რაც შეეხება ქართული ლაპარაკის ბეჭდვას, ეს უფრო იოლია, რადგან ქართულად რასაც ვამბობთ, იმას ვწერთ და მანქანას დიდი „ჯაფა" აღარ დაადგება.

როგორც ცნობილია, საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შექმნეს მთარგმნელი მანქანა, რომელიც ინგლისურიდან რუსულ ენაზე თარგმნის. ამას წინათ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნესმეიანოვმა განაცხადა, რომ მანქანები, რომლებსაც ექნებათ კარგი „ლოგიკა" და დიდი მოცულობის „მეხსიერება", გამოყენებული იქნებიან არა მარტო როგორც „მთარგმნელები", არამედ როგორც... ლიტერატურული რედაქტორები.

მთარგმნელმა მანქანამ რომ ინგლისურიდან რუსულ ენაზე გადათარგმნოს, საჭიროა მას წინასწარ მიაწოდონ სათარგმნი ტექსტი. ეს კი ასე ხდება: მემანქანე ქალი ბეჭდავს ინგლისურ სიტყვებს მანქანაზე. მანქანიდან გადმოდის ქაღალდის ლენტი, რომელზედაც ასოები კი არ არის დაბეჭდილი, არამედ ყოველი ასოს შესაბამისი ნახვრეტების კომბინაცია (სატელეგრაფო კოდი). ლენტი შედის მანქანაში, შემდეგ მანქანიდან გამოდის რუსულად დაბეჭდილი ტექსტი.

აი, ამ შემთხვევაშიც შეიძლება მემანქანე ქალმა კი არ ბეჭდოს მანქანაზე სათარგმნი სიტყვები, არამედ ჩვეულებრივ ილაპარაკოს. „ლაპარაკს" გაიგებს აპარატურა და თვითონვე გააკეთებს ქაღალდის ლენტზე ნახვრეტებს.

კიდევ უფრო საინტერესო აპარატურა დამზადდება ალბათ მომავალში. ვინ არ იცის, თუ რა ხშირად ხვდებიან მოსკოვში, კაიროში, ნიუ-იორკში, პეკინში, პარიზში, დელში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი ერთმანეთისათვის უცხო ენებზე ლაპარაკობენ. ამიტომ საჭიროა ბევრი კვალიფიციური მთარგმნელი. რასაკვირველია, მთარგმნელი მანქანები მათ შეცვლიან ახლო მომავალში და აი, როგორ: ვთქვათ, ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნაზე ავიდა საფრანგეთის წარმომადგენელი და ფრანგულად დაიწყო ლაპარაკი. მის მიერ მიკროფონთან წარმოთქმული სიტყვები, ესე იგი ბგერები, სადენებით გადაეცემა აპარატურას, რომელიც „იგებს" ლაპარაკს, — გამოჰყოფს ბგერებს ერთმანეთისგან და ქაღალდის ლენტზე ყველა ბგერის შესაბამისად ნახვრეტების გარკვეულ კომბინაციას აკეთებს. ლენტი მთარგმნელ მანქანაში შედის, მასში ხდება თარგმნა და გარეთ გამოდის ტელეგრაფის სიგნალებით გამოსახული რუსული სიტყვები.

სიგნალები ახლა „მოლაპარაკე" მანქანაში შედის. ამ მანქანიდან კი მავთულები საბჭოთა დელეგაციის სკამებისკენ მიემართება. საბჭოთა დელეგატებს ყურებზე ტელეფონები აქვთ გაკეთებული და, რასაც საფრანგეთის წარმომადგენელი ფრანგულად ამბობს, საბჭოთა დელეგატები მას რუსულ ენაზე ისმენენ ტელეფონებში.

„მოლაპარაკე" მანქანისა და მთარგმნელი მანქანის ასეთი კომბინირება მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევა იქნება.

მეცნიერების, ხელოვნების, კულტურისა და ლიტერატურის ქართველ მოღვაწეებს მრავალი მეგობარი და ნაცნობი ჰყავთ სხვადასხვა ქვეყნებში. ერთ-ერთი მათგანი რეკავს თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში და რომთან ლაპარაკის შეკვეთას აძლევს.

მალე ხაზზე რომი ირთვება.

— გამარჯობათ, თბილისიდან გელაპარაკებათ თქვენი ნაცნობი საერთაშორისო კონფერენციიდან... — იწყებს თბილისელი მეცნიერი ლაპარაკს.

და თბილისიდან მავთულებში იგზავნება სატელეგრაფო სიგნალები. რომში სიგნალები მთარგმნელ მანქანაში გადის და მერე „მოლაპარაკე" მანქანა იტალიელ მეცნიერს ტელეფონში უკვე იტალიურ სიტყვებს უგზავნის. რომიდან მოსაუბრე იტალიურად პასუხობს ტელეფონში თბილისელ პროფესორს და, როცა თბილისში ტელეგრაფის კოდით მიღებული სიტყვები ავტომატურად ითარგმნება, ყურმილში „მოლაპარაკე" მანქანიდან ქართული სიტყვები იგზავნება ისე, რომ ტელეფონში იტალიელს იტალიური ლაპარაკი, ხოლო ქართველს — ქართული პასუხები ესმის.

არ შეიძლება დავეჭვდეთ, რომ ასეთი შესანიშნავი აპარატურა აუცილებლად დამზადდება უახლოეს ხანებში, რადგან მისი ძირითადი ელემენტები ნაწილობრივ უკვე დამუშავებულია და დაზუსტების პერიოდში იმყოფება.

ქართველი სპეციალისტები ახლა დიდ საქმეს აკეთებენ, რადგან მათი შრომა ძვირფასი იქნება არა მარტო როგორც ტექნიკური მიღწევა, არამედ როგორც უდიდესი წვლილი ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და სხვადასხვა ქვეყნების ერთმანეთთან უფრო დაახლოების კეთილშობილურ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაგმთის გაერთიანებული რესპუბლიკა

რუსული ენის სწავლება

მომავალი სასწავლო წლიდან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღებენ გერმანული, რუსული და ესპანური ენების სწავლებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ უპირატესად ამ ენებზე გამოდის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, რომელთაც თანამედროვე განათლებული ადამიანი ორიგინალში უნდა ეცნობოდეს.

ლიტერატურული პრემია

1957 წლის სახელმწიფო ლიტერატურული პრემიები მიეკუთვნა ორ ეგვიპტელ მწერალს: ნაიბ მაჰფუზს მიენიჭა პირველი პრემია რომანებისათვის — „ორ კოშკს შუა“ და „ტანჯვის სახაზლე“; პირველი პრემია მიიღო ავრეთვე მოჰამედ კამილ ჰუსეინმა რომანისათვის — „უსახლკარო ადამიანთა სოფელი“.

ეგვიპტე

ამენოფისის ქანდაკებები

ნილოსის ნავსადგურში, ლუქსარში, გათხრების დროს იპოვნეს ეგვიპტის ფარაონის ამენოფისის (1409 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) სამი ქანდაკება. ერთი ქანდაკება, რომლის სიმაღლეა 13 მეტრი, გაკეთებულია კვარცისგან, ხოლო დანარჩენი ორი, 8 — 8 მეტრი სიმაღლისა, ალებასტრისაა. ნაპოვნი ავრეთვე ალებასტრისვე ობელისკთა — პატარა სფინქსი, რომელსაც ნიანგის კუდი აქვს.

თანამედროვე რომანი

ჩეხურ ენაზე გამოვიდა ეგვიპტის ყველაზე ცნობილი და პოპულარული მწერლის აბდურაჰმან აშ-შარკავის რომანი „მიწა“, რომელიც ასახავს ეგვიპტის თანამედროვე სოფლის ცხოვრებას, ფელახების ჭირსა და ლხინს.

ვიეტნამი

პირველი ფილმი

დემოკრატიულ ვიეტნამში დაამთავრეს გადაღება პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა — „აჯამლებული ზღვა“. ფილმი მოგვითხრობს ვიეტნამელი გლეხების 1941 წლის გმირული აჯანყების ამბავს ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

იაპონია

მაცუკატას კოლექცია

საფრანგეთმა იაპონიას გადასცა მაცუკატას განთქმული მხატვრული კოლექცია — 369 სურათი, 62 ქანდაკება და მრავალი უნიკალური ნაგები — რომელიც შეფასებულია 3.000.000 დოლარად. მთელი ეს კოლექცია მაცუკატამ შეაგროვა 1934 — 1937 წლებში, ევროპაში ყოფნისას.

ბავშვების ფულით

იაპონიაში დაიდგა ძეგლი იმ მოსწავლეთა ხსოვნის საპატივცემულოდ, რომლებიც იმ სხვეპრასა ამერიკული ყუმბარის პირველმა აფეთქებამ ხარისხიმაში. იაპონელმა და ამერეთვე სხვა ქვეყნების ბავშვებმა საგანგებოდ ამ საქმისათვის შეაგროვეს 5,4 მილიონი იენი. ძეგლზე ამოტვიფრულია წარწერა — „მარადი მშვიდობისათვის“.

ინდოეთი

კუშკინი და ტოლსტოი ჰინდის ენაზე

ინდოეთში „რუსული პოეზიის“ სერიით გამოვიდა პუშკინის პოემა „ბოშები“, აგრეთვე რუსულ-ჰინდური ლექსიკონი ჯვაჭვაპარლალ ნერუს წინასიტყვაობით. ვარ რაჯენერ რასიმ ორიგინალიდან თარგმნა რამდენიმე რუსული მოთხრობა, ხოლო ამჟამად ჰინდის ენაზე თარგმნის ლევ ტოლსტოის რომანს — „ომი და მშვიდობა“.

პირველი მუდმივი თეატრი

დელიში გაიხსნა პირველი პროფესიული მუდმივი თეატრი — „ჰინდუსტან“. თეატრის გახსნის დღეს წარმოდგენილი იქნა დიდი ინდოელი კლასიკოსის, პოეტ კალიდასის პიესა „საკუნტალა“. თეატრის დახი თავისი პროგრამით მოგზაურობს ინდოეთის ქალაქებში.

ინდონეზია

რომანი ქალთა ემანსიპაციის შესახებ

გამოვიდა ინდონეზიელი მწერლის ტ. სონტაიანის რომანი — „ყვავის ბის ყვავილი“, რომე-

ლიც ქალთა განთავისუფლებას მიეძღვნა. ამ რომანის მიხედვით გადაღებულია ფილმი, რომელსაც დიდი წარმატებით აჩვენებენ აზიის მრავალ ქვეყანაში.

ლიბანი

ვინ არიან დრუზები?

დრუზები ლიბანში მცხოვრები არაბული ტომის ხალხია, რომელიც ქამილ შამუნის მთავრობის ახლანდელი ოპოზიციის ერთ უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენს. ლიბანში ცხოვრობს 80.000-მდე დრუზი; ესაა ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავისებური ტომი არაბულ ტომთა შორის. ამ ეთნიურ ჯგუფს აქვს საკუთარი რელიგია, რომელსაც საფუძვლად უდევს ისლამი, ოღონდ განსხვავებული სახით: დრუზებს არა ჰყავთ მოლები, არ იცავენ მარხვის თვეს — რამადანს, არც პარასკევს, როგორც ლოცვის დღეს: არ დადიან მექაში, უარყოფენ მრავალცოლიანობას, სხვა რელიგიათა მიმდევრებს არ სდევნიან და იშვიათი როდია, როცა დრუზი თავის მეგობარ ქრისტიანებთან ან მუსლიმანებთან ერთად დადის ეკლესიაში ან მეჩეთში და ზრდილობის გამო მათსავით ლოცულობს ხოლმე. დრუზების ოჯახში ბავშვებს მკაცრი მორალური პრინციპებით ზრდიან. ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება ქურდობა, გარყვნილება, ლოთობა და სიცრუე, ხოლო ყველაზე დიდი სასჯელია ტომიდან განდევნა.

დრუზები თავის რელიგიას საიდუმლოდ ინახავენ და უცხო ტომის ხალხს არ უმხელენ, მაგრამ მათ შორისაც კი რიტუალის საიდუმლოებანი იციან მხოლოდ საგანგებო ჯგუფის, ე. წ. უკალამის (ხელთდასხმულნი) წევრებმა. ესენი არიან მეტწილად მოხუცები, რომლებიც თავიანთი ღირსების აღსანიშნავად მაღალ თეთრ ყაუხებს ატარებენ. დანარჩენები უმთავრესად იმით ემსახურებიან რელიგიას, რომ მკაცრად იცავენ მორალურ პრინციპებს, მათ რამდენადმე წარმოდგენა აქვთ სამყაროს შექმნისა და დედამიწაზე ღვთის ჩამოსვლის შესახებ — დრუზების რწმენით ქრისტეს მერე (რომელსაც ისინი, მუსლიმანებისგან განსხვავებით, ღვთის განსახიერებად აღიარებენ). ღმერთი ერთხელ კიდევ ჩამოვიდა დედამიწაზე X საუკუნეში ხალიფის ჰაკიმ იბ-ამრილაჰის სახით, რომელიც თითქოს კვლავ მოვა და უსათუოდ დრუზთა რჯულს მიაღებინებს მთელს კაცობრიობას.

დრუზები ძველთაგანვე მეომარი ხალხია. ისინი პატარაობიდანვე სწავლობენ იარაღის ხმარებას და მათი სოციალური ორგანიზაციები იმრიგადაა აგებული, რომ ომის შემთხვევაში ადვილად შექმნიან შეიარაღებულ ერთეულებს. ტერიტორია, რომელზედაც სახლობენ დრუზები, თურქეთის ბატონობის დროს ერთი უმთავრესი ცენტრი იყო არაბეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა. 1925-27 წლებში ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ მოწყობილი უდიდესი აჯანყება დრუზის მთებში დაიწყო, ხოლო დამასკოს დაბომბვისა და დაპყრობის მერეც ყველაზე ბოლოს დრუზებმა დაჰყარეს იარაღი. ლიბანელი ხალხის ახლანდელ ბრძოლაშიც დრუზები პირველნი იყვნენ. როგორც კი ლიბანს მოედო ცნობა, ტერორისტებმა პროგრესული ჟურნალისტი მეტნი მოჰკლესო, და ოპოზიციის ხელმძღვანელებმა ხალხს მოუწოდეს საყოველთაო გაფიცვისაკენ, დრუზებმა რამდენიმე საათის განმავლობაში დაიკავეს თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ყველა საპოლიციო სადგური და მთავრობის დაწესებულებები. დრუზთა მოძრაობას სათავეში უდგას 38 წლის ემირი ქამალ ჯუმბლატი, ლიბანის პროგრესული პარტიის თავმჯდომარე, რომლის განკარგულებაშიცაა 3.000 შეიარაღებული დრუზი და რომელიც მართავს 40 დასახლებულ პუნქტს ალ შუფის ოლქში.

ჯუმბლატის ბრძოლა ლიბანის პრეზიდენტის ქამილ შამუნისა და მისი ხროვის წინააღმდეგ 1952 წელს დაიწყო. ჯუმბლატის ზოგი გამოსვლა პარლამენტში საერთაშორისო სენსაციად იქცა: მან შამუნს ბრალი დასდო ინგლისის ინტელიჯენს სერვისთან კავშირში, უცხოეთის ნავთობის კომპანიების მხარდაჭერაში, სახელმწიფო აპარატის პირადი ძალაუფლების იარაღად გადაქცევაში. ნარკოტიკების გამო მომხდარი დიდი სკანდალის დროს ამერიკაში, მეტადრე ნიუ-იორკის სკოლებსა და ჰოლივუდში, ჯუმბლატმა თავზარდაცემულ პარლამენტს ამცნო, რომ ამ ნარკოტიკთა უმეტეს ნაწილს ლიბანიდან ეზიდებიან.

მაგრამ უთანასწორო გამოდგა გამოცდილი დიპლომატის შამუნის წინააღმდეგ ბრძოლა ამ დრუზელი მთიელისა, რომელიც პირდაპირს ბრძოლებსაა ჩვეული. შამუნმა მიაღწია თავის მიზნებს და ახლა ეს ბრძოლა გადავიდა ახალ ფაზაში — იარაღით ხელში ბრძოლის ფაზაში.

საფრანგეთის ეკვატორული აფრიკა

მიმართვა, რომელსაც ვერ წაუყრუებენ

საფრანგეთის ეკვატორული აფრიკიდან კვლავ მთელს მსოფლიოს მოეფინა დაბეჯითებული გაფრთხილება. მთელი მსოფლიოს ათობით რადიოსადგურმა გადასცა პროფესორ ალბერტ შვეიცერის, განთქმული „ჯუნგლების ექიმისა“ და უდიდესი ჰუმანისტის სამი მოწოდება. ეს მხურვალე გამოსვლები მოუწოდებენ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და ატომური შეიარაღების აკრძალვისაკენ, აგრეთვე იმისაკენ, რომ მოწვეული იქნას თათბირი, რომელიც უნდა ჩატარდეს უმაღლეს დონეზე.

მთელი ცხოვრება პროფესორ შვეიცერისა უფლებას აძლევს მას მიმართოს მსოფლიოს ხალხებს. ეს უკეთილშობილესი და უნიჭიერესი კაცი, ბახის საორღანო ნაწარმოებების მსოფლიო შემსრულებელი, რამდენიმე ათეული წლის წინათ გაემგზავრა აფრიკაში და კონცერტებში აღებული ფულით ააგო იქ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი საავადმყოფო კამერუნის შავკანიანი მოსახლეობისათვის, რომელსაც სულს ხდის საშინელი სილტაკე და ათასი საზარელი ტროპიკული დაავადება. ამ შესანიშნავი სწავლულისა და ჰუმანისტის თავდადებულ ცხოვრებას მოწიწებით ეკიდება მთელი მსოფლიო, მას ერთსულოვნად მიენიჭა ნობელის პრემია, და ახლა შვეიცერი მთელი თავისი ავტორიტეტით მხარს უჭერს კაცობრიობის სამართლიან მოთხოვნებს, რომ თავიდან იქნას აშორებული ატომური საფრთხე და შეიქმნას უატომო ზონა. დასავლეთის მრავალი რადიოსადგური დასჯერდა მხოლოდ მოკლე ცნობას: „ჯუნგლების 83 წლის ექიმმა თქვა...“, მაგრამ შვეიცერის მოწოდების წაყრუების ცდა მარცხით დასრულდა.

საუდის არაბეთი

ლამაზი სიტყვების საფარველ ქვეშ

ეგვიპტის გაზეთში — „როზა ელ-იუსუფ“ გამოქვეყნდა ამაღელვებელი თავგადასავალი ერთი ღატაკი მკვიდრისა, მარუკისა, მდიდარი ბატონის დესურის ყოფილი მონისა. როცა მარუკი 75 წლისა შეიქნა, ის კანონით გაათავისუფლეს მონობიდან, როგორც შრომისუნარმოკლებული. მარუკი ქალაქ დეხრანის მეჩეთის ახლოს მოწყალებას თხოულობდა და იმით გაჰქონდა თავი. მაგრამ მისი ოჯახი — ცოლი, ვაჟი და ოთხი ქალი — კვლავ დესურის მონები იყვნენ და დესურმა დააპირა მათი მიყიდვა ერთი მდიდარი ვაჭრისათვის. დეხრანის ყველა მათხოვარმა არამკო-ს ნავთის საწარმოების მუშებსა და ქალებს შორის ჩაატარეს ხელმოწერა მარუკის სასარგებლოდ და შეაგროვეს სასამართლოს მიერ მარუკის ცოლ-შვილის გამოსასყიდად დანიშნული 50.000 არაბული ტალერი. ამ ამბავმა ფარდა ახადა იმ საშინელ სინამდვილესა და დაკანონებულ მონობას, რომელიც გამეფებულია ქვეყანაში, საიდანაც ამერიკელები მრავალი მილიარდი დოლარის ნავთობს მიეზიდებიან. ასე ხორციელდება ის „ცივილიზატორული მისია“ თანამედროვე კოლონიზატორებისა, რომლებიც ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ფარავენ თავიანთ კოლონიურ ძარცვა-გლეჯას.

სირია

სირიული ხელოვნება

ახლო აღმოსავლეთის ეს შორეული ქვეყანა, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ შეუერთდა ეგვიპტეს არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, იმ ყოფილ კოლონიურ რაიონთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც დამოუკიდებლობა მეორე მსოფლიო ომის მერე მიიღეს. 1946 წლის 17 აპრილი მარტო სირიის ეროვნული გათავისუფლების დღესასწაული როდია, ესაა აგრეთვე დასაწყისი იმ ხალხის კულტურული აღორძინებისა, რომელიც საუკუნეების წინათ ხიბლავდა შუასაუკუნეობრივ ევროპას თავის ხელოსანთა სრულქმნილი ნაწარმოებებით და რომლის ტერიტორიაზეც რამდენიმე ათასწლეულის წინათ ვითარდებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია.

ამჟამად სიყვარულით აღადგენენ სირიული ხელოვნებისა და ხელოსნობის უძველეს ტრადიციას. გამოფენა, რომელიც ამას წინათ გაიმართა პრაღაში, სირიელი ხალხის ამოუწურავი მხატვრული შემოქმედების დადასტურება იყო. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხალხური ხელოვნების, მხატვრული ხელოსნობისა და თანამედროვე სირიული ხელოვნების სულ სხვადასხვანაირი ნამუშევრები. სირიის ხალხური ხელოვნება მრავალმხრივი ხასიათისაა, რაც განისაზღვრება იმ მხარის გეოგრაფიული პირობებით, სადაც აღმოცენდა ეს ხელოვნება. მსხვილი ქალაქების ხალხური ხელოვნება დაკავშირებულია დამასკოსა და ალეპოს შემოქმედებისა და წარმოების უძველეს ტრადიციებთან — ამზადებენ განთქმულ დამასკოს ქსოვილებს, ქაღალდისა და აბრეშუმის ფარჩას და უნაზეს აბრეშუმს, ლამაზად ამოქარგულ ყაუხებს მამაკაცებისათვის და პირბადეს ქალებისათვის.

სირიის ბარისა და სამიწათმოქმედო ოლქების (მეტადრე ხამის რაიონისა) ხალხური ხელოვნება, პირიქით, უფრო სადაა, თუმცა აქაც შეხვდებით ამოქარგულ ხავერდს და ბამბისა და ტილოს ქსოვილებს, რომელზეც გამოყვანილია გეომეტრიული ფიგურები და მცენარეული სახეები. ყველაზე მეტად გამოირჩევა უდაბნოს ხელოვნება; აქ ღარიბი მომთაბარე ბედუინები ამზადებენ უბრალო ტანსაცმელს, რომელიც ყოველგვარ ამინდში გამოდგება. ბედუინები ამზადებენ ლერწმის მორთულ-მოკაზმულ სალამურებს, ხისჩარჩოიან მრგვალ სარკეებსა და შალის შურდულებს, რომელთა შემწეობითაც განაგებენ უზარმაზარ ფარებს. ორიგინალური მოყვანილობისაა მათი მუსიკალური საკრავები, ეჟვნები, სიმებიანი საკრავები და ორმაგი ფლეიტა. საფეიქრო პროდუქციიდან, გარდა ზემოხსენებული ფარჩისა და აბრეშუმისა, აღადგენენ ბამბა-აბრეშუმის ნაქსოვს, რომელიც ამჟამად უმთავრესად განკუთვნილია ექსპორტისათვის, აგრეთვე უყი-

თელხა და თეთრ მსუბუქ ბრეზენტს სუფრებისათვის.

ჩინეთი

მსოფლიოში უძველესი გაზეთი

1047 წელია, რაც განუწყვეტლივ გამოდის ჩინური გაზეთი „ცინგაოე", რომლის პირველი ნომერიც გამოვიდა პეკინში 911 წელს ჩვ. წელთაღრიცხვით. შენახულია ამ გაზეთის ყველა ნომერი.

ჭვის ხანის ტანსაცმელი

ვუხინის პროვინციაში ამას წინათ აღმოჩენილი იქნა ნეოლითის ხანის ნასახლარობის კვალი. გათხრების დროს ნახულია მრავალი საინტერესო რამ — ჭვის დანები, ისრის ბოლოები, ნაჯახები, თიხის ჭურჭელი, ბერეთვე ტანსაცმლის მასალა, ძაფისა და ზონრების ნარჩენები. ეს უძველესი ხანის ნაქსოვები, არქეოლოგების დასკვნით, ამან შემოგვინახა, რომ ჩამარხული იყო მიწის ღრმა ფენებში და გადარჩა მარტო გამანადგურებელ გველენას. ეს თხელი ნაქსოვები შეეხებიქვეყნელურად მოწმობენ, რომ ადამიანი ჯერ კიდევ ახალ ჭვის ხანაში ხმარობდა ნაქსოვ ტანსაცმელს.

ჩინური გრაფიკის გავრცელება

პეკინში გაიხსნა ჩინური გრაფიკის მესამე გამოფენა, რომელიც მოიცავს 21 პროვინციის 800 ნამუშევარს. მათ შორისაა პეკინის ცენტრალური ბელოვნების აკადემიის დიპლომანტის ჩეხი ბოიჩეკის 90 აქვარელი, ხეზე ამოკვეთილი ჩუქურთმა და ჩანახატები, რომლებიც მან შეასრულა ჩინეთის სხვადასხვა მხარეში მოგზაურობის დროს.

ცი ბაი-ში ეკრანზე

მსოფლიო ხელოვნებისათვის უდიდესი ბედნიერებაა ის, რომ ჩინეთის კინემატოგრაფიამ მოასწრო დოკუმენტურ ფირად ფილმში უკვდავეყო უდიდესი ჩინელი მხატვრის ცი ბაი-შის, ეროვნული აქვარელის ამ უნატრესი ოსტატის, პიროვნება და შემოქმედება. ცი ბაი-შის, მშვიდობიან მსოფლიო საბჭოს ლაურეატის, რომელიც თითქმის 100 წლისა გარდაიცვალა, გარს ეხვია ეკრანზე ხელოვნების დამფასებელთა საყოველთაო სიყვარული და აღტაცება.

ახალი კულტურული ცენტრი

პეკინში შეუდგნენ კულტურის სასახლის მშენებლობას. ეს 12 სართულიანი შენობა გაჩენილ ნაციონალურ უძველესთანაა მთელი პოლიტიკური და კულტურული აჭარბებობის ცენტრი. სასახლეში იქნება 5 დიდი საგამოფენო დარბაზი, 30 საგამოფენო შენობა კულტურის ძეგლებისათვის, 300.000-წევნანი ბიბლიოთეკა, სალექციო დარბაზები, კლუბები და რესტორანი, სადაც დაიმზადებენ ნაციონალურ უძველესთაბა ტრადიციულ კერძებს.

ფოლენტიკური ანბანის დანერგვა

ჩინეთში გადაიჭრა უმნიშვნელოვანესი კულტურული ამოცანა — დაშუშავებული და შემოღებული იქნა ლათინური შრიფტის საფუძველზე აგებული ფონეტიკური ანბანი, რომელმაც დროთა განმავლობაში უნდა შესცვალოს ადრინდელი იეროგლიფური დაწერილობა. ეს ნამდვილი კულტურული რევოლუციაა, რომელიც ფართო მასების განუზომლად გაუადვილებს კულტურის დაუფლებას. მაგრამ მის განხორციელებას დიდი ენერგია და დრო დასჭირდება. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები იმისათვის, რომ ჩინეთის ათეულ მილიონობით მცხოვრებლებმა თანდათანობით შეეჩვიონ ახალ დამწერლობას: იეროგლიფების გვერდით ათავსებენ ხიტყვების გამოსახულებას ახალი ანბანით, ათავსებენ ყველგან, სადაც მათ ყოველდღე დაინახავს ფართო მოსახლეობა — გაზეთის სათაურებში, პლაკატებზე, აბრებზე. შემდგომი ნაბიჯი ის იქნება, რომ ჩინეთის ყველა კუთხეში, ახალ ანბანთან ერთად, შეასწავლიან ჩინური ენის პეკინურ დიალექტს, როგორც საერთოს მთელი ჩინეთისათვის, ვინაიდან ჩინური სიტყვების ფონეტიკური გამოსახულებისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩინეთის სხვადასხვა ოლქში ერთნაირი იეროგლიფური გამოსახულების სიტყვები სხვადასხვანაირად წარმოითქმის. შემდეგ გამოსცემენ ზოგ პოპულარულ წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება როგორც იეროგლიფური, ისე ფონეტიკური ტექსტი. ამრიგად, ახალი ანბანი თანდათანობით ეკრება ცხოვრებაში და განდგება წერაკითხვის უცოდინარობას ჩინეთში.

მუშებისა და გლეხების ნაწარმოებები

ჩინელი მუშებისა და გლეხების კალამს ეკუთვნის თანამედროვეობის, თემაზე დაწერილი ათასობით მოთხრობა, რომლებიც ამ უკანასკნელი ხანი თვის მანძილზე შეიქმნა. შანხაის თითქმის ყველა ქარხანაში ჩამოყალიბებული მუშათა ლიტერატურული წრეები, სოლო ამ წრეების წევრთა ნაწარმოებები იბეჭდება საგანგებოდ მუშა და გლეხ მწერალთათვის განკუთვნილ ჟურნალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო“

ლადო ასათიანი—ადრე წასული კაცის ფიქრები, რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 81, ფასი 1 მან. და 35 კაპ.

სტენდალი — პარმის სავანე. თარგმ. თ. ქიქოძისა. რედ. გ. ქიქოძე. გვ. 554, ფასი 9 მან. და 25 კაპ.

რ. ჯაფარიძე — ბონდი. რედ. ვ. ჯავახაძე. გვ. 66, ფასი 1 მან.

საბლიტბამი

დ. ძეძამიძე — კუნწულა. რედ. ტ. ტყემალაძე. გვ. 33, ფასი 2 მან. და 10 კაპ.

მ. ლაიშვილი — თხილაობა. რედ. ე. გოგოლაშვილი. გვ. 32, ფასი 1 მან. და 70 კაპ.

ლ. მეგრელიძე — სახსოვარი. რედ. მ. ჭავჭანიძე. გვ. 271, ფასი 7 მან. და 60 კაპ.

ესქილე — მიჯაჭვული პრომეთე. თარგმ. ა. ცუთათელისა. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გვ. 63, ფასი 2 მან.

ი. სახარულიძე — აიწონა-დაიწონა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 73, ფასი 4 მან.

დ. გედევანიშვილი — ნორჩი ფიზიკოსი. რედ. ტ. ტყემალაძე. გვ. 91, ფასი 2 მან. და 50 კაპ.

ა. შენგელია — კალმახის გადარჩენა. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 183, ფასი 5 მან.

„საბჭოთა მწერალი“

ქ. მუმლაძე — მეფოლადის სიყვარული. რედ. ლ. კალანდაძე. გვ. 125, ფასი 1 მან. და 50 კაპ.

ფასი 6 მან.

6·29/171

5·39/170

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»